ყოველკვირეული

# ალია

N9 /737/ 29 თებერვალი, 6 მარტი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## გადადექი!!!

თუ „ალიაში“ სიმართლე არ ეწერა, რატომ ითხოვენ ვეტერანები ირაკლი შიხიაშვილის გადადგომას?!



31

## ბუკა პეტრიაშვილის დაჭრის სკანდალური ინფორმაციები

ამ სინდისგარეცხილ პოლიტიკოსებში ვახტანგ ხმალაძე, ზვიად კვაჭანტირაძე და ნუკრი ქანთარია აღმოჩნდნენ



უკვე ამბობენ, რომ ბოლო, მესამე ტყვია ბუკას ფეხში კი არა, ცოტა სხვა, უხერხულ ადგილას მოხვდა...

16

## მამუკა ახვლედიანი:

„ნინო გვენეტაძე თურმე ათი წლის განმავლობაში ჩემზე დაბოღმილი იყო და შურისძიებაზე ფიქრობდა!“

ზაზა ხატიაშვილი: „ყველა გადართულია პოლიტიკურ თემებზე, ყველა ფიქრობს ხელისუფლებაში მოსვლაზე, ყველას სკამისკენ უჭირავს თვალი, ივანიშვილმა ერთი სიტყვა დაასველა და მორჩა, ხმა ჩაიკმინდეს, ვერავინ ვერ დაუპირისპირდა“



14

## დაუზოგავად უნდა ვაკრიტიკოთ და ვლანძღოთ ნოდარ ჯავახიშვილი, მიხეილ გიორგაძე, ოთარ დანელია, სოზარ სუბარი და ტარიელ ხეჩიკაშვილი! სხვა მინისტრების კრიტიკა დაუშვებელია!!!



26

## ბიძინა ივანიშვილი თავისი გეგმით მიდის და საბოლოოდ ვილაცებს ძალიან მალე მოგუღავს!

განგსტერული კვირის ქრონიკა და პოლიტიკური აურზაური მმართველ გუნდში!



8

## რატომ დაუპირისპირდა „ნაციონალი“ მიშა მაჭავარიანი „გაგირჩეულ“ ყოფილ თანაგუნდელებს?

რას პასუხობს გოგა ხაჩიძე „ნაციონალებს“?



12

## არჩევნებზე წაუსვლელობა დასჯადი გახდება?!

რა სანქციები დაწესდება მათთვის, ვინც პროტესტის გამო სახლში დარჩებიან?!



13

## „მშრალი ხიდიდან“ ასობით მოვაჭრეს აყრიან?!

„აქციასაც მოვაწყობთ და არ დავაშვებინებთ არავის ასეთ რამეს!“



11

## სამმაგი მკვლელობა შურისძიების გამო?!

„თუ ეს ხელისუფლება არ აღადგენს სამართლიანობას, აგერ ბატონო, ხომ ხედავთ, ხალხი თვითონ ცდილობს უკვე პატივის აღდგენას და კიდევ რამდენი ტრაგედია მოხდება, ვინ იცის?“



29

## „საქართველოს რკინიგზა მოგიწოდებთ, გადაკვეთოთ ლიანდაგები მხოლოდ სპეციალურ გადასასვლელებზე და გაუფრთხილდეთ საკუთარ სიცოცხლეს!



5

## რატომ სთხოვენ პოლიციელები ფეხით მოსიარულეებს პირადობის მოწმობებს და რა შემთხვევაში უნდა ატაროთ თან დოკუმენტი?!

„ოცნებას“ რომ უთხრა, პოლიციურ ქვეყანაში ვცხოვრობთ ისევო, ისეთ გაკვირვებულ და მიამიტ სახეებს მიიღებენ, ლამის შეგრცხვეს! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აბა, სხვა რა ჰქვია იმ ფაქტს, როდესაც შენს ქვეყანაში, შენს ქალაქში, შენს უბანში დოკუმენტების გარეშე ვერ გამოსულხარ. როდესაც მთლიანად დამოკიდებული ხარ, რამხელა „აიქიუ“, ანუ ინტელექტის დონე, აქვს რიგით პოლიციელს, ანუ „გონივრული ეჭვი“ საფუძვლიანად გაუჩნდება პირის მიმართ, თუ მხოლოდ იმიტომ, რომ „პიტალოა“ და ზოგადად, ყველაფერში ეჭვი ეპარება, რადგან არაფერი იცის!

26

## რამდენი მძღოლი იხსნა გაჭყავებისგან „ალიას“ სამმა 10-ლარიანმა ჯარიმამ!

ვინც „ძველი ტფილისის“ აღდგენითი სამუშაოების მიმდებარედ „სითი პარკმა“ დაგაჯარიმათ, არ უნდა გადაიხადოთ!



30

## ფონიჭალაში მოკლული დედა-შვილის საზარელი მკვლელობის ყველა ფაქტი და ვერსია



10

## მოსამართლეს განსაკუთრებული ნეიტრალიტეტი, ობიექტურობა სჭირდება — ფოფხაძე



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ანა დოლიძეზე კომენტარის გაკეთებისას შემდეგ განცხადებას აკეთებს.

– ის, როგორც იურისტი, ალბათ, თავისი კვალიფიკაციით კითხვის ნიშნებს არ ბადებს, თუმცა, მე ზოგადად მიმაჩნია, რომ მოსამართლეობა არის ყველაზე უფრო გამოკვეთილი და საპატიო საქმიანობა ნებისმიერი იურისტისთვის. მე პრეტენზია არასდროს მექნება მოსამართლეობაზე, იმიტომ, რომ მგონია, რომ მოსამართლეს განსაკუთრებული ნეიტრალიტეტი, ობიექტურობა და განსაკუთრებული თვისებები სჭირდება, როგორც იურისტს. პირადად მე თავს შევიკავებდი ასეთი საქმიანობისგან. ქალბატონ ანას მოვუსმენთ, ალბათ, და ჩამოვყალიბდებით, – აცხადებს ფოფხაძე. (ნიუპოსტი)

## ელისო ჩაფიძე ცდილობს ამ პროცესებით პოლიტიკური დივიდენდები დაიგროვოს — ბობოხიძე



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატი აკაკი ბობოხიძე ტყიბულში მიმდინარე მოვლენებს საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ფონზე, ლოგიკურს უწოდებს.

– მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების ფონზე, არა მხოლოდ ტყიბულის ქვა-ნახშირის შახტას, არამედ მთელ საქართველოს ელოდება გაჩერება. ბუნებრივია, იქ, სადაც ეკონომიკა კლებულობს, ნედლეულზე მოთხოვნაც კლებულობს. შესაბამისად, ბუნებრივია ტყიბულში მიმდინარე პროცესებიც.

მე მინდა ერთ ფაქტს გავუსვა ხაზი – ელისო ჩაფიძე იყო ის ადამიანი, ვინც 2012 წელს ტყიბულელებს ეუბნებოდა, რომ წინა ხელისუფლებამ მათ შეღავათები შეუწყვიტა. დღეს კი ირკვევა, რომ ეს შეღავათები მოსახლეობას არა წინა მთავრობამ, არამედ ამ ხელისუფლებამ მოუხსნა. ამიტომ მინდა მოსახლეობას კიდევ ერთხელ მივმართო და ვუთხრა – ესაა ის დაპირებული მე-4 საუკეთესო წელი, რომელსაც ამ ხელისუფლების პირობებში ველოდებოდით. ელისო ჩაფიძე ცდილობს, ამ პროცესებით პოლიტიკური დივიდენდები დაიგროვოს", – განაცხადა ბობოხიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბავშვმა მითხრა, ესე მიშვრებოდა მასწავლებელიო... კოცნიდა, ხელებს ხვევდა" — სკანდალი იმერეთის ერთ-ერთ სკოლაში



ადგილობრივების განცხადებით, 54 წლის ფიზკულტურის მასწავლებელი სექსუალურ ძალადობას 6, 12 და 14 წლის გოგონებზე ახორციელებდა.

არასრულწლოვნების მშობლების განცხადებით, მათთვის აქამდე ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაცია უცნობი იყო.

როგორც ისინი აღნიშნავენ, ეს ამბავი მას შემდეგ გახმაურდა, რაც სკოლის ადმინისტრაციამ ბავშვების მიმართ პედაგოგის დამოკიდებულება საეჭვოდ მიიჩნია. კერძოდ, ფიზკულტურის გაკვეთილის მიმდინარეობის დროს სპორტულ დარბაზში მოსწავლე დაშავდა, მასწავლებელი კი ადგილზე არ აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, ის ერთ-ერთ მოსწავლე გოგონასთან ერთად სხვა ოთახში იყო განმარტოებული.

– ბავშვმა მითხრა, ესე მიშვრებოდა მასწავლებელი, შევყავდი ოთახშიო, კოცნიდა, ხელებს ხვევდა... ბავშვი როდესაც გამოყავდა, აფრთხილებდა და აშინებდა, – აცხადებს ერთ-ერთი გოგონას მშობელი.

მშობლები სამართალდამცავების მხრიდან დროულ რეაგირებასა და დამნაშავის დასჯას ითხოვენ.

სკოლის დირექტორის თქმით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქმის კურსშია ჩაყენებული როგორც ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ასევე სამართალდამცავი ორგანოებიც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით მიმდინარეობს, რაც გარყვნილ ქმედებას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთის შესაკავებლად ამერიკამ ევროპაში დამატებითი ჯარები უნდა განათავსოს — ფილიპ ბრიდლავი



ევროპაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურის გენერალ ფილიპ ბრიდლავის განცხადებით, ევროპაში რუსეთის შესაკავებლად აშშ-მა დამატებითი ჯარები უნდა განათავსოს. ამის შესახებ ბრიდლავმა წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული სამსახურების კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

– რუსეთმა აირჩია მოწინააღმდეგის პოზიცია და აშშ-ისა და მოკავშირეებისთვის სასიცოცხლო საფრთხეს წარმოადგენს. ეს არ არის ცივი ომი, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ არ ვართ იმ პოზიციაზე, რომელზეც უნდა ვიყოთ. პენტაგონი აპირებს 3.4 მილიარდი დოლარის დახარჯვას დამატებით ევროპაში საროტაციო ჯარების რაოდენობის გასაძლიერებლად, – განაცხადა გენერალმა. (ნიუპოსტი)

## სოხუმში ბიზნესმენი დაცხრილეს




საგაზაფხულო სეზონის დადგომასთან ერთად, ოკუპირებულ აფხაზეთში საუკეთესო ადგილების მოსაპოვებლად ბრძოლა გაჩაღდა.

როგორც ირკვევა, ხურჩისა და სოხუმის სანაპიროებზე საზაფხულო კაფეს მფლობელი შ.გ. ბიზნესინტერესების გამო კიდურების არეში დაცხრილეს.

გავრცელებული ინფორმაციით, შ.გ.-ს ბიზნესის წილს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, ბატალ შამბა ედავება, რომელიც ალექსანდრე ჭაჭიასთან ერთად ბიზნესსაქმიანობას მოსკოვში ეწევა. შამბასა და შ.გ.-ს შორის შელაპარაკება სოხუმში, ეშბას ქუჩაზე მოხდა მოხდა. გვიან ღამე კი შ.გ.-ს სახლში დაზვერვამ მიაკითხა და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა. რამდენიმე საათის შემდეგ ბიზნესმენი სანაპიროზე იპოვეს. მას ხელ-ფეხი ჰქონდა დაცხრილული. ბიზნესმენის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლატვიის ნაციონალისტები: „სჯობს ლტოლვილები, ვიდრე რუსული მშვიდობა"



ლატვიის ნაციონალისტური ბლოკის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ლტოლვილები, რომლებიც ახლა ევროპის ტერიტორიაზე შედიან, უფრო კარგად მოახდენენ ლატვიურ კულტურასა და საზოგადოებასთან ინტეგრირებას, ვიდრე რუსები. ბლოკის წარმომადგენლის, ლატვიის კულტურის მინისტრის დაცე მელბარდეს განცხადებით:

– ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია. ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფოს მოვალეობა და მოსახლეობის ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ, ლტოლვილთა მოტივაცია, ჩაერთონ ქვეყნის ცხოვრებაში, მიიღონ მისი კულტურა და ტრადიციები...

მისი თქმით, ლატვიის მთავრობამ შექმნა კომპლექსური გეგმა, რომელიც ამ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. გეგმაში შედის ენისა და ქვეყნის ისტორიის შესწავლა, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და ქვეყნის კანონმდებლობის, უფლებებისა და მოვალეობის გაცნობა.

– ლტოლვილები, რომლებსაც ლატვია მიიღებს, შესაძლოა, უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებული ამგვარ ინტეგრაციაში, ვიდრე ზოგიერთი პირები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასახლდნენ ქვეყანაში, – აცხადებს მინისტრი.

შეგახსენებთ, რომ ლატვიაში მცხოვრებ რუსულენოვანი მოსახლეობის უმრავლესობა არის იმ ადამიანთა შთამომავალი, რომელიც რუსეთის მიერ ლატვიის ოკუპაციის შემდეგ შემოვიდა ქვეყანაში. მათ დიდ ნაწილს პრინციპულად არ სურს ისწავლოს ლატვიური ენა, გაეცნოს იმ ქვეყნის ისტორიასა და კულტურას, სადაც ცხოვრობს და ითხოვს, რომ უპირობოდ მიენიჭოს ქვეყნის მოქალაქეობა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთი ომისთვის ემზადება



„რუსეთი ომისთვის ემზადება" – ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას „ნიუსდეილი".

ბოლო კვირის განმავლობაში პანიკამ რუსეთის საბანკო სექტორში ნაციონალურ მასშტაბებს მიაღწია.

როგორც გამოცემის წყარო მოსკოვის ერთ-ერთი ბანკიდან იტყობინება, რუსეთის საბანკო ისტორიაში კვირის განმავლობაში დეპოზიტების ყველაზე მასშტაბური გადინება დაფიქსირდა, საუბარია დაახლოებით 900 მილიარდ რუბლზე, რომლის უდიდესი ნაწილი რუსეთის მოქალაქეებმა სასწრაფოდ გადაცვალეს დოლარზე, ევროსა და სხვა ხელმისაწვდომ უცხოურ ვალუტაზე.

გაკოტრების შიშით ზოგიერთმა ბანკმა შეწყვიტა დეპოზიტების გაცემა, მათ შორის შეზღუდულია ამერიკული ვალუტის თავისუფალ რეჟიმში გაყიდვა. სანქციებისა და ნავთობის კატასტროფული ფასის დაცემის პირობებში, რუსეთის საბანკო სექტორმა ძალიან მალე შესაძლოა, არსებობა შეწყვიტოს. ათეულობით მსხვილი ბანკი მთელი რუსეთის მასშტაბით დაიხურა. თავიანთი კაპიტალის დაკარგვის შიშით, ადამიანები საბანკო სექტორს ფსკერისკენ მიაქანებენ. რუსეთში გაჩნდა შიში არა მხოლოდ ნატო-სი და სხვა, მათი აზრით, ე.წ. მტრების, არამედ სულ უფრო აქტიურად და შეშფოთებით დაიწყეს ჩინეთის მიმართულებით ყურება.

გამოცემის აზრით, იკვეთება, რომ თითქოს რუსულ საზოგადოებაში რაღაც იციან... ქვეყანა ომისთვის ემზადება. (ნიუპოსტი)

## კომუნალურ ვაუჩერებს მარტიდან მხოლოდ 100 000 ოჯახი მიიღებს



საკრებულოს გადაწყვეტილებით, მარტიდან კომუნალურ ვაუჩერს თბილისში მხოლოდ 100 000 ოჯახი მიიღებს. საკითხი სხდომაზე განსახილველად საფინანსო სამსახურის უფროსმა ლევან თევზაიამ გაიტანა. საკრებულოს უმრავლესობამ ამ მიზნით, 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანას დაუჭირა მხარი. მომხრე იყო 33, ხოლო წინააღმდეგი – 5 დეპუტატი.

თბილისის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის განცხადებით, მარტიდან კომუნალურ ვაუჩერს ის ოჯახები მიიღებენ, რომელთა სარეიტინგო ქულაც 200 000-ის ქვემოთ არის, ასეთი კი 100 000 ოჯახია.

ჩივიაშვილის თქმით, 70 000 ქულის ზემოთ თვეში გათვალისწინებულია 20 ლარი, ხოლო 70 000 ქულის ქვემოთ მყოფი ოჯახები ხუთი თვის განმავლობაში 530 ლარს მიიღებენ კომუნალური ვაუჩერისთვის, მათ შორის გათვალისწინებულია ის კომპენსაცია, რაც დენის ტარიფის ცვლილებით იყო გამოწვეული.

– 200 000 ქულა იმდენად მაღალი ქულაა, რომ ყველა ადამიანს, ვინც ჩათვლის, რომ უნდა ისარგებლოს ამ სუბსიდიით, შეიძლება სოციალური მომსახურების სააგენტოს განაცხადით მიმართოს და სოციალურად დაუცველთა ბაზაში დარეგისტრირდეს. ქულის მინიჭების შემთხვევაში ეს ოჯახები ავტომატურად მიიღებენ კომუნალურ სუბსიდიას, – განაცხადა გელა ჩივიაშვილმა.

მისივე თქმით, თბილისის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად კომუნალური ვაუჩერისთვის 9,2 მილიონი ლარი იხარჯებოდა. მიღებული გადაწყვეტილებით, ეს თანხა დაახლოებით 5 მილიონი ლარი იქნება, გამოთავისუფლებული თანხები კი სოციალურ პროგრამებზე გადანაწილდება. კერძოდ, აუტიზმით დაავადებული ბავშვების რეაბილიტაციის, ძვლის ტვინის ტრანსპლატანციის და სხვა პროგრამებისთვის. (პირველი რადიო)

## „ჯაჯანიძის შოუს" გმირს პატიმრობა ემუქრება



სიღნაღის რაიონული სასამართლო 28 წლის საგარეჯოელი მამაკაცის საქმეს იხილავს – ცისკარა გაბრელაშვილს ბრალად ედება არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარება. 15 წლის არასრულწლოვანი გოგონა მისი მეუღლეა და ამჟამად ორსულადაა. წყვილი შვილს ივლისში ელოდება.

ფაქტის შესახებ სამართალდამცავებისთვის ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც წყვილმა მონაწილეობა „გია ჯაჯანიძის შოუში" მიიღო.

მამაკაცის ოჯახის წევრების განცხადებით, ოჯახის შექმნა მშობლების თანხმობით მოხდა და მათ არასრულწლოვანთან ქორწინების აკრძალვის შესახებ არ იცოდნენ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სქესობრივ კავშირს ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას გულისხმობს 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში კი 7-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

## „მე ამაზე არ მიფიქრია" — ანანიაშვილის კომენტარი მოსკოვში 25 თებერვალს გამოსვლაზე



საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დღეს, მოსკოვში გამართულ კონცერტთან დაკავშირებით კომენტარი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, კონცერტი ერთი წლის წინათ დაიგეგმა და მისი პედაგოგის იუბილეს ეძღვნებოდა, თარიღი კი უბრალო დამთხვევა იყო:

– უბრალოდ, ეს რიცხვი დაემთხვა, მე ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია. მაგრამ ეს ფაქტი არსებობს. უბრალოდ, ეს დღე იყო ერთადერთი, რომელიც იყო დაგეგმილი ერთი წლის წინათ, – განაცხადა ნინო ანანიაშვილმა.

რუსეთის დედაქალაქში, ქართული საბალეტო დასის ჩასვლა და მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე გამოსვლა, მთლიანად რუსულმა მხარემ დააფინანსა.

25 თებერვალი რუსული არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის დღეა. წელს 1921 წლის მოვლენებიდან 95 წელი შესრულდა. (ნიუპოსტი)

## ევროკავშირმა უვიზო მიმოსვლა, შესაძლოა, მხოლოდ საქართველოს შესთავაზოს



რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციით, ევროპის კომისია მზად არის, უვიზო მიმოსვლა შესთავაზოს საქართველოს, თუმცა უკრაინის შემთხვევაში შეთავაზება შესაძლოა, გადაიდოს.

– ევროპის კომისია დეკემბერში აცხადებდა, რომ კრიტერიუმი ორივე ქვეყანამ დააკმაყოფილა, რათა შენგენის ზონაში უვიზოდ მოგზაურობის ნებართვა მიეღოთ. კომისია აცხადებდა, რომ 2016 წლის დასაწყისში მიმართავდა ამ შინაარსის წინადადებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და ევროპის პარლამენტს. თუმცა, ანონიმურმა წყარომ ევროკავშირიდან „რადიო თავისუფლებას“ აცნობა, რომ ბრიუსელი არ არის დარწმუნებული, გააკეთა თუ არა უკრაინამ ყველაფერი კორუფციასთან საბრძოლველად და მიიჩნევს, რომ უკრაინა და საქართველო ერთ ჯგუფში აღარ უნდა იქნენ განხილულნი. საქართველოსთვის ან უკრაინისთვის უვიზო რეჟიმის მინიჭების შესახებ ნებართვა ევროპის პარლამენტმა და ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა დაამტკიცონ, – წერს რადიო „თავისუფლება“. (ghn.ge)

## ინციდენტი კახეთში — სამართალდამცველებთან დაპირისპირების გამო 7 პირი დააკავეს



პოლიციასთან დაპირისპირების გამო, სამართალდამცველებმა 7 პირი დააკავეს. ინციდენტი თელავში, ერთ-ერთ კაფეში მოხდა. თვითმხილველთა განცხადებით, ერთ-ერთმა პოლიციელის მისამართით, ე.წ. გაზის იარაღიდან გაისროლა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირებს შორის დაპირისპირების დროს პოლიცია იქნა გამოძახებული. სამართალდამცავები ვითარების განმუხტვას შეეცადნენ, თუმცა დაკავებულებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 239-ე და 353-ე მუხლებით აღიძრა, რაც ხულიგნობას და პოლიციის დაუმორჩილებლობას გულისხმობს. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სკანდალი: КГБ-ს კადრი ქართულ უშიშროებაში — ვინ არის სუს-ის უფროსის მოადგილე?

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი კანდელაკის განცხადებით, სუს-ის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილია ის პირი, ვინც ბიძინა ივანიშვილის დავალებით ქვეყანაში რუსული პროპაგანდის გავრცელებას უწყობს ხელს. კანდელაკი ამბობს, რომ მჭედლიშვილი რუსული **КГБ**-ს კადრია და ის წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად და მცხეთის რაიონის კომუნისტური პარტიის ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების უფროსად მუშაობდა. კანდელაკი მის გადადგომას ითხოვს და ამბობს, რომ მჭედლიშვილის თანამდებობაზე ყოფნა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველია.



– ყურადღება! საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი – პირადად ივანიშვილის კადრი, რომელიც წლები მუშაობდა ბანკ „ქართუში“ – საბჭოთა უშიშროების, ანუ **КГБ**-ს ნომენკლატურა აღმოჩნდა!

ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ფაქტობრივად, შეწყვეტილია კონტრდაზვერვითი საქმიანობა, სისტემა გაივსო არაკომპეტენტური კადრებით მაშინ, როცა არაერთი კვალიფიციური და ღირსეული ოფიცერი ან სამსახურიდანაა გაშვებული, ან დაპატიმრებული (მაგალითად, კონტრდაზვერვის უფროსის ყოფილი მოადგილე ლევან ტაბიძე). ჩვენ არაერთხელ ვსაუბრობდით იმის შესახებაც, რომ რეალურად მიმდინარეობს ჩვენი უსაფრთხოების სისტემის ინფილტრაცია მტრული სახელმწიფოს მიერ. დღეს გვსურს, შემოგთავაზოთ ამის დამადასტურებელი მაგალითი.

ჩვენ მოვიპოვეთ მტკიცებულება – საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის მცხეთის რაიკომის ოფიციალური გაზეთის 1985 წლის ნომერი, რომლის თანახმადაც ამჟამად სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე, მირიან მჭედლიშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად. ამის შემდეგ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ბ-ნი მჭედლიშვილი, ასევე, მუშაობდა მცხეთის რაიონის კომუნისტური პარტიის ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების უფროსად. ორივე თანამდებობა, პირდაპირ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის ე.წ. კაგებეს ნომენკლატურას.

ანუ გამოდის, რომ დღეს საქართველოს უშიშროების სამსახურის საკვანძო თანამდებობის პირი, რომელსაც წვდომა აქვს აბსოლუტურად ყველა საიდუმლო ინფორმაციაზე, არის „კაგებეს“ ყოფილი ნომენკლატურა. აღნიშნული ინფორმაცია არის საქართველოს სახელმწიფოს უშიშროების სისტემის მორღვევის გამო განგაშის ზარის შემოკვრის კიდევ ერთი მიზეზი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, სწორედ ბ-ნი მჭედლიშვილია დაკავებული – ბიძინა ივანიშვილის დავალებით – რუსული პროპაგანდის კოორდინაციით და სხვადასხვა მედიასაშუალებების დაფინანსებით, რომლებიც ახდენენ აღნიშნული პროპაგანდის გავრცელებას...

ბატონი მჭედლიშვილი დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან, რადგან მის მიერ თანამდებობაზე გატარებული ყოველი წუთი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის პირდაპირ საფრთხეს შეიცავს. გარდა ამისა, ბატონი მჭედლიშვილის ამ თანამდებობაზე ყოფნა პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. და დაიწყოს გამოძიება ყველა იმ პირის მიმართ, ვინც ახდენდა მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის ლობირებას, პირველ რიგში კი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, წერს გიორგი კანდელაკი. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დღეს ჩვენი ხალხი მრავალი პრობლემის წინაშეა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა“ — ილია მეორე



– უძღები შვილის იგავი თითქოს თანამედროვე ადამიანებზე, თითქოს ჩვენზეა, – ამის თაობაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორე სამებაში, საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

ილია მეორის თქმით, ხალხი მრავალი პრობლემის წინაშეა, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდობა.

– უძღები შვილის იგავი თითქოს თანამედროვე ადამიანებზე, თითქოს ჩვენზეა. დღეს ჩვენი ხალხი მრავალი პრობლემის წინაშეა – განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ეს იგავი არის მაცნე სინანულისა, მაგრამ ამავე დროს არის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ ის ადამიანები, რომლებიც მამას განუდგნენ, ისევ დაბრუნდებიან მამასთან და მამა სიყვარულით მიიღებს მათ. უფალმა ინებოს, რომ ეს მალე მოხდეს, – განაცხადა პატრიარქმა. (ambebi.ge)

## „თუ პოლიტიკოსი ვერ იგრძნობს თავს დაცულად, რიგითი მოქალაქე უფრო დაუცველად იგრძნობს თავს“



– ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის საქმეზე, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ საქმეზე, გამოძიება უნდა იყოს უსწრაფესი, სრულყოფილი და არ უნდა დაისვას არც ერთი კითხვის ნიშანი, – ამის შესახებ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, ასეთი ტიპის დანაშაულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა.

– თუ პოლიტიკოსი, მაღალი ცნობადობის მქონე ადამიანი ვერ იგრძნობს თავს დაცულად შუა ქუჩაში დღისით და მზისით, რიგითი მოქალაქე უფრო დაუცველად იგრძნობს თავს. ამიტომ აუცილებელია, ამ საქმეზე განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა, – აღნიშნა ნაცვლიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაციონალური მოძრაობა“ პრემიერს გახმაურებული და გამოუძიებელი საქმეების სიას უგზავნის

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს გახმაურებული და გამოუძიებელი საქმეების სიას უგზავნის.

როგორც პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა აკაკი მინაშვილმა განაცხადა, ასეთი სულ 56 საქმეა და მათ შორისაა მკვლელობის ან საეჭვო გარდაცვალების 10, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის 5, ცემის 9, პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაციის გამოყენებით დაშანტაჟების 5, უკანონო თავისუფლების აღკვეთის 5, პოლიტიკური მოტივით ჩადენილი დანაშაული 17, სამართალდამცავების მიერ ჩადენილი 26 ფაქტი.



– დღისით, მზისით შეიარაღებული თავდასხმა მოხდა პოლიტიკურ ფიგურაზე და სამწუხაროდ, 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ეს პირველი შემთხვევა არაა. ჩვენ ვიცით ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის ამბავი, ამბავი, როცა თავს დაესხნენ ნუგზარ წიკლაურს და მისი გატაცების მცდელობა იყო. თავს დაესხნენ გიორგი ღვინიაშვილს და ჩიორა თაქთაქიშვილს. სამწუხაროა, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველო, როგორც განგსტერული სახელმწიფო, ისე ჩამოყალიბდა და წარმოიდგინეთ იქ, სადაც პოლიტიკური ფიგურის უსაფრთხოება არაა დაცული, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები კიდევ უფრო ცუდ დღეში არიან. ესაა შედეგი იმ ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის, რომელსაც „ქართული ოცნება“ ატარებს, – განაცხადა მინაშვილმა.

– როცა გიორგი კვირიკაშვილის დამტკიცება ხდებოდა, მან აღნიშნა, რომ ყურადღებას მიაქცევდა იმ ათეულობით გაუხსნელ საქმეს, რომელიც დაგროვდა, თუმცა კვირიკაშვილი აგრძელებს მოსახლეობის მოტყუების პრაქტიკას. სწორედ ამიტომ, ჩვენ გაუხსნელი და გამოუძიებელი საქმეების სიას, სადაც ყველა ფაქტი ჩამოწერილია, წერილობით ვუგზავნით მას, რათა გამოიძიონ ეს საქმეები, – აღნიშნა მინაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## სომეხი პარლამენტარი: კაცების კოცნის ტრადიცია სომხეთში საქართველოდან გავრცელდა



სომხეთის ოპოზიციური პარტია „ეროვნული კონგრესის“ საპარლამენტო ფრაქციის მდივანმა, არამ მანუკიანმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ „ლამაზი არაა, როდესაც სომხეთის ეროვნული კრების დეპუტატები მისალმებისას ყოველდღე ერთმანეთს კოცნიან“.

დეპუტატის განცხადებით, ამ ტრადიციას ბოლო უნდა მოეღოს. მისივე თქმით, ეს ტრადიცია სომხეთში საქართველოდან გავრცელდა:

– მაგალითისთვის, ჩვენს პარტიაში ბიჭებს ყოველდღე გადაკოცნა ავუკრძალე. იგივე ხდება უნივერსიტეტებთან, ეს ლამაზი არაა! ასე ამგვარი კულტურის გავრცელება ხდება. ეს ტრადიცია საქართველოდან მოვიდა. იქ კაცები ყოველდღე კოცნიან ერთმანეთს. იმავეს ნუ გააკეთებთ, ლამაზი არაა. ბავშვები გიყურებენ, – განაცხადა არამ მანუკიანმა.

„ნიუსარმენიას“ ინფორმაციით, ინიციატივაზე დეპუტატების რეაქციის გამო პარლამენტის ვიცე-სპიკერი ედუარდ შარმაზანოვი იძულებული გახდა, კოლეგებისთვის მუშაობის გაგრძელებისკენ მოეწოდებინა. (netgazeti.ge)

## მამუკა გორგოძემ თანაგუნდელი სიკვდილისგან იხსნა



ფრანგული „მიდი ოლიმპიკის“ ინფორმაციით, 21 თებერვალს საფრანგეთის პირველობის მორიგი მატჩის შემდეგ, როცა „ტულონი“ შინ ბრუნდებოდა, ავტობუსში გუნდის მე-15 ნომერს, ავსტრალიელ ჯეიმს ო'კონორს გულის შეტევა მოუვიდა და ექიმის შველამდე მას პირველადი დახმარება ქართველმა თანაგუნდელმა მამუკა გორგოძემ აღმოუჩინა.

შემდეგ ო'კონორი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის, სავარაუდოდ, 3 კვირას გამოტოვებს.

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ასეთ შემთხვევაში იყოჩაღა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა კაპიტანმა, ფეხბურთელმა ჯაბა კანკავამ, რომელმაც კიევის „დინამოელ“ ოლეგ გუსევს გაუწია პირველადი დახმარება მოედანზე, როცა ამ უკანასკნელმა შეჯახების შედეგად გონება დაკარგა. კანკავამ ამისთვის უკრაინაში სპეციალური ჯილდოც მიიღო. (sportall.ge)

## „შაჰაბასა ვალერა“, „ილია ინგა“, „აბოიმა თამაზა“... — კახური მეტსახელების ახალი სერია




„ფეისბუკ“ მომხმარებელი აკა სინჯიკაშვილი სოციალურ ქსელში იმ მეტსახელებზე წერს, რომელსაც ის კახეთის სხვადასხვა რეგიონში გაეცნო:

– ვიყავი ლაგოდეხში, წნორში, სიღნაღში და გურჯაანში, კახური მეტსახელების მეოთხე სერია:

„აბოიმა თამაზა“ – გრიჟა აქვს.

„მოსამართლე ზურო“ – დედ-მამა სხვადასხვა ადგილას დაკრძალა.

„ლუკმა გია“ – ყელზე ის ადამის ვაშლი აქვს.

„ილია ინგა“ – წნორელი ბოზია და ოც ლარს იღებს.

„მაგნიტა ნოდარა“ – ჯართს იბარებს.

„ბოქსიორი ანდრო“ – ხელში რაღაცა აფეთქებია, მტევნები მოუკვეთავთ და მაჯებშეხვეული დადის.

„ჯეკა მზია“ – ოთხი ტყუპი გააჩინა.

„ნოე ოთარა“ – სახლში ბევრნაირი ცხოველი და ფრინველი ჰყავს.

„ფუჩურა ნიკო“ – გინეკოლოგია სიღნაღში.

„შაჰაბასა ვალერა“ – ვენახი გაჩეხა და ლობიო დათესა.

„გველეშაპა გელა“ – ლამაზი ცოლი ჰყავს და გარეთ არ უშვებს.

„უანტენო ავთო“ – ენა ებმის და გაუგებრად ლაპარაკობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

**შპს – უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“ 2016 წლის 29 თებერვლიდან აცხადებს კონკურსს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტი პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური** თანამდებობების დასაკავებლად ქვემოჩამოთვლილ ფაკულტეტსა და მიმართულებაზე:

**1. მიმართულება – სამართალი**

**დარგი/სპეციალობა – საერთაშორისო სამართალი (0602)**

* პროფესორი – 2 ადგილი;
* ასოცირებული პროფესორი – 4 ადგილი;
*ასისტენტი პროფესორი – 6 ადგილი;
* ასისტენტი – 3 ადგილი.

**2. მიმართულება – სოციალური მეცნიერებები**

**დარგი/სპეციალობა – 0703 მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა**

* პროფესორი – 1 ადგილი;
* ასოცირებული პროფესორი – 3 ადგილი;
* ასისტენტი პროფესორი – 3 ადგილი;
* ასისტენტი – 3 ადგილი

**საკონკურსო პირობები**

– პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

– ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

– ასისტენტი პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

– ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას – დოქტორანტი;

აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა **შპს – უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“-ში** უნდა წარმოადგინოს:

ა) საკონკურსო განაცხადი/ანკეტა შევსებული დანართის ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში სასწავლებლის ვებგვერდზე ან შესაძლებელია, მიღებულ იქნას სასწავლებლის კანცელარიასა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

დ) სამეცნიერო ხარისხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დოქტორანტების შემთხვევაში – დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა;

ე) **CV** (ავტობიოგრაფია)

ვ) 2 (ორი) ფოტოსურათი.

ზ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს (ასისტენტის შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა სავალდებულო არ არის);

თ) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში ან სათანადო წესით გაცემული ცნობა);

კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება მოხდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.

**შენიშვნა:** აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას კვალიფიციური პირი პროფესიული ნიშნით, ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს პროფესიული ნიშნით, საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა) საკონკურსო განაცხადი/ანკეტა შევსებული დანართის ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში სასწავლებლის ვებგვერდზე ან შესაძლებელია, მიღებული იქნას სასწავლებლის კანცელარიასა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

დ) **CV** (ავტობიოგრაფია);

ე) 2 (ორი) ფოტოსურათი;

ვ) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სპეციალური მომზადების ან/და გამოქვეყნებული პუბლიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:

ა) მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს კონკურსანტს საცდელი ლექციის ჩატარება.

**საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა №35.**

**კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 29 თებერვლიდან, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 31 მარტიდან 15 აპრილის ჩათვლით, კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2016 წლის 29 აპრილისა.**

# სამი წელი პრემიუმ კლასის ქართული კვერცხი




თანამედროვე სამყაროში ძნელია, იცხოვრო ჯანსაღი ცხოვრების წესით. სწორი კვება, ფიზიკური აქტივობა, დასვენება – ეს ყველაფერი დროსთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც შეიძლება, ერთი შეხედვით, მიუწვდომლად მოგეჩვენოთ. თუმცა, ჩვენი ორგანიზმი სულაც არ ითხოვს ჩვენგან ბევრს! საკმარისია, ყოველდღიურად ვიტამინებითა და მინერალებით აღსავსე საუზმე მივირთვათ, რათა მარტივად, ზედმეტი დროისა და ხარჯების გარეშე გადავდგათ ნაბიჯი ჯანსაღი წესით ცხოვრებისკენ.

ჯანმრთელი საუზმის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია კვერცხი. არსებობს უამრავი მიზეზი, რის გამოც ეს პროდუქტი შეუცვლელია: კვერცხი მდიდარია პროტეინით, რაც მთელი დღის განმავლობაში ენერგიით აღგავსებთ. ის, ასევე, შეიცავს ვიტამინებსა და მინერალებს, როგორიცაა A, B, B2, B5, B12, E, ფოლიუმის მჟავა, კალციუმი, მაგნიუმი, იოდი, რკინა, ფტორი და ა.შ. კვერცხში, ასევე, შედის ვიტამინი D, რომელიც კალციუმის შეთვისებას უწყობს ხელს და ხოლინი, რომელსაც კიბოს პრევენციისთვის უწევენ რეკომენდაციას ექიმები.

კვერცხის ყოველდღიურად მიღებას კიდევ ბევრი დადებითი მხარე აქვს. ის შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომელიც აუმჯობესებს მხედველობას, ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკს. ის, ასევე, შეუცვლელია დიეტის დროს – წონაში დასაკლებად და ფორმის შესანარჩუნებლად.

თუმცა, იმისთვის, რომ ყველა ეს ბენეფიტი მივიღოთ, აუცილებელია ჩვენი საუზმისთვის შევარჩიოთ ხარისხიანი, მუდმივად ახალი პროდუქტი.

ასეთია, ქართული კომპანია „სავანეთის“ წარმოება, რომელმაც სრულიად ჩაანაცვლა უხარისხო, იაფფასიანი, იმპორტული კვერცხი ქართულ ბაზარზე. 2013 წელს „სავანეთმა“ განახორციელა წარმოების რემოდელინგი, შეიცვალა დანადგარები, ნედლეული, წარმოების პროცედურა. კომპანიას საერთაშორისო სტანდარტების დაცვისა და ხარისხის კონტროლის გამო **ISO** სერტიფიკატი მიენიჭა. „სავანეთის“ წარმოებული თითოეული კვერცხი შემოწმების 100-მდე პროცედურას გადის და მომხმარებლამდე მხოლოდ ამის შემდეგ ხვდება. დაიწყო დილა „სავანეთის“ კვერცხით, ნიშნავს აირჩიო ხარისხიანი, ჯანსაღი, ვიტამინებითა და მინერალებით სავსე საუზმე, რაც თქვენი ჯანმრთელობის, ენერგიისა და, შესაბამისად, წარმატების გარანტიაა.

## „გადადგეს გამოძიების დასრულებამდე“ — ინაშვილი პრემიერს მიმართავს



„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი პრემიერ-მინისტრს მიმართავს. ინაშვილი გიორგი კვირიკაშვილს მოუწოდებს, სანამ საგარეჯოში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს, თანამდებობიდან გადააყენოს თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი. ინაშვილი პრემიერს „ფეისბუკით“ მიმართავს:

– მივმართავ პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს: მოგეხსენებათ, პროკურატურამ დაიწყო გამოძიება საგარეჯოში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. ვიდრე მიმდინარეობს გამოძიება, თავდაცვის მინისტრი გადააყენეთ დაკავებული თანამდებობიდან. ეს გამორიცხავს თავდაცვის მინისტრის მხრიდან სამხედრო პირებსა და სხვა მოწმეებზე ზეწოლის შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზეწოლა გარდაუვალი იქნება. თინა ხიდაშელს ვურჩევ: თავი დაანებოს ე.წ. ვექტორებზე ლაპარაკს. ეს ვექტორები არაფერ შუაშია. საგარეჯოში ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულს. ამ დანაშაულში ბრალს ვდებ თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრებს. არავითარი პროდასავლურობა არაა არჩევნების გაყალბება და ამ სისულელის ტირაჟირებას დაანებოს თავი. ხომ გადაიყვანა კადრების განკარგულებაში ის სამხედრო პირები, რომელთა ირგვლივ მიმდინარეობს გამოძიება. ვგულისხმობ, აფრიკაში, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ქართველი ჯარისკაცების შესაძლო მონაწილეობის თემას. თვითონაც გადადგეს გამოძიების დასრულებამდე, წერს ინაშვილი სოციალურ ქსელში. (პირველი რადიო)

## მერიის მიერ წინასწარ გადარიცხული 9 მილიონი ლარი ახლად დარეგისტრირებული კომპანიებისთვის — მაჭავარიანი



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, კომპანიების ნაწილს, რომელთანაც თბილისის მერიას ხელშეკრულებები აქვს დადებული და შესაბამისად, საკმაოდ სოლიდური თანხებია გადარიცხული, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ იყენებს.

– საქართველოს მასშტაბით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებული ხელშეკრულებებით, 2013 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით, თანხა 4 მილიარდამდე ლარს შეადგენს. აქედან ხელშეკრულების დადებამდე რამდენიმე დღით ადრე დარეგისტრირებული კომპანიებისთვის გადახდილი თანხის ჯამმა 8 248 211 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ დაარსებულ კომპანიებზე პირდაპირი მიყიდვის წესით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი თანხის ჯამი 134 მილიონი ლარია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნარმანიას მერობის დროს, 2014 წლის 1-ლი აგვისტოდან 2016 წლის იანვრის ჩათვლით, მინიმუმ 2-ჯერ გაიზარდა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმებული ხელშეკრულებებით გადახდილი თანხა. ნარმანიას პერიოდში ეს თანხა 245 მილიონს შეადგენს, უგულავას მერობის დროს, 2007-2010 წლებში, 122 მილიონი იყო. აქ იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – გამოჩნდა, რომ ხელისუფლება ამ შესყიდვებს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ მოწმეების მოსყიდვის მიზნით იყენებს.

კომპანიების ნაწილი, რომელთანაც თბილისის მერიას ხელშეკრულებები აქვს დადებული და შესაბამისად, საკმაოდ სოლიდური თანხა მიღებული, გიგი უგულავას საქმეში მთავარ მოწმედ გვევლინება. ამის მაგალითია შპს „ენკო“ – გიგი უგულავას საქმის მთავარი მოწმის თორნიკე შიოლაშვილის (ტარიელ ხიზანეიშვილი) კომპანია, რომელიც 2014 წლის 14 ოქტომბერს დაფუძნდა და მერიისგან ექვსი ხელშეკრულების საფუძველზე 2 216 393 ლარი მიიღო. შპს „გრატო ლაითი“ – ვანო მერაბიშვილის საქმის მთავარი მოწმის გიორგი მიქელაძის კომპანია, რომელიც 2015 წლის 25 ივლისს დაარსდა, მიიღო 1 720 786 ლარი გამარტივებული შესყიდვით. საერთო ჯამში, ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ მოწმეების მოსყიდვისათვის 3 937 179 ლარი გადაიხადა, რომ არაფერი ვთქვათ ნეპოტიზმზე, რომლის ფაქტებიც ასევე უხვადაა, – განაცხადა მაჭავარიანმა. (პირველი რადიო)

## პოპულარობისთვის გაკეთებული არაკომპეტენტური განცხადებები — ჟორჟოლიანის შეფასება



საპარლამენტო უმრავლესობაში ტყიბულში განვითარებულ მოვლენებზე კომენტარები გაკეთდა. მმართველ გუნდში არ გამორიცხავენ, რომ ვითარების დაძაბვით დაინტერესებული იყოს გარკვეული ჯგუფი და მათ შორის პოლიტიკური პირებიც. დეპუტატ გია ჟორჟოლიანის თქმით, დეპუტატმა განცხადებები პოპულარობისთვის არ უნდა აკეთოს. ჟორჟოლიანმა ეს განცხადება ელისო ჩაფიძის გამოსვლებთან დაკავშირებით გააკეთა. ჟორჟოლიანის თქმით, საგადასახადო შეღავათების აღდგენის თაობაზე საკანონმდებლო წინადადება, რომლის ინიცირებასაც ჩაფიძე ითხოვს, უკვე ინიცირებულია.

– მე მგონია, რომ ცოტა კარგად უნდა ჩაიხედოს ქალბატონმა ელისომ წესებში, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები და გაიგოს. 9-ჯერ ვთქვი, რომ ინიცირებულია კანონპროექტი, რომელზეც მოითხოვს, რომ გინდა თუ არა იყოს ინიცირებული. ქალბატონი ელისოს ინიციატივა არ ყოფილა ეს, ვიდრე გაფიცვა დაიწყებოდა, მანამდე იყო ინიცირებული კანონპროექტი საგადასახადო შეღავათების თაობაზე. ამის შესახებ ითქვა მთავრობის სხდომაზეც. მე, გია ვოლსკი და მირიან წიკლაური ვართ კანონპროექტის ავტორები და თუ არ უნდა ამის ნახვა, ვერ ნახავს ვერასოდეს და თუ ჰგონია, რომ მისი ულტიმატუმის შემდეგ დაიწერება... ვიდრე გაფიცვა დაიწყებოდა მანამდე დავიწყეთ მუშაობა და რამდენიმე დღეა ეს შეტანილია განსახილველად, – განაცხადა ჟორჟოლიანმა. (პირველი რადიო)

## „საქართველოს რკინიგზა მოგიწოდებთ, გადაკვეთოთ ლიანდაგები მხოლოდ სპეციალურ გადასასვლელებზე და გაუფრთხილდით საკუთარ სიცოცხლეს!




გაცნობებთ, რომ რკინიგზის სადგურები, სამგზავრო ბაქნები, სარკინიგზო გადასასვლელები, ლიანდაგები, ასევე, მატარებლის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა დაწესებულებები (ტერიტორიები) მომატებული საფრთხის ობიექტებს წარმოადგენს.

ს/ს „საქართველოს რკინიგზა“ მოგმართავთ თხოვნით, რკინიგზა მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრულ და მოწყობილ ადგილებზე გადაკვეთოთ, რათა საკუთარ სიცოცხლეს საფრთხე არ შეუქმნათ. რკინიგზის ხაზის უსაფრთხოდ გადაკვეთა მოქალაქეებს ფეხით სავალი ხიდების, გვირაბების, გადასასვლელებისა და სპეციალურად მოწყობილი ფენილების მეშვეობით შეუძლიათ.

რკინიგზის ლიანდაგებზე გავლა, იქ, სადაც არ არის ნებადართული, სპეციალური ადგილები, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 106-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, რომელსაც შესაბამისი სანქციები მოჰყვება.

პირველ ეტაპზე მოხდება მოქალაქის გაფრთხილება, ხოლო შემდგომ დაჯარიმება, შრომის ანაზღაურების ერთ მეათედ მინიმალურ ოდენობამდე. რკინიგზის სადგურებზე, სადაც არ არის ხიდი, ან გვირაბი, ქვეითმა ლიანდაგი ფენილზე უნდა გადაკვეთოს იმ ადგილზე, რომელსაც აქვს მინიშნება „გადასასვლელი“. ფენილზე გადასვლამდე მოქალაქე უნდა დარწმუნდეს, რომ ლიანდაგზე არ მოძრაობს მატარებელი, ლოკომოტივი ან ვაგონი.

მოძრავი შემადგენლობის მოახლოებისას მოქალაქემ უნდა გაატაროს ის, დარწმუნდეს იმაში, რომ მეორე ლიანდაგზეც არ არის მატარებლის მოძრაობა და მხოლოდ ამის მერე გადაკვეთოს ფენილი. რკინიგზის გადასარბენთან გადასვლისას, მოქალაქემ ყურადღება უნდა მიაქციოს შუქნიშანს, ხმოვან სიგნალსა და შლაგბაუმის მდგომარეობას.

გზის გადაკვეთა მხოლოდ ღია შლაგბაუმის დროს არის დაშვებული. ხოლო, თუ გადასარბენზე არ არის შლაგბაუმი, მოქალაქე გადასვლამდე უნდა დარწმუნდეს, რომ გადასარბენს არ უახლოვდება მოძრავი შემადგენლობა და მხოლოდ ამის მერე გადაკვეთოს გზა. კატეგორიულად აკრძალულია, დაკეტილი შლაგბაუმის დროს გადასვლა, სადგურებსა და გადასარბენებზე გაჩერებული ვაგონების ქვეშ გაძრომა. ასევე, აკრძალულია ლიანდაგის გასწვრივ სიარული 5 მეტრზე ნაკლებ მანძილზე.

დაუშვებელია, რკინიგზის ხიდებსა და გვირაბებში გასვლა, თუკი იქ არ არის ქვეითებისთვის მოწყობილი სპეციალური ბილიკი. კატეგორიულად აკრძალულია, რკინიგზის ხაზის გადაკვეთა იქ, სადაც არ არის შესაბამისი ნიშანი.

**„საქართველოს რკინიგზა“ მოგიწოდებთ, გადაკვეთოთ ლიანდაგები მხოლოდ სპეციალურ გადასასვლელებზე, შესაბამისი წესების დაცვით! და გაუფრთხილდით საკუთარ სიცოცხლეს!**

ასავალ-დასავალი

## „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში მიწის რეგისტრაციის შესახებ ალტერნატიული კანონპროექტი შეაქვს



„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ალტერნატიული კანონპროექტი შეაქვს.

– მთავრობამ პარლამენტში კანონპროექტი წარმოადგინა, რომლის განხილვაც დაწყებულია და რომელიც ითვალისწინებს შემდეგს – თუ პიროვნებას მიწაზე მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ აქვს, ასეთი მიწები სახელმწიფო საკუთრებაში მოექცევა. ვინაიდან ეს საკითხი თითოეული გლეხისთვის ძალიან რთული და მძიმე იყო, 2012 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო, ასეთი მიწების აღრიცხვა/აღწერა მოხდა და დოკუმენტაცია ეკონომიკის სამინისტროს გადაეგზავნა.

მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტით დადგა საშიშროება, რომ გლეხმა მიწა დაკარგოს. კახეთის მაგალითზე გეტყვით, რომ ასეთი შემთხვევა ძალიან ბევრია. შესაძლოა, ისედაც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი გლეხი, საერთოდ ულუკმაპუროდ დარჩეს.

მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხი ყველას აღელვებს, ყველა რეგიონს. ჩვენ ვხვდებით მოსახლეობას და ეს კითხვები ისმება. სწორედ ამიტომ ჩვენ შეგვაქვს ალტერნატიული კანონპროექტი. გვსურს, რომ საქართველოს მთავრობამ ეს პროცესი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე წარმართოს და იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს მტკიცებულებები, რომლითაც შესაძლებელია საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, ეს უსასყიდლოდ გააკეთოს და გლეხს მიწა საკუთრებაში გადასცეს, – აცხადებენ პარტიაში.

მიწის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი განცხადებას ავრცელებს:

– „პირველი – არაერთხელ განვაცხადე, რომ ცვლილებები, რომლითაც სახელმწიფო ნებაყოფლობით იზღუდავდა თავს ქონების განკარგვისგან, კერძო სექტორისა და საკუთრების დასაცავად, იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს არის წარდგენილი პარლამენტში, არ განიხილება, ხოლო ახალ რედაქციას უახლოეს დღეებში წარვადგენთ. მეორე – უკვე შემუშავებულია ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც გლეხებსა და ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო მიწის აზომვით სამუშაოებსა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯს სახელმწიფო დაუფინანსებს. დეტალებს სულ მალე გავაცნობთ საზოგადოებას... (ნიუპოსტი; რეპორტიორი)

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

# თინა ხიდაშელის ეს გზავნილი

## „ღმერთი არ გაგიწყრეს და კოალიციიდან არ გაგვაგდოთ

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



პოლიტიკური „ქაჯების დედოფლის“ გულწრფელი შანტაჟი ოცნებაახდენილ მექია, შე-ქია, თქვე-ქიაურელებს და კვაზი-ტანტრული პოლიტსექსი მმართველ გუნდში! ძალაუფლებისთვის ბრძოლაში დაბრმავებულები ვერც კი ხვდებიან, როგორ კარგავენ მომხრეებს... არც ხიდაშელია საქართველო და არც თოფაძეს გადაურჩენია მრეწველობა, მაგრამ დღეს ისინი ძალაუფლების პიედესტალზე დგანან და „აკეთებენ“ პოლიტიკას.

პოლიტიკური „ქაჯების დედოფალი“ კი თავდაცვის უმაღლესი ტრიბუნიდან არჩევნებში ხელებს აფათურებს და ოდესღაც მორალისტი, ყველაზე ამორალურ მაგალითს იქცევა, არჩევნების გაყალბების ტექნოლოგიაში, სპეცუბნებს ხელოვნურად ზრდის, ბიულეტენებს საკუთარი ხელით ითვლის და „დემოკრატიის სადარაჯოზე“ მდგომი თინა, პარალელურად ნატოს გენმდივანს ებლატავება, – 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ნატოში თუ არ შეგვიყვანთ, რუსეთთან ომში გმირულად დავიღუპებით, ხელისუფლებაში კი პრორუსული ძალები გაბატონდებიანო, რა ღადაობაა... ზოგჯერ მგონია, სახელმწიფოში კი არა, აკრძალულ ზონაში ვცხოვრობთ, სადაც ვილაცას თავი ნაპოლეონი ჰგონია, ვილაცას – ჯორჯ ვაშინგტონი, ვილაც გენერალსიმუსი სტალინის დროს მისტირის, ვილაც ჩან კაი-შია, ვილაც ფრანცისკო ფრანკო... მურვან ყრუ და ჰანიბალი, ავოეეე... წარსულის ლანდები – მოგელანდები და საგიჟეთის გვაქვს ჩვენ განცდები!

მოკლედ, „მიაწექ გოგიმ“ იმდენი ქნა, მთავარი პროკურატურა „ქაჯების დედოფლის“ ტინგიცობით დაინტერესდა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საგარეჯოს მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. ახლა უნდა გაირკვეს, უმრავლესობის დეპუტატის გოგი თოფაძის საჯარო ბრალდება, რომ „ქაჯების დედოფალმა“ საგარეჯოს არჩევნები გააყალბა, მართალია, თუ მან თავდაცვის მინისტრს ცილი დასწამა. სანამ ეს ამბავი გაირკვევა, საგარეჯოელი ვირი პოდიუმზე გაივლის და პოლიტიკური „ქაჯების დედოფალი“ ახალ სკანდალში გაეხვევა. დემოკრატიის დედადედოფალი კი, რომელიც უწინ ასეთ დარღვევაზე მგზნებარედ და ემოციურად გამოთქვამდა პროტესტს და მის ადგილზე სხვას გადადგომისკენ მოუწოდებდა, დღეს ისეა ჩაბღაუჭებული მინისტრის სავარძელს, რომ ეჭვი მაქვს, ეს ქალი ომამდე ტანკისტი იყო! „დემოკრატ“ თინას მართალია, კანონი არ ავალდებულებს გამოძიების დასრულებამდე გადადგომას, მაგრამ მორალურ-ზნეობრივი პრინციპების მქონე ადამიანს სინდისი შეაწუხებდა და დროებით გადადგებოდა, გამოძიებისთვის ხელი რომ არ შეეშალა და ასევე, იმ ჯარისკაცებს გაუმარტივებდა გამოძიებასთან თანამშრომლობას, რომლებიც არჩევნებისთვის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოიყვანეს საგარეჯოში ხმის მისაცემად. ასე მოიქცა თავის დროზე სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე, ის გამოძიების დასრულებამდე გადადგა, მაგრამ მისთვის ეს საქციელი არავის დაუფასებია. საქართველოში ხომ მხოლოდ ქაჯები „გულაობენ“!

ჰოდა, პოლიტიკური „ქაჯების დედოფლის“ გულწრფელ შანტაჟს ძალა აქვს ამ ქვეყანაში, გასდის და კიდეც შანტაჟიორობს და კიდეც ფანტაზიორობს! ქალბატონი მინისტრი თოფაძის ამოჩემებას ასე პასუხობს: „გასულ კვირას ეუთოში ვიყავი და რუსეთის ელჩმა სრულიად პირდაპირ, 56 ელჩის თანდასწრებით ძალიან მარტივი რამეები მითხრა. მან თქვა, რომ მე ძალიან ხშირად ვსაუბრობ ნატოში ინტეგრაციაზე და ეს მას აწუხებს. თქვა, რომ მე და ჩემი მეუღლე ვართ ძალიან სერიოზული პრობლემა რუსეთისთვის დღეს. ეს მან ღიად თქვა სხდომაზე, იმიტომ რომ ძალიან გამოკვეთილია ჩვენი ლიბერალ-დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება და რომ ეს რუსეთისთვის არ არის მისაღები“... ეს ორი პოლიტიკური „მინიონი“, ცოლი – თინა და ქმარი – დათო, საქართველოში დასავლეთის კარიბჭეა და საერთოდ, საქართველო ეს ორი „მინიონი“ ყოფილა! არადა, თინას ენის სიგრძით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად არ დარჩებოდა რუსეთის წარმომადგენელს ვალში და გადაალუნავდა თავზე მის პრეზიდენტ პუტინს, პოლიტიკურ სამარეს გაუთხრიდა და ზედ გვირგვინს დაადებდა. გასაოცარია თინას თავკატუნი და ნუღარ იტყვით, თურმე, იმ ზნედაცემულ რუს დიპლომატს თინასთვის უცნობებია, ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლებაში აღარ იქნებიო... დეტალებს თინა განგვიმარტავს: „მან ზუსტად იცის, რომ რუსეთის სწორი და ჭკვიანური მოქმედებების გამო, საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება იმ ორიენტაციის სასარგებლოდ, რომელიც მათ უნდათ. გასაგებია, რომ ვილაცას მეტი ინტელექტი აქვს და ვილაცას – ნაკლები. ვილაც ახერხებს ისე შეფარულად თქვას სათქმელი, რომ ხელი პირდაპირ ვერ დაადო, და ვერ უთხრა, რუსი ხარო. ვილაცა კი ამას ვერ ახერხებს“... მოკლედ, ეს გზავნილი განკუთვნილია ბიძინა ივანიშვილისთვის – ღმერთი არ გაგიწყრეს და კოალიციიდან არ გაგვაგდოთ „რესპუბლიკელები“, თორემ პრობლემას შეგიქნით, ტანკებს არა, მაგრამ ტურბო მატორს ამოვქოქავთ და დასავლეთს აგიმხედრებთო. ასეთია მოძალადე თინას პოზიცია და გულწრფელი შანტაჟის სერიალი „ქართული ოცნების“ მისამართით.

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე, ყოველთვის ორიგინალურია თინას შეფასებაში და ამჯერადაც არ უღალატა ტრადიციას, კითხვაზე: როგორ აფასებს ხიდაშელის დიპლომატიური კულუარების საჯაროდ გამოტანის ფაქტს და ეუთოში რუსეთის ელჩის მიერ ხიდაშელის სკანდალურ გაფრთხილებას... სოსო ცინცაძე იუმორით პასუხობს: „ვიცოდი, ზუსტად ვიცოდი, რომ დილიდან რაღაც უნდა მწყენოდა. მოდით, ექსპერიმენტი ჩავატაროთ, ეუთოში რუსეთის ელჩის ტელეფონის ნომერს მოგცემთ, ჯერ თქვენ დაურეკეთ რიჟოვს და ჰკითხეთ ერთი, ეს რა კონტექსტში თქვა,**



**„უღირდა კი, ეს საგარეჯო ხიდაშელს ამხელა ამბად?! იცით, ეს ყველაფერი როგორ დამთავრდება?“**



**„დემოკრატ“ თინას მართალია, კანონი არ ავალდებულებს გამოძიების დასრულებამდე გადადგომას, მაგრამ მორალურ-ზნეობრივი პრინციპების მქონე ადამიანს სინდისი შეაწუხებდა და დროებით გადადგებოდა, გამოძიებისთვის ხელი რომ არ შეეშალა და ასევე, იმ ჯარისკაცებს გაუმარტივებდა გამოძიებასთან თანამშრომლობას, რომლებიც არჩევნებისთვის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოიყვანეს ხმის მისაცემად საგარეჯოში. ასე მოიქცა თავის დროზე სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე**

**თუ გეტყვით, მართლა ვუთხარი ხიდაშელს ის, რასაც თავდაცვის მინისტრი ამბობს, მერე გავაკეთოთ კომენტარი...**

**— თავდაცვის მინისტრი გადავამოწმო? ეჭვი გეპარებათ თინას სიმართლეში?**

– რასაკვირველია, ეჭვი მეპარება, რიჟოვი ამას არ იტყოდა. როგოზინისგან განსხვავებით, იგი ძალიან გაწონასწორებული კაცია, მამა-შვილს ვიცნობ, რიჟოვის მამა ჩემი კურსელი იყო და მის შვილსაც კარგად ვიცნობ, ის არის ინტელიგენტი დიპლომატი, რომელიც ასეთი ლექსიკონით არ საუბრობს. მაგრამ მე იცით, რა მაინტერესებს? როგაიძახიან, – ვინც ჩვენ გვებრძვის, საქართველოს ებრძვისო, ეს ძალიან სასაცილოა. ხიდაშელი ამბობს, მე და ჩემს ქმარს მიგვყავს სწორი გზით საქართველო და საქართველოს მტრები ჩვენი მტრები არიანო... ეს უკვე ამბიციებია, ხიდაშელი არასოდეს არ „სცოდავდა“ თავმდაბლობით, მაგრამ ეს უკვე ნამეტანია!

**— პროკურატურა არჩევნების გაყალბებით დაინტერესდა და საქმე 332-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს, როგორ ფიქრობთ, თავდაცვის მინისტრი დროებით უნდა გადადგეს? ბა საბოლოოდ რით დასრულდება? პოლიტსაბჭოზე ცალსახად გადაწყდა, რომ კოალიცია არ უნდა დაიშალოს. ამ ფონზე უმძიმესი ბრალდებები ასე უნდა „შეიწყრონ“ მხარეებმა?**

– გოგი თოფაძე რომ მარტო იყოს, არც არავინ არ აღძრავდა საქმეს პროკურატურაში და პერსპექტივაც ნული იქნებოდა, მაგრამ ის, რომ საქმე აღიძრა, ძალიან სერიოზული განგაშის ზარია „რესპუბლიკელებისთვის“. ვფიქრობ, რომ „რესპუბლიკელები“ ამას ხვდებიან. ამ ამბიციურმა ქალმა „რესპუბლიკელებს“ კარტები აუწეწა, თორემ მაგის ქმარი დალაგეტებენ, დასჯით კი არავინ დაისჯება, ხიდაშელს ამის გამო არჩევნებამდე მინისტრობიდან არავინ გადააყენებს, არც საგარეჯოს არჩევნებს არავინ გააუქმებს, „რესპუბლიკელებს“ კი დაამუხრუჭებენ.

**— „ოცნების“ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილი არ მივიდა, არადა მის გამოჩენას ყველა ელოდა, რატომ დაიკიდა ხიდაშელ-თოფაძის სკანდალი?**

– რატომ უნდა მისულიყო?! ეგ კაცი სულელი კი არ არის, წარმოიდგინეთ, ბიძინა ივანიშვილი რომ მისულიყო, ღიად უნდა დაეჭირა მხარი ერთ-ერთისთვის, ვაკვირდები და ამ

### ანალიზი

ცა რკინისებური ინსტრუქცია – დაუკრეფავში არც ერთი მხარე არ გადავიდეს და „რუსთავი 2“-ის საჯიჯგნად არ გაიხადოთ საქმე... მერწმუნეთ, არც ერთი პარტია კოალიციიდან არ გავა, „რესპუბლიკელები“ რომ გავიდნენ, ეს ნიშნავს, რომ კოალიცია დაიშალა, უპირველესად მათი გასვლის წინააღმდეგი ისინი იქნებიან, ვისაც „რესპუბლიკელები“ მართლაც მურვან ყრუსავით სძულთ. „რესპუბლიკელები“ კოალიციაში ასრულებენ „დედა ბოძის“ როლს, რამდენად კარგად, ეს სხვა საქმეა, მათ აქვთ თავი-

# განკუთვნილია ბიძინა ივანიშვილისთვის

## „რესპუბლიკელები“, თორემ პრობლემას შეგიქნითო“






**„ვაკვირდები და ამ კაცმა პოლიტიკა ისწავლა, ივანიშვილი „ოცნებაში“ კი არ ლიდერობს, არამედ ბელადობს და ამ ტერმინებში დიდი განსხვავებაა“**



**„მიაწექ გოგიმ“ იმდენი ქნა, მთავარი პროკურატურა „ქაჯების დედოფლის“ ტინგიცობით დაინტერესდა**







დის იყო, თინა ხიდაშელი დიპლომატებთან პრივატულ საუბრებს ასაჯაროებდა? 56 ელჩის გვარი ჩამოთვალა თინამ, ვისი თანდასწრებითაც ასეთი საუბრები იყო? ამის გასაჯაროება და იმის თქმა, – ვაი, რა საფრთხე გველის მე და ჩემს ქმარსო, ეს უკვე არასოლიდურია და ღირსებას არ მატებს ისეთი სოლიდური პრეტენზიების მქონე პარტიას, როგორიც „რესპუბლიკურია“. თინას ადგილას, ვუპასუხებდი, თქვენს პრეზიდენტს მიხედეთმეთქი და მის ნათქვამს ყურადღებასაც არ მივაქცევდი, მაგრამ ახლა სხვა მოცემულობაა, ვერ ხედავთ, რა ხდება? საკმარისია, რამე თქვას თინამ ზოგიერთის წინააღმდეგ, ეგრევე პირში გეცემიან და

– როგორც წესი, ცივილიზებულ ქვეყნებში ამ დროს მინისტრები დროებით ტოვებენ პოსტს, დიახ, ხიდაშელი დროებით უნდა გადადგეს! ეს არის დაუწერელი კანონი მთელ ცივილიზებულ სამყაროში. ივანიშვილის პრინციპიც ასეთია, სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე გაიხსენეთ – გადადგა, როცა საქმე აღიძრა სამინისტროს წინააღმდეგ. არჩევნების გაყალბება ასჯერ უფრო დიდი დანაშაულია დემოკრატიულ ქვეყანაში, ვიდრე ქრთამის აღება. ვერ გავიგე, პრემიერი, ფორმალური და არაფორმალური ლიდერები ამაზე თვალებს რატომ ხუჭავენ?!

**— გოგი თოფაძისა და „რესპუბლიკელების“ დაპირისპირე**ბული კახელია, არ არის აცუნდრუკებული, მაგრამ მისი ცოლის ამბიციებს საზღვარი არ აქვს. ულირდა კი, ეს საგარეჯო ხიდაშელს ამხელა ამბად?! იცით, ეს ყველაფერი როგორ დამთავრდება? – მოიძებნება განტევების ვაცი და „რესპუბლიკელებს“ შეასუსკაცმა პოლიტიკა ისწავლა, ივანიშვილი „ოცნებაში“ კი არ ლიდერობს, არამედ ბელადობს და ამ ტერმინებში დიდი განსხვავებაა... როგორც წესი, ბელადი პატარა ინტრიგებზე მაღლა დგას, ის არ შევა გარჩევებში, პარტიის ლიდერებს მიანდო ეს საქმე და მისანთი შარმი, ის არის დასავლეთში ნომერ პირველი აღიარებული პარტია დღეს, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც კოალიციიდან ირაკლი ალასანიას პარტია გავიდა. მოკლედ, გარანტიას ვიძლევი, რომ კოალიცია არჩევნებამდე ერთიანობას შეინარჩუნებს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გერმანიაში მიგრანტების თავშესაფარი დაიწვა



გერმანიაში მიგრანტებისთვის აშენებული თავშესაფარი დაიწვა.

იქაური მედიის ინფორმაციით, სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ცეცხლი შენობას განზრახ წაუკიდეს. შემთხვევა საქსონიაში მოხდა.

ხანძრის ლოკალიზებას 70-მდე მეხანძრე 3 საათს ცდილობდა. პოლიციელებმა ადგილზე 2 ახალგაზრდა დააკავეს, რომლებსაც ბრალად მეხანძრეებისთვის ხელის შეშლა ედებათ. (ნიუპოსტი)

## ბუბა კუდავა: რუსთველი ვინ იყო, ან ვიცით და ან — არა



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყოფილი დირექტორის ბუბა კუდავას თქმით, უმეტესად არ ვიცით იმ ადამიანთა ვინაობა, რომლებიც ქმნიდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ლიტერატურას, არქიტექტურას.

„არ ვიცით, ვინ იყო ოშკის არქიტექტორი, გელათის არქიტექტორი, მცხეთის ჯვრის, ალავერდის, ვარძიის, ბაგრატის ტაძრის, ყველაზე დიდი ბაზილიკების – ოთხთა ეკლესიის, პარხლის...

არ ვიცით, ვინ იყო სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი („არსუკისძე“ მერე იყო, გადაკეთება-გადმოკეთების ამბებში).

თითქმის არც ერთი ციხესიმაგრის არქიტექტორის ვინაობა არ ვიცით. არც ერთი სვანური კოშკისა. რა მნიშვნელობა აქვს, ყველა ხომ „სვანურია“... არც ერთი ხიდისა. ყველა ხომ „თამარისაა“...

ჩვენი უმთავრესი მატიანის – „ქართლის ცხოვრების“ თითქმის არც ერთ ავტორს არ ვიცნობთ.

რუსთველი ვინ იყო, ან ვიცით და ან – არა.

არ ვიცით, ვინ იყო ყინწვისის ანგელოზის მხატვარი, ძველი „ხალხური“ სიმღერების ავტორები („ხალხს“ არც ერთი არ დაუწერია).

ბექა-ბეშქენის გარდა, თითქმის არც ერთი ძველი ოქრომჭედელი არ ვიცით.

სამაგიეროდ, ვიცით უამრავი იდიოტის, მოღალატის, გარეწრის, მლიქვნელის, მეტიჩარას, მტრის ფერხთით მოკუნტრუშის სახელი, უწინ თუ ახლა.

აი, ამოდენა შედევრი რომ წამოჭიმა, წარწერებით გაძეძგილ ტაძარში თავისი სახელიც კი რომ არ მიაწერა სადღაც, ქვის კუთხეში, აი, იმ კაცთან დამსვა ერთი ტაბლასთან და თითო კოკა წითელი ღვინო მიმართმევინა, მეტი არ მინდა რა,...– წერს ბუბა კუდავა სოციალურ ქსელში. (sazogadoeba.ge)

## ზეწოლა-იძულება გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით... ჩაფიძის სკანდალური განცხადება



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ელისო ჩაფიძე სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ჩაფიძე ამბობს, რომ მის მიმართ გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით ზეწოლა-იძულება ხორციელდებოდა. ჩაფიძე არ აკონკრეტებს, ვინ ახორციელებდა პოლიტიკურ ზეწოლას მის მიმართ, თუმცა ამბობს, რომ ეს ადამიანები ხელისუფლებასთან დაახლოებული საბჭოთა წარსულის მქონე პირები არიან.

– ძალიან ბევრი სულის კანკანით ელოდება ჩემს წასვლას, მაგრამ მე კარის გაჯახუნებას არ ვაპირებ, – ამის შესახებ განცხადება, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ელისო ჩაფიძემ ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში გააკეთა.

ჩაფიძემ ტყიბულში არსებულ მძიმე ვითარებაზე და თანაგუნდელებთან აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით წარმოქმნილ დაპირისპირებაზე ისაუბრა. დეპუტატი ამბობს, რომ უკვე რამდენიმე წელია, ცდილობს, საკანონმდებლო დონეზე არაერთი ინიციატივით მოაგვაროს ის მძიმე პრობლემები, რომელიც მეშახტეებს აქვთ, თუმცა, მისი თქმით, მმართველი გუნდის მხრიდან ფაქტზე არანაირი რეაგირება არ ხდება. ჩაფიძე ამბობს, რომ ეს არის ადამიანის აბუჩად აგდება, მათ შორის დეპუტატისა, რადგან გასულ წელს უნდა დაეწყო პარლამენტს მსჯელობა ტყიბულის მაღალმთიანი რეგიონის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, მაგრამ არათუ მსჯელობა, საუბარიც კი არ დაწყებულა.

მისივე თქმით, უკვე ორი თვეა, სამინისტროებსა და კომიტეტებში აგზავნის უმისამართო წერილებს, რომელზეც პასუხები არ არსებობს. ჩაფიძემ ეთერში თანაგუნდელებთან არსებულ იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე ისაუბრა. დეპუტატი კოლეგების ვინაობას არ აკონკრეტებს, თუმცა ამბობს, რომ დაპირისპირება პროდასავლური ორიენტაციის მქონე და ასევე, პრორუსული დაკვეთის შემსრულებელ დეპუტატებთან აქვს. (პირველი რადიო)

## გერმანიიდან სირიასა და ერაყში საბრძოლველად 800-ზე მეტი ისლამისტი ჩავიდა

გერმანული გამოცემა Die Welt-ის ინფორმაციით, გერმანიიდან სირიასა და ერაყში საბრძოლველად 800-ზე მეტი ისლამისტი ჩავიდა. მათი ორი-მესამედი კი უკან გერმანიაში დაბრუნდა. ამის შესახებ გამოცემა გერმანიის სისხლის სამართლის ფედერალურ უწყებაზე დაყრდნობით წერს.

გამოცემის ინფორმაციით, გერმანიიდან წასული ისლამისტები ექსტრემისტულ დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ-ნუსრას ფრონტის“ რიგებში გაწევრიანდნენ. მათგან 130 დაიღუპა. გერმანიიდან წასულთა უმეტესობა 22-დან 25 წლამდე ასაკის მამაკაცია. მათი 60 პროცენტი გერმანიის მოქალაქეა. (ნიუპოსტი)

# ბიძინა ივანიშვილი თავისი გეგმით მიდის და

# განგსტერული კვირის ქრონიკა და

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



განგსტერული კვირის ქრონიკა და პოლიტიკური აურზაური მმართველ გუნდში!

„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივნის, ალექსანდრე (ბუკა) პეტრიაშვილის დაჭრის საქმე ჯერ კიდევ გამოუძიებელია და თუკი შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი პოლიტიკური ლიდერის მიმართ ანგარიშსწორებას მყისიერად არ გამოიძიებს, არ არის გამორიცხული, ლობდა. ეკამ თავად ალიარა, რომ რაღაც ვიდეო ჰქონდათ „ქოცებს“ და მისი ყოფილი კაცისთვის ჩვენებით აშანტაჟებდნენ. ეკა და ბუკა არ გატყდნენ. ბუკა ოპოზიციაში წავიდა, ეკამ პირველი არხის ბიძინა-პოლიტიკას უთხრა უარი. ბიძინა არ გაჩერდა და ახლა ბუკა სასიკვდილოდაც გაიმეტეს. ბიძინა პირადად არის ამაში ჩარეული. პირადი ცხოვრებით შანტაჟის მცდელობები ალასანიას, გვარამიასა და სხვათა მიმართაც სცადეს. ბიძინა და ვაკის სასაფლაოზე პეტრიაშვილი. რამდენად საკმარისია არგუმენტი, რომ იგი მეგობრის ლევან მიქელაძის სასაფლაოზე ავიდა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს – რამდენად ჰქონდა ადგილი საქმის გარჩევებს, თუკი ე.წ. „რაზბორკა“ არ იყო პირველი და პოლიტიკოსს ემუქრებოდნენ, რატომ არ განაცხადა პოლიციაში? მთავარი მოწმე ალექსანდრე პეტრიაშვილია, მან ყველაზე უკეთ იცის, ვინ იყო მისი მტერი. პოლიტიკურად ბუკა პეტრიაშვილი ყველაფერი ნათქვამია. „ნაციონალური მოძრაობის“ გულმხურვალე „გამპრავებელს“ ნათია კობერიძეს რომ უნდა, ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის „სექსინდუსტრიის“ გამგრძელებლად წარმოადგინოს, ეს ფაქტია. მაგრამ რას მივა ბიძინა მიშამდე – „პორნო ინდუსტრიის“ სცენარისტიც ის იყო, რეჟისორიც და მთავარი მაყურებელიც. და თუკი ვინმეს პოლიტიკოსის ლიკვიდაცია და ვითარების დაძაბვა დასჭირდება ქვეყანაში, კობერიძეს შევახსენებთ,





„იცით, რა ხდება „ოცნებაში“?! კალაძის პარადია!.. შენ შეჭამე საქართველო! „ნაცების“ გზის გამგრძელებელო! „ნაცებისა“ და კრიმინალების შნირო!“







პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტს შს მინისტრი შეეწიროს. ეს საქმე თავისი ანატომიით იმდენად საინტერესოა, რამდენადაც საქმე გვაქვს პოლიტიკურ ლიდერზე თავდასხმასთან. ცინიკური იყო მმართველი გუნდის ზოგიერთი წევრის, მათ შორის ნუკრი ქანთარიას კომენტარი, რომელმაც საზოგადოებაში ინტრიგა შემოიტანა და ყოფილი სახელმწიფო მინისტრის, მათი ყოფილი თანაგუნდელის დაჭრა პირად ანგარიშსწორებას დაუკავშირა. ასეთივე ამაზრზენი იყო „ნაციონალი“ ნათია კობერიძის კომენტარი: „ბუკას და ეკა მიშველაძის რომანით ბინძურ მანიპულაციას ბიძინა პირადად ცდიციხეში უნდა დალპეს!“ ამ ქალბატონმა თავისი ნაბოდვარით, გამოძიებას მიმართულება მისცა. მისი ნაბოდვარიდან იკითხება, რომ მიშველაძეს, პეტრიაშვილამდე ვიღაცასთან რომანი ჰქონდა და იმ „ვიღაცამ“ პოლიტიკოსზე შური იძია. უნდა გაირკვეს, ვინ არის ეკას „ყოფილი კაცი“, იყო თუ არა მუქარა მისი მხრიდან, გადამოწმდეს სატელეფონო ზარები, ბოლოს პოლიტიკური პარტიის ლიდერს ვინ ესაუბრებოდა, რატომ მიანიშნებს კობერიძე მიშველაძის პირადი ცხოვრების დეტალებზე, გაირკვეს, ემუქრებოდა თუ არა ეკას „ყოფილი კაცი“ პოლიტიკოსს და საერთოდ, რა მოტივით, რა მიზნით მივიარ წამოადგენს წონად ფიგურას, რომ მისი მოცილებით ვინმე დაინტერესებულიყო, ის სასტიკად სცემეს და განზრახ დაჭრეს, თანაც ისე, რომ არ მომკვდარიყო, ეცოცხლა და მთელი ცხოვრება დამღადასმულს ევლო. ვინ არის ენტონი ქვინის გმირი და ვინ კევინ კოსტნერის ფილმიდან „შურისძიება“, ახლა ეს უნდა გაარკვიოს გამოძიებამ, რადგან ამ ვერსიას თავად ბუკას მხარდამჭერები ავითარებენ. თავად ბუკა პეტრიაშვილმა კვირას, დღის ბოლოს, ეკა მიშველაძის დახმარებით, „ფეისბუკზე“ პოსტი გამოაქვეყნა: „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი! სიყვარული აუცილებლად გაიმარჯვებს“. ამით რომ ეს მათი ბელადი მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც ხელწერაში ვერავინ შეეცილება! ამ ზიზღის ენით მოსაუბრეს შევახსენებთ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, მისი ბელადის, მიხეილ სააკაშვილის ციხეში ჩალპობას ითხოვს ამდენი ხანია, რომელმაც ადამიანების გვამებზე ირბინა, მისი ხელისუფლების დროს საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა პრემიერი ზურაბ ჟვანია და ბადრი პატარკაციშვილი, რაზეც კობერიძეს პროტესტი არ გასჩენია და საერთოდ, უნდა გახსოვდეთ, კობერიძევ, რომ უზნეობასაც აქვს საზღვარი და ხალხის მეხსიერებაც არ არის „სილქნეტივით“ მოკლე, როგორც თქვენ გგონიათ.

### პოსტსკრიპტუმი

თქვენ ხართ ის ქალი, რომელმაც ხელი მოაწერა „მოდელირებული ქრონიკის“ ეთერში გასვლას და ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენს ნაბოდვარს მაშინ ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ბევრიც საავადმყოფოში გადაიყვანეს გულის შეტევით, ხალხმა დაიჯერა, რომ რუსეთი კვლავ თავს დაგვესხა და თქვენი ბელადი ლიკვიდირებული იყო და ბურჯანაძე რუსების ტანკებს მოუძღვებოდა. ჰოდა, რა ბანძებიც ხართ, ის ბანძი აზროვნება და გაქანება გაქვთ! და კიდევ, პოლიტიკოსობა ინდულგენცია არ არის, ყველამ თავის პირადს მოუაროს, ვიღაცის ბინძური საცვლები ჩვენი გასარჩევი არ არის, მაგრამ, როცა თვალებზე ხელებს აგვაფარებთ და გვაიძულებთ, დიდი კოვზით ნეხვი გვაჭამოთ, ისიც უნდა იცოდეთ, რომ არ შევჭამთ! სახელმწიფომ კი კეთილი ინებოს და შექმნას გარემო, სადაც ვერავინ გაბედავს და არავის აზრად არ მოუვა ადამიანის დაჭრა, ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და მკვლელობა. ამ ყველაფრის შემყურემ, რიგითმა ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ ქვეყანაში 90-იანი წლები დაბრუნ-

და, სადაც „მხედრიონი“, „კულინარიელთა“ საძმო, რომლის წევრიც ბატონი ირაკლი ალასანია იყო, სასაფლაოზე დაბარებები და „რაზბორკები“ ბრუნდება! მმართველი გუნდის დეპუტატებმა ენა რომ დაიმოკლონ, კარგი იქნება, ისინი გამომძიებლად არავის დაუნიშნავს და არც საქმის მოწმეები არიან, რომ ასე უაპელაციოდ განცხადებებს აკეთებენ, პოლიტიკოსის დაჭრაზე და კრიმინალზე თავდაცვის მინისტრმა განცხადებები არ უნდა აკეთოს, თანაც

საოცარი ამბების მომსწრენი ვართ, კვირას „ოცნების“ სხდომა აქციის ფონზე მიმდინარეობდა. კოალიციაში შემავალი ერთი პარტიის მხარდამჭერები, აპროტესტებდნენ ამავე კოალიციის მეორე სუბიექტს. თოფაძის მომხრეები საპროტესტო ბანერების ფონზე აცილებდნენ „ოცნების“ დეპუტატებს, წარწერით – „მიდი, გოგი, მიაწექი“ და მოითხოვდნენ „რესპუბლიკელებისგან“ გამიჯვნას, სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა თანაბრად გააკრიტიკა თოფაძეც და „რესპუბლიკელებიც“. ითქვა, რომ თავდასხმები უნდა შეწყდეს, თუმცა ეს იყო მხოლოდ პარტია „ქართული ოცნების“ წევრების შეხვედრა და ჯერ უცნობია თოფაძის პოზიცია, შეწყვეტს თუ არა „რესპუბლიკელების“ მხილებას. რამდენიმე დღეში დაპირისპირებული მხარეები პირისპირ დასხდებიან და მოილაპარაკებენ, შეძლებენ თუ არა დაზავებას, რადგან ხაზგასმით ითქვა, რომ სულ რომ შუაზე გაიხიონ, კოალიცია არჩევნებამდე არ დაიშლება, ამიტომაც ორივემ უნდა ალოკოს საკუთარი გადაფურთხებული და თუ კიდევ გააგრძელებენ ერთმანეთის შეურაცხყოფას და სახეში შეფურთხებას, უსინდისოს „მორალით“ უნდა იძახონ, – უფ, რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო... სხდომაზე არ მივიდა ივანიშვილი, მან საკუთარი პარტია დააიგნორა. ეს ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი თავისი გეგმით მიდის და საბოლოოდ ვიღაცებს ძალიან მალე მოგუდავს. სხდომაზე ლოს არავის დაგტოვებთო. ამ დაძაბული საუბრის ფონზე ნანა ყეინიშვილი გამომხტარა, ქალი-კორუფცია, „წითელი ჯვრის“ დედა-მაფია, პროკურატურის დასაკითხი ობიექტი და გენდერული ბალანსის საკითხი წამოუწევია, ყველა მესამე დეპუტატი ქალი უნდა იყოსო. ყეინიშვილმა თავისი არსებობა შეახსენა პრემიერს, კიდევ ჩამსვი სიაშიო და უკნიდან ერთ-ერთ დეპუტატს წამოუძახია, ქალბატონო ნანა, 21-ე საუკუნეში ქალი და კაცი ერთი გახდა, სქესს ველარ

# საბოლოოდ ვიღაცებს ძალიან მალე მოგუდავს!

## პოლიტიკური აურზაური მმართველ გუნდში!



**ამ ყველაფრის შემყურემ, რიგითმა ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ ქვეყანაში 90-იანი წლები დაბრუნდა, სადაც „მხედრიონი“, „კულინარიელთა“ საძმო, რომლის წევრიც ბატონი ირაკლი ალასანია იყო, სასაფლაოზე დაბარებები და „რაზბორკები“ ბრუნდება!**



**„ბიძინა ციხეში უნდა დალპეს!“**

**რატომ ბედავენ ამ ქვეყანაში პოლიტიკოსზე თავდასხმას, რისი ნიშნებია ეს ყველაფერი და რატომ ვერ დგას თავის სიმაღლეზე ის სტრუქტურა, ვისაც წესრიგი ევალება?!**





შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში კონსტიტუციური ცვლილებები განხორციელდება ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ. კულუარებში ისიც გვითხრეს, რომ პრემიერთან ყველაზე მთავარი საკითხი გაიარეს „ოცნების“ დეპუტატებმა. სიის, სავარაუდოდ, პირველ ნომერს, გიორგი კვირიკაშვილს მათ პირდაპირ მოსთხოვეს, დაესახელებინა იმ დეპუტატების გვარები, ვინც ველარ მოხვდებიან სიაში და პირიქით. დავიღალეთ ამდენი გაურკვევლობით, თუ ერთი გუნდი ვართ, გაგვარკვიეთ, რას გვიპირებთ, რომ შემდეგ, განვსაზღვროთ ჩვენი მომავალი. თუ სიაში ველარ მოვხვდებით, მაშინ გარკვევით უნდა ვიცოდეთ, სად მოგვიაზრებთო... კვირიკაშვილმა „ოცნების“ დეპუტატები დაამშვიდა და უთქვამს, უკმაყოფი-

გაარკვევ, რა დროს გენდერული ბალანსიაო და ისეთი დაუცინიათ ყეინიშვილისთვის, დღის ბოლომდე დეპუტატები გაკრეჭილები დადიოდნენ, ეს ქალი შეშინებულიაო. უმრავლესობას ამ კვირაში კიდევ ერთხელ გამოუსვა ყელში დანა „მეოცნებე“ ელისო ჩაფიძემ, რომელმაც აშშ-ს ელჩს აღსარება ჩააბარა, – მდევნის ჩემი პარტია და მაშანტაჟებსო. ელისოს რაიონიდან დაიწყო მაღაროელების გაფიცვა და თუკი ხელისუფლება ამ გაფიცვას ვერ შეაჩერებს, არ არის გამორიცხული, გაფიცვებმა მასშტაბური სახე მიიღოს... და სად არის ამასობაში კახი კალაძე, რომელთან შეხვედრასაც ასე ითხოვენ მაღაროელები? ის არ ჩნდება გაფიცულებთან, სამაგიეროდ, ამ კვირაში იგი არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა ამხილა და ვიცე-პრემიერს ღიად დაუპირ-

## პორტრეტი

ისპირდა:

„იცით, რა ხდება „ოცნება-ში“?! კალაძის პარადია! პარადნოი კი მისი ნათესავები – ზოგი უდიპლომო, ზოგი უქნარა და ზოგი კრიმინალი. მე ვესაუბრე ახალგაზრდებს, რომლებმაც 4 წელი ოფლი ღვარეს და შეაკვდნენ ნაციონალებს და რა მიიღეს – მოვიდა კალაძეს სანათესაო და ჰაიდაპაშოლ!!! თვითონ კალაძე კი დაეპატრონა „ნაცების“ ბიზნესს, მათ შორის ძმები შარანგიების „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და აგერ ტოპ 50-ში ყველაზე იმიჯნოი და სტილიაგა მაჩოს ელფერით იწონებს თავს! ნარცისი და დოლჩე-გაბანას საცვლების სახე იყავი და დარჩები სულ! ჩვენ კი, „თავისუფალი თაობა“, გიცხადებთ ომს და ვიწყებთ შენი ბიზნესების მხილებას! შენ შეჭამე საქართველო! „ნაცების“ გზის გამგრძელებელო! „ნაცებისა“ და კრიმინალების შნირო! ამდენ ხანს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის გამო ვიკავებდით თავს, თუმცა, როგორც ვატყობთ, ზღვარს გადახვედი!

პ.ს. შენ დაანგრიე ყველა იდეალი იმისა, რატომ გქომაგობდათ საქართველო „ოცნებას“, შენ ბოლო მოუღე ღარიბაშვილს და ახლა ფრთებგაშლილი დაებატონე ყველაფერს! ვერ მოგართვით!!! შენ ჩვენი ოცნება არ ხარ!“

ვის შეიწირავს გამოცხადებული ომის ქრონიკა, ძნელი სათქმელია!

ისეთი, როგორსაც ხიდაშელი აკეთებს, სუს-ი რომ უთვალთვალებდეს პეტრიაშვილს, ასე სასტიკად არ გასწორდებოდნენ და დაცული იქნებოდითო. ცინიზმსაც აქვს საზღვარი და სიცეტესაც მათ შორის, თქვენ იმაზე გვიპასუხეთ, რატომ ბედავენ ამ ქვეყანაში პოლიტიკოსზე თავდასხმას, რისი ნიშნებია ეს ყველაფერი და რატომ ვერ დგას თავის სიმაღლეზე ის სტრუქტურა, ვისაც წესრიგი ევალება?!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## მორიგი სუიციდი კახეთში — ქალმა თავი მოიკლა



კიდევ ერთი სუიციდი კახეთში. თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში მცხოვრებმა ქალმა თავი მოიკლა.

გარდაცვლილი ოჯახის წევრებმა იპოვეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## მამუკა ახვლედიანი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უჩივლებს



თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის განცხადებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თავმჯდომარეობიდან მისი გადაყენების შესახებ, გადაწყვეტილება დარღვევებით მიიღო.

მამუკა ახვლედიანმა ტესტების წინასწარ გამჟღავნების შესახებ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დასრულებულ მოკვლევაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ შესაძლოა, პროკურატურა ამ თემასთან დაკავშირებით უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეს და პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნასაც არ გამორიცხავს.

– როგორ ჩაატარეს მოკვლევა, რა ფორმით და რა უფლება ჰქონდათ, რომ ტერმინი – მოკვლევა, მგონი, შევარდნაძის ბოლო წლებშიც აღარ იყო ეს სიტყვა. ჩემთვის გასაკვირია, როდესაც საბჭოს მდივანი, რომელიც არის იმ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, თვითონვე ახდენს თავის კომისიაში, კომისიის გარეშე ე.წ. მოკვლევას და შემდგომ კაცმა არ იცის, რა მასალები გადააგზავნეს პროკურატურაში, როგორ გამოარკვია ეს საკითხები, როდესაც ამ საკითხში ჩართულია სასამართლო სისტემის ძალიან ბევრი მაღალჩინოსანი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გამოკითხა ეს ხალხი, თუ როგორ გაიგო, რომ არავინ არის ჩართული ამ საკითხებში. მე ვერც ერთ ადამიანს ხელს ვერ დავადებ, იმიტომ, რომ პირდაპირი მნიშვნელობით არ ვიცი, შეიძლება არამარტო ერთი, ბევრიც იყოს ჩართული. მე ძალიან მაინტერესებს, რატომ იყო დუმილი 3 თვის განმავლობაში ამ საკითხებზე და რა მოიკვლია საბჭომ, ბევრი დარღვევა იყო ამ გამოცდების პერიოდში. როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეებია ჩართული, მე ვფიქრობ, რომ შეიძლება ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს პროკურატურა და პარლამენტში ამ საკითხზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაც არ გამორიცხება, – განაცხადა მამუკა ახვლედიანმა. (pia.ge)

## საქმეს ეგ არ აკეთებს და აღარც გავეხუმროთ, კაცო?



– ვიღაც ენაკვიმატმა რომ ორმოს ნარმანიას სახელი დაარქვა, სულაც არ ნიშნავს, რომ ძალიან ნიჭიერია, ალბათ, უფრო ცინიკოსია, – ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა.

მედიის წარმომადგენლებმა ნოდარ ჯავახიშვილს დედაქალაქის მერის, დავით ნარმანიას, როგორც მენეჯერის შეფასება სთხოვეს და ამ კონტექსტში, ე.წ. „ნარმანიას სახელობის ორმოები“ ახსენეს.

– ნამდვილად არ ვაპირებ დავით ნარმანიას შეფასებას. 62 წლის ვხდები, ორმოები საქართველოში ყოველთვის ძალიან ბევრი იყო, უფრო მეტი, ვიდრე დღეს არის. ვიღაცა ენაკვიმატმა რომ ორმოს ნარმანიას სახელი დაარქვა, სულაც არ ნიშნავს, რომ ძალიან ნიჭიერია, უფრო ცინიკოსია, ალბათ, – აღნიშნა ნოდარ ჯავახიშვილმა.

მინისტრის ინფორმაციით, მისი თანამშრომელი ისრაელსა და ერევანში იმყოფებოდა. უახლოეს დღეებში ჩამოიტანენ სპეციალური შემადგენლობის ნარევს, რომელიც გამოცდის შემთხვევაში ორმოების საკითხს ერთხელ და საბოლოოდ მოაგვარებს არა მარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში.

– თუმცა ამას ჯერ შემოწმება სჭირდება. გაცილებით ადვილად და რაც მთავარია, წარმოუდგენლად სწრაფად შეივსება ყველა ორმო, – დასძინა ნოდარ ჯავახიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ანასტასია ზაუტაშვილი და „კოკაინის საქმის“ მსჯავრდადებულები სხეულის დაზიანებებით იმუქრებიან



ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდადებულების ინტერესებს ორი ახალი ადვოკატი დაიცავს. მალხაზ ჯანგირაშვილი და დავით კორკოტაშვილი საქმეში ალეკო ელისაშვილის დახმარებით ერთვებიან. ანასტასია ზაუტაშვილის ადვოკატ მირიან ნიკოლაძის განცხადებით, მსჯავრდადებულები მოითხოვენ დაწყებული გამოძიება წარიმართოს ეფექტურად და დამნაშავეები დაისაჯონ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სხეულის თვითდაზიანებებით იმუქრებიან.

– აღძრულია სისხლის სამართლის 4 საქმე – პატიმართა ცემა-წამების, მოწმეთა ცემა-წამების, თანხების მითვისების და სხვა ფაქტებზე. დღემდე განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ არც ერთ საქმეზე პროკურატურა არ აპირებს არანაირი შედეგის დაყენებას. მსჯავრდადებულები აპირებენ, მიმართონ პროტესტის უკიდურეს ზომას – სხეულის დაზიანებას, – განაცხადა ნიკოლაძემ.

»» საზარელი მკვლელობა

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



თბილისში, ზემო ფონიჭალაში მცხოვრები მამფორიების ოჯახში, გაუგონარი სისასტიკით ჩადენილი ორმაგი მკვლელობის ფაქტი ინტენსიური გამოძიების პროცესშია. ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მკვლელობის მსხვერპლი დედა-შვილი, 35 წლის ნონა რომანაძე და 3 წლის გოგონაა. ქალს ყელი ჰქონდა გამოჭრილი, ხოლო მცირეწლოვანი ბავშვის ცხედარი საძინებელ ოთახში დამწვარი იპოვეს...

წვა, რაც დედამ ვერ გადაიტანა და აფექტის მდგომარეობაში ყელი გამოიჭრა. თუმცა აქ საგულისხმოა რამდენიმე დეტალი: ერთ-ერთი მეზობლის თქმით, ნონას ცხედარი თითქმის შიშველ მდგომარეობაში უნახავთ და სხეულზე არაერთი დაზიანება აღენიშნებოდა, რაც იწვევდა იმის თქმის საფუძველს, რომ მოკლული ქალბატონი ნაწამები იყო. ამასთანავე, ოჯახის ახლობლის განცხადებით, ნონა არაჩვეულებრივი, მზრუნველი დედა იყო და პატარას მარტო არასდროს ტოვებდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არ ვიცი. სკოლიდან დაბრუნდა და სახლი – დამწვარი, და და ნონა კი დახოცილები დახვდნენ. ეს შოკისმომგვრელი უბედურება, სადღაც 12 საათზეა მომხდარი, – მეზობლებმა დაახლოებით პირველ საათზე შენიშნეს ბინიდან გამოსული ბოლი და სახანძრო გამოიძახეს. კარი შეამტვრიეს და ეს საშინელება ნახეს – ქალი ძირს ეგდო, პატარა საძინებელში იყო გამომწვარი.

ჟურნალისტის კითხვაზე – თავდაპირველად ითქვა, რომ დედა-შვილი ძარცვის მიზნით დახოცეს, თუმცა შემდეგ შსს-მ ეს ინფორმაცია უარყოო, მ.ო. პასუხობს:

მუხლი დასისხლიანებული ჰქონდა; არ ვიცი, ამის ჩამდენი სიკვდილით არ უნდა დაისაჯოს?!“

მოკლული ქალბატონის მეუღლე ოთარ მამფორია, გამოძიებამ მომხდარიდან მალევე საგამოძიებო უწყებაში დასაკითხად წაიყვანა. ოთარის დაკითხვა მეორე დღის გამთენიამდე გაგრძელდა და უკვე სახლში მოსულმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ სამართალდამცველებმა მას თავდაპირველად ჰკითხეს, თავად ხომ არ მოკლა მეუღლე, თუმცა შემდეგ ეს ვერსია თავადვე გამორიცხეს:

მა მეუღლემ ჩაიდინა, თუმცა ამ ეჭვს აბსურდულს უწოდებს მოკლული ქალბატონის ბიძა, გენო ბერაძე, რადგან მისი თქმით, ნონა რ.-სთვის ეს პირველი ქორწინება იყო:

– ეს არასწორი ინფორმაციაა. ეს იყო ჩემი ძმისშვილის პირველი ქორწინება. პატარა ბავშვი საერთოდ არ არსებობს და მხოლოდ ჩონჩხი ჩამოვიტანეთ. არანაირი პრობლემა მასა და მეუღლეს შორის არ ყოფილა. არ შემიძლია რაიმე ვერსიაზე ვისაუბრო. შოკირებული ვართ ყველა ამ საშინელი ტრაგედიით. მივმართავ შინა-

# ფონიჭალაში მოკლული დედა-შვილის საზარელი მკვლელობის ყველა ფაქტი და ვერსია



„ქმარი დღედაღამ მუშაობდა მანქანების სამრეცხაოზე და ყველაფერს იკლებდნენ, რომ საცხოვრებელი პირობები გაეუმჯობესებინათ“



„ნონა შიშველი და აშკარად ნაწამები იყო, ცალი მუხლი დასისხლიანებული ჰქონდა; არ ვიცი, ამის ჩამდენი სიკვდილით არ უნდა დაისაჯოს?!“



არსებული ინფორმაციით, მეზობლებმა 22 თებერვალს, დღის 12 საათისკენ, მამფორიების საცხოვრებელი ბინიდან გამომავალი კვამლი შენიშნეს, რის შემდეგაც მათ სახანძრო სამსახური გამოიძახეს, ადგილზე მისულ მეხანძრეებს კი საშინელი სურათი დახვდათ: ყელგამოჭრილი ნონა რ.-ს გვამი – მისაღებში, ხოლო პატარა გოგონას დამწვარი ცხედარი საძინებელში აღმოაჩინეს...

თავიდანვე გაჩნდა ვერსია, რომ დედა-შვილს თავს ძარცვის მიზნით დაესხნენ, ნონა რ.-ს მიერ გაწეულმა წინააღმდეგობამ კი მძარცველები გააღიზიანა და მის გასაჩუმებლად ახალგაზრდა ქალს ყელი გამოსჭრეს, ხოლო მცირეწლოვანი გოგონა მძინარე დაწვესო... თავდასხმის მოტივად სახელდებოდა მამფორიების ოჯახში იმ მომენტისთვის არსებული თანხა – 7 ათასი აშშ დოლარი და ოქროულობა, რის შესახებაც, გაუბედურებული მამისა და მეუღლის, ოთარ მამფორიას თქმით, მისმა ნათესავმა და რამდენიმე მეზობელმა იცოდა. თუმცა ძარცვა მალევე გამოირიცხა, რადგან შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ფულიც და ოქროულობაც, რომელიც გამოსაჩენ ადგილას იდო, ხელუხლებელი დახვდათ.

ამის შემდეგ უკვე გაჩნდა ვერსია, რომ შესაძლოა, ბავშვმა დაუდევრობით თავი დაითვითმკვლელობა გამოირიცხება და ჩნდება უკვე სხვა ვერსია – ხომ არ იყო აღნიშნული სასტიკი მკვლელობები შურისძიების მოტივით ჩადენილი?

მეზობლები მოკლულ ქალს დადებითად ახასიათებენ. მათი თქმით, ნონამ და ოთარმა, დაახლოებით, 4 წლის წინათ იქორწინეს. ქალს შინ 8 წლის გერი დახვდა, რომლის ბიოლოგიური დედა ონკოლოგიური დაავადებით გარდაიცვალა.

„თითით საჩვენებელი დედა იყო. ბავშვებს ერთმანეთისაგან არ არჩევდა. ხელს ჩაკიდებდა და ყველგან ერთად დადიოდნენ. ბავშვი იხსენებს, რომ დილით დედას და დას სკოლამდე მიუცილებიათ. შოკშია, გამუდმებით ტირის“, – აცხადებს ერთ-ერთი მეზობელი.

**ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან ინტერვიუში („კვირის პალიტრა“) გარდაცვლილის მეზობელი მ.ო. ჰყვება:**

– მომხდარით შოკში ვართ ყველა, ნონასნაირი დედა და დიასახლისი სანთლითაა საძებარი. ქალს შინ 8 წლის გერი დახვდა და ისე შეიყვარა, ისე ამოუდგა მხარში, ამას ზოგჯერ საკუთარი დედაც ვერ ახერხებს. მერე თავადაც გაუჩნდა შვილი და ბავშვებს ერთმანეთისგან არ არჩევდა. გერს სკოლაში ხშირად დაჰყვებოდა, ეკლესიაშიც ერთად დაჰყავდა ბავშვები. დაძმასაც გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი. ეს პატარა ბიჭი მომხდარს როგორ გადაიტანს,

– კი, თავდაპირველად ქმარს – ოთარ მამფორიას უთქვამს, შინ 7000 დოლარი და ოქროულობა გვქონდაო, თუმცა ის შემდეგ ხელუხლებელი ნახეს თურმე. ოთარ მამფორია მონურად, დღედაღამ მუშაობდა მანქანების სამრეცხაოზე და ყველაფერს იკლებდნენ, რომ საცხოვრებელი პირობები გაეუმჯობესებინათ. ჩვენს კორპუსს „არაშენდა“ იმიტომაც ჰქვია, რომ ბოლომდე აშენებული არ იყო, როცა ხალხი შესახლდა და ბევრს დღესაც ბინა საკუთარ სახელზე არ აქვს დარეგისტრირებული. უმეტესობა საშინელ პირობებში ვცხოვრობთ, ზოგ სადარბაზოში კიბის მოაჯირები და ლიფტიც კი არ არის; ოთარმა და ნონამ კი შეძლეს ბინა რაღაცისთვის დაემსგავსებინათ, ბავშვების გაზრდისთვის ნორმალური პირობები ჰქონოდათ.

თავიდან ყველამ ვიფიქრეთ, რომ ვიღაც ნაძირლებმა ეს დაინახეს და ყაჩაღობა გადაწყვიტეს, მაგრამ ახლა ყველა ძალიან დაბნეულია. ითქვა, რომ დანაშაული შესაძლოა, შურისძიების გამო იყოს ჩადენილი, მაგრამ ვის რა დაუშავა საწყალმა ქალმა, რომელმაც აქაურებს თავი მხოლოდ სიკეთით დაგვამახსოვრა, ასეთი რამ როგორ დამართეს?! ქალი და ბავშვი ბინიდან გამოასვენეს და კინაღამ ჩვენც იქვე დავიხოცეთ, – ზეწრის ქვეშაც ჩანდა, რომ ნონა შიშველი და აშკარად ნაწამები იყო, ცალი

„რომ ვერაფერი გაიგეს, ბოლოს მითხრეს, შენ ხომ არ მოკალიო? არა-მეთქი, ვუპასუხე. ეს კითხვა იმიტომ დამისვეს, რომ ვერაფერს მაძლევ ხელჩასაჭიდსო. არც ისე დიდი ხანი მიდიოდა ამაზე საუბარი და მერე ეს ვერსია გამორიცხეს. მკითხეს ასევე თუ მყავდა მტერი უბანში, ან სანათესაოში და ესეც უარვყავი“, – განაცხადა ოთარმა.

მისივე განმარტებით, მან 22 თებერვალს დილით უფროსი ბავშვი სკოლაში წაიყვანა, ხოლო მეუღლე და მეორე მცირეწლოვანი შვილი სახლში მძინარეები დატოვა, მომხდართან დაკავშირებით კი არანაირი ვერსია არ აქვს. თავდაპირველად, მასაც ეგონა, რომ ეს საზარელი ორმაგი მკვლელობა შესაძლოა, ყაჩაღობის დროს ჩაიდინეს, მაგრამ სახლში რამდენიმე ათასი აშშ დოლარისა და ოქროულობის ხელუხლებლად აღმოჩენის შემდეგ, ეს ვერსია გამორიცხა.

ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, ოთარ მამფორია ამბობს:

– ძარცვა არ არის, არაფერი არ წაუღიათ. თავი აქვს ნარტყამი, ნაბრძოლია. შეიძლება ახლობელი იყო, მაგას ვფიქრობ იმიტომ, რომ ოჯახში თუ შეუშვა, უცხოს ხომ არ შეუშვებდა? ყავა არის მონადუღები, – განაცხადა ნონა რომანაძის მეუღლემ.

იყო ასეთი ვერსიაც, რომ შესაძლოა, აღნიშნული მკვლელობები ნონა რ.-ს ყოფილგან საქმეთა მინისტრს, ნუ დაგვჩაგრავთ, გლეხი ხალხი ვართ და დაგვეხმარეთ ამ ფაქტის გამოძიებაში, – განაცხადა გარდაცვლილის ბიძამ.

მოკლული დედა-შვილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთში გადასვენეს და იქ დაკრძალეს.

შსს-ს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მართალია, მსგავსი თუ არანაკლები სისასტიკით ჩადენილი მკვლელობები ადრეც ხდებოდა და ალბათ, სამწუხაროდ, მომავალშიც მოხდება, მაგრამ უკვე შეგვიძლია, პირდაპირ დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი: ქვეყანაში ბოლო პერიოდში კრიმინალური ფაქტების, მათ შორის, მკვლელობის შემთხვევების გახშირება თვალშისაცემია! თუნდაც ის, ერთი შეხედვით, საკმაოდ უმტკივნეულო ფაქტი ავიღოთ, რომ დიდი დიღმის მესამე მასივში საცხოვრებელი კორპუსის წინ 30-მდე ავტომობილს საბურავები დაუჭრეს, რის გამოც შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს! ამდენი მანქანის საბურავი როგორ უნდა დაჭრა ისე, რომ არავინ შეგნიშნოს? ამ ყველაფერს ხომ კონკრეტული დრო სჭირდება? რას აკეთებს პატრული, პოლიცია?!

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# „მშრალი ხიდიდან“ ასობით მოვაჭრეს აყრიან?!

## „აქციასაც მოვაწყობთ და არ დავაშვებინებთ არავის ასეთ რამეს!“



პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია შესული. 27 სახლზე უკვე დასრულებულია ხარაჩოების მოწყობა, დამონტაჟებულია მტვრის დამჭერი, სამშენებლო ფარდები. ამ დროისთვის, გასუფთავებულია ფასადური ნალესი, ასევე, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს გამაგრებითი სამუშაოები, მაგრდება საძირკვლები.

განხორციელდა იმ აივნების დემონტაჟი, რომელთა ადგილზე რეაბილიტაციაც შეუძლებელი აღმოჩნდა და აღსადგენად სპეციალურ საამქროშია გადატანილი, ხოლო ის აივნები, რომლებიც ადგილზე რეკონსტრუქციას ექვემდებარებოდა, შეკეთების პროცესშია. იცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები.

რაც შეეხება მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიას... ჯერჯერობით ამ ნაწილში სამუშაოები არ დაწყებულა, თუმცა, როგორც პროექტიდან ვიგებთ, „კეთილმოეწყობა 9 მარტისა და „დედა ენის“ სახელობის ბაღები და მიმდებარე ტერიტორია. ბაღებს შორის კი მოეწყობა მიწისქვეშა საფეხმავლო გადასასვლელი – გალერეა, სავაჭრო დახლები, ტერასა. მოწესრიგდება საფეხმავლო ზონა“. რაც ადამიანურ ენაზე ნიშნავს იმას, რომ მშრალი ხიდის ძველმანების ბაზრობა, რომელიც ტურისტებისთვის ერთ-ერთ კოლორიტულ ადგილს წარმოადგენს, ძველი სახით აღარ ექნება თბილისს... საინტერესოა, რას ფიქრობენ მოვაჭრეები მერიის ახალ პროექტზე და საერთოდ, იციან თუ არა, რა საფრთხე ემუქრებათ?

ამის გასარკვევად მშრალ ხიდზე გავედი, მორიგი კლიენტის მომლოდინეებს იმედი გაუცრუვდათ, როცა ჩემი მისვლის მიზეზი გაიგეს და ცუდი ამბის მიტანისთვის ამრეზითაც შემომხედა ზოგიერთმა...

„ახლა ამაზე წინასწარ უნდა ვინერვიულოთ კიდევ? ჩვენთან არავინ მოსულა და არავის უთქვამს, რომ აქ აღარ ვიდგებით, რას თესავ პანიკას?“ – მომაძახა გაბრაზებულმა შუახნის ქალბატონმა. საუბარში გვერდით მჯდომი ძველმანებით მოვაჭრე ერთვება: „ჯერ იქ არ დაუმთავრებიათ, აქ როგორ გამოვლენ“, – ამყარებს მეზობელი გამყიდველის პოზიციებს და მეუბნება, რომ ამაზე სალაპარაკოდ სხვა მოვძებნო. ძირითადად მოკლე პასუხებით შემოიფარგლებიან.

არიან ისეთებიც, ვინც გარდაუვალ რეალობას თვალს უსწორებს, 60 წლამდე მიტანებული მამაკაცი დანანებით მეუბნება: „ეჰ, რას ვიზამთ, შვილო, ძველი გამონათქვამია, დათვი თუ მოგერია, ბაბა უნდა დაუძახოო, თავს ზემოთ ძალა არაა, რომც ვიყვიროთ, რას შევცვლით“?

ჩემთან გრძელი საუბარი შედარებით ახალგაზრდა რესტავრატორმა მოინდომა, რომელიც უკვე წლებია, მშრალ ხიდზე დგას და ოჯახს ამით არჩენს:

„კარგია, რომ კეთილმოწყობას აპირებენ, მაგრამ თავის დროზე ეს ადგილი ისეთი ადამიანებისთვის გაკეთდა, ვინც არ მუშაობდა. ადამიანებს სახლიდან გამოაქვთ ნივთი და აქ ყიდიან, ან გადამყიდველი იბარებს ძველ ნივთებს, ვერ წარმომიდგენია, აქ დახლები გააკეთონ, ან ამაში ფული მოგვთხოვონ, ვიცი, რომ ნახაზში გათვალისწინებულია საჩვენო ადგილი, მაგრამ რა და როგორ იქნება, ამაზე ჩვენთან არავის უსაუბრია... მე როცა ფული არ მაქვს და სახლიდან რაღაც ნივთი გამომაქვს, გავასუფთავე, გავრეცხე, გავხეხე და სხვა კაპიკი შემოსავალი არ მაქვს, ფიქსირებული თანხა დახლზე საიდან უნდა გადავიხადო? მეტსაც გეტყვით, აქ ძალიან ბევრი ისეთი ნივთი იყიდება, რომელიც ბუნკერებიდანაა ამოღებული, ვიღაცას არ სჭირდებოდა, დასვრილია, სარესტავრაციო, ხალხი წვალობს, მოჰყავს ფორმაში, უბნებიც კი აქვთ დანაწილებული, სად ვისი ბუნკერია და სხვას არ უშვებენ, ასეთი ადამიანები რისი გადამხდელები არიან? 12 წელია, აქ ვმუშაობ, ძირითადად რესტავრირებული ნივთები მომაქვს. მაინც არა მგონია, ივანიშვილმა გაგვყაროს, როგორც აქ ამბობენ, მან იყიდა ეს ბაღები თბილისელებისთვის, რომ ხელი არ დაადოს არავინ. ხო არიან მთავრობები, რომელიც ყიდიან ყველაფერს და ამ ტერიტორიას ველარავინ შეეხება“.

ჩემს კითხვაზე: როგორ შეიძლებოდა, ივანიშვილს სახელმწიფო საკუთრება ეყიდა, რესტავრატორი მპასუხობს: „მე გესაუბრებით იმას, რაც აქ გამიგია და მომისმენია. ხალხი აქ ამ ადგილს ეძახის ივანიშვილის ბაღებს. ამიტომ თუ ახლებენ ხელს და გააკეთებენ, ისევ იმისთვის, რომ ხალხმა გამოიყენოს. დაველოდებით, ვნახავთ, რა იქნება, მე შეიძლება გადავიხადო, მაგრამ ყველა ვერ გადაიხდის. ახალგაზრდა ვარ და ჩემი შრომით ვშოულობ, ის მულამი დავიჭირე, რომელიც ამ ბაზარს სჭირდება და შედარებით კარგად ვშოულობ. მაგრამ აქ მოდიან ხშირად პენსიონრები, რომელთაც არ ჰყოფნით, სახელმწიფო რასაც აძლევთ და გამოაქვთ სახლიდან ნივთები, ხან იყიდება, ხან – არა, 5 ლარს რომ იშოვის ადამიანი, რა უნდა გადაიხადოს იმან? ვისაც ბევრი ნივთი აქვს, იმას ტრანსპორტირებაც უნდა და ამის ხარჯებს ძლივს ფარავენ და რა ქირის გადამხდელები არიან. გადამემტერებიან ახლა და ამიტომ სახელი არ დაწერო, ვინმე რომ მოდის ჩასაბარებლად და ღირებული ნივთი აქვს, აქ გადამყიდველები 15-20 ლარად ყიდულობენ და 100 ლარად ყიდიან, ისინი კი გადაიხდიან ქირას და ურჩევნიათ კიდეც რომ არ იდგნენ აქ ის ადამიანები, ვისიცაა ნივთი. ვერცხლსა და ოქროს რომ ყიდიან, ისინიც ყიდულობენ და ყიდიან და გადაიხდიან. მაგრამ ის საყვარელი პენსიონერი ბებო რომაა, იმან რა ქნას? იმას რომ ვინმემ ფული მოსთხოვოს აქ დგომაში, მე პირადად არ დავუშვებ, აქციასაც მოვაწყობთ და არ დავაშვებინებთ არავის ასეთ რამეს“.

ჯერჯერობით არც მხატვრებმა იციან, რა ბედი ელით, თუმცა ფიქრობენ, რომ ისინი გზის სავალ ნაწილს არ იკავებენ და ამიტომ მათ ბაღიდან არავინ გაყრის, რადგან ტურისტული კუთხით უმნიშვნელოვანესი ადგილია... მოკლედ, ამ ხალხს იმედი აქვს, თუმცა რისი, თავადაც არ იცის...

მშრალი ხიდიდან აღმაშენებელს გამოვუყევი, შებინდებულია, მაგრამ მუშებს ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ მუშაობა, როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი მაცხოვრებელი მეუბნება, დილიდან გვიანამდე მუშაობენ. ძირძველ პლეხანოველს უხარია, რომ მთავრობამ „გაურემონტებელი“ ალმაშენებლის დასრულებისთვისაც მოიცალა, თუმცა ამას მაინც არჩევნებს უკავშირებს:

„მისასალმებელია, რომ განახლდება ჩვენი მხარეც, მაგრამ ამდენი წელია მოვიდნენ ხელისუფლებაში და არჩევნების წელს გადაწყვიტეს მაინცდამაინც? აქამდეც უნდა გაეკეთებინათ“.

ჩემს კითხვაზე, რამდენად ხარისხიანად და საფუძვლიანად აპირებენ 19-20 საუკუნის კულტურული ძეგლების რესტავრირებას, მპასუხობს, რომ იგივენაირად აკეთებენ, როგორც „ნაციონალებმა“ გააკეთეს:

„რა თქმა უნდა, ჩვენ მხარეს გაცილებით ავარიული შენობებია და გამაგრებით სამუშაოებსაც ატარებენ, მაგრამ დანარჩენი, ჩვეულებრივი კოსმეტიკური შელამაზებული შენობები იქნება. ავარიული სახლებიდან გაიყვანა მერიამ მოსახლეობა და ქირასაც უხდის, უმეტესობა კი ვცხოვრობთ ძველებურად და სამუშაოები გარე ფასადს უკეთდება“.

სარესტავრაციოდ გამზადებული აღმაშენებლის ძირითად ნაწილზე კომერციული ობიექტები დახურულია, შესაბამისად, მოსახლეობა, ვინც ფართის გაქირავებით ირჩენდა თავს, დროებით უშემოსავლოდ დარჩა.

„რას ვიზამთ, მომიწევს, პენსიით გავიტანო თავი რამდენიმე თვე, ამბობენ, რომ აგვისტოს ბოლოს დასრულდება, ამის კომპენსაციას ვინ გადაგვიხდიდა, არც ველოდით. სამაგიეროდ მერე შე-

**საფრთხე**

დარებით ძვირად გაქირავდება“, – მეუბნება კიდევ ერთი ადგილობრივი.

სასურსათო მაღაზიაში კი, რომელიც მწვანე ბადეების სიღრმეში ღია მოჩანს, შეკითხვაზე, როგორ გადაურჩა მაღაზია დახურვას, გამყიდველი ქალბატონი გაბრაზებული ტონით მპასუხობს: „აბა, ამ სავსე მაღაზიას ხომ არ დავხურავდი, ქირაც გადახდილი მაქვს და ყველაფერი, რას ჰქვია გადავურჩი, არავის დაუძალებია დახურვა, ნებაყოფლობითაა, თუ გინდა ამ მტვერში იმუშაო, არავინ გიშლის, სამუშაოები მაინც გარედანაა“.

თუმცა ამ ქალბატონივით მტვერგამძლე, ალბათ, ბევრი არ აღმოჩნდა და პლეხანოვის რამდენიმე ასეული მეტრი მისტიკურადაც კი გამოიყურება, დაცარიელებული და აქაიქ სილის გროვებით. თითოეულ სახლზე გამოსახული ბანერი კი საუკუნის შენობების ახალ სიცოცხლეს გვამცნობს.

მოკლედ, მშრალი ხიდის მოვაჭრეებისგან განსხვავებით, აღმაშენებლის რეაბილიტაციით უკმაყოფილო არავინაა. ის, თუ რა ბედი ეწევათ მეძველმანეებს, ამაზე პასუხის მისაღებად კი ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს დეპუტატს რიმა ბერაძეს დავუკავშირდით:

„მიწისქვეშა გადასასვლელში გაკეთდება სალონური ტიპის მაღაზიები, დახლები, სადაც ძველმანებით მოვაჭრეებს შესაძლებლობა ექნებათ, გაყიდონ თავიანთი ნივთები, უფასო არ იქნება, მაგრამ იქნება ხელმისაწვდომი“ – გვპასუხობს ქალბატონი რიმა, თუმცა რამდენია ხელმისაწვდომი თანხა, არ აკონკრეტებს და პროექტის დეტალებში უკეთესად გარკვევის მიზნით პროექტის გადახედვას მირჩევს. თუმცა პროექტში ფასები და კონკრეტული ნიუანსები გაწერილი არსადაა, „ლართვრამეტიანი“ სკანდალის შემდეგ, როგორც ჩანს, საკრებულოს ხმაურიან დეპუტატს ფასებზე ტაბუ აქვს დადებული.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# გურჯაანში ახალგაზრდამ დედის გარდაცვალების შემდეგ თავი მოიკლა

გურჯაანში სუიციდის ფაქტი დაფიქსირდა. სოფელ ვეჯინში მცხოვრებმა 30 წლის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო.

ახალგაზრდას დედა გარდაეცვალა, რის შემდეგაც თავი მოიკლა. მან ძმას გამოსათხოვარი წერილიც დაუტოვა: „მაპატიე ძმაო, მეტის ატანა აღარ შემიძლია“.

გარდაცვლილი მეუღლესთან გაცილებული იყო. მას მცირეწლოვანი შვილი დარჩა. (speqtri.ge)

# „აბსოლუტურად მიუღებელი და დაუშვებელია გაკვეთილების ლოცვით დაწყება“ – თამარ სანიკიძე



– აბსოლუტურად მიუღებელია გაკვეთილების ლოცვით დაწყება, – ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაცემა „ეპიცენტრში“ მაყურებლის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მაყურებელი დაინტერესდა, ვის უნდა მიმართოს მშობელმა, როდესაც მისი შვილი განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის გამო სხვა მოსწავლეების მხრიდან გარიყული ან დაცინვის ობიექტია, კერძოდ, იმ დროს, როდესაც არის შემთხვევები, რომ სასწავლო დღეს სკოლაში მოსწავლეები ლოცვით იწყებენ.

– ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, მიუხედავად იმისა, რომ ამას არ აქვს სისტემატური ხასიათი, პერიოდულად მაინც დგება ხოლმე ეს საკითხი. სკოლა არის ადგილი, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ყველანაირი რელიგიური, პოლიტიკური და ა.შ. გავლენისგან. ასეთი გადაცდომების თავიდან ასაცილებლად მუშაობს სპეციალური სამსახური. აბსოლუტურად მიუღებელია გაკვეთილების ლოცვით დაწყება იმიტომ, რომ საქართველო არის მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური ქვეყანა და ჩვენ ამას ვერ ავცდებით, ყოველთვის იქნება სკოლა, სადაც იქნებიან სხვადასხვა რელიგიის თუ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, ეს არის დაუშვებელი, ეს არის კანონის დარღვევა და როგორც კანონის დარღვევის აღმკვეთი, ამ შემთხვევაში უკვე შემოვდივართ ჩვენ. რაც ნიშნავს, რომ არსებობს მონიტორინგის სამსახური, სადაც მსგავსი დარღვევა ფიქსირდება, და ის არის ჩვეულებრივი ადმინისტრაციული საქმის წარმოება, რომელიც ხორციელდება, თუ არის ბულინგთან დაკავშირებული, ეს გადადის მანდატურის სამსახურში და ფსიქოლოგიურ ცენტრთან კეთდება რეფერალი, თუ ეს არ არის დაკავშირებული ბულინგთან და ადმინისტრაციული სახის არის, ამაზე უკვე გადაწყვეტილებას სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური იძლევა.

გვაქვს ძალიან დინამიკური სტატისტიკა. გარდა იმისა, რომ ამ ფაქტების შეგროვება ხდება, ხდება მათი ანალიზი და შემდეგ რეკომენდაციები ეგზავნებათ სკოლებს, ვთქვათ, რა კუთხით უნდა გააძლიერონ მუშაობა, – განაცხადა თამარ სანიკიძემ. (edu.aris.ge)

## გერმანიამ მიგრაციული კანონმდებლობა გაამკაცრა



გერმანიამ მიგრაციული კანონმდებლობა გაამკაცრა. როგორც გერმანული გამოცემა „დოიჩე ველე“ წერს, ბუნდესტაგმა კანონების ახალი პაკეტი მიიღო, რომლის თანახმად, მიგრანტების გარკვეული ჯგუფის განაცხადი თავშესაფრის მიღების შესახებ განხილული იქნება დაჩქარებული წესით. ეს ცვლილება ძირითადად შეეხება „უსაფრთხო ქვეყნებიდან“ ჩასულ მიგრანტებს.

კიდევ ერთი ცვლილების თანახმად, ასეთ მიგრანტებს სპეციალურ დაწესებულებებში გადაიყვანენ და მათ არ ექნებათ უფლება, გერმანიაში საცხოვრებელი ადგილი თავად შეარჩიონ.

ახალი საკანონმდებლო ნორმები შეეხება იმ მიგრანტებსაც, რომლებსაც ლტოლვილის სტატუსი არ აქვთ, მაგრამ სამშობლოში ვერ ბრუნდებიან. ასეთი ადამიანები გერმანიაში ოჯახის წევრების ჩაყვანას ერთის ნაცვლად ორ წელიწადში შეძლებენ. გარდა ამისა, დაჩქარებული წესით მოხდება იმ მიგრანტების გაძევება, რომლებსაც თავშესაფრის მიღების უფლება არ აქვთ. (ინტერპრესნიუსი)

## საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით პროკურატურამ გამოძიება დაიწყო



საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საგარეჯოს მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო.

როგორც „20/30“-ს პროკურატურაში განუცხადეს, გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

გამოძიების საფუძველი გახდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიმართვა, რომელიც დეპუტატ გოგი თოფაძის საჯარო განცხადებებს ეხება.

გოგი თოფაძე თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს საგარეჯოში არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია ითხოვს, გაირკვეს, ადგილი აქვს ცილისწამებას, თუ არჩევნების გაყალბება რეალურად მოხდა. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

»» დაპირისპირება

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# რატომ დაუპირისპირდა „ნაციონალი“ მიშა მაჭავარიანი „გაგირჩებულ“ ყოფილ თანაგუნდელებს?

## რას პასუხობს გოგა ხაჩიძე „ნაციონალებს“?





**საიდან აქვს „გირჩს“ ძვირად ღირებული ოფისების გახსნის ფინანსები?**




**ძირძველმა „ნაციონალმა“ მიშა მაჭავარიანმა „გაგირჩებული“ ყოფილი თანაგუნდელები ხელისუფლებასთან გარიგებაში ღიად დაადანაშაულა.**

**„პოლიტიკური ალღო და მექსე გრძნობა, რომელიც ჩემი გამოცდილების ადამიანს აქვს განვითარებული, მკარნახობს, რომ პრემიერის თანხმობა „გირჩელებთან“ შეხვედრასთან დაკავშირებით, არცთუ ისე შემთხვევითიაო“, — განაცხადა და ეჭვიც გამოთქვა, რომ პრემიერი და „გირჩები“ მესიჯობენ და „ნაციონალების“ ჯინაზე ერთმანეთს ხვდებიან.**

**რატომ გაუჩნდათ „ნაციონალებს“ ეს ეჭვი და მართლაც „მესიჯობენ“ თუ არა პრემიერთან „გირჩელები“, ამის გასარკვევად „ალია“ გოგა ხაჩიძეს დაუკავშირდა.**

**— თქვენი ყოფილი თანაგუნდელი მიშა მაჭავარიანი ხელისუფლებასთან გარიგებაში გდებთ ბრალს „გირჩელებს“, რას ეფუძნება მისი განცხადებები?**

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ეს მიშა მაჭავარიანის აზრია და მეტი არაფერი. რაღაც ილუზიებს თხზავს მესიჯობაზე. მე ვერ ვხვდები, საერთოდ, რატომ გამოელიათ თემები და რატომ არიან დაკავებული ამ საკითხით... ის, რომ პრემიერმინისტრმა საჯაროდ გამოთქვა სურვილი, რომ „გირჩის“ წარმომადგენლებს შეხვდეს, ლოგიკურია და ბუნებრივიც არის. ჯერ ერთი, ზურა ჯაფარიძესთან „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყოფნის დროს იყო რამდენჯერმე შეხვედრა, იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლები, მსჯელობები სხვადასხვა თემაზე.

**— შეხვედრა ვისთან, კვირიკაშვილთან?**

– დიახ, როცა ის იყო ეკონომიკის მინისტრი და ბუნებრივია, საუბარი იყო ეკონომიკურ საკითხებზე. საინტერესო უნდა იყოს ზურა ჯაფარიძის აზრი ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის, რა თანამშრომლობაზეც არ უნდა იყოს. გარდა ამისა, ერთ-ერთი პირველი იყო ჯაფარიძე, რომელმაც საჯაროდ ორჯერ თუ სამჯერ გამოთქვა სურვილი, რომ ჩვენი ეკონომიკური პროგრამის გარკვეული ხედვები და კონსულტაციები გაიარონ პრემიერ-მინისტრთან. ძალიან კარგია და მივესალმებით ამ ფაქტს და ვერ ვხვდებით, რა არის ამაში ცუდი, რომ პრემიერმა მიიღო შეთავაზება. რაც შეეხება მიშა მაჭავარიანს, არ ვიცი, რა ეჭვები აქვს, არ მაქვს სურვილი, ამაზე ვისაუბრო, სიების დაწერის დრო დადგა, ალბათ, და ფაქტია, „ნაციონალური მოძრაობიდან“ ბევრი ეცდება, ქულები დაიწეროს სხვადასხვა აბსურდული თემებით.

**— ერთგვარი დამცინავიც იყო მისი განცხადება, თითქოს სალაპარაკო თემა „გირჩს“ მარიხუანის დეკრიმინალიზაციის გარდა, პრემიერთან არაფერი აქვს...**

– რაც შეეხება დაცინვას, ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამბობს, თითქოს მხარს უჭერს დეკრიმინალიზაციას, აქ ნათლად ჩანს ქილიკი და ზოგადად, ვისურვებდი და მათაც ვუსურვებ, რომ ამ თემაზე ქილიკით საუბარი არაეთიკურია. საქმე ეხება რამდენიმე ათასი ადამიანის ბედს და მათ ინტერესებს. უნდა გვახსოვდეს, რომ დეპუტატი მათი არჩეულიც არის პარლამენტში და დეკრიმინალიზაციაზე ამ კონტექსტში, რომ მეტი სალაპარაკო არ აქვს თურმე „გირჩს“, არ შეიძლება. ერთი მხრივ, გასაგებია, ვის დაკნინებასაც ცდილობს და მეორე მხრივ, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანებისთვის არ არის ეს კარგი კონტექსტი.

რაც შეეხება იმას, რაზე ისაუბრებენ „გირჩის“ წარმომადგენლები და პრემიერ-მინისტრი, ბუნებრივია, ეს იქნება ეკონომიკური საკითხები. ჩვენი ეკონომიკური პროგრამის გარკვეული მიმართულებები და ზოგადად, იმ ხედვას გავაცნობთ, რაც უკეთესი იქნება ქვეყნისთვის, ეკონომიკის ასამოძრავებლად. სალაპარაკო საკმაოდ ბევრია, საკმაოდ მნიშვნელოვან თემებზე და მათ შორის შესაძლებელია, დეკრიმინალიზაციაზეც იყოს საუბარი.

**— საარჩევნო წელია და ოპოზიციური ძალის საქმიანი დიალოგი ხელისუფლებასთან, შესაძლოა, მართლაც გარიგებად ეჩვენებოდეს სხვა ოპოზიციურ ძალას, ფიქრობთ, რომ ამ დიალოგს რამე შედეგის მოტანა შეუძლია და თქვენს ხედვებს გაიზიარებენ მთავრობაში?**

– ის, რომ ჩვენი იდეების ტირაჟირება მოვახდინოთ ნებისმიერ დონეზე, ეს იქნება პრემიერი, პრეზიდენტი თუ ნებისმიერი პირი, ამისთვის ვართ გახსნილები, მზად. არასოდეს არ ვიტყვით ამაზე უარს და ეს არ ნიშნავს გარიგებას. ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივები, ჩვენი ხედვები, ბუნებრივია, გვინდა, უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი და არ შეიძლება ასე ფიქრი, რომ ეს ჩვენია, ჩვენთვის უნდა შევინახოთ და არავისთან არ უნდა ვისაუბროთ ამაზე. თუ დავუშვათ, პრემიერი გადაწყვეტს, რომ რომელიმე ჩვენი იდეა პრაქტიკაში, თუნდაც მათივე მთავრობის პირობებში განახორციელოს, არ ვიქნებით წინააღმდეგი. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს იდეებს კარგად თუ გადახედეთ აღმოაჩენთ, რომ საკმაოდ ბევრი ოპოზიციური ძალა პირდაპირ ჩვენი იდეების პლაგიატს ეწევა ფართოდ. ბიუჯეტის შემცირება, მთავრობის შემცირება, მიწის კანონი და სხვა მრავალი ჩვენ მიერ შემუშავებული იდეა, უკვე ფართოდაა მათ პროგრამაშიც წარმოდგენილი. მას შემდეგ, რაც ახალმა პოლიტიკურმა ცენტრმა „გირჩმა“ გაასაჯაროვა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, ერთგვარი საბადო აღმოაჩინა ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა. ნუ, რა ვქნათ, სიკეთეში მოახმაროთ, კარგია, რომ ყველა ამ იდეებით მსჯელობს და ამ იდეებით ესაუბრება საზოგადოებას, უბრალოდ, კიდევ უფრო კარგი ის არის, რომ ეს ჩვენ გვეკუთვნის.

**— კიდევ ერთი საკითხი, თბილისის და მთელი საქართველოს მასშტაბით ხსნით საკმაოდ ძვირად ღირებულ ოფისებს, ახალ პოლიტიკურ ძალას საიდან აქვს ამდენი ფინანსები? შესაძლოა, ივანიშვილის გუნდთან თანამშრომლობის შესახებ ეჭვები აქედანაც წამოვიდა...**

– ამაზე არსებობს ძალიან კონკრეტული და კარგი პასუხი, არსებობს აუდიტის სამსახური, რომელიც მუდმივად აკეთებს ჩვენი ფინანსებისა და დაფინანსების აუდიტს. არა მგონია, ეს ეჭვები ამას უკავშირდებოდეს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კარგია, რომ ჩვენზე მსჯელობენ, ფორიაქობენ. ჩვენ გვაქვს კონკრეტული მიზნები, ამოცანები, ხედვები და ყველა კანონიერი, დასაშვები გზით ვეცდებით, ვიყოთ წარმატებულები.

»» ხალხის აზრი

# „ამ ქვეყანაში არავის სჭირდები“

**ანი სალაღაშვილი, 26 წლის, უმუშევარი, პროფესიით ფსიქოლოგი:**

– ჩემი პროფესიით ამდენი წელია უკვე ვერ ვიშოვე სამსახური, რაღაც პერიოდი წასულიც ვიყავი ქვეყნიდან, მაგრამ დავბრუნდი, უკეთესობის მოლოდინით, გამოცდილებით. თუმცა ერთ კვირაში მივხვდი, რომ ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი და ქვეყანაში უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა. დავდიოდი გასაუბრებებზე, მოვსინჯე უამრავი საშუალება, მაგრამ ნორმალური ანაზღაურება, ფაქტობრივად, ვერავინ შემომთავაზა. გამოდის, ტრეფიკინგის მსხვერპლი ხარ, შრომობ, მოგაქვს სარგებელი დამსაქმებლისთვის, მაგრამ თანხა მხოლოდ გზის ფულში თუ გყოფნის. ნორმალურად რომ იკვებო, იმდენიც კი არაა. ჩემი ძმა რომ არ იყოს ემიგრანტი, ალბათ, შიმშილით დავიხოცებოდით. ერთხელ, გასაუბრების მერე იმდენად დავიღალე ამ უაზრო სიტუაციით, რომ ძაან ბევრი ვიტირე. თუ ვინმეს შვილი ან ნათესავი არ ხარ, საჯარო სამსახურშიც არავინ შეგაყოფინებს თავს, უბედურებისთვის ხარ განწირული.

*მაკა დეკანოსიძე*

# არჩევნებზე წაუსვლელობა დასჯადი გახდება?!

## რა სანქციები დაწესდება მათთვის, ვინც პროტესტის გამო სახლში დარჩებიან?!

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ნიკა მჟავანაძე მოითხოვს, რომ ვინც არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, მას სანქციები დაეკისროს. მოკლედ, არჩევნებში არმონაწილეობა საქართველოში დასჯადი გახდეს. ნიკა მჟავანაძის ამ იდეის შესახებ „ალია“ ადრეც წერდა, მაგრამ მაშინ ეს მხოლოდ იდეა იყო. ახლა კი „უფლებადამცველთა გაერთიანების“ საკანონმდებლო წინადადებას პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი განიხილავს. თუ ამ კომიტეტმა წინადადება მოიწონა, მაშინ სხვა კომიტეტებშიც განიხილავენ და ჩნდება სერიოზული შანსი, რომ ეს ინიციატივა კანონად იქცეს და მას, ვინც არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, სერიოზული სანქციები დაეკისროს.**

**ამ საკანონმდებლო წინადადებისა და მისი დეტალების შესახებ, „ალიას“ ნიკა მჟავანაძე ესაუბრება.**







**— რატომ უნდა გახდეს არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო? რა არგუმენტები გაქვთ საამისოდ?**

– საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიო ბევრ ქვეყანაში, არჩევნებში არმონაწილეობა კანონით უნდა გახდეს დასჯადი და ეს კონსტიტუციაში ჩაიწეროს. ეს პრაქტიკა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიყენება. მინდა, მკითხველმა იცოდეს, რა ხდება სხვა ქვეყნებში, ამ მხრივ. პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც არჩევნებზე გამოცხადების სავალდებულოობა დაინერგა, არის ბელგია. მათ ეს სისტემა 1893 წელს შემოიღეს. ბელგიაში ამომრჩევლის მიერ პირველად არასაპატიო მიზეზით არჩევნებზე არგამოცხადების შემთხვევაში, ამომრჩეველი ჯარიმდება 50 ევროთი, მეორედ და მესამედ – 125-ით, მეოთხედ არგამოცხადების შემთხვევაში კი ჩამოერთმევა ხმის მიცემის უფლება და აეკრძალება, დაიკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში. საბერძნეთში, თუ ამომრჩეველი საზღვარგარეთ გამგზავრებას აპირებს, წინასწარ უნდა მისცეს ხმა. ბელგიის მსგავსად, აქაც მოქმედებს ჯარიმების სისტემა და ასევე, პატიმრობა ერთი თვიდან ერთ წლამდე არჩევნებზე სისტემატური არგამოცხადების შემთხვევაში. ასევე, გართულებულია მართვის მოწმობების აღება, თუ მოქალაქე მონაწილეობას არ მიიღებს არჩევნებში. რაც შეეხება მექსიკას, ოფიციალური სანქციები არ არსებობს, თუმცა მოქმედებს სოციალური სანქციები. იტალიაში არჩევნებში გამოუცხადებლობა იწვევს საბავშვო ბაღში ბავშვის მიღებასთან დაკავშირებით პრობლემებს. ჯარიმების სისტემა მოქმედებს ასევე ავსტრიაში, კვიპროსსა და ლუქსემბურგში. ბოლივიამ 1952 წლიდან დაიწყო საარჩევნო ბარათების გაცემა იმისთვის, რომ ამომრჩევლებმა მარტივად დაამტკიცონ ის ფაქტი, რომ ნამდვილად მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი ვერ აჩვენებს ამ ბარათს არჩევნებიდან სამი თვის განმავლობაში, ეს შეიძლება აისახოს მისთ ხელფასზე. ჯარიმებია დაწესებული ავსტრალიაშიც. პირველად არგამოცხადების შემთხვევაში 13 დოლარია ჯარიმა, რაც შემდგომ იზრდება. ავსტრალიაში აღნიშნული სისტემა 1924 წელს დაინერგა. ამ სისტემის მხარდამჭერები აცხადებენ, რომ არჩევნებზე სავალდებულო გამოცხადება ავსტრალიისთვის ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოა. არგენტინასა და ბრაზილიაში 20-დან 200 დოლარამდეა ჯარიმა. შემდგომ კი ამომრჩეველს ერთმევა უფლება, დაიკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში. ბრაზილიაში არჩევნებზე გამოუცხადებლობის შედეგად, მოქალაქეს ეკრძალება პროფესიული გამოცდების ჩაბარება, სესხის აღება, პასპორტის აღება. არჩევნებში სამჯერ ზედიზედ გამოუცხადებლობის შემთხვევაში თუ პირი არ წარმოადგენს ექვსი თვის განმავლობაში საბუთს, რის გამოც მან ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, მოხდება მისი რეგისტრაციის გაუქმება. პაკისტანში პირველადი ჯარიმა 60 დოლარია. სისტემატურად არჩევნებზე არმისვლის შემთხვევაში – გამოსასწორებელი სამუშაოები ხუთი წლის ვადით. თურქეთში ჯარიმა იწყება 14 დოლარიდან და მთავრდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით. ეგვიპტეში პირველადი ჯარიმა იწყება 1 დოლარიდან და მთავრდება, ასევე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით. სინგაპურში არჩევნებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოქალაქის სახელი იშლება ამომრჩეველთა რეესტრიდან და ჯარიმის ($5) გადახდის შემდეგ რეგისტრაცია აღდგება. პერუს კანონმდებლობის მიხედვით, არჩევნებზე გამოუცხადებლობის შედეგად, მოქალაქეს შეეზღუდება საბანკო ოპერაციების განხორციელება, ასევე საჯარო ადმინისტრაციული ოპერაციების. გათვალისწინებულია ფინანსური ჯარიმებიც. ჯარიმებია დაწესებული ბულგარეთში, ნიდერლანდებსა და დანიაში ამომრჩეველთა არასაპატიო მიზეზით არჩევნებში გამოუცხადებლობაზე. წარმოგიდგენთ სრულ ჩამონათვალს იმ ქვეყნებისას, სადაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების სავალდებულო სისტემა მოქმედებს: ავსტრია, არგენტინა, ავსტრალია, ბელგია, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, კოსტა-რიკა, კვიპროსი, დომენიკის რესპუბლიკა, ეკვადორი, ეგვიპტე, ფიჯი, საფრანგეთი (მხოლოდ სენატი), გაბონი, საბერძნეთი, გვატემალა, ჰონდურასი, იტალია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნაურუ, პარაგვაი, პერუ, ფილიპინები, სინგაპური, შვეიცარია, ტაილანდი, თურქეთი და ურუგვაი.

**— კი, ბატონო, ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რატომ უნდა დავნერგოთ იგივე ან მსგავსი სანქციები საქართველოში?**

– ყოველი არჩევნების შემდეგ, არჩევნებში მონაწილე პარტიებისგან გვესმის ხოლმე, რომ საარჩევნო ბიულეტენებს იყენებენ მავანნი, რაღაც სომხური თუ სხვა სახის კარუსელებია, სხვა გზითაც ხდება ბიულეტენებით მანიპულირება და ამ ყველაფერს ბოლო რომ მოეღოს, ამის ერთადერთი საშუალებაა, ამომრჩეველი ვალდებული იყოს, წავიდეს არჩევნებზე. კი, ბატონო, ნურავის მისცემს ხმას, თუ უნდა, საერთოდ გააფუჭოს თავისი ბიულეტენი, მაგრამ თავის მოქალაქეობრივ ვალს მაინც მოიხდის და სხვას მისი ბიულეტენის გამოყენების საშუალებას მოუსპობს. როცა არჩევნებზე ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა მიდის, გაყალბების რა მექანიზმიც არ უნდა არსებობდეს, ის ვერ ხორციელდება. წინ ძალიან სერიოზული საპარლამენტო არჩევნები გველოდება. ამიტომ ეს არჩევნები რომ არ გაყალბდეს, აუცილებლად მიმაჩნია, არჩევნებში მონაწილეობა გახდეს სავალდებულო. 2016 წლის იანვარში, პარლამენტში შევიტანეთ საკანონმდებლო წინადადება და მოვითხოვეთ, არჩევნებში მონაწილეობა გახდეს სავალდებულო. ახლა გვაცნობეს, რომ ორშაბათს ამ წინადადებას ადამიანის უფლებათა კომიტეტი განიხილავს და შემდგომ იურიდიული კომიტეტი. ჩვენ ვითხოვთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩაიწეროს, რომ საქართველოს მოქალაქეთათვის არჩევნებში მონაწილეობა არის სავალდებულო. უნდა შევიდეს ცვლილებები საარჩევნო კოდექსში. როცა ეს პირველად გავაჟღერეთ, ზოგმა წაიქილიკა, ბარემ გამათრახებაც დააწესეთ არჩევნებში არმონაწილეობისთვისო. სამწუხაროდ, ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც მხოლოდ ცუდს ისრუტავს ევროპისგან. შე დალოცვილო, ლამის ნახევარ ევროპაში სავალდებულოა არჩევნებში მონაწილეობა და მოდი, რა, ეს გადმოვიღოთ! როდესაც შენი ქვეყნის ბედი წყდება, აუცილებლად უნდა წახვიდე არჩევნებზე, თორემ ამ საარჩევნო ბიულეტენების მანიპულირებით ისეთ ხელისუფლებას აირჩევენ, რომელიც ამ ქვეყანას თავზე დაგვამხობს, ათას უბედურებას დაატრიალებს. და ეს ჩვენ უკვე გამოვიარეთ. ამიტომ, მერე სანანებლად რომ არ გაუხდეს ხალხს საქმე, თავად უნდა გააკეთოს არჩევანი.

### პროექტი

**— პოლიტიკური პარტიები თუ უჭერენ თქვენს ინიციატივას მხარს?**

– „ლეიბორისტული პარტია“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“. „თავისუფალი საქართველო“, „ეროვნულ-დემოკრატები“, „მწვანეთა პარტია“, „სამართლიანი საქართველო“, და კიდევ სხვა პარტიები გვიჭერენ მხარს ამ საქმეში.

**— ხალხს ნიჰილიზმი გაუჩნდა არჩევნების მიმართ, დადიან ამ არჩევნებზე 25 წელია და მათთვის უკეთესობისკენ არაფერი იცვლება და ბევრი იმიტომ აღარ მიდის. არჩევნებზე არწასვლა ზოგიერთი მოქალაქისთვის ერთგვარი პროტესტია და ამ პროტესტის უფლებას რატომ ართმევთ ხალხს? თან ეს არ არის ამ ადამიანების უფლებების დარღვევა?**

– ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 1971 წელს დაადგინა, დამკვიდრებული პრაქტიკა არჩევნებზე სავალდებულო გამოცხადების შესახებ არ არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. აღნიშნული დადგენილებით, სასამართლომ განმარტა, რომ არ ირღვევა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი, რაც გულისხმობს აზრის, სინდისის, რელიგიის თავისუფლებას. ამომრჩევლისთვის მხოლოდ არჩევნებზე მისვლა იქნება სავალდებულო, მას არავინ დაავალდებულებს, კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას მისცეს ხმა. აი, ეს რომ სავალდებულო იყოს და ამომრჩეველს თავისუფალი არჩევანის საშუალება არ ჰქონდეს, მაშინ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევასთან გვექნებოდა საქმე. რაც შეეხება პროტესტს, წავიდნენ არჩევნებზე, გადახაზონ ყველა კანდიდატი და ამით გამოხატონ პროტესტი, თან გარანტირებულად ეცოდინებათ, რომ ბიულეტენი არავინ გამოიყენა.

**— კი, მაგრამ მათთვის არჩევნებზე არწასვლაა სწორედ პროტესტი და არა — წასვლა და ყველა კანდიდატის გადახაზვა.**

– გასაგებია, რომ ამ კატეგორიის ხალხი გაწბილებულია, ბევრჯერ გაყალბდა არჩევნები, ერთმანეთზე უარესი ხელისუფლებები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, მაგრამ ამას თავად უნდა დაუსვან წერტილი არჩევნებში მონაწილეობით. სულ ასე არ გაგრძელდება, მათთვისაც და ქვეყნისთვისაც შეიცვლება ერთ-ერთი არჩევნების შემდეგ ბევრი რამ სასიკეთოდ. მით უფრო, კარგად იცი, რომ არჩევნებზე არწასვლით შენს ბიულეტენს გამოყენებენ არაკეთილსინდისიერად და ნებით თუ უნებლიეთ, დანაშაულსა და არჩევნების გაყალბებას უწყობ ხელს, დანაშაულის თანამონაწილე ხდები სადღაც.

**— რა სანქციები უნდა დაეკისროთ მათ, ვინც არჩევნებზე არ წავლენ?**

– ეს უკვე განსჯის საგანია, ამაზე დისკუსია უნდა გაიმართოს და ოპტიმალური ვარიანტი შევარჩიოთ ყველამ ერთად...



## ტერაქტების საფრთხის გამო, სტამბულის პოლიციამ პატრულირება გააძლიერა



საზოგადოებრივ ტრანსპორტში ტერაქტების საფრთხის გამო, თურქეთის დედაქალაქში პოლიციის პატრულირება გაძლიერდა.

აღნიშნულ ინფორმაციას თურქული მედია „Cumhuriyet“ ავრცელებს. გამოცემის ცნობით, ქვეყნის დედაქალაქის მეტროსა და ავტობუსის რამდენიმე სადგურში კონტროლი გაძლიერებულია.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს თურქეთის დედაქალაქში ტერაქტების სერია განხორციელდა, რომელსაც, საერთო ჯამში, ათეულობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 100-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. (pia.ge)

## ლანჩხუთში მომხდარ ავტოავარიას 17 წლის ბიჭის სიცოცხლე ემსხვერპლა





შემთხვევა სუფსის თემის სოფელ ხიდმაღალაში მოხდა. ფეხით მოსიარულე მოზარდს მსუბუქი ავტომანქანა დაეჯახა. ახალგაზრდა ადგილზევე გარდაიცვალა.

როგორც „გურიის მოამბე“ თვითმხილველების ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, მსუბუქ ავტომანქანას, რომელმაც 17 წლის ბიჭის სიცოცხლე იმსხვერპლა, სავარაუდოდ, პოლიციის თანამშრომელი მართავდა.

17 წლის გ. გუმბარიძე, სუფსაში ბიძასთან ცხოვრობდა, გარდაცვლილის დედა თურქეთში სამუშაოდ იყო წასული. გ. გუმბარიძემ სუფსის საჯარო სკოლა გასულ წელს დაამთავრა.

როგორც მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

რაც შეეხება შემთხვევაში პოლიციელთა მონაწილეობას, შსს ამბობს, რომ ამას გამოძიება დაადგენს. (ნიუპოსტი)

## აჭარის ერთ-ერთ სოფელში მამაკაცს კასტრაცია ჩაუტარეს




აჭარის ერთ-ერთ სოფელში მამაკაცს კასტრაცია ჩაუტარეს. ამის შესახებ გაზეთი „ბათუმელები" წერს.

გამოცემის ინფორმაციით, მამაკაცს სისხლდენა სოფლის ექიმმა შეუჩერა, ხოლო შემდეგ ბათუმში ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მამაკაცი ამ დროისთვისაც საავადმყოფოში იმყოფება.

– კასტრაციის ჩატარების მონაწილე პირების შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, მამაკაცზე ოჯახის წევრებმა იძალადეს, – წერს გამოცემა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მსგავსი შეტყობინება უწყებაში არ შესულა. (news.ge)

## „ვიკილიკსის" მორიგი სკანდალი — აშშ ანგელა მერკელს, სარკოზისა და სხვა ლიდერებს უსმენდა




„ვიკილიკსის" მიერ გამოქვეყნებული საიდუმლო დოკუმენტები ირწმუნება, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო მსოფლიო ლიდერებს უსმენდა.

პორტალის ინფორმაციით, სააგენტოს სამიზნე იყვნენ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნათანიაჰუ, იტალიის ექსპრემიერი სილვიო ბერლუსკონი და საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. დოკუმენტები ბან კი მუნისა და ანგელა მერკელის საუბრის დეტალებსაც შეიცავს, რომელიც კლიმატის ცვლილებებს ეხება.

ამასთანავე, „ვიკილიკსმა" ისრაელის პრემიერ ბენიამინ ნათანიაჰუსა და სილვიო ბერლუსკონის საუბარი გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბერლუსკონის აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან კონტაქტის დამყარებაში დახმარებას სთხოვდა.

ნიკოლა სარკოზი კი სილვიო ბერლუსკონის იტალიის საბანკო სისტემის შესაძლო ჩამოშლაზე აფრთხილებს.

„ვიკილიკსმა" იაპონიისა და ევროკავშირის მინისტრების საიდუმლო საუბრებიც გამოაქვეყნა, რომელიც სავაჭრო ორგანიზაციის საიდუმლო ხელშეკრულებებს ეხება.

„ვიკილიკსმა" აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო გერმანელი და ფრანგი მაღალჩინოსნების მოსმენაში ადრეც დაადანაშაულა.

აშშ-ს აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# მამუკა ახვლედიანი: „ნინო გვენეტაძე თურმე ათი წლის

# ზაზა ხატიაშვილი: „ყველა გადართულია პოლიტიკურ თემებზე, უჭირავს თვალი, ივანიშვილმა ერთი სიტყვა დაასველა და

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მამუკა ახვლედიანი თანამდებობიდან გაუშვეს. მართალია, რიგით მოსამართლედ დატოვეს, მაგრამ, ალბათ, იქიდანაც გაუშვებენ, რადგან, როგორც თვითონ აცხადებს, დათმობას არ აპირებს და რევანშისთვის ემზადება. სანამ საკითხის ძირეულ განხილვაზე გადავალთ და გავარკვევთ, ეს რევანში რა არის, მანამდე თვალი გადავავლოთ, როგორ განვითარდა მოვლენები ბოლო ერთი კვირის განმავლობაში: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ კომენტარებს აკეთებს, რომელიც ისეთი უმნიშვნელოა, არც ღირს მისი დაწერა.

რას აპირებს სამოქალაქო სექტორი „ადვოკატთა ასოციაციის" თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის მეთაურობით? როგორც ჩანს, განხეთქილებამ ამ კუთხითაც იჩინა თავი, ხატიაშვილი „ალიასთან" საუბარში ამბობს, რომ ყველა აქციაზე 50 კაცზე მეტი აღარ მიდის:

„მოდიან და მე მიყურებენ, რას ვიზამ. მე ვცდილობ, მოვამწიფო საზოგადოებრივი აზრი, ასე სირბილს აზრი აღარ აქვს. ალბათ, გახსოვთ, როცა მურუსიძის გადანიშვნა დააპირეს, პოლიტიკური პარტიების წარმოგვინდა, რომ რამეს მივაღწიოთ, უნდა შეფასდეს სასამართლო გადაწყვეტილებები, ანუ გაკეთდეს ანალიზი, მაგრამ ამას უცხოელები არ გაგაკეთებინებენ, რადგან წინა ვითომ რეფორმებში მილიონები ჩაიდო, მიმართე საერთაშორისო ორგანიზაციებს-მეთქი. ეს პირადი საუბარი იყო, ვერაფერი ვერ გავაგებინე. მარტო წულუკიანს კი არა, არავის არაფრის გაგება აღარ უნდა".

რას აპირებს მამუკა ახვლედიანი? ამაზე „ალიას" თავად ესაუბრება:

**— ბატონო მამუკა, ვიცით, რომ თქვენ სასამართლოს მიმართეთ და ითხოვთ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე აღდგენას. ნინო გვენეტაძე აცხადებს, თუ ახვლედიანს სასამართლო აღადგენს, დავემორჩილები და მასთან ვითანამშრომლებო. რომც აღგადგინონ, გაჩუმდებით და მუშაობას ჩვეულებრივად გააგრძელებთ?**

– მე ვარ მოსამართლე, ვემორჩილები კანონს და თანამდებობაზე აღდგენა იმის გამო კი არ მინდა, რომ ჩემი სავარძელი დავიბრუნო, თუ სასამართლოს თავმჯდომარე ამ სისულელეების გამო ვერ მოახერხებს თავის უფლებების დაცვას, რომელიმე რიგითი მოქალაქე მოახერხებს? მე უბრალოდ ვალდებული ვარ, რომ ეს გავაკეთო, შეიძლება გარკვეული კატეგორიის ადამიანებთან არც მუშაობის სურვილი მქონდეს, მაგრამ აქ მინდა-არ მინდაზე არ არის ლაპარაკი. თუ აღმადგენენ, გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, მე ვარ დამოუკიდებელი, არანაირი შეხება არ მაქვს უზენაეს სასამართლოსთან. მათი პრობლემა სწორედ ამაშია, რომ პირდაპირ დაქვემდებარება უნდათ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფროსი არც აქამდე ყოფილა და ვერც მომავალში ვერ იქნება. მე სწორედ ამიტომ გამიშვეს, რომ კაბინეტებში არ ვეახლე, მათგან პირობები არ მივიღე, რაღაცებზე არ დავთანხმდი, მხოლოდ წერილობითი ურთიერთობები მაქვს და ეს არ მოსწონთ. ვნახოთ, რას გადაწყვეტს სასამართლო, თუ დავბრუნდები, იგივე ფორმატში გავაგრძელებ მუშაობას, ისინი არ ითვლებიან ჩემს უფროსებად და წერილობითი ურთიერთობის გარდა, მათთან სხვა ურთიერთობა არ მექნება.

**— და ისევ გააგრძელებთ ბრძოლას, ანუ მხილებას? საინტერესოა, სადამდე აპირებთ ბრძოლას?**

– მე ბრძოლას ნებისმიერ შემთხვევაში გავაგრძელებ. როცა ეს ნაბიჯი გადავდგი, ეს გავაკეთე შეგნებულად და არა შემთხვევით. დაახლოებით ისიც ვიცოდი, რა დონემდე მივიდოდა საქმე. თუმცა ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი აბსურდული დარღვევებით და ბრალდებებით გადამაყენებდნენ, თუ ასე სწრაფად გააკეთებდნენ ყველაფერს. მე გადავწყვიტე, რომ საზოგადოებისთვის მეჩვენებინა მათი ნამდვილი სახეები, ანუ ვინ არიან და რას წარმოადგენენ, როგორ ფიქრობენ სასამართლოს განვითარებაზე. ბრძოლას გავაგრძელებ კი არა, პირიქით, კიდევ უფრო ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს სასამართლო. როცა ექიმთან მიდის ადამიანი, შეიძლება დამალოს, რაც აწუხებს? თუ სასამართლოში რამე პრობლემურია, ყველა უნდა ჩაერთოს – საზოგადოებაც, პროკურატურაც და არასამთავრობოებიც. ჩემი ნაბიჯი სასამართლოს დაზიანება კი არა, მისი განკურნებაა. თუ მე აღმადგინეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გავჩერდები. საკუთარი კეთილდღეობა რომ მდომებოდა, იმ ადგილზე ვიყავი და ვადის ამოწურვამდე არავინ შემეხებოდა, ბედნიერად გავატარებდი წელიწადზე მეტს (ვადა მეწურებოდა 2017 წლის აგვისტოში) და მერეც რამეს მოვახერხებდი.

**— თქვენ მიმართ ხშირად ისმის ბრალდებები, რომ სააკაშვილის დროს გაჩუმებული იყავით, როცა უამრავი უარესი დანაშაული ხდებოდა. თუმცა, როგორც ზაზა ხატიაშვილი ამბობს, თქვენ შიგნით ადრეც გქონიათ დაპირისპირება, ამას ადასტურებთ?**

– ძალიან ბევრი დაპირისპირება იყო, მაგრამ მაშინ ვთვლიდი, რომ არ უნდა გამეხმაურებინა. მე 1999 წლიდან ვმუშაობ ამ სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე და

### [illegible]

2007 წლიდან გავხდი მოსამართლე. რუსთავში ვიყავი თავმჯდომარე, ეს სასამართლო იყო ექსპერიმენტული და რა სიახლეებსაც ვნერგავდი, მერე ვრცელდებოდა დანარჩენ საქართველოში. რომელ მოსამართლეებსაც ახლა ეწურებათ ვადები, ისინი დაინიშნენ 2005-2007 წლებში და ახლა გამოჩნდა უფრო მეტი თვითნებობა – ადამიანები ინიშნებიან ფარული კენჭისყრით, ყოველგვარი დასაბუთებისა და გასაჩივრების გარეშე. მოსამართლეებად ხალხის გამწესება ხდება ვილაცების შეხედულებებით და არა წესდების მიხედვით. როცა ტესტები და კაზუსები ასეთი ფორმით გაიცემა, როცა საუბარია დაუსწრებელ სწავლებაზე, რათა მოსამართლეობის კანდიდატმა იოლად გაიაროს, თქვენ წარმოიდგინეთ, რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა. მე მყავს ოთხი შვილი და მინდა, რომ მათ ნორმალურ საქართველოში იცხოვრონ. თუ ხმას არ ამოვიღებთ, ყველა გადაინიშნება... მე არ ვამბობ, რომ ყველა ცუდია, არა, ბევრი კარგი მოსამართლეა, მაგრამ ყველას შეფასება უნდა მოხდეს ობიექტურად. სანამ სასამართლო არ გასუფთავდება, ქვეყანა წინ ვერ წავა. მე შიგნით მქონდა ძალიან ბევრი საუბარი, ძალიან ბევრი დაპირისპირება, მიუხედავად იმისა, რომ კოტე კუბლაშვილთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაინც ვძალაობდი. ბევრი არ გაიზიარა, ბევრი გაიზიარა. რაღაცას მივაღწიე, რაღაცას – ვერა. პირდაპირ გეტყვით, რამდენიმეჯერ განცხადებასაც კი ვწერდი წამოსვლაზე. ახლა ვხედავ, რომ უარესი ხდება, კატასტროფულად მივდივართ უკან.

**— რატომ ვერ გამონახეთ საერთო ენა ნინო გვენეტაძესთან, რა მოხდა?**

– რა გითხრათ... შეიძლება ის ძველი ჯგუფი ჩაერია, რომელმაც სასამართლო ჩაიგდო ხელში. არ ვიცი, რა ფორმით, მეგობრულად თუ შანტაჟით? აქ შეიძლება ბევრი რამე არსებობდეს, თუ ვინმეს უზენაესი სასამართლოს ძლიერი



„აგერ, ხედავენ, მე ხმა ამოვიღე და რა დღეში აღმოვჩნდი, ახლა რომელიმე მომბაძავს? ძალიან ბევრი მოსამართლე წინა წლებში წავიდა სისტემიდან, თქვენ მათი ხმა გაგიგიათ? არაფერი არ უთქვამთ"



„თავის დროზე 30-40 წლის ადამიანები დაინიშნენ მოსამართლეებად, ზოგი რეგიონიდან ჩამოვიდა, კრედიტები აიღეს, დაოჯახდნენ, შეიძლება ბევრი რამე შეეშალათ წარსულში, ნაწილმა საკუთარ შეცდომებზე ისწავლა, ცხოვრება მოიწყო... ახლა როგორ ფიქრობთ, სიმართლის თქმა ურჩევნიათ თუ ჩუმად ყოფნა მაშინ, როცა ვადები უმთავრდებათ და უმუშევრები რჩებიან?"

12 წევრიდან 11-მა (ახვლედიანის გაშვებას მხარი არ დაუჭირა პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა ვახტანგ მჭედლიშვილმა), რომელმაც, სულ რაღაც, ერთი თვის წინ ოდიოზური ლევან მურუსიძე თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც გადანიშნა და იუსტიციის საბჭოს მდივნადაც დატოვა, გადაწყვიტა, რომ მამუკა ახვლედიანი თანამდებობისთვის შეუფერებელი პიროვნებაა, აკეთებს მოსამართლისთვის შეუფერებელ განცხადებებს, აქვს ადმინისტრაციულ-ფინანსური დარღვევები და ამიტომ არ შეიძლება, ხელმძღვანელობდეს ასეთ მნიშვნელოვან სტრუქტურას. თუმცა იუსტიციის საბჭოს წევრებმა და ლევან მურუსიძემ ახვლედიანის მიერ გაკეთებული განცხადებები უკანა პლანზე გადასწიეს და ხაზგასმით დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა რეპრესიულ მომენტთან, არამედ საქალაქო სასამართლოში არასწორ მენეჯმენტთან. რასაკვირველია, ეს ფანდი არავინ „ჭამა" და მათ შორის, არც არასამთავრობოებმა — მათი თქმით, თავად ლევან მურუსიძე, იუსტიციის საბჭოს მდივანი, პასუხისმგებელი იყო მოსამართლეთა გამოცდების ორგანიზებაზე, თუ ვინმე იყო დასასჯელი, პირველ რიგში ის უნდა დასჯილიყო და გადამდგარიყო თანამდებობიდანო. როგორ აფასებს შექმნილ სიტუაციას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ნინო გვენეტაძე, რომელიც თავის დროზე სისტემისგან დევნილი მოსამართლე იყო და ყველაზე კარგად, წესით, მას უნდა ესმოდეს უსამართლობა! ის „ალიას" ზარებს არ პასუხობს, საერთოდაც, პრესას თავს არიდებს და მხოლოდ რამდენიმეწამიან სატელევიზიო მადგენლებიც კი მოვიდნენ ჩემთან, შევიკრიბეთ, ერთ აზრზე ვიყავით, მიმართვაც გავავრცელეთ, მაგრამ, როგორც კი ბიძინა ივანიშვილმა თქვა, მურუსიძე რეჟიმის მსხვერპლიაო, სად შემომეფანტნენ, ვეღარ გავიგე. ყველა გადართულია პოლიტიკურ თემებზე, ყველა ფიქრობს ხელისუფლებაში მოსვლაზე, ყველას სკამისკენ უჭირავს თვალი, ივანიშვილმა ერთი სიტყვა დაასველა და მორჩა, ხმა ჩაიკმინდეს, ვერავინ ვერ დაუპირისპირდა, ამათ უნდათ არჩევნებში გამარჯვება? არ ვიცი, ბიძინა დაარწმუნეს, რომ მურუსიძე საჭიროა და დაიჭერს სისტემას. სხვათა შორის, მე პროკურატურის გარდა, პარლამენტსაც მივმართე, საგამოძიებო კომისია შევქმნათ მურუსიძის არჩევასთან დაკავშირებით-მეთქი, ასევე, მივმართე ირაკლი ალასანიას ფრაქციას, მაგრამ საერთოდ არ ყოფილა რეაგირება. ყველა გაჩუმდა. იცი, ნინო გვენეტაძეს როგორ ვედექი მხარში? მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურა მყავდა წარდგენილი პრეზიდენტთან, მაინც მას დავუჭირე მხარი. მე ადრევე ვიცოდი, რომ მამუკა ახვლედიანი მურუსიძეს ვერ იტანდა და მეგონა, ერთიანი ძალებით მოიშორებდნენ. ძალიან კარგად ვიცოდი ახვლედიანის შიდა სამზარეულო, ამას ახლა ვამბობ, ეგ ბოლო ორი წლის განმავლობაში ლაპარაკობდა კულუარებში, იუსტიციის საბჭოს წევრები არ იქცევიან ღირსეულადო. აშკარად იყო შიდა დაპირისპირება და მეგონა, ამას გამოიყენებდა ნინო გვენეტაძე, ანუ დადგებოდა ახვლედიანის მხარეს. მე ორჯერ შევხვდი თეა წულუკიანს და პირდაპირ ვუთხარი, თუ

თავმჯდომარე უნდოდა, ეს მე და ჩემნაირები ვიყავით. სხვათა შორის, სასამართლოში ბევრია ჩემნაირი... შეიძლება ხმამაღლა ვერ ლაპარაკობენ სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ ასევე ფიქრობენ. მე ნინო გვენეტაძესთან კონფლიქტი არასოდეს მქონია, პირიქით, მან თვითონ მითხრა, თურმე 2005 წელში რომ წავიდა, მისთვის მითქვამს, ჩემი და შენი აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა-მეთქი. ისე გამოდის, ათი წლის განმავლობაში ჩემზე დაბოღმილი იყო და შურისძიებაზე ფიქრობდა. სხვა ახსნას მე ვერ ვპოულობ. არ ვიცი, შეიძლება გაქვთ, სადაც ქალები მიგყავთ და არის გიტარა და ხშირი ტაში.

– თუ ვინმე სასტუმროს მაჩუქებს, წინააღმდეგი არ ვიქნები. ვხუმრობ, ამ ყველაფრის გადამოწმება იოლად შეიძლება. ჩემი აზრით, ასეთ რაღაცებს იმიტომ მიგონებენ, რომ დაქსაქსულობა შემოიტანონ, ვიღაცებს ეჭვები გაუჩნდეთ. ბევრი იტყვის, ამ ადამიანს მხარი რომ დავუჭიროთ, რა იცი, რა მიზნები ამოძრავებს, იქნებ პოლიტიკური მიზნებიც აქვს? ამ ეტაპზე პოლიტიკოსობაზე ნამდვილად არ მიფიქრია. ასე რომ მდომებოდა, გადავდგებოდი და უფრო უკეთესად ვილაპარაკებდი, რა მიშლიდა ხელს?

ულ სიტუაციაშია. ჯერ არავინ არ იცის, ლევან მურუსიძემ იქ რა გადააგზავნა, ან რას ნიშნავს მოკვლევა? არავითარი მოკვლევა არ ყოფილა, იუსტიციის საბჭოს მდივანს არც ამის უფლება აქვს. წარმოიდგინეთ, საბჭოს მდივანი თავადვე არის კომისიის თავმჯდომარე და თვითონ იკვლევს, რა ხდება კომისიაში. კომისიის გვერდის ავლით ნინო გვენეტაძემ ჩაიბარა ტესტები, ასე გამოდის. ამაზე რატომ არაფერს ამბობს ლევან მურუსიძე? დიახ, მე ზუსტად ვიცი, რომ ტესტები ჩაიბარა ნინო გვენეტაძემ, ამის შესახებ ლაპარაკობენ ის მოსამართლეები, რომლებიც აბარებდნენ. ეს არის კანონის სრული დარღვევა. როცა საქმე ეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის საბჭოს მდივანს, უამრავ მალალჩინოსანს, ამ დროს პროკურატურა რაც არ უნდა ობიექტური იყოს, თქვენ არ ფიქრობთ, რომ კითხვის ნიშნები დარჩება? რა თქმა უნდა, დარჩება. რა მენეჯმენტზე ლაპარაკობენ, როცა სწორედ მენეჯმენტის თემაზე ბოლო წლებში ექსპერტად ვიყავი მიწვეული უამრავ ქვეყანაში. რაც დღეს საქმის წარმოება არსებობს, ეს არის ჩემი მოფიქრებული და ჩემი გაკეთებული. სწორედ ამაზე მწყდება გული, თურმე ვყოფილვარ უუნარო მენეჯერი. აი, ეს არის მათი სამარცხვინო და დამცინავი ქმედება. ჯერ ერთი, რა წესია, ბიულეტენზე მყოფს რომ მათავისუფლებ? თურმე 22 თებერვალს თვითნებურად შეუწყვეტიათ ჩემი ბიულეტენი და რის საფუძველზე, კაცმა არ იცის.

მომესწრო. კარგი, სასამართლოს თავმჯდომარეობიდან გადამაყენეს, სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარეობიდან რის საფუძველზე გადამაყენეს? მე უამრავი შემოთავაზება მაქვს არა მხოლოდ აქ, უცხოეთშიც გაცილებით მეტი ანაზღაურებით, მე არ დავიკარგები, რაღაცას ვიზამ სხვა კუთხით, მაგრამ თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, ამ ქვეყანას მომავალი ვერ ექნება. უახლოესი წელიწადნახევრის განმავლობაში უნდა შეიცვალოს მთელი სასამართლო კორპუსი და კიდევ დამატებით უნდათ 200 ადამიანის შემოყვანა. იმასაც ამბობენ, ჩვენ ისე გვიჭირს, ვისაც 5-წლიანი გამოცდილება აქვს, ყველა პირდაპირ უნდა დავნიშნოთო. მე დავინახე, რომ იუსტიციის საბჭო ქმნის ხელოვნურ კრიზისს, სპეციალურად აკეთებენ, რომ საქმეების დიდი ნაკადი წარმოიშვას, აყვირდეს მოსახლეობა, დროულად განიხილეთო და სწრაფად დანიშნონ ბევრი მოსამართლე, მოიყვანონ ადამიანები ქუჩიდან. ვნახოთ, ჯერჯერობით არსად წასვლას არ ვაპირებ, უახლოეს ხანში კიდევ ბევრ რამეს გაიგებთ, რას და როგორ აკეთებენ. იმასაც ვიტყვი, რა ფორმით და როგორი ზეწოლები იყო ჩემ მიმართ. ახლო მომავალში ბევრი რამე გამოჩნდება, ეს საქართველოა, აქ არაფერი იმალება. თქვენ არ იცით, ჩემს კოლეგებს რომ ალაპარაკებენ, ყველას გარკვეული მიზეზი აქვს. ზოგიერთისგან მართლა გამიკვირდა, მაგრამ მერე აღმოვაჩინე, რომ ზოგი ტესტების თემასთანაა დაკავშირებული, ზოგის მიმართ პროკურატურაშია საქმე, ზოგს ვადა ეწურება და მალე დასანიშნია, ზოგს სააპელაციო სასამართლოში გადაყვანას ჰპირდებიან. თითოეულ ჩემს წინააღმდეგ გამომსვლელს აქვს გარკვეული მიზეზი.

### »» [illegible]

დროზე 30-40 წლის ადამიანები დაინიშნენ მოსამართლეებად, ზოგი რეგიონიდან ჩამოვიდა, კრედიტები აიღეს, დაოჯახდნენ, შეიძლება ბევრი რამე შეეშალათ წარსულში, ნაწილმა საკუთარ შეცდომებზე ისწავლა, ცხოვრება მოიწყო... ახლა როგორ ფიქრობთ, სიმართლის თქმა ურჩევნიათ თუ ჩუმად ყოფნა მაშინ, როცა ვადები უმთავრდებათ და უმუშევრები რჩებიან? ამ დროს ძალაუფლება აქვს ერთ გარკვეულ ჯგუფს, რომელიც ითხოვს, ხმა არ ამოიღო, არ შემეწინააღმდეგო და დაგნიშნავ. აგერ, ხედავენ, მე ხმა ამოვიღე და რა დღეში აღმოვჩნდი, ახლა რომელიმე მომბაძავს? ძალიან ბევრი მოსამართლე წინა წლებში წავიდა სისტემიდან, თქვენ მათი ხმა არ გაგიგიათ? არაფერი არ უთქვამთ. პირდაპირ გეუბნებით, ყველა კონფერენციაზე დღის წესრიგი აქვთ გაწერილი და ტექსტებსაც კი ათანხმებენ, რა უნდა თქვან. ავალებენ, ვინ უნდა წაიკითხოს ეს ტექსტები, ზოგი თანხმდება, ზოგი არ თანხმდება. ჩემი დასჯით ყველას აჩვენეს, რომ, თუ ბევრს ილაპარაკებენ, ასევე დაისჯებიან. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ზოგი საზღვარგარეთ წავიდა, ზოგი კიდევ კაბინეტიდან ვერ გამოდიოდა, ეშინოდათ, დაგვაპატიმრებენო. დღეს ეს ადამიანები ისევ მართავენ სასამართლო სისტემას. მე 2012 წელს მოვედი საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ, ნამდვილად არ მქონდა დიდი სურვილი, მაგრამ მინდოდა, რომ ეს სისტემა ფეხზე დამდგარიყო, თან საშუალება ჩნდებოდა ამისი, უკვე შესაძლებლობა იყო. ფაქტობრივად, გამოიყენეს დრო, სასამართლო ისევ ჩაიგდეს ხელში და რაც მთავარია, დაიწყეს თვითნებობა, თვითონვე გამოაცხადეს თავები ღმერთებად, არავის აღარაფერს უთანხმებენ. აქამდე ვიღაცის მაინც ეშინოდათ, ახლა არავისი არ ეშინიათ, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. აი, ეს არის ყველაზე სახიფათო.

## „განმავლობაში ჩემზე დაბოღმილი იყო და შურისძიებაზე ფიქრობდა!“

## „ყველა ფიქრობს ხელისუფლებაში მოსვლაზე, ყველას სკამისკენ მორჩა, ხმა ჩაიკმინდეს, ვერავინ ვერ დაუპირისპირდა“



**„თქვენ არ იცით, ჩემს კოლეგებს რომ ალაპარაკებენ, ყველას გარკვეული მიზეზი აქვს. ზოგიერთისგან მართლა გამიკვირდა, მაგრამ მერე აღმოვაჩინე, რომ ზოგი ტესტების თემასთანაა დაკავშირებული, ზოგის მიმართ პროკურატურაშია საქმე, ზოგს ვადა ეწურება და მალე დასანიშნია, ზოგს სააპელაციო სასამართლოში გადაყვანას ჰპირდებიან. თითოეულ ჩემს წინააღმდეგ გამომსვლელს აქვს გარკვეული მიზეზი“**



**— კი, არსებობს ვერსია, რომ პოლიტიკაში წასვლას აპირებთ და ამ ეტაპზე დივიდენდებს აგროვებთ.**

– არა, მაშინ სხვანაირად მოვიქცეოდი, გავაკეთებდი განცხადებას, ვიტყოდი, აღარ მინდა ამ სისტემაში მუშაობა ამიტომ და ამიტომ-მეთქი, მერე გვარ-სახელებსაც დავაკონკრეტებდი, არავის არ გავუფრთხილდებოდი. მე დღეს სახელებითა და გვარებით არ ვსაუბრობ, რათა სისტემა იყოს დაცული... ძალიან ბევრი თემა კიდევ არ გამომაქვს საჯაროდ, სასამართლო სისტემა დაზიანდება და ავტორიტეტი შეელახება. მე კიდევ იმედი მაქვს, რომ ბევრი გონს მოეგება... ყველას ვეუბნები, აქ ჩემი პრობლემა არ დგას, დავბრუნდები, დავრჩები თუ წავალ, აქ საუბარია სასამართლოს პრესტიჟზე. ყველამ ვიცით, რაც მოხდა, ამ ქვეყანაში ბრმა არავინ არ არის, ტესტებისა და კაზუსების შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. ამ დროს სულ სხვა ინფორმაცია ხმაურდება, თითქოს პრობლემა იყო მენეჯმენტში. თუ ამას საზოგადოება შეეგუება, რომ სასამართლო სისტემაში ასეთი სიბინძურე არსებობდეს, იგივე საზოგადოებას ღმერთმა ხელი მოუმართოს.

**— ტესტებისა და კაზუსების საქმე პროკურატურაშია, რა ხდება, რამე სიახლე არის?**

– მე არ მინდა, პროკურატურის მიმართ უნდობლობა გამოვხატო, მაგრამ დღეს პროკურატურა ძალიან უხერხულ სიტუაციაშია...

ძლება ყველას აქვს მიზეზი, რომ განაწყენდეს, ყველასთან კომუნიკაცია ვერ მექნება, უამრავი ჭორი მესმის, ხან ისეთი რაღაცები მესმის, მიკვირს, როგორ იგონებენ.

**— თურმე, სანამ ნინო გვენეტაძე დაინიშნებოდა, თქვენ გდომებიათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა, მთავრობაში გქონიათ საუბრები, რაღაც წინაპირობები ყოფილა, მაგრამ ბოლოს დაგიწუნეს. ასე იყო?**

– ეს ძალიან პატარა ადამიანების აზროვნებაა... კი, მე კანდიდატი ვიყავი, მაქვს ჩემი ხედვა, როგორ უნდა განვითარდეს სასამართლო, მაგრამ არ მაქვს პრეტენზია, რომ ვინმემ ჩემზე უკეთესად არ იცის. მოვიდა გვენეტაძე, მე მისთვის რატომ უნდა შემეშალა ხელი? თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩემი ნაბიჯი შურისძიებაა, ძალიან ცდება, ვინც მიცნობს, არავინ არ დაიჯერებს. როგორ ფიქრობთ, ამ ნაბიჯით მე რა მივიღე? არც არაფერი! მაშინ რა მიზეზით ამოვიღე ხმა?

**— ჩვენს რეალობაში მოსამართლის ასეთი ამბოხება ცოტა დაუჯერებელია. თქვენ თვითონ ქართული სასამართლოს ისტორიაში ასეთი რამ გახსოვთ?**

– არა, ასეთი რამ არასოდეს არ ყოფილა, არ მსმენია.

**— ჰოდა, ყველას უჩნდება ეჭვი, რატომ, რისთვის, ვინ დგას თქვენს უკან? შეიძლება არც არავინ დგას და ვიღაცა გიყენებთ?**

– მეტსაც გეტყვით... თურმე გუდაურში სასტუმროც მაქვს.

**— კი, ამბობენ, სასტუმრო**

**— მურუსიძე ამბობს, 21-ში დაუმთავრდა და 22-ში მივაბრძანეთო.**

– არა, მე 25 თებერვალს დავხურე ბიულეტენი. თან იძახიან, საბჭოს სხდომაზე არ მოვიდაო, მილიონი ზარი მაქვს, მესიჯები მაქვს, ვწერდი, მითხარით, რა დროს მოვიდე-მეთქი. როგორც კი გაიგეს, მისვლას ვაპირებდი, ჩემი საკითხი უცებ კენჭისყრაზე დააყენეს, რათა მისვლა არ

**— სასამართლო სისტემაში ვინმე გვერდით დაგიდგათ?**

– სიტყვიერად ძალიან ბევრი... დღეს მოსამართლეს არავითარი სოციალური გარანტია არ გააჩნია, თავის

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „უფრო ღრმად და დეტალურად ჩაიხედოს პროცესებში“



ჯანდაცვის მინისტრი სახალხო დამცველის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც ტყიბულის მაღაროში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით აუცილებელია ამოქმედდეს სამმხრივი კომისია. დავით სერგეენკო უჩა ნანუაშვილს ურჩევს, უფრო ღრმად და დეტალურად ჩაიხედოს პროცესებში. დავით სერგეენკო განმარტავს, რომ სამმხრივი კომისიის ფუნქცია არ არის კონკრეტული შრომითი დავების განხილვა, არამედ ეს არის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემმუშავებელი საბჭო.

– სახალხო დამცველის პოზიცია არის სახალხო დამცველის პოზიცია, რომელიც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მაგრამ მე აღარ მახსოვს ეს უკვე მერამდენე მოწოდებაა, რომ უფრო ღრმად და დეტალურად ჩაიხედოს პროცესებში.

კერძოდ, სამმხრივი კომისიის ფუნქცია არის არა კონკრეტული შრომითი დავების ან სხვა რაიმე სახის დავების განხილვა, არამედ პოლიტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც შეეხება შრომით დავებს. ეს არის პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანო, რომელიც შარშან შეიკრიბა და გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ჯანდაცვის მინისტრს დაევალა მედიაცია.

ჯანდაცვის მინისტრი უკვე აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესში. ეს მონაწილეობა გამოიხატება კანონით დადგენილი ნორმების აღსრულებაში, როდესაც იქ მივლინებული არიან ჩვენ მიერ შერჩეული ადამიანები, – განაცხადა სერგეენკომ. (პირველი რადიო)

## საბერძნეთი ევროკავშირის გადაწყვეტილებების დაბლოკვით იმუქრება



საბერძნეთი ევროკავშირის გადაწყვეტილებების დაბლოკვით იმუქრება, თუკი პასუხისმგებლობა მიგრაციული კრიზისისთვის ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე თანაბრად არ გადანაწილდება.

ამის შესახებ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა, ალექსი ციპრასმა ქვეყნის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, არ დაუშვებს საბერძნეთი ბუფერულ ზონად გადაიქცეს. როგორც „ასოშეიტედ პრესთან“ საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, პრემიერი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ქვეყნები, რომლებსაც ერთი მიგრანტიც არ მიუღია, საკუთარ ქვეყნებში ღობეებს აშენებენ.

შეგახსენებთ, საბერძნეთი ერთ-ერთი მთავარი მარშრუტია ევროკავშირში ჩასვლის მსურველთათვის. (ნიუპოსტი)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია- კვირის



ნანა დევდარიანი, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი: „შემთხვევითი არ არის, რომ თინა ხიდაშელმა თავისთან წაიყვანა ანა დოლიძე, მოადგილის რანგში, მერე თავის ადგილზე საგარეჯოს შუალედურ არჩევნებში „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ გამოზრდილი კადრი, თავისი მოგვარე მიიყვანა. ეს სხვას რომ გაეკეთებინა, „რესპუბლიკელები“ ბომბს გადმოუგდებდნენ და ერთ ამბავს ატეხდნენ“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



ლია ელიავა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი: „ერთი თვის წინ ქადაგიძემ ბრძანა — ლარი დაუბრუნდება 2.4 კურსსო, გავიდა ერთი თვე და ამას პირი არ უჩანს. თუ ეროვნულმა ბანკმა არ მოახდინა ლარის კურსის მხარდაჭერა, ლარი ვერ გამყარდება, ეს არის პრაქტიკულად გამორიცხული და იმისთვის, რომ მხარდაჭერა მოახდინოს, ამას სჭირდება ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის აზროვნებაში გარკვეული ცვლილებები“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



ლევან ხაბეიშვილი, მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი: „თბილისის მერიაში მოგონილი თანამდებობები უნდა გაეუქმებინათ. ასეთებია — გამგებლის თანაშემწე, აპარატის უფროსის თანაშემწე და თანაშემწის თანაშემწე. ჯერ გამგებლის თანაშემწე რა არის და მერე ამ გამგებლის თანაშემწის თანაშემწე რა იქნება?!“

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია--ქრონიკა კვირის



სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი: „ივანიშვილის სიჩუმე თოფაძისთვის არის „მიდი, აქა ვარ, შენ გვერდზე“. ანუ ივანიშვილის სიჩუმე თოფაძის წისქვილზე ასხამს წყალს და არა ხიდაშელის“.

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



„თავისუფალი დემოკრატების“ გენმდივნის, ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილის დაჭრა გასული კვირის ერთ-ერთი მოვლენა იყო. შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, ბუკა პეტრიაშვილი ყოფილი დიპლომატის – ლევან მიქელაძის დაკითხა და მომხდარის შესახებ, სავარაუდოდ, ამიტომ მეტს ვერ ამბობს. პროკურატურა ხომ ყველა მოწმეს აფრთხილებს, რომ საქმის შესახებ მედიასთან არ ისაუბრონ. თუმცა, ამ ფაქტს შეესწრო საბურთალოს სასაფლაოსთან მახლობელი კორპუსის მაცხოვრებელი, დალი ხაბურზანია. ის ამბობს, რომ პეტრიაშვილს გაუსწორდნენ და რა ვერსიებიც არსებობს. პოლიტიკური მოტივი გამორიცხულია. რაიმე ამდაგვარი რომ ყოფილიყო, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერებს ვერავინ დაასწრებდა და ხელს ხელისუფლებისკენ გაიშვერდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამის დიდი სურვილი აქვთ და ეს მათ განცხადებებ- თავი დაეცვა, თუმცა, ფაქტია, რომ ეს ვერ მოახერხა. ხოლო რიგითი მოქალაქეები ისედაც განიარაღებულნი არიან ნუ-ლუკიანისა და „ოცნების პარლამენტის“ მიერ და მხოლოდ მათი გინებაღა რჩებათ გალ-ახულ-დაჭრილ-დასახიჩრებულებს.

ვიდრე ერთ მნიშვნელოვან სათქმელზე გადავალ, უნდა ტრიაშვილს რაც შეემთხვა, ამასთან დაკავშირებით პირადი მოტივები არ გამორიცხეს ცალკეულმა პოლიტიკოსებმა. ირაკლი ალასანიამ კი მათ უპასუხა, ვინც ბუკა პეტრიაშვილის დაჭრაში პირადი ცხოვრების მოტივს ეძებდა, ის პოლიტიკოსები სინდისგარეცხილები არიანო. ამ სინდისგარეცხილ პოლიტიკო-

### შურისძიება?!

ლის მეუღლის, ჟურნალისტ ეკა მიშველაძის ყოფილი შეყვარებულია. შეგახსენებთ, სოსო დოლიძის სახელი კარგა ხნის განმავლობაში უკავშირდებოდა ფოთის პორტის ტერმინალს. პოლიტიკოსის ერთ-ერთი მეგობრის თქმით, ბოლო ხანს მას ემუქრებოდ-

# ბუკა პეტრიაშვილის დაჭრის

## ამ სინდისგარეცხილ პოლიტიკოსებში ვახტანგ ხმალაძე,

**ალბათ, გახსოვთ, ცოტა ხნის წინ პეტრიაშვილ-მიშველაძის წყვილმა ამბავი რომ ატეხა, ჩვენზე ფარული მიყურადებააო და ხელისუფლება რომ ამხილა, უკანონოდ გვითვალთვალებენო. როგორც ამბობენ, სოსო დოლიძე დიდი ხანია ემუქრება ბუკა პეტრიაშვილს და წყვილმა თავი დაიზღვიაო**



**უკვე ამბობენ, რომ ბოლო, მესამე ტყვია ბუკას ფეხში კი არა, ცოტა სხვა, უხერხულ ადგილას მოხვდა...**

საფლავზე, სამ მეგობართან ერთად, იმყოფებოდა. ლევან მიქელაძე საბურთალოს პანთეონშია დაკრძალული და შესაბამისად, ეს ამბავიც იქ მოხდა. საქმე 117-ე მუხლით, სხეულის განზრახ დაზიანების ბრალით არის აღძრული. რა მოხდა, ახლავე მოგახსენებთ. ბუკა პეტრიაშვილი სასაფლაოზე სამ მეგობართან ერთად მივიდა, მას იქ დახვდა ორი, ჯერჯერობით უცნობი პიროვნება. ბუკა პეტრიაშვილის თანმხლებთაგან ერთ-ერთი, ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მრჩეველი, კახა კანდელაკი იყო. მისი თქმით, თავდამსხმელთაგან ერთს ნიღაბი ეკეთა, მეორე კი ცდილობდა, სახე არ გამოეჩინა. კანდელაკი პროკურატურამ სროლის ხმა არ გაუგია, მაგრამ კარგად დაინახა, რომ ერთ პიროვნებას ორი ადამიანი გამეტებით სცემდა და მათ შორის, ე.წ. ბიტებით, ანუ ბეისბოლის ჯოხებით. ის პიროვნება კი, რომელსაც ამ „ბიტებს“ ურტყამდნენ, ცხადია, ბუკა პეტრიაშვილი იყო. საბოლოოდ, ბუკა პეტრიაშვილს თავდამსხმელებმა ამ ბეისბოლის ჯოხებითაც მიაყენეს თავზე ჭრილობა და ცეცხლსასროლი იარაღითაც დაჭრეს – 2 ტყვია პეტრიაშვილს ფეხში აქვს მოხვედრილი და ერთი წელ-ზურგის არეში. სასიკვდილო არც ერთი ჭრილობა არ აღმოჩნდა.

მოდით, ახლა იმ მიზეზებსა და დანაშაულის მოტივზე ვისაუბროთ, რის გამოც ბუკა ში იგრძნობა, ხელისუფლებას ბრალს ვერ სდებენ. ერთადერთი, იმაში ადანაშაულებენ, რომ ერთ-ერთი წამყვანი პარტიის გენმდივანს ასე სასტიკად არ უნდა უსწორდებოდნენ დღისით, მზისით და თან ქალაქის ცენტრშიო. ისე, რა შუაშია პოლიტიკური პარტიის გენმდივანი? არც ერთ ადამიანს, მიუხედავად იმისა, პოლიტიკასთან შეხება აქვს თუ არა, ასე არ უნდა უსწორდებოდნენ და როცა ეს ხდება, თუ მთლიანად სახელმწიფოსი არა, მინიმუმ, შსს-ს უდიდესი მინუსია.

ისე, დაზარალებული პეტრიაშვილი იმ ჩინოსან პოლიტიკოსთა რანგს მიეკუთვნება, რომლებსაც იარაღის ტარების უფლება აქვთ. მას შეეძლო, შეგახსენოთ, რომ ბუკა პეტრიაშვილის მეუღლე ჟურნალისტი ეკა მიშველაძეა, რომელსაც სულ ახლახან დაატოვებინეს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. ისინი სულ რამდენიმე თვეა, რაც შეუღლდნენ.

როცა ბუკა პეტრიაშვილი დაჭრეს საბურთალოს სასაფლაოზე, მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს ეკა მიშველაძის პირად ცხოვრებას უკავშირდებოდა და პეტრიაშვილს, სავარაუდოდ, მიშველაძის ყოფილი ქმარი, ან მისი ყოფილი შეყვარებული გაუსწორდნენ. ამ სავარაუდო ვერსიის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ არც ერთ ლიდერს არ გაუკეთებია განცხადება. თუმცა, ბუკა პე- სებში ვახტანგ ხმალაძე, ზვიად კვაჭანტირაძე და ნუკრი ქანთარია აღმოჩნდნენ, რადგან სწორედ მათ არ გამორიცხეს მომხდარ ამბავში პირადი ცხოვრების მოტივები...

ირაკლი ალასანია და მისი თანაგუნდელები რაღაცას რომ მალავენ, ბოლომდე რომ არ ამბობენ და საგულისხმო ინფორმაცია აქვთ, ამის ვარაუდის საფუძველი ნამდვილად გვაქვს. მოდით, სანამ მსჯელობაზე გადავიდოდე, მედიით გავრცელებულ ერთ ინფორმაციას შემოგთავაზებთ.

„ერთ-ერთი ვერსიით, ალექსი პეტრიაშვილს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა სოსო დოლიძესთან, რომელიც ალექსი პეტრიაშვი- ნენ. როგორც ირკვევა, სოსო დოლიძე და ალექსი პეტრიაშვილი კარგა ხანია იცნობენ ერთმანეთს, მათ საკმაოდ ბევრი საერთო მეგობარი ჰყავთ“ („კვირის პალიტრა“). მედიაში სოსო დოლიძის სახელის და გვარის გაჟღერების შემდეგ, „ფოსტალიონი“ საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედულ, პეტრიაშვილთან და დოლიძესთან დაახლოებულ პირებს გავესაუბრე. „წლების მანძილზე სოსო დოლიძე ეკა მიშველაძის შეყვარებული იყო და ერთადაც ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, ბიზნესებიც კი ჰქონდა ეკას შვილზე და ეკაზე გადა

გაგრძელება ოცდამეხუთე გვ.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რუსი ქიმიკოსი
2. ჩილეს დედაქალაქი
3. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
4. ამოსახველებელი ნაყენი
5. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
6. მისი დედაქალაქია ბერლინი
7. სამკელი იარაღი
8. მსახიობი ... ჰოპკინსი
9. ჯალათის ფიცარნაგი
10. მარჯნის კუნძული
11. მხ/ფ „... წყნეთელი“
12. ხერხემლის ძვალი
13. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
14. ერთნა-ხადი არაყი
15. ძვ. რომაული სამოსი
16. მსახიობი ... ლი ჯონსი
17. ბურღულეული
18. მხ/ფ „ზვიგენის ...
19. ქალაქი გერმანიაში
20. ახალი ზელანდიის მკვიდრი
21. პატარა ნაცრისფერი ჩიტი
22. მსახიობი იგორ ...
23. რუსი კომპოზიტორი
24. გემის მთავარი კოჭი
25. იტალიის დედაქალაქი
26. სანელებელი
27. მწერალი თეოდორ ...
28. იაპონური თაიგული
29. მხ/ფ „... და მისი ძმები“
30. სომეხი რევოლუციონერი
31. ქალაქი აზერბაიჯანში
32. აფრა
33. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
34. მსახიობი ... ჰილი
35. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
36. სასულე ინსტრუმენტი
37. ისტ. ოლქი რუმინეთში
38. პერსონა ...-გრატა
39. მონღოლური ფულის ერთეული
40. 100 კაპიკი
41. მიბაძვა, მიმსგავსება
42. უქოჩრო თუთიყუში
43. ზოდიაქოს ნიშანი
44. მსახ. ... ღაღანიძე
45. კარტი, ანუ ...
46. მხატვარი ნელი ...
47. წყვილი ერთიანი ნარდში
48. კიანუ რივზი ფილმში
49. ქართ. საესტრადო ანსამბლი
50. მაიმუნის სახეობა
51. უნაგირის დეტალი
52. „ლამაზი მეგობარი“ ავტორი ... დე მოპასანი
53. შიიზმის მიმდევარი
54. მსახიობი ... რაიანი
55. ფრანგი კომედიოგრაფი
56. მხატვარი სალვადორ ...
57. ქალაქი ქვემო ქართლში
58. მოკლე კაბა
59. ქალაქი აფხაზეთში
60. ჰაერში ასაშვები ძაფზე გამობმული ქაღალდის ფურცელი
61. მსახიობი ... ტაილერი
62. პერო. „... მზეთუნახავი“
63. სინთეზური ქსოვილი
64. საქალაქო ტრანსპორტი
65. საფრანგეთის იმპერატორი
66. ... შვარცენეგერი
67. მსახიობი ... კალკინი
68. ვაქცინაცია
69. მდინარე ჩინეთში
70. ჩილეში: ავგუსტო ...
71. ყავისფერი პიგმენტი
72. მხ/ფ „...-ორკესტრი“
73. ფიზიკოსი მაქს ...
74. „სამგროშიანი ...“
74ა. იტალიური ფულის ერთეული
75. რეჟისორი ... დე ბონტი
76. ხელწერის სტილი
77. ... პუგაჩოვა
78. ჩახავა და მანჯგალაძე სპექტაკლში
79. მოკრივე ... მარჩიანო
80. კურორტი ბულგარეთში
81. მსაჯი
82. მხ/ფ „ვესტსაიდური ...
83. მისი დედაქალაქია ოტავა
84. ყვავის ბარტყი
85. ყვავილი
86. მოცულობის ერთეული აშშ-ში
86ა. გაყიდვა / [illegible]
87. ბრიუს უილისი ფილმში
88. თბილისის უბანი
90. შინაური ცხოველი
91. სომხეთის დედაქალაქი
92. მოწონების შეძახილი თეატრში
93. ჩრდილოეთის ირემი
94. სასვენი ნიშანი
95. მსახიობი ოსვალდო ...
96. პარკის, იგივე აბრეშუმის ...
97. მხ/ფ „... ბროკოვიჩი“
98. სოფელი მარტვილის რაიონში
99. მდინარე იტალიაში
100. ქალაქი იტალიაში
101. კუნძული იაპონიაში
102. ერთი ადამიანის მეცნიერ. ნაშრომი
103. სიმინდის ყვავილედი
104. მომღერალი ... რიდი
105. „დორიან ... პორტრეტი“
106. ... გათეთრდების ყორანი
107. ჩეხოვი. „ძია ...“
108. ქალაქი ავსტრალიაში
109. სტადიონი რიოში
110. ოჯახის უმცროსი შვილი
111. შვედური საესტრადო ანსამბლი
112. მომღერალი ლედი ...
113. გერმანული ავტომობილი
114. მწერი
115. ბიბლიური მთა
116. ...-კლარჯეთი
117. გრძელი კარავი
118. სატირული ნარკვევი
119. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
120. ცურვის სტილი
121. თევზის ძვალი
122. ისტ. ციხე-ქალაქი კახეთში
123. რეჟისორი ჯონ ...
124. მსახიობი გოიკო ...
125. ქალაქი ესტონეთში
126. საფარიკაო იარაღი
127. მწერალი სომერსეტ ...
128. ეპოქა
129. აეროპორტი პარიზში
130. პოეტი ... ამაღლობელი
131. მსახიობი ბრიუს ...
132. სამოთხის ბაღი
133. ბანდიტური დაჯგუფება
134. მსახიობი ... პაჩინო
135. ლითონი
136. მსახიობი ჟერარ ...
137. ამფიბია
138. „მაუგლი“ დათვი
139. კონტინენტი
140. გამის ნოტი
141. ... აბრაამის ბატკანი
142. ქალაქი სამეგრელოში
143. მატონიზირებელი სასმელი
144. ტარზანის მაიმუნი

პასუხები: 1. მენდელეევი; 2. სანტიაგო; 3. კოსტა-რიკა; 4. ალთე; 5. არგენტინა; 6. გერმანია; 7. ნამგალი; 8. ენტონი; 9. ეშაფოტი; 10. ატოლი; 11. მაია; 12. მალა; 13. ტატამი; 14. რახი; 15. ტოგა; 16. ტომი; 17. მაკარონი; 18. კბილი; 19. საარბრიუკენი; 20. მაორი; 21. ნარჩიტა; 22. ილინსკი; 23. გლინკა; 24. კილი; 25. რომი; 26. მარილი; 27. დრაიზერი; 28. იკებანა; 29. როკო; 30. კამო; 31. განჯა; 32. იალქანი; 33. მარიონეტი; 34. ბენი; 35. მაკ; 36. კლარნეტი; 37. ტრანსილვანია; 38. ნონ; 39. ტუგრიკი; 40. მანეთი; 41. იმიტაცია; 42. არა; 43. კირჩხიბი; 44. ჯემალ; 45. ბანქო; 46. ოქროპირიძე; 47. იაგანი; 48. „მატრიცა“; 49. „ივერია“; 50. ბაბუინი; 51. უზანგი; 52. გი; 53. შიიტი; 54. მეგ; 55. მოლიერი; 56. დალი; 57. მარნეული; 58. მინი; 59. გაგრა; 60. ფრანი; 61. ლივ; 62. მძინარე; 63. ნეილონი; 64. ტროლეიბუსი; 65. ნაპოლეონი; 66. არნოლდ; 67. მაკოლეი; 68. აცრა; 69. იანძი; 70. პინოჩეტი; 71. მელანინი; 72. ადამიანი; 73. პლანკი; 74. ოპერა; 74ა. ლირა; 75. იან; 76. კალიგრაფია; 77. ალა; 78. „პეპო“; 79. როკი; 80. ვარნა; 81. არბიტრი; 82. ისტორია; 83. კანადა; 84. ბახალა; 85. ენძელა; 86. ძე; 87. ბარელი; 88. „არმაგედონი“; 89. ავჭალა; 90. თხა; 91. ერევანი; 92. ბის; 93. მარალი; 94. მძიმე; 95. რიოსი; 96. ჭია; 97. ერინ; 98. ბანძა; 99. პო; 100. ბოლონია; 101. ოკინავა; 102. მონოგრაფია; 103. ტარო; 104. დინ; 105. გრეის; 106. არ; 107. ვანია; 108. ადელაიდა; 109; „მარაკანა“; 110. ნაბოლარა; 111. „აბბა“; 112. გაგა; 113. „მერსედესი“; 114. ობობა; 115. არარატი; 116. ტაო; 117. სეფა; 118. ფელეტონი; 119. ნაგომარი; 120. ბრასი; 121. ფხა; 122. გრემი; 123. ვუ; 124. მიტიჩი; 125. ტარტუ; 126. რაპირა; 127. მოემი; 128. ერა; 129. „ორლი“; 130. რატი; 131. ლი; 132. ედემი; 133. ბანდა; 134. ალ; 135. რკინა; 136. ფილიპი; 137. სალამანდრა; 138. ბალუ; 139. აფრიკა; 140. მი; 141. მამა; 142. აბაშა; 143. ჩაი; 144. ჩიტა. იკითხება: ედიტა პიეხა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1.იტალ. მსახიობი ნინო ...
2.ძვ. სამეჯლისო ცეკვა
3.გონებრივი შრომით დაკავებულ ადამიანთა სოციალური ფენა
4.მევიოლინე ვანესა ...
5.კაპიტალისტ. მონოპოლიის სახე
6.მხ/ფ „... ზორბა“
7. ბირმის დღევანდ. სახელწ.
8.ადმირალი ჰორაციო ...
9.მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
10. მდინარე აღმ. საქართ.
11.რეჟისორი პედრო ...
12. გამის ნოტი
13. ციხე-სიმაგრე თბილისში
14. ყვავის თიკუნი
15. ინგლისის დედაქალაქი
16.რამდენიმე ქვეყნის სროლა
17. მწვანე ადგილი უდაბნოში
18.მსახ. ... ფრეინდლიხი
19. აღორძინების ეპოქა
20.ძვ. რუსული სიგრძის ერთეული
20ა. მსახიობი ... ჟირარდო
21. ... ნელა
22. მატონიზირებელი სასმელი
23. „ოტელო“ პერსონაჟი
24. მსხვილი ნაწლავის ანთება
25.ფრინველის რქოვანა პირი
26. მსახიობი ... ლანკასტერი
27.მხ/ფ „... მწვანე ველი“
28. „შენ ... ვენახი“
29. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
30. ბალეტის მოცეკვავე ვახტანგ ...
31.მხ/ფ „ჩვენი ეზო“ დეიდა ...
32. ტომრის ფორმის საფულე
33.რეჟისორი დევიდ ...
34. ლუდის მასალა
35. შინაური ფრინველი
36. მთათა სისტემა აზიაში
37. მსახიობი პიერ ...
38. ძველი ეგვიპტის დედოფალი
39. გამარჯვების ქალღმერთი
40. მსახიობი ... თბილელი
41.რეჟისორი ... პარკერი
42. მსახიობი ... ბესინჯერი
43. მსახიობი იპოლიტე ...
43ა. გამის ნოტი
44. ბანქო, ანუ ...
45.უნგრეთის დედაქალაქი
46. გარგანტუა და ...
47. ბოსტნის მავნებელი მწერი
48.ქრილობაში ჩასადები დოლბანდი
49. ნიშნავს ცივს
50. მცენარე. მრავლდება სპორებით
51. თევზის ჯიში
52. ინდური კაბა
53.მოჭადრაკე ალა ...
54. მშვილდით სასროლი ჯოხი
55. საავადმყოფოს ოთახი
56. მყარი წიაღისეული
57.„დათა თუთაშხია“ მეშნი ...
58.ფილიპინების დედაქალაქი
59. გამხმარი ხილი
60. სოუსი სანათისათვის
61. აპოლონის ქურუმი ტროაში
62.დასტინ ჰოფმანი და ჯესიკა ... ფილმში „ტუტსი“
63. ძველმანი ნივთები
64. ნარინჯისფერი პიგმენტი
65. თევზის წვნიანი
66. მექსიკური ქუდი
67. სოფელი თელავის რაიონში
68. ტბა თბილისში
69. ნიშნავს საწინააღმდეგოს
70. მექრთამეობა
71. იგავი „მგელი და ...“
72.მომღერალი მირეი ...
73. ტრამვაის მძღოლი
74. არომატული ნივთიერება
75. ცეცხლსასროლი იარაღი
76. შარდის ბუშტის ანთება
77. მორწყვის სისტემა
78. ღირებულება
79. მზის ღმერთი ...-რა
80. მწერალი მერაბ ...
81. კომბლეს ძროხა
82. შტატი აშშ-ში
83.თურქეთის დედაქალაქი
84.მომღერალი ... მარლი
85. ქიმიური ინდიკატორი
86. ტროპიკული ნაყოფი
87. ტოტი, ანუ ...
88. ქალაქი აშშ-ში
89. ალაოს მაქარი
90. „... და მშვიდობა“
91. „დორიან ... პორტრეტი“
92. ჟან-კლოდ ... დამი
93. სულების გამოძახება
94.აირის შესანახი ლითონის ჭურჭელი
95.ჩვილის კბილი, იგივე ... კბილი
96. უმარლესი ხარისხის ბროლი
97. ძვ. სიმებიანი საკრავი
98. „ნათლია“ დონ ვიტო ...
99.მუშათა მოძრაობის ლიდერი დოლორეს ...
100. მდინარე. ჩაედინება არალის ზღვაში
101. მგალობელი ფრინველი
102. სიგრძის საზღვაო ერთეული
103. თვალის გუგა
104. იუპიტერი თანამგზავრი
105. რეზინის ფეხსაცმელი
106. ხმლის ბუდე
107. უნაყოფო ნიადაგი
108. მწერალი მაქსიმ ...
109.ამ ელაზე მეტყველებდა ქრისტე
110. ჩინეთის დიდი ...
111.უბატონოდ დარჩენილი სამურაი
112. ვაზის ჯიში
113. მსახიობი ვივიენ ...
114. ზარის ხმა, ანუ ...
115. ქალაქი კვიპროსში
116. თევზის ჯიში
117. ნიშნავს ახალს
118. „მაუგლი“ პითონი
119. სილა
120. ჩეხეთში: ვაცლავ ...
121. სტალინის დედა
122. მოუხარშავი
123 .... პრუტკოვი: ალ. ტოლსტოის და ძმებ ჟემჩუჟნიკოვების კოლექტიური ფსევდონ.
124. ვარსკვლავის წვეტი
125. ჩეხოვი. „... ვანია“
126. ბოსტნეული
127. ტიბეტური ხარი
128. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცხება“
129. ... კაცი ვარ, აგრე რატომ მიყურებთ
130. ნაკურთხი წყალი
131.ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
132. მწვანილი
133. საჭადრაკო ტერმინი
134. ჩრდილოეთის ირემი
135. მუსიკალური განართობი

„ოცნებას“ რომ უთხრა, პოლიციურ ქვეყანაში ვცხოვრობთ ისევო, ისეთ გაკვირვებულ და მიამიტ სახეებს მიიღებენ, ლამის შეგრცხვეს! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აბა, სხვა რა ჰქვია იმ ფაქტს, როდესაც შენს ქვეყანაში, შენს ქალაქში, შენს უბანში დოკუმენტების გარეშე ვერ გამოსულხარ. როდესაც მთლიანად დამოკიდებული ხარ, რამხელა „აიქიუ“, ანუ ინტელექტის დონე, აქვს რიგით პოლიციელს, ანუ „გონივრული ეჭვი“ საფუძვლიანად გაუჩნდება პირის მიმართ, თუ მხოლოდ იმიტომ, რომ „პიტალოა“ და ზოგადად, ყველაფერში ეჭვი ეპარება, რადგან არაფერი იცის!

4. პოლიციელი პირის იდენტიფიკაციის ღონისძიების განხორციელებისას ადგენს ოქმს, რომელშიც მითითება ღონისძიების განხორციელების საფუძველი და ყველა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება. პირის იდენტიფიკაციის ოქმს ხელს აწერენ ღონისძიების განმახორციელებელი პოლიციელი და ღონისძიების ადრესატი. ღონისძიების ადრესატის მიერ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. ღონისძიების ადრესატს უფლება აქვს, ოქმში შეიტანოს შენიშვნა, რომელიც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

დავუშვათ, პოლიციამ საკუთარ სახლთან ახლოს მომთხოვა პირადობის მოწმობა, მოწმობა სახლში მაქვს, მაინც წამიყვანენ პოლიციაში? შსს-ში განგვიმარტეს, რომ ასეთ დროს, პოლიციელს აქვს უფლება, სახლში მიჰყვეს მისთვის საეჭვოდ მიჩნეულ პირს, მისავე სახლში ნახოს მისი პირადობის მოწმობა და სავარაუდოდ(!!!), მას პოლიციის განყოფილებაში აღარ გადაიყვანენ. კარგი, ადამიანს თან არ მაქვს ეს პირადობის მოწმობა, სახლიდან მოშორებით გამაჩერა პოლიციამ და განყოფილებაში წამიყვანა. რამდენი ხნით შეუძლიათ ჩემი დაკავება და ჩემი პიროვნების იდენტიფიცირების გარკვევა? ხომ შეიძლება, დილით დამაკავონ და მთელი დღე მაყურყუტონ განყოფილებაში. ამის შესახებ შსს-მ განმიმარტა, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონში არ წერია(!!!), რამდენი ხნით აქვს პოლიციას პირადობის მოწმობის არმქონე პიროვნების დაკავების ვადა, თუმცა, დამამშვიდეს, რომ პირის იდენტიფიცირება გონივრულ ვადაში და ძალიან სწრაფად ხდება და მას დიდხანს არ აჩერებენ განყოფილებაში. ეს ძალიან კარგია, თუ სწრაფად ხდება პირის იდენტიფიცირება, მაგრამ უფრო კარგი იქნება, თუ კანონში ამ „გონივრული ვადის“ კონკრეტული დრო და ვადა ჩაიწერება. შსს-ში განგვიმარტეს, რომ, თუ პირს მართვის მოწმობა თან ექნება, პოლიცია მას აღარ მოსთხოვს პირადობის მოწმობას და ჩათვლის, რომ პირი უკვე იდენტიფიცირებულია. მადლობა ვის? შსს-ს!

### ამოჭერით და შეინახეთ!!!

„ოცნებას“ რომ უთხრა, პოლიციურ ქვეყანაში ვცხოვრობთ ისევო, ისეთ გაკვირვებულ და მიამიტ სახეებს მიიღებენ, ლამის შეგრცხვეს! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აბა, სხვა რა ჰქვია იმ ფაქტს, როდესაც შენს ქვეყანაში, შენს ქალაქში, შენს უბანში დოკუმენტების გარეშე ვერ გამოსულხარ. როდესაც მთლიანად დამოკიდებული ხარ, რამხელა „აიქიუ“, ანუ ინტელექტის დონე, აქვს რიგით პოლიციელს, ანუ „გონივრული ეჭვი“ საფუძვლიანად გაუჩნდება პირის მიმართ, თუ მხოლოდ იმიტომ, რომ „პიტალოა“ და ზოგადად, ყველაფერში ეჭვი ეპარება, რადგან არაფერი იცის!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# ვინ არის კობა გვენეტაძე, რა გზა გაიარა დღემდე?

## რატომ არჩია პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ანა დოლიძე, რომელსაც სამოსამართლეო გამოცდები არ ჩაუბარებია?

გასულ კვირას მარგველაშვილმა ჯერ ეროვნული ბანკის საბჭოს ერთ-ერთი „ვადაგასული“ წევრის სანაცვლოდ კობა გვენეტაძე წარადგინა, ხოლო შემდეგ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ (ლევან მურუსიძის ნაცვლად) თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ანა დოლიძეს გამოუწერა „პუწიოვკა“. ოფიციალური ინფორმაციით, მარგველაშვილმა გაითვალისწინა პროფესიული განათლება, პროფესიული კვალიფიკაცია და პოლიტიკური მიუკერძოებლობა.

დავიწყოთ პირველით. ვინ არის კობა გვენეტაძე, რა გზა გაიარა დღემდე? ის გახლავთ კომპანია „ჩალტ ანდ თაგგარტალტ“-ის ეკონომიკური მრჩეველი, 2002-2015 წლებში ეკავა უფროსი ეკონომისტის თანამდებობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტში, ვაშინგტონში. 2001-2002 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, ხოლო მანამდე 1 წელი მუშაობდა ფინანსთა მინისტრის მოადგილედ. 1994-1996 წლებში საქართველოს ეროვნულ ბანკში ეკავა მთავარი ეკონომისტის თანამდებობა. გამოცდილება აქვს, ვერაფერს იტყვი. თავად კობა გვენეტაძემ დეპუტატებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იქნება ქვეყანაში ლარიზაციის გაზრდა, რაც მომავალში საფუძველი იქნება იმისა, რომ ნაკლებად მტკივნეულად იყოს გადატანილი პოტენციურად შესაძლებელი შოკებიო. რასაკვირველია, თუ საქართველოში დოლარიზაციის დონე შემცირდება, ეს შედარებით მაინც გაამყარებს ლარის კურსს. გიორგი ქადაგიძემ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტი უკვე დატოვა, ლარი თავისუფალია, მალე ვნახავთ, რა პოლიტიკას გაატარებს ამ სფეროში ხელისუფლება. არ არის გამორიცხული, ეროვნული ბანკის საბჭოში ჩარიცხვის შემდეგ კობა გვენეტაძე იმავე ბანკის პრეზიდენტად, ანუ გიორგი ქადაგიძის შემცვლელად მოგვევლინოს. „ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა“ ასოციაციის მტკიცებით, ქადაგიძემ და ოდესის გუბერნატორმა ეფექტური კანდიდატურა შემოაგდეს. ეს არის შევარდნაძის მთავრობის ფინანსთა მინისტრის, ნოღაიდელის მოადგილე, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის შემდეგ „საქართველოს ბანკთან“ დაკავშირებული კობა გვენეტაძე. „აფბას“ ვიცე-პრეზიდენტის, მერაბ ჯანიაშვილის თქმით, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კანდიდატურა ქადაგიძესთან შეათანხმა.



კიდევ ერთი კომპრომატი: 2001 წელს ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც ყოფილ სახელმწიფო ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრები მოსახლეობისთვის უნდა დაებრუნებინა, ანუ უნდა შეემუშავებინა ეტაპობრივი დაბრუნების სქემა. გიორგი არსენიშვილთან, გიორგი ისაკაძესთან, ვლადიმერ პაპავასთან, ზურაბ ნოღაიდელთან, თემურ ბასილიასთან, ვანო ჩხარტიშვილთან, მიხეილ მაჭავარიანთან, მიხეილ სააკაშვილთან და სხვებთან ერთად ამ კომისიის წევრი, ასევე, გახლდათ კობა გვენეტაძე. სხვათა შორის, მე უკვე მივმართე თამაზ მეჭიაურს, როცა გასაუბრება ექნებათ, დაუსვან შეკითხვა გვენეტაძეს, რა მოხდა მაშინ, რატომ დაიშალა კომისია, რატომ არ დაგვირიგეს ანაბრები?!



ახლა ანა დოლიძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ბოლო დროს ცხოვრობდა კანადაში. 2004-2006 წლებში იყო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე. სანამ თინა ხიდაშელი თავის მოადგილედ ჩამოიყვანდა, ლექციებს კითხულობდა ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში. როგორც ხედავთ, ანა დოლიძესაც იდეალური „სივი“ აქვს, მაგრამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაინც გამოუქექა ერთი „დანაშაული“. კერძოდ, ჩიორა თაქთაქიშვილმა ის დოკუმენტი გაასაჯაროვა, რომლის მიხედვითაც ის 2008 წლის ომის შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე ორგანიზაცია „რუსეთის მართლმსაჯულების ინიციატივასთან“ თანამშრომლობდა, ანუ 2008 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე სამართლებრივ კონსულტაციას უწევდა მოსკოვში არსებულ ჰოლანდიაში რეგისტრირებულ ორგანიზაციას. თურმე ეს ის ორგანიზაცია ყოფილა, რომელიც სტრასბურგის სასამართლოში უჩივის საქართველოს და ამტკიცებს, რომ ცხინვალის დაბომბვის დროს ქართულმა მხარემ განზრახ დახოცა რუსეთის მოქალაქეები. სხვათა შორის, სანამ ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნებოდა, ამ ადგილს ანა დოლიძეც უმიზნებდა, გაერთიანებულმა პროფკავშირებმა კანდიდატადაც წარადგინა, მაგრამ იმ ეტაპზე არ გამოვიდა. დოლიძე „ნაციონალებს“ ცოტა გაუგებრად პასუხობს, ის არ აკონკრეტებს, რა აკავშირებდა რუსულ ორგანიზაციასთან:

„უამრავი დრო იყო, რომ რომელიმე წევრს წარმოდგენილი ორგანიზაციიდან შეემოწმებინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდი, სადაც განთავსებულია ჩემი ბიოგრაფია და თუ აგვისტოს ომთან რაიმე კითხვები ჰქონდათ დასასმელი, 10 თვე იყო ამისთვის სავსებით საკმარისი. გარდა ამისა, უფრო უპრიანი იქნებოდა, ეს დაესვათ თავდაცვის მინისტრის მოადგილისთვის, ვიდრე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისთვის. ამიტომ მოვუწოდებ, საშინაო დავალება ყველამ უკეთესად მოამზადოს თავის დროზე“.

### კანდიდატები

რა ქონება აქვს ანა დოლიძეს, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად? 80 კვადრატული მეტრი ბინა დიდ დიღომში, მსუბუქი ავტომობილი „კია“ და 40-ათასლარიანი ანაბარი „საქართველოს ბანკში“. „ალია“ უკვე წერდა, რატომ არჩია პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ანა დოლიძე, რომელსაც სამოსამართლეო გამოცდები არ ჩაუბარებია... პრეზიდენტის მრჩევლის, კახა კოჟორიძის თქმით, თურმე დოლიძეს იმდენი ღირსება აქვს, ისეთი მაღალი დონის იურისტია, ხარვეზი ვერ მოუძებნეს. გარდა ამისა, როგორც კოჟორიძე ამბობს, გამოცდების ჩაბარება კანონის მოთხოვნა არ გახლავთ. კი, მაგრამ, თუ სამოსამართლეო გამოცდების ჩაბარება კანონით სავალდებულო არ არის, მაშინ სხვები რატომღა აბარებენ? პრინციპში, როცა საქმე თინა „ძალოს“ პოლიტიკასთან გვაქვს, რაღაც ბარიერების გადალახვა საჭირო არ არის. არც თამარ ხიდაშელს ჰქონდა რაიმე გამოცდილება პოლიტიკაში, მით უმეტეს, საგარეჯოელებს საერთოდ არ უნახავთ, მაგრამ ხომ მიაწყდა ხალხი საარჩევნო უბნებს და ხომ გახდა დეპუტატი? ახლა გინდა გამოძიება ჩაატარონ, გინდა – „გამოკვლევება“, ყველაფერი მაინც მიფუჩეჩდება.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მკლავჭიდელები ფედერაციის პრეზიდენტობიდან სოსო ჯაჭვლიანის გადადგომას მოითხოვენ



მკლავჭიდელები ფედერაციის პრეზიდენტის, სოსო ჯაჭვლიანის გადადგომას მოითხოვენ და ფედერაციაში არსებული სიტუაციის მოგვარებას სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს სთხოვენ.

მსოფლიო ჩემპიონებმა – ვასილ დაუთაშვილმა, ლევან საგინაშვილმა, რევაზ ლუტიძემ და გენადი კვიკვინიამ მკლავჭიდის ფედერაციაში არსებულ დარღვევებზე ისაუბრეს და განაცხადეს, რომ მათ საქმის შესწავლისთვის სპორტის სამინისტროს განცხადებითაც მიმართეს.

ვასილ დაუთაშვილის თქმით, მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ჯაჭვლიანი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და სპორტსმენები არასათანადო პირობებში ვარჯიშობენ.

ამასთანავე, დაუთაშვილის ინფორმაციით, ჯაჭვლიანი ფედერაციის პრეზიდენტის გარდა, გაფორმებულია როგორც ნაკრების მწვრთნელი, „იმისთვის, რომ აიღოს მეტი ხელფასი, რეალურად კი მკლავჭიდელები მწვრთნელის გარეშე ვარჯიშობენ“.

– სოსო ჯაჭვლიანი არის ნაკრების მწვრთნელი, თუმცა ის არც ერთხელ არ ყოფილა ვარჯიშზე და ჩვენ მწვრთნელის გარეშე გვიწევს ვარჯიში. ეს ყველაფერი იმისთვის გააკეთა, რომ მას მეტი ხელფასი აღო, – განაცხადა ვასილ დაუთაშვილმა.

მკლავჭიდელების თქმით, მათ სპორტის სამინისტროს 2 კვირის წინ განცხადებით მიმართეს, რათა დაინტერესდეს ფედერაციაში მიმდინარე პროცესებით და უწყებისგან პასუხს ელოდებიან. (ინტერპრესნიუსი)

## მღებრიშვილი მიდის – სამთავრობო „კარუსელი“



უახლოეს მომავალში შესაძლოა მთავრობაში წინასაარჩევნო საკადრო ცვლილებები განხორციელდეს. გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობას დატოვებს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი და მის პოსტს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე დაიკავებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მიხეილ ჯანელიძეს მისი პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი ჩაანაცვლებს, ჯანელიძე კი ეკონომიკის სამინისტროს ჩაიბარებს. ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს ჩაანაცვლებს. (პირველი რადიო)

## კასპში ჩხუბის დროს მამაკაცი გაგუდეს

სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ზურაბ ფ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში, ურთიერთშელაპარაკებისას, თანასოფლელს – 1971 წელს დაბადებულ მამაკაცს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ ხელით გაგუდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ზურაბ ფ. მომხდარიდან ნახევარ საათში დააკავა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

## მაღაროელებს საგადასახადო შეღავათები შეუნარჩუნდებათ



მაღაროელებს მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე არსებული საგადასახადო შეღავათები შეუნარჩუნდებათ – შესაბამისი კანონპროექტი მომზადებულია და პარლამენტში განსახილველად უახლოეს მომავალში შევა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის სხდომაზე ტყიბულში მაღაროელების გაფიცვის საკითხით დაინტერესდა. მან ინფორმაციის მიწოდება ჯანდაცვისა და ფინანსთა მინისტრებს სთხოვა.

– ჩვენ მოვამზადეთ გარკვეული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე ჰქონდათ საგადასახადო შეღავათები, უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება მაღაროელებს, შეღავათები შეუნარჩუნდებათ. ამ შეღავათების მოქმედება გაგრძელდება. ჩვენ ამის თაობაზე გვაქვს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტთან და აღნიშნული კანონპროექტი უახლოეს მომავალში იქნება ინიცირებული, – განაცხადა ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომაზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განმარტებით, ტყიბულის მაღაროში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები არის შრომითი დავა. მანვე იმედი გამოთქვა, რომ სამინისტროს მხრიდან მოლაპარაკებებისა და მედიაციის გზით, შესაძლებელი გახდება საკითხის დარეგულირება.

– ტყიბულის მაღაროში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცალსახად არის შრომითი დავა. ეს არ არის კავშირში რაიმე სხვა პროცესებთან. ჯანდაცვის სამინისტრო პირველი დღეებიდან არის ჩართული ამ შრომით დავაში. ეს კანონით მონიჭებული მოვალეობაა. ჩვენი მიმდინარე ანალიზით, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება მარტივად არ მიმდინარეობს, ის მაინც რჩება შრომითი დავის ფარგლებში. მე ვფიქრობ, უახლოესი დღეები გვაჩვენებს პროგრესს, როდესაც მოლაპარაკებისა და ჩვენი მხრიდან მედიაციის გზით შესაძლებელი იქნება ყველა საკვანძო საკითხის დარეგულირება, – განაცხადა დავით სერგეენკომ. (pia.ge)

# როგორ „გააპრავა“ გია კორკოტაშვილი ნინო ანანიაშვილმა?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61







**„ნაცები“ ყველაფერს აკეთებენ, მეტი შანსი არა აქვთ და „ქოცებს“ კიდევ მეტის ერთი ადგილი არა აქვთ“**

**კიდევ ერთი ანეკდოტური სკანდალი: მაშინ, როცა ანანიაშვილი მოსკოვში ცეკვავდა, მისი მეუღლე, საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, გრიგოლ ვაშაძე მოსახლეობას მოუწოდებდა: ყველა, ვინც მიიჩნევთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, შევიკრიბოთო**

წინა კვირას, როცა რუსეთის „პირველი არხით“, გია კორკოტაშვილმა ურგანტის შოუში რუსი კომპოზიტორის, ვლადიმერ შაინსკის სიმღერა ლეგენდარულ მომღერალთან, ლუბა უსპენსკაიასთან ერთად შეასრულა, ზოგიერთებმა დიდი სკანდალი „ააგდეს“ – აჰა, ნახეთ, „კორკოტა“ ოკუპანტ რუსებს უმღერის, ახლაც არ დაიჯერებთ, რომ კრემლის ჯაშუშიაო?! არადა, ურგანტის „სასტავმა“ „იუთუბიზე“ კორკოტასი და მისი ძმაკაცების „ჩუნგა-ჩანგა“ მოისმინეს, ნახეს, რომ რამდენიმე მილიონი ნახვა ჰქონდა, მოსკოვში მიიწვიეს და ლუბას დაბადების დღისთვის მიძღვნილ შოუში დუეტში ამღერეს...

მოკლედ, ლანძღეს „კორკოტა“, ათრიეს, ტალახი ასხეს (თან ისე, არც რუსეთში დაკაცებული ბუბა კიკაბიძე გახსენებიათ და არც მათივე ფავორიტი ლელა წურწუმია და ნინო ჩხეიძე, ერთ დაძახილზე რომ გავარდნენ მოსკოვში) და უცებ, თვითონაც რომ ვერ მოვიდნენ აზრზე, ისე დარჩნენ პანჩურამორტყმულები – 25 თებერვალს, საქართველოს ოკუპაციის დღეს, მიხეილ სააკაშვილის ნათელ-მირონმა, ნინო ანანიაშვილმა მოსკოვის დიდ თეატრში, მისი პედაგოგის, რაისა სტრუჩკოვა-ლაფაურის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტზე იცეკვა. ამან „ნაციონალები“ ისე დააბნია, საერთოდ გაისუსნენ. ბოლოს მხოლოდ გიგა ბოკერიას „დედოფალმა“, თამარა ჩერგოლეიშვილმა ამოღერღა:

„უკიდურესად სამწუხარო და სამარცხვინოა, რომ საბჭოთა ოკუპაციის დღეს, მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ნინო ანანიაშვილი იცეკვებს.

მართალი გითხრათ, ვერ წარმომედგინა, რომ ასეთ შეცდომას დაუშვებდა“.

განა რამეო, ამბობს დამატებით ნანუკა ჟორჟოლიანი, იცეკვოს, კაცო, ეგ სადაც არ უნდა წავიდეს, მაინც ევროპულად აზროვნებს, უბრალოდ, 25 თებერვალს რომ ჩავიდა მოსკოვში, ტეხავსო. გივი თარგამაძემ ცეცხლზე ნავთი დაასხა:

„ჩემთვის ძალზე სამწუხაროა, რომ ნინო ანანიაშვილმა ჩათვალა, თითქოს ქართული საზოგადოებისთვის მეტად ადვილია იმის ახსნა, საბჭოთა ოკუპაციის დღეს რის გამო ატარებ კონცერტს ბოროტების სათავეში ჯალათების საამებლად, ვიდრე, თუნდაც, საყვარელი მასწავლებლისთვის, ახსნა ამგვარი ქმედების სამარცხვინოობისა. შეუძლებელია მსგავსი ქცევის გამართლება“.

როგორც ხედავთ, აქ უკვე საქმე გვაქვს აზროვნების უმაღლეს მწვერვალთან, ამაზე მეტს ველარ მოიფიქრებენ „ნაციონალები“. ქალი თავისი მასწავლებლის იუბილეზე ჩავიდა, რაც 25 თებერვალს დაემთხვა და ესენი საბჭოთა ოკუპაციაზე ღავღავებენ. თუმცა ანანიაშვილზე არ ამბობენ, რომ ის კრემლის აგენტია. კიდევ ერთი ანეკდოტური სკანდალი: მაშინ, როცა ანანიაშვილი მოსკოვში ცეკვავდა, მისი მეუღლე, საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, გრიგოლ ვაშაძე მოსახლეობას მოუწოდებდა: ყველას, ვინც მიიჩნევთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, ყველას, ვინც ფიქრობთ, რომ ოკუპანტთან თანამშრომლობა დანაშაულია, ყველას, ვინც ირჩევთ ევროპულ მომავალს, განვითარებასა და პროგრესს, საზოგადოება „ივერია“ 13 აპრილს გიწვევთ კანცელარიის წინ – ერთად ვუთხრათ არა კოლაბორაციონიზმსო!

**ღმერთო, შენ გვესროლე მეტეორის ნაცვლად „ტაბურეტკა“, ეს ის ვაშაძეა, 1981 წელს რომ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა, 1981-1988 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში, შემდგომ, კოსმოსისა და ბირთვული შეიარაღების განყოფილებაში მუშაობდა, ხოლო 1988-1990 წლებში მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის ასპირანტი იყო. მეტიც, ეს ის ვაშაძეა, რომელსაც 2008 წლის შემდეგაც ჯიბეში რუსული პასპორტი ედო, როგორც ავიენები ამბობენ, ახლაც უდევს და საერთოდაც რუსეთის მოქალაქეა. ნინო ანანიაშვილმა მოგვიანებით თავი იმართლა, 25 თებერვალი რომ საბჭოთა ოკუპაციის დღე იყო, ამაზე არც კი დავფიქრებულვარ, ეს უბრალოდ დამთხვევააო. კი, ბატონო, ჩვენი ცხოვრება სულ ასეთი დამთხვევებისგან შედგება, მაგრამ ზოგისა რომ ბამბაც ჩხრიალებს და ზოგის ოქროსაც კიდევ საერთოდ არ აქვს ხმა, ეს როგორაა? როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული მისიის“ ხელმძღვანელი, გია კორკოტაშვილი ამბობს „ალიასთან“, „ნაციონალებს“ და მათ ნარჩენებს ძალიან უნდათ, რომ სიტუაცია ხელოვნურად არიონ და ამისთვის ყველაფერს კადრულობენ:**

– ხოო, „ნაცები“ ყველაფერს აკეთებენ, მეტი შანსი არა აქვთ და „ქოცებს“ კიდევ მეტის ერთი ადგილი არა აქვთ... აი, ახლა იმდენს იზამენ, ნინო ანანიაშვილს საერთოდ დაატოვებინებენ საქართველოს. იმის ნაცვლად, „ნაციონალებმა“ საკუთარ ბინძურ წარსულს გადახედონ და დაფიქრდნენ, კიდევ იგონებენ ახალ-ახალ რაღაცებს.

**— ისე, რაც მართალია, მართალია, ნინო ანანიაშვილმა უცებ „გაგაპრავა“...**

– კი, მაგათ სხვა თემებზე საერთოდ აღარ აქვთ სალაპარაკო. იმდენად სულელები არიან, რომ გააზრების უნარიც კი აღარ გააჩნიათ – ქალბატონი ნინოს გამოსვლა არანაირ კავშირში არ იყო 25 თებერვალთან და ოკუპაციასთან, უბრალოდ, მისი პედაგოგის იუბილე დაემთხვა. შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო 40 დღის შემდეგ, ეგენი თარიღებს თვითონ იგონებენ, თარიღომანია ხომ მიშასგან მოდიოდა? თავიდან სულ გიორგობას ამთხვევდნენ რაღაცებს, მერე ხუთიანებზე გადავიდნენ და ასე შემდეგ. არადა, კაცო, ყველაზე მეტად მაგათ ეზიზღებათ 26 მაისი და არც არასოდეს ახსენებენ, როცა პირდაპირ ჩახოცეს ნახევარი საქართველო და გვამები შემოდეს მაღაზიებზე. მეორე დღეს სააკაშვილმა გამართა შოუ, შეკრიბა რუსთაველზე ხალხი და დააჯილდოვა ვიღაცები. გენაცვალე, რას და ვის ეძებენ ან რუსეთში, ან კიდევ ამერიკაში? ამ ყველაფრის თავი იყო „ნაციონალური მოძრაობა“, ჯაშუშობასა და აგენტობაზე

## სამართალი

რომ ლაპარაკობენ, ამ დროს ხომ უკანალები კარგად უჩანთ? მომისმინე, ჩემო ძმაო, უკვე ნათელია, ვინ არის აგენტი. ადამიანი, რომელიც საქართველოს სტრატეგიულ ობიექტებს რუსეთს გადასცემს, ის ჯაშუშია, აბა, რა ჯანდაბაა?!

**— ეგ ისევე არ ითვლება ჯაშუშობად, როგორც ანანიაშვილის ცეკვა.**

– ფაქტები თვითონ ლაპარაკობენ... ახლა ნინო ანანიაშვილის ქმარი რომ გამოვა და საბჭოთა ოკუპაციაზე დაიწყებს ლაპარაკს, სირცხვილის გრძნობა აღარ გააჩნია, ამის დედა ვატირე? მე გამიგია, რომ ბევრს შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი, მაგრამ ადამიანს შუბლის ძარღვი საერთოდ არ ჰქონდეს, ეს უკვე ახალი მოვლენაა, რაა. ესენი დაიბადნენ ძარღვის გარეშე, გაიზარდნენ, მერე შეიკრიბნენ და ჩამოაყალიბეს „ნაციონალური მოძრაობა“. ვაშაძე იმდენად თავხედი და ცინიკოსია, აქეთ ჩვენ მოგვიწოდებს ევროპული ღირებულებებისკენ. არა, რა ევროპაზე მელაპარაკება თვითონ რუსეთის წიაღში ჩასახული? საერთოდ, ვინ არის და რას წარმოადგენს, კაციშვილმა არ იცის, რაა. ახლა „ივერია“ დაირქვეს, მაგის გარშემო ვინც არიან, ზოგი ამერიკის ოფიციალური აგენტია, ზოგი კიდევ რუსეთის ჯაშუში. მე არავისთან თავს არ ვიმართლებ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. ასევე, არ უნდა იმართლოს თავი ნინო ანანიაშვილმა, როგორც ხელოვანმა, მას თავისი საქმე აქვს და ის უნდა აკეთოს, უბრალოდ, მისმა ქმარმა უნდა იცოდეს, რას თავხედობს, რაა. ჩერგოლეიშვილებისა და თარგამაძეების დრო წასულია, ხელოვანი კი რჩება, არ მაინტერესებს, ეგენი რას იყეფებენ! მე ჩემს საქმეს ვაკეთებ...

## ხალხის აზრი

### „უნდა წავიდე, სხვა გზა არ მაქვს“

**მიხეილ გოგიჩაიშვილი, 24 წლის, გამნათებელი, ოპერატორი, ფოტოგრაფი:**

– ძალიან რთული სიტუაციაა, ისე გამიჭირდა, ქვეყნიდან გავრბივარ, დასაქმებული ვარ პერიოდულად, რაც არ მაძლევს საშუალებას, ოჯახი ვარჩინო. მეუღლე ახალი მოყვანილი მყავს, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ, დოლარის მომატებამ ძალიან გაგვიძვირა ბინაც. ისედაც ეს ქირები ქართველების შემოსავლებზე არ არის გათვლილი, მხოლოდ უცხოელები თუ შეძლებენ ამხელა თანხის გადახდას. ახლა დამიმთავრდა კონტრაქტი, „ჯიდიესის“ პროექტებზე ვმუშაობდი, „ტიფლისის“ და „ქერჩის“ გადაღებებზე, გამნათებლად, მაგრამ დამთავრდა და ჯერ ვერაფერი ვიშოვე. ამდენი ლოდინის დროც არ მაქვს, გერმანიაში გამომიჩნდა რაღაც სამუშაო და უნდა წავიდე, სხვა გზა არ მაქვს, მეუღლეც მიმყავს და, ალბათ, კარგა ხანს აღარ დავბრუნდებით.

*მაკა დეკანოსიძე*

ლაურა აბრამია
591 97-67-09



ამ შემზარავი სამმაგი მკვლელობის ტრაგიკული ისტორია ასე დაიწყო: თებერვლის პირველ რიცხვებში სამეგრელოში სამი ადამიანი საეჭვო ვითარებაში გაუჩინარდა, ორი ზესტაფონელი და ერთი ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის მკვიდრი მერაბ აბესაძე... ისინი სამეგრელოს ტერიტორიაზე შინაური საქონლის საყიდლად იყვნენ გადასულები.

მეუღლე რუსუდან აბესაძე: „გუშინ დილას, 6 საათზე ორი ზესტაფონელი მოვიდა ჩვენთან სახლში და ჩემი მეუღლე წაიყვანა. ისინი ჩვენთან მსხვილფეხა პირუტყვის შესაძენად ჩამოვიდნენ და მათ ჩემი მეუღლე გაჰყვათ. დაახლოებით 12 საათზე მეუღლეს გადავურეკე, თუმცა მისი ტელეფონი გათიშული იყო. ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დავრეკე, მაგრამ ვერ დავუკავშირდი. საღამოს, დაახლოებით 6 საათზე, ზესტაფონის რაიონის შს სამმართველოდან დაგვირეკეს და ჩემი მეუღლე მოიკითხეს, მაგრამ მერაბი სახლში არ იყო. როგორც გავიგე, ზესტაფონელებიდან ერთ-ერთის შვილი მთელი დღე ურეკავდა მამას, მაგრამ ვერ უკავშირდებოდა და პოლიციას მიმართა“...

# სამმაგი მკვლელობა შურისძიების გამო?!

**„თუ ეს ხელისუფლება არ აღადგენს სამართლიანობას, აგერ ბატონო, ხომ ხედავთ, ხალხი თვითონ ცდილობს უკვე პატივის აღდგენას და კიდევ რამდენი ტრაგედია მოხდება, ვინ იცის?“**







**„ამბობენ, მარტომ მოკლაო, ის ორი არაფერ შუაში იყო“**

**„მუშაობდა „სპეცნაზში“, უსამართლობას ვერ იტანდა და ამ მოტივზე ადგილობრივ გამგებელთან იყო დაპირისპირებული, ეს ყველამ იცის, დაპირისპირების შემდეგ რაღაც ყაჩაღობის ამბავი აჰკიდეს, ჩვენც ასე ვიცით, რომ ეს ხორცით მოვაჭრეები მის საქმეში ცრუ მოწმეებად ფიგურირებდნენ, კაცი ციხეში ჩასვეს 7 წელი იხადა ტყუილად“**

დაკარგულთა ახლობლებმა დაკარგვიდან რამდენიმე დღეში ზუგდიდის პოლიციასთან აქციაც კი გამართეს, სადაც პოლიციას უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ. დაკარგულთა ახლობლებმა საკუთარი ხარჯებით განაგრძეს ძებნა და რამდენიმე დღეში ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთასთან ტყეში მიაგნეს „ფორდის“ მარკის მიკროავტობუსს, რომლითაც ისინი გადაადგილდებოდნენ, ხოლო მათი მობილური ტელეფონები იქვე წყალში გადაყრილი იპოვეს. 12 თებერვალს კი სამივე დაკარგულს პოლიციამ სოფელ ურთას ტყეში მიაგნო. სამივე ცეცხლსასროლი იარაღით იყო მოკლული. შს სამინისტროს ინფორმაციით, ბრალდებულმა მიმდინარე წლის 10 თებერვალს, ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში, ხეცერის უბანში, ანგარების მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავისა და გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1970 წელს დაბადებულ პაატა ჩ-ს, 1984 წელს დაბადებულ გიორგი ფ-ს, 1964 წელს დაბადებულ მერაბ ა-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამივე დაჭრილი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა... მკვლელობის მოტივად ჯერ ყაჩაღობა დასახელდა, ერთ ერთი მოკლულის მეუღლის ცნობით, მათ თან ჰქონდათ საქონლის შესაძენი თანხა, დაახლოებით 3000 ლარი.

აი, რას ყვებოდა გაუჩინარებიდან მეორე დღეს მოკლული მერაბ აბესაძის მეუღლე რუსუდან აბესაძე...

პოლიციამ მალევე დააკავა ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენელი დავით ბეჭვაია. ითქვა, რომ დაკავებულმა დანაშაული აღიარა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 16-დან 20 წლამდე ან უვადოდ პატიმრობა ემუქრება.

1976 წელს დაბადებული ბრალდებული დავით ბეჭვაია ყოფილი „სპეცნაზელია“, ის წინა ხელისუფლების მმართველობის დროს 7-წლიან პატიმრობაში იმყოფებოდა და სასჯელი ახალი მოხდილი აქვს... მას ექიმი მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს...

მოსამართლემ ბეჭვაიას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და სხდომა მარტისთვის ჩაინიშნა. ეს გადაწყვეტილება მშვიდად მოისმინა ეჭვმიტანილმა, თუმცა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ მან მოულოდნელად განაცხადა, რომ შიმშილობის დაწყებას აპირებს. რომ ის უდანაშაულოა და დაკავებისას სამართალდამცავებთან ბრალი „ემოციურ ფონზე“ აღიარა. საქმეში არსებულ უზუსტობებზე ალაპარაკდა მისი ადვოკატი თანდილა ჯოლოგუა და მეუღლე შორენა სონღულია, რომელიც იმ საეჭვო დეტალებს იხსენებს, რაც მისი მეუღლის დაკავებას უძღოდა წინ. დაკავებამდე მათი სახლის ეზოში მდგარ ავტომანქანაზე ხელყუმბარა იყო დამონტაჟებულიო. საქმეში არსებული მკვლელობის იარაღი კი ჩემმა მეუღლემ დავით ბეჭვაიამ 2012 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაკარგა და ამის შესახებ შესაბამისი სამსახურები საქმის კურსში ჩააყენაო...

სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონსა და სოფელში წლებია იცნობენ ნახირით მოვაჭრე დაღუპულებს, მკვლელობის ვერსია კი ყველგან ერთია – შურისძიება. ამბობენ, რომ ერთმა მოკლულმა და მისმა ძმამ წლების წინათ ბეჭვაიას წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მისცეს. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, ალბათ, გამოძიება დაადგენს სიმართლეს, თუმცა ყველას ძალიან კარგად გვახსოვს, როცა სააკაშვილის დანაშაულებრივი ხელისუფლება ბოგინებდა, ათასგვარი ხერხებით რომ „ავერბოვკებდა“ ადამიანებს, რომ მერე ისინი ციხისთვის გასაწირი ადამიანების წინააღმდეგ გამოეყენებინაო... აი, რას გვიყვება ხობის რაიონის მკვიდრი ი.ა. (ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ):

– საქონლით მოვაჭრეები წლების განმავლობაში დადიოდნენ სოფელ-სოფელ, მე მათ პირადადაც ვიცნობდი, უწყინარი ბიჭები ჩანდნენ, ჩემგანაც უყიდიათ სხვადასხვა დროს ნახირი. წინა დღეებში ჩემი მეზობლისგან წაიყვანეს დეკეული, არაფერი უჩვეულო არ შეგვიმჩნევია, რაც მოხდა, ძალიან გვეწყინა ყველას. რაც შეეხება იმას, რა ხმები დადის, გეტყვით, რომ ადრე ერთ-ერთ მოკლულს ჩვენება მიუცია დაკავებულის წინააღმდეგ. ამბობენ, რომ დაკავებული უდანაშაულოდ ჩასვეს მაშინ ციხეში, არ ვიცი, რამდენიმე ხნის წინაც გაუტაციათ ესენი, ეტყობა, ფეხდაფეხ დასდევდნენ და ყველა ნაბიჯი იცოდნენ მათი, თუ მართლა ცრუ ჩვენება მისცეს თავის დროზე, ამაში მათ ფული არ ექნებოდათ აღებული, ალბათ, აიძულეს, შეიძლება რამეთი დააშანტაჟეს. იმ მთავრობის დროს ხომ მოსული თემა იყო მსგავსი რამეები... რა დიდი ფული ამათ ექნებოდათ. როგორც ამბობენ, ფული არც იყო წაღებული. ამბობენ, მარტომ მოკლაო, ის ორი არაფერ შუაში იყო, ხობელი მოკლული საერთოდ, საწყალი ნოჯიხევიდან იყო, მათ დაჰყვებოდა, რომ ცოტა სარგებელი მასაც მიეღო. ესაა, რაც ვიცი...

### საზარელი მკვლელობა

**დაკავებულზე თანასოფლელები ამბობენ, სამართლიანი იყო და სულ ტყუილად დაუნგრიეს კაცს ცხოვრებაო. თავიდან ულიარებია, მაგრამ ახლა უარყოფსო. მერე, საერთოდ, ისეთი დეტალები გამოიკვეთა, ისევ ხომ არ გამოიყენა იარაღად ვინმემო...**

**აი, რას უყვება „ალიას“ სოფელ ნარაზენელი კ.მ:**

– რა იყო და როგორ იყო, დეტალებს ვერ გეტყვით, არც ის ვიცი, ეს დათოს ჩადენილია თუ არა, მაგრამ ერთს გეტყვით, ეს კაცი თავის დროზე გაწირეს. ნაციონალების დროს „სპეცნაზში“ მუშაობდა, უსამართლობას ვერ იტანდა და ამ მოტივზე ადგილობრივ გამგებელთან იყო დაპირისპირებული, ეს ყველამ იცის, დაპირისპირების შემდეგ რაღაც ყაჩაღობის ამბავი აჰკიდეს. ჩვენც ასე ვიცით, რომ ეს ხორცით მოვაჭრეები მის საქმეში ცრუ მოწმეებად ფიგურირებდნენ. კაცი ციხეში ჩასვეს, 7 წელი იხადა ტყუილად, დაენგრა ყველაფერი, რაც ჰქონდა, მაგრამ რომ გამოვიდა, მაშინაც არ აშავებდა არაფერს, მეტს ვერაფერს გეტყვით. გეტყვით იმასაც, რომ სააკაშვილის სისხლისმსმელმა ხელისუფლებამ იმდენი ნაღმი დატოვა, რომ ისინი ყოველდღე ფეთქდება და ადამიანები ეწირებიან ისევ და ისევ... და თუ ეს ხელისუფლება არ აღადგენს სამართლიანობას, აგერ ბატონო, ხომ ხედავთ, ხალხი თვითონ ცდილობს უკვე პატივის აღდგენას და კიდევ რამდენი ტრაგედია მოხდება, ვინ იცის?

### ხალხის აზრი

**„ყველა პოლიტიკოსი მაღიზიანებს... რომ შევადარო ახლანდელი ხელისუფლება და წინა, რა თქმა უნდა, „ნაციონალებმა“ ბევრად მეტი გააკეთეს ქვეყნისთვის“**

**მარინა, 52 წლის, ავეჯის მაღაზიის მენეჯერი:**

– ამ წლების მანძილზე, რაც „ოცნებაა“ ხელისუფლებაში, სიკეთეს მე პირადად ვერ ვხედავ. პრინციპში, უარესობისკენ მიდის ყველაფერი. ჩემი შემოსავალი ბევრად შემცირდა, ავეჯის მაღაზიაში ვმუშაობ, ხალხს ფული არ აქვს, დოლარმა აიწია კატასტროფულად, ამის გამო ყველას გაუჭირდა, მით უმეტეს, გაყიდვების სფეროში, მყიდველი აღარაა, ავეჯი უკვე ფუფუნების საგანია და თუ საჭმელი იყიდა ადამიანმა, აღარ დაეძებს სხვა რამეს.

ყველა პოლიტიკოსი მაღიზიანებს. რომ შევადარო ახლანდელი ხელისუფლება და წინა, რა თქმა უნდა, „ნაციონალებმა“ ბევრად მეტი გააკეთეს ქვეყნისთვის, ამოქაჩეს იმ უფსკრულიდან. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყანა 1 და 2 წელიწადში არ შენდება. რომ დარჩენილიყვნენ, ალბათ, ბევრად უკეთესად წავიდოდა ჩვენი საქმე. ჯერ იმიტომ, რომ განათლებული ხალხი იყო სათავეში და არა წერა-კითხვის უცოდინრები, როგორი ბრბოც მართავს ახლა ქვეყანას. მომავალ არჩევნებზე ზუსტად ვიცი, რომ ამათ ხმას არ მივცემ და არც მიმიცია. უბრალოდ, როცა მივდივარ არჩევნებზე, აბსოლუტურად ყველას ვხაზავ, იმიტომ რომ ჩემი ბიულეტენი არ იქნეს გამოყენებული.

*მაკა დეკანოსიძე*

## „მემუარების წერა ძალიან ადრეა...“ გიორგი ქადაგიძის გამოსამშვიდობებელი „ფეისბუკ“-„პოსტი“



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით „ფეისბუკზე“ გამოსამშვიდობებელ პოსტს აქვეყნებს:

– ძალიან საინტერესო, რთული, წინააღმდეგობებითა და მიღწევებით სავსე 7(10) წელი იყო. იყო შეცდომებიც, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ბევრი შევძელით. ჯერ მხოლოდ ასე შევაფასებ, მემუარების წერა ძალიან ადრეა. მადლობა ყველას მხარდაჭერის, გულშემატკივრობისა და კრიტიკისთვის, – წერს ქადაგიძე.

გიორგი ქადაგიძე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტს 2009 წლიდან იკავებს. მას უფლებამოსილების ვადა 26 თებერვალს ეწურება. რაც შეეხება მის შემცვლელს, ჯერჯერობით კანდიდატურა ოფიციალურად ცნობილი არ არის. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, თუმცა „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, ეს ხდება ეროვნული ბანკის საბჭოს უმრავლესობის წარდგინებით უშუალოდ საბჭოს შემადგენლობიდან. (პირველი რადიო)

## „სასურველი იქნებოდა, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პროცესში უფრო ადრე ჩართულიყვნენ“



ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ხელისუფლებას ტყიბულის გაფიცული მეშახტეების პროცესებში დაგვიანებული ჩართულობის გამო აკრიტიკებს და აცხადებს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პროცესში უფრო ადრე უნდა ჩართულიყვნენ.

– სასურველი იქნებოდა, რომ ხელისუფლების, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პროცესში უფრო ადრე ჩართულიყვნენ. სახალხო დამცველმა შეფასება მისცა იმ ფაქტებს, როგორი დამოკიდებულება აქვს ადმინისტრაციას დასაქმებულების მიმართ, ვგულისხმობ ღირსების შემლახავ მოპყრობას, – განაცხადა ელისო ჩაფიძემ. (პირველი რადიო)

# „ივანიშვილი არც ისეთი მარტივია, ბევრ „კოზირს“ ინახავს“ — ვახტანგ რჩეულიშვილი „ქოცებისა“ და „ნაციონალების“ მომავალზე



ვახტანგ რჩეულიშვილი სოციალურ ქსელში მმართველი ძალისა და ოპოზიციის მომავალთან დაკავშირებით, საკუთარ პოლიტიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით პროგნოზს აქვეყნებს:

– დამოუკიდებელ საქართველოში არჩევნების ბედს განსაზღვრავდა აშშ-ის მხარდაჭერა. რუსეთი საშიში მეზობელია და პარტნიორად არ ვარგა. სხვა არჩევანი არცა გვქონია. ამჯერადაც ასე იქნება. ამერიკელებს კი პიროვნებებზე მეტად პოლიტიკური ინსტიტუტების, უწინარესად საპარლამენტო პარტიების მტკიცე მხარდაჭერა სჭირდება“. ამიტომაც ივანიშვილის ჭრელ „ოცნებას“ სჭირდება თანმიმდევრულად პროამერიკული ძალა კოალიციაში, რომელსაც აშშ ენდობა. ეს ან „რესპუბლიკელები“ ან ალასანიას პარტია იქნება. ალასანია მოსახლეობისთვის უფრო მისაღებია, მაგრამ „რესპუბლიკელების“ პლუსია მეტი პარტიული გამოცდილება და ამასთანავე, ისინი ივანიშვილთან პირად კონფლიქტში არ ყოფილან. რაც ივანიშვილის ტიპის ლიდერისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ დღეს „რესპუბლიკელებს“ მაინც მეტი შანსი აქვთ, თუ ზედმეტმა ამბიციებმა და თანამდებობებისთვის ბრძოლამ არ გადაიყოლათ. ამ შემთხვევაში ალასანიას მიეცემა კიდევ ერთი შანსი. „რესპუბლიკელები“ „მრეწველებს“, ალბათ, მოუგებენ კოალიციის შიგნით. თუმცა თოფაძეს დიდი პოლიტიკური გამოცდილება აქვს და შეიძლება პრორუსულ ძალებთან ერთად ვიხილოთ მომავალ პარლამენტში პროდასავლელი ნაციონალების დასაბალანსებლად. უფრო ამის მაჩვენებელია მისი დაპირისპირება ხიდეშელთან, რასაც „რასპუბლიკელები“ წამოეგენ. ივანიშვილი არც ისეთი მარტივია, როგორც ზოგიერთს მიაჩნია. ბევრ „კოზირს“ ინახავს და ადვილად პოზიციებს არ დათმობს. ერთადერთ დასავლური ტიპის ძლიერ პოლიტიკურ პარტიად კი მაინც ნაციონალები რჩებიან, მაგრამ მათი გამარჯვება ამ არჩევნებზე ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა ერთი საარჩევნო პერიოდიც რომ გაძლონ დაუშლელად, ალბათ, დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. სხვა პარტია ასეთ საერთაშორისო ავტორიტეტს ველარ მოიხვეჭს. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რამდენი მძღოლი იხსნა გატყავებისგან „ალიას“ სამმა 10-ლარიანმა ჯარიმამ!

## ვინც „ძველი ტფილისის“ აღდგენითი სამუშაოების მიმდებარედ „სითი პარკმა“ დაგაჯარიმათ, არ უნდა გადაიხადოთ!





**„მერიას წერილობით უნდა მიემართა „სითი პარკისთვის“, რომ... სამუშაოების დამთავრებამდე, ამ ქუჩაზე გაჩერებულ ავტომობილებს ნუ დააჯარიმებთო. თუმცა, მერიას ეს არ გაუკეთებია“**

თბილისის მერიამ, პროექტ „ძველი ტფილისის“ ფარგლებში, აღმაშენებლის გამზირსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. პროექტი თავისთავად კარგია და რაც კეთდება, ისიც კარგია. თუმცა, მერიას ერთი უბედურება დასჩემდა და ამას ვერც ამ შემთხვევაში გავექეცით. საქმეს ისე ვერ აკეთებენ, რომ ხალხს პრობლემები არ შეუქმნან. სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები აღმაშენებლის მიმდებარე ქუჩებზეც მიმდინარეობს, მათ შორის ნინოშვილის ქუჩაზე, ტროტუარის იმ ნაწილზეც, სადაც ადრე ადგილობრივი მაცხოვრებლები ავტომობილებს აჩერებდნენ. ცხადია, ამჟამად, როცა ქუჩები გადათხრილია და ამ ქუჩაზე სამშენებლო ტექნიკა მუშაობს, შეუძლებელია ავტომობილების გაჩერება. თუ სადმე შეაკვეხე და გააჩერე, დილის 8 საათიდან მშენებლები ყვირილს იწყებენ, – სასწრაფოდ გადააყენეთ მანქანებიო. უნდა ადგე და გადააყენო, სხვა გზა არ არის. სხვა თუ არაფერი, შესაძლოა, შენს ავტომობილს ტრაქტორის კოვში მოხვდეს და ჯართად გიქციოს. ხალხს სხვა გზა რომ აღარ დარჩა, ადგა და ავტომობილები ნინოშვილის პერპენდიკულარულ, ფოცხვერაშვილის ქუჩაზე გააჩერა. ფოცხვერაშვილის ქუჩაზე კი ამკრძალავი ნიშანი დგას, რომ იქ ავტომობილის გაჩერება არ შეიძლება. ჰოდა, ამ „სითი პარკსაც“ მეტი რა უნდოდა? ადგა და ყველა იმ ავტომფლობელის დაჯარიმება დაიწყო, ვისაც ფოცხვერაშვილის ქუჩაზე ჰყავდა მანქანები გაჩერებული. ამ გამოუვალ მდგომარეობაში „ალიას“ თანამშრომელიც აღმოჩნდა, რომელიც ნინოშვილის ქუჩაზე ცხოვრობს, მანქანა კი „ალიას“ ბალანსზეა. მას საკუთარი სახლის ფანჯრების წინ ჰყავდა მანქანა გაჩერებული, მაგრამ 3-ჯერ მაინც დააჯარიმეს, – არაო, ამკრძალავი ნიშანი დგას და აქ არ შეიძლება მანქანის გაჩერებაო. რა ქნას? მანქანა სახლში შეიყვანოს? რომ არ ეტევა? მოკლედ, სანამ ეს სამუშაოები არ მორჩება, საკუთარ სახლთან, საკუთარ ფანჯრებთან ავტომობილის გაჩერების გამო ხალხმა ხარკი უნდა უხადოს „სითი პარკს“. მოკლედ, მერიის უთავბოლობამ „სითი პარკს“ გვარიანი თანხა აშოვნინა.

„ალია“ ამ ფაქტთან დაკავშირებით, „სითი პარკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ლევან ტაბიძეს დაუკავშირდა. სიტუაციაში დეტალურად გასარკვევად, „სითი პარკმა“ ნინოშვილის ქუჩაზე წარმომადგენელი გაგზავნა. ამის შემდეგ თავად დამიკავშირდა ლევან ტაბიძე და ის მითხრა, რაც უკვე ვიცოდი, ფოცხვერაშვილის ქუჩაზე „დგომა-აკრძალვის“ ნიშანი დგას და „სითი პარკის“ თანამშრომელი ვალდებულია, კანონდარღვევით მდგომი ავტომობილის მფლობელი დააჯარიმოს, სწორედ თბილისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აჯარიმებს ჩვენი კომპანია იმ ავტომფლობელებს, რომლებიც ფოცხვერაშვილის ქუჩაზე არაკანონიერად აჩერებენ მანქანებსო. თან ისიც დასძინა, ამ საგზაო ნიშნებს მერია ამონტაჟებს თბილისში და არა „სითი პარკიო“. „მერიას წერილობით უნდა მიემართა „სითი პარკისთვის“, რომ ნინოშვილის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოების გამო, ხალხი იძულებული ხდებოდა, მანქანები ფოცხვერაშვილის ქუჩაზე გაეჩერებინა და უნდა ეთქვა ჩვენთვის, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ფოცხვერაშვილის ქუჩაზე ავტომობილების გაჩერება არ შეიძლება, სამუშაოების დამთავრებამდე, ამ ქუჩაზე გაჩერებულ ავტომობილებს ნუ დააჯარიმებთო. თუმცა, მერიას ეს არ გაუკეთებია“. ხედავთ, რა მარტივად არის საქმე? მერიის ტრანსპორტის სამსახურის კონკრეტულ ჩინოვნიკს, რომელიც ჩვენი, მათ შორის, ნინოშვილის ქუჩის მაცხოვრებელთა ჯიბიდანაც იღებს ხელფასს, სხვა სამსახურებრივ სიკეთესაც და კომფორტულად მუშაობს უზარმაზარ კაბინეტში, ერთი ადგილი უნდა გაენძრია, რამდენიმესტრიქონიანი წერილი უნდა მიწერა „სითი პარკისთვის“ და ამით მოგვარდებოდა პრობლემა. ამის შემდეგ „ალია“ თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუკავშირდა. როცა საქმის კურსში ჩავაყენეთ, რაც ხდებოდა, მერიიდანაც კაცი აფრინეს ნინოშვილის ქუჩაზე და ადგილზე გადაამოწმეს, რა ხდებოდა. „მერიის თანამშრომლებმა ადგილზე შეისწავლეს ვითარება. ამის შემდეგ, თბილისის მერია მიმართავს „სითი პარკს“ და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ან ავტომობილების გაჩერების ამკრძალავ ნიშანს აიღებს მერია ფოცხვერაშვილის ქუჩაზე, ან ნინოშვილის ქუჩაზე სამუშაოების დასრულებამდე „სითი პარკი“ აღარ დააჯარიმებს ამ ქუჩაზე გაჩერებული ავტომანქანის მფლობელებს“, – გვითხრეს მერიაში. გარდა ამისა, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი შეგვპირდა, რომ „ნინოშვილის ქუჩის ინციდენტი“ უკანასკნელი იქნება და პროექტ „ძველი ტფილისის“ დასრულებამდე, არც აღმაშენებლისა და მის მიმდებარე ქუჩებზე და არც სხვაგან, მოსახლეობას ანალოგიური პრობლემა აღარ შეექმნება. მოკლედ, შეიძლება ითქვას, სამომავლოდ პრობლემა მოგვარდა, „ალიას“ მცდელობამ ნაყოფი მართლა გამოიღო.

### ეს უნდა იცოდეთ!

თუმცა, რა ვუყოთ იმ ათეულობით ავტომფლობელს, ვინც უკვე დააჯარიმეს ამ 10-ლარიანი ჯარიმით და ზოგს ასეთი ათზე მეტი აქვს. საერთო ჯამში, ბევრისთვის ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა და რატომ უნდა გადაიხადონ დაუმსახურებელი, მერიის ჩინოვნიკთა უთავბოლობის გამო გამოწერილი ეს ჯარიმები? ლევან ტაბიძემ გვითხრა, რომ გამოსავალი ამ შემთხვევაშიც არსებობს. დაჯარიმებულმა ავტომფლობელმა, 10 დღის ვადაში (ეს 10 დღე აითვლება იმ დღიდან, როცა სახლში ოფიციალურად მიუტანენ ჯარიმის ქვითარს და ის, ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი ჩაიბარებს) ეს ჯარიმა უნდა გაასაჩივროს მერიის სატრანსპორტო სამსახურში და მოითხოვოს ჯარიმის გაუქმება. თუ პრეტენზია დაუკმაყოფილეს და ჯარიმა გააუქმეს, ცხადია, „სითი პარკს“ აღარაფერს გადაუხდის. თუმცა, ამის გაკეთება დროის მოგების მიზნით, სახლში იმ საჯარიმო ქვითრის ოფიციალურად მიტანამდეც შეუძლიათ დაჯარიმებულებს, „სითი პარკის“ თანამშრომლის მიერ გამოწერილი ჯარიმა, იმავე ან მომდევნო დღეებში შეუძლიათ გაასაჩივრონ. „ალია“ ამ პროცესსაც თვალს მიადევნებს!

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



# ვის დაატოვებინებენ სამსახურებს

## როგორ ემზადებიან „ოცნებაში“

**რაც არჩევნები ახლოვდება, უფრო მეტ ადამიანს ითხოვენ სამსახურებიდან. თითქოს ალოგიკურია, რატომ უნდა უნდოდეს „ოცნებას“ წინასაარჩევნოდ ხალხის განაწყენება? რატომ და საჯარო სამსახურებში მათ ადგილას ისეთი კადრები მოჰყავთ, ვინც მათიანები არიან და არჩევნების მოგებაში მოეხმარებიან. ასე მოხდა ცესკოშიც. ეს ის ადგილია, სადაც ყველაზე მეტად სჭირდება ხელისუფლებას პოლიტიკური მხარდამჭერები. ჰოდა, მიადგნენ.**

**ცესკოში ახლა „ოცნების“ აქტივისტებს ასაქმებენ...**

**„ალია“ ცესკოდან დათხოვილებს ესაუბრა.**




**ნენე დალაქიშვილი, დიდუბის საოლქო საარჩევნო კომისიის ყოფილი წევრი:**

– ჩვენი დევნა მას შემდეგ დაიწყო, რაც შეიქმნა პროფკავშირი. შორიდან გვაფრთხილებდნენ, ხომ გინდათ, სამსახურები შეინარჩუნოთ, დაანებეთ თავი პროფკავშირსო. მაგრამ არ დავანებეთ, გავაკეთეთ პროფკავშირი. გაგვივიდა ვადა და აღარ აგვირჩიეს. ეს მათი ნებაა, მაგრამ პირადად მე მაინტერესებს, ჩემი ყოფილი კოლეგების, რომლებიც აღარ აირჩიეს, საპირწონედ რა გამოცდილებისა და რა ბეგრაუნდის ადამიანები მოიყვანეს? ჩვენს ოლქში არჩევნების პერიოდში ოლქის დროებითი წევრი იყო წარმომადგენელი „მრეწველებიდან“ და ზუსტად ვიცი, რომ ახლა ეს ქალბატონი არჩეულია მუდმივ წევრად. ანუ მას ჰქონდა პარტიული ინტერესი. ეს ხდებოდა წლების განმავლობაში. როდესაც მე მაქვს 10-წლიანი გამოცდილება, ჩემს კოლეგებს საარჩევნო სისტემაში მუშაობის 25-წლიანი გამოცდილება აქვთ. როდესაც მათ აღარ ირჩევ და ირჩევ ადამიანებს, რომლებმაც გუშინწინ, ასე ვთქვათ, აიღეს სერტიფიკატი, ძალიან ბევრი ეჭვი რჩება. მთელი საქართველოს მასშტაბით 75 ადამიანი აღარ აგვირჩიეს? რატომ? ამას პლუს, თუ შენ მე მიგზავნი მადლობის წერილებს და მეუბნები, რომ ეს არჩევნები ძალიან კარგად ჩავატარე, გამოცდილი კადრი ვარ, გუშინ ღირებული ვიყავი, დღეს რა შეიცვალა?

**თეა ქეცბაია, საარჩევნო კომისიის ყოფილი წევრი:**

– დაგვითხოვეს და ჩვენს ნაცვლად ისეთი ადამიანები მოიყვანეს, რომლებიც გუშინ „ოცნების“ აქტივისტები იყვნენ, ახალი კადრების დანიშვნა პარტიული ნიშნით მოხდა.

— **რას აპირებთ?**

– ცესკოდან დათხოვნილმა ყოფილმა წევრებმა სასა-

# თუ „ალიაში“ სიმართლე არ ეწერა, რატომ ითხოვენ ვეტერანები ირაკლი შიხიაშვილის გადადგომას?!



ეთერ ბალაძე
593 15-64-47



ორი კვირის წინ „ალიაში“ ვეტერანების პრობლემებზე ვწერდით. სტატიის დაბეჭდვის შემდეგ ვეტერანმა დავით ახრახაძემ და პრესსამსახურის უფროსმა ჟანა ასანიძემ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ჩემი სალანძღავი პოსტები დაწერეს... თურმე მე, ავტორს, მომეჩვენა, რომ ვეტერანებს უამრავი მოუგვარებელი პრობლემა აქვთ და შიხიაშვილს „ვერჩი“, თან ისე მწარედ, რომ კაცი საავადმყოფოში იწვა და არ ვაცალე პალატიდან გამოსვლა და პასუხების მოცემა... ცუდია, როცა ადამიანი ავად ხდება, თუმცა გასახარია, როცა ავადმყოფს, ამ შემთხვევაში ირაკლი შიხიაშვილს, საავადმყოფოში მოთავსების და იქ მკურნალობის საშუალება აქვს... აი, ამ „ფუფუნებას“ არიან მოკლებული ვეტერანები, რომლებმაც იმის დასტურად, რომ მე არაფერი მომიგონებია, რამდენიმე დღის წინ კვლავ აქციები გამართეს.

საინტერესოა, თუ მოგვარებული იყო ვეტერანთა პრობლემები, მაშინ რატომ ატარებენ აქციებს? ვეტერანთა აქციები მთავრობის კანცელარიასთან გაიმართა, სამხედრო ჰოსპიტალის მედპერსონალი და ვეტერანები პრემიერთან შეხვედრას ითხოვდნენ. ჰოსპიტალს დაფინანსება შეუწყდა და შენობიდან პერსონალის სხვა, კერძო კლინიკებში გადანაწილება იგეგმებოდა. მედიკოსები ჰოსპიტალის ფუნქციონირების გაგრძელებას ითხოვდნენ, რათა ომის ვეტერანებს შესაბამისი კომპლექსური სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ.

ვეტერანთა საქმეთა დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსის ჟანა ასანიძის ოფიციალური კომენტარი ასეთია:

„კოხტა ყორღანოვს, რომელიც არის გია ბერძენაძის პარტიის წევრი, სამსახურის მხრიდან არასდროს მოჰკლებია ყურადღება, მას მრავალჯერ დაუფინანსდა მედიკამენტები და სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება, ბოლოს სამსახურმა მას დაუფინანსა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებიც, სწორედ იმ დროს, როცა იგი, როგორც „ჰოსპიტალის გადარჩენის კომიტეტის“ წევრი, აპროტესტებდა სამსახურის მიერ ვეტერანებისთვის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებს. ამ კომიტეტის წევრები თავად მკურნალობენ კლინიკა „ლანცეტში“ და სხვებს მოუწოდებენ, არ მიიღონ სამედიცინო სერვისები აღნიშნულ კლინიკაში. ეს აშკარად თვალში ნაცრის შეყრაა, უნდა მოხდეს ამ ხალხის ლუსტრირება.

მოგეხსენებათ, გარკვეულ პროვოკატორთა ჯგუფის მიერ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს სამსახურისა და სამსახურის ხელმძღვანელობის მისამართით. სამწუხაროა, რომ ცდილობენ, შეცდომაში შეიყვანონ ვეტერანები“.

შეცდომაში შეყვანის რა მოგახსენოთ, მაგრამ ვეტერანებს მკურნალობის თვალსაზრისით, რომ პრობლემები აქვთ, ამას ისიც ადასტურებს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ირაკლი შიხიაშვილის უწყებამ აღიარა, რომ პრობლემა მოსაგვარებელი იყო. ამიტომაც კლინიკა „ლანცეტში“ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის ირაკლი შიხიაშვილის ინიციატივით, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი და ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე იმყოფებოდნენ. დეპუტატები ადგილზე გაეცნენ ვეტერანების მკურნალობის პირობებს. კლინიკის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ვეტერანთა სამსახურსა და „ლანცეტს“ შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში ვეტერანთა მიმართვიანობა აქტიურად მიმდინარეობს და უკვე ისარგებლა 70-ზე მეტმა ვეტერანმა შეთავაზებული სხვადასხვა სამედიცინო სერვისით 18 დღის განმავლობაში.

**აი, რას ამბობს გია ვოლსკი:**

– ჩვენ ვნახეთ საუკეთესო პირობები ამ კლინიკაში, ვნახეთ მადლიერი ვეტერანები და სანამ სახელმწიფო გრძელვადიან პერსპექტივაში ააშენებს ვეტერანებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრს, მანამ არც ერთი დღით არ შეფერხდება ვეტერანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური ეფექტურად ახორციელებს ამ გარდამავალ ეტაპს. სანამ ვეტერანებს ახალი ჰოსპიტალი ექნებათ, ერთ-ერთ კლინიკაში გაივლიან მომსახურებას, რომელიც, თანამედროვე აღჭურვილობის მეშვეობით, მათ მაღალკვალიფიციურ მომსახურებას გაუწევს. მართებული იყო ის გადაწყვეტილება, რომ ჰოსპიტალმა, როგორც ჯანდაცვის დაწესებულებამ, ლიცენზია ვერ მიიღო.

### ვერდიქტი!

**დიმიტრი ხუნდაძე:**

– ყველანაირი შიში იმის თაობაზე, რომ ვეტერანები, მას შემდეგ, რაც ჰოსპიტალში არ მკურნალობენ, ვერ მიიღებენ შესაბამის სამედიცინო მომსახურებას, უკვე გაქარწყლებულია, რადგან საკუთარი თვალით ნახა ის პირობები, სადაც ვეტერანები მკურნალობენ. მან პირადად მოისმინა ვეტერანებისგან, რა უკეთდებათ მათ კლინიკის მხრიდან და კმაყოფილება გამოთქვა. დეპუტატების თქმით, ისინი პერმანენტულად დააკვირდებიან პროცესს, რათა ვეტერანებს ყოველდღიურ რეჟიმში მიეწოდოთ საუკეთესო სერვისები, რომელსაც ისინი იმსახურებენ. კლინიკის ხელმძღვანელობამ, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ გამოთქვა მზაობა, დაასაქმოს ის სამედიცინო პერსონალი, რომლებიც ვეტერანების ჰოსპიტალში მუშაობდნენ.

კარგია, ასეთი „სადღეგრძელო-განცხადებები“. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, თუ მოგვარებული იყო ვეტერანთა ჯანდაცვის პრობლემები, თუ ჰოსპიტალს არ ემუქრებოდა დახურვა, მაშინ რატომ შეიკრიბნენ პარლამენტარები და თავად ბატონი ირაკლი შიხიაშვილი ამ პრობლემის მოსაგვარებლად? ბატონო ირაკლი, ხედავთ რამდენი პრობლემა ჰქონიათ ვეტერანებს? სანამ თქვენი გადაყენება არ მოითხოვეს ამ ომგამოვლილმა ადამიანებმა, იქამდე იმის აღიარებაც არ გინდოდათ, რომ ვეტერანებს ჯანდაცვის კუთხითაც პრობლემები ჰქონდათ... ახლა რომ გამოცოცხლდით, კარგია. თუმცა, მათი პროტესტი, მერწმუნეთ, ამით არ დასრულდება, რადგანაც ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ზღვაში წვეთია. გარდა ჯანდაცვისა, ვეტერანებს დასაქმების, საბინაო და სხვა სოციალური პრობლემებიც აწუხებთ. ალბათ, ამ სკანდალის მერე ცოტა ხანს მაინც ბიუჯეტს პრემიებსა და სხვა სახელფასო დანამატებში აღარ გაფლანგავთ... ჩვენ ამ პროცესებს აუცილებლად მივადევნებთ თვალს!

## უახლოეს მომავალში?

## არჩევნების გასაყალბებლად?

**აკაკი ხუსკივაძე, საბურთალოს მე-3 საოლქო კომისიის თავმჯდომარე:**

– კომისიის 4 თებერვლის სხდომაზე, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით აარჩიეს. არჩეულთაგან 74 ადამიანი, სხვადასხვა არჩევნებს კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი კონკრეტული პოლიტიკური პარტიის სახელით აკვირდებოდა. ვფიქრობ, ცესკო-ს ეს გადაწყვეტილება მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

**„ალიასთან“ ცესკოს სპიკერი ანა მიქელაძე მოკლე კომენტარს აკეთებს:**

– ცალკეული პირები მცდარ ინფორმაციას ავრცელებენ და მათ კერძო მიზნები აქვთ.

მართლოში შევიტანეთ სარჩელი. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ გააკეთა ცესკომ არჩევანი გამოცდილი კადრების ნაცვლად იმ პირებზე, რომლებსაც სამუშაო გამოცდილება, მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლობის რანგში დაუგროვდათ.



**არასამთავრობო ორგანიზაცია „მონიტორინგის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი კი ასეთ კომენტარს აკეთებს:**

– ცესკოდან თანამშრომლები გაათავისუფლეს და ახლები მიიყვანეს, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ არჩევნების წინ კადრების ცვლა, ანუ როტაცია, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკურად უფრო სანდო კადრები მოჰყავთ.

**— ანუ ცესკოს თანამშრომლების დათხოვნას პოლიტიკური სარჩული უდევს?**

– ნებისმიერი გონიერი ადამიანისთვის გასაგებია, რომ ეს არის პოლიტიკურად მოტივირებული პროცესი. სხვა ახსნა არა აქვს. გაათავისუფლეს ის კადრები, ვინც

### ვერსიები

წლებია, არჩევნებს ატარებს და სხვათა შორის „ოცნება“ რომ მოვიდა ხელისუფლებაში, სწორედ მაგ კეთილსინდისიერი და პროფესიონალი კადრების დამსახურება იყო. ახლა არ უნდათ პროფესიონალები და მცოდნეები. ახლა მონები სჭირდებათ. ამიტომაც თავისთავად ყველგან დანიშნეს პარტიულები და ნათესავები, ანუ დავალების შემსრულებლები. არამარტო ცესკოში, სხვაგანაც მასიურად მიმდინარეობს პროფესიონალების დევნა და პარტაქტივის დასაქმება. ეს ხდება მუნიციპალიტეტებში, ბაღებში და ყველგან!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უმრავლესობის წევრები შესაძლო სამთავრობო ცვლილებებზე



მთავრობის წევრები მოსალოდნელი სამთავრობო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, თუმცა აცხადებენ, რომ სამთავრობო ცვლილებები ჩვეულებრივი ამბავია. მათი თქმით, ყველაფერი, პოლიტიკოსების ჩათვლით, ცვალებადია.

– არანაირი ინფორმაცია ცვლილებებზე არ მაქვს. არ მგონია, ამ შემთხვევაში რამე იგეგმებოდეს. ზოგადად, ცვლილებებს რაც შეეხება, ერთადერთი, რაც არის უცვლელი, არის ის, რომ ყველაფერი არის ცვალებადი. დანარჩენი ყველაფერი იცვლება ქვეყანაში და მინისტრი, პარლამენტი და ვიღაცა უცვლელი ვერ იქნება, – განაცხადა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა.

იგივე პოზიცია აქვს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილსაც.

– მე არ ვიცი, რა წყაროს ეყრდნობიან ის მედიასაშუალებები, რომლებმაც ეს ინფორმაცია გაავრცელეს. ზოგადად, ცვლილებები არის ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ამბავი. ყველაფერი ცვალებადია, თუმცა მე კონკრეტულად ინფორმირებული არ ვარ ამ საკითხზე, – განაცხადა აგულაშვილმა.

ეკა ბესელიას განმარტებით, სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით რაიმე კალენდარი არ არსებობს და ამ თემაზე არც კონსულტაციები გამართულა.

– ვიცით, რომ გიორგი კვირიკაშვილმა პრემიერის პოსტზე ნდობის გამოცხადებისას თქვა, რომ მომავალში მთავრობაში ცვლილებებს არ გამორიცხავს. უბრალოდ, მას სჭირდებოდა მეტი დრო გადაწყვეტილების მისაღებად, – აცხადებს ეკა ბესელია.

დეპუტატ ანი მიროტაძის ინფორმაციით, სამთავრობო ცვლილებების საკითხზე კონსულტაციები არც მათ პოლიტიკურ გუნდში, არც უმრავლესობასა და არც პოლიტსაბჭოს ფორმატში არ ყოფილა.

– არ ვიცი, გიორგი კვირიკაშვილს მთავრობაში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით რა მოსაზრებები აქვს, მაგრამ, თუკი აქვს, ეს ბუნებრივი და ლოგიკურია. კვირიკაშვილმა გუნდი ისე ჩაიბარა, რომ არც ერთი ცვლილება არ განუხორციელებია. მან განაცხადა, რომ ამ მინისტრებთან იმუშავებს და გადაწყვეტილებებს მიიღებს. არ გამოვრიცხავ, რომ ჰქონდეს საკუთარი მონახაზი და გადაწყვეტილებაც მიიღოს, – აცხადებს ანი მიროტაძე. (ambebi.ge)

# ლუკა კურტანიძე: მტკიცებულების გარეშე ადამიანის დადანაშაულება დასჯადი უნდა გახდეს და გახდება კიდეც!

პარლამენტარი ლუკა კურტანიძე მიიჩნევს, რომ ცილისწამება დასჯადი უნდა გახდეს. ლუკა კურტანიძე თბილისის საკრებულოს დეპუტატ თედო კობახიძის ინიციატივას, რომ ცილისწამების მუხლი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" დაბრუნდეს, სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– ცილისწამება დასჯადი უნდა გახდეს და ვინც არ არის ამ ინიციატივის მომხრე, ვურჩევ, სულხან-საბას „ენით დაკოდილი" წაიკითხოს! ამასთანავე, კითხვას დავუსვამ დემოკრატიის ვაიგუშაგებს – რა მნიშვნელობა აქვს, ტყვიით მოგკლავენ თუ ტყუილი სიტყვით, ანუ ცილისწამებით??! (უსინდისო, არარაობა ადამიანებზე არ ვსაუბრობ, ვამბობ ღირსეულ ადამიანებზე, რომლებიც სიტყვით ცხოვრობდნენ და კვდებოდნენ). ეს სისასტიკე გავიარეთ ნაცებისა მიშისტების დროს, როცა ადამიანებს ცილს სწამებდნენ და შემდეგ პიროვნებას ანადგურებდნენ! ყველა უსაფუძვლო, ანუ მტკიცებულების გარეშე ადამიანის დადანაშაულება დასჯადი უნდა გახდეს და გახდება კიდეც! აღშფოთებული ვარ... დამთავრდა საქართველოში ცილისწამების ხანა! დამთავრდა!!! წაიკითხეთ სულხან-საბას „ენით დაკოდილი", – წერს ლუკა კურტანიძე. (რეპორტიორი)

# აფთიაქები კიდევ ბევრ რამეს სცოდავენ, მაგრამ სადაა პატრონი?!



ჯანდაცვის მინისტრი სატელეფონო კონსულტაციით რეცეპტის გამოწერას არალეგალურ ქმედებას უწოდებს.

დავით სერგეენკო ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც აფთიაქებმა შემოიღეს სპეციალური ბარათები, რომელთა მფლობელებს შეუძლიათ რეცეპტიანი მედიკამენტის ექიმთან სატელეფონო საუბრის საფუძველზე შეძენა.

– სატელეფონო კონსულტაციით რეცეპტის გამოწერა ეწინააღმდეგება დადგენილ ნორმებსა და კანონებს. ეს არის არალეგალური მოქმედება, რაზეც შესაბამის რეაგირებას ახდენს ჯანდაცვის სამინისტრო. რაც შეეხება ონლაინრეცეპტებს, ეს მიღებული ფორმაა და 2 წელია უკვე, რაც პირველი ჯგუფის მედიკამენტებზე მუშაობს. მე ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში იქნება იმის შესაძლებლობა, როდესაც პაციენტს აღარ ექნება საჭიროება ქაღალდის ინფორმაციის მატარებელი ჰქონდეს. როდესაც ექიმი გასინჯავს, რეცეპტს გამოუწერს, ექიმს შეეძლება, ეს ინფორმაცია პირდაპირ ატვირთოს, პაციენტმა ქაღალდი არ ატაროს და აფთიაქს ექნება საშუალება დადასტურებულად, კანონით დადგენილი ფორმით, ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე გასცეს მედიკამენტი, – განაცხადა დავით სერგეენკომ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რა საზარელი ამბები ხდება

## „ეს ორი ნაციხარი — ქალი და კაცი „ქურდად" სხედან




ლაურა აბრამია

591 97-67-09


დუშეთის ინვალიდთა სახლში თებერვლის დასაწყისში უბედური შემთხვევა მოხდა, ოცი წლის ბენეფიციარი ინგა გაბედავა დაიღუპა, რომელიც სენაკის ბავშვთა სახლიდან მოხვდა იქ... როგორც გაირკვა, მას ხორცის ნაჭერი გადასცდა, სასწრაფო დახმარების მანქანა გამოძახებისთანავე მისულა ადგილზე და საავადმყოფოში გადაუყვანიათ, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ის, სავარაუდოდ, გაიგუდა. საქმეში, რა თქმა უნდა, საგამოძიებო უწყება და ექსპერტიზა ჩაერთო და, ალბათ, საბოლოოდ დადგინდება, არის თუ არა ვინმეს ბრალეულობა... სანამ ამ ფაქტზე დეტალურად მოგიყვებით, მანამდე გეტყვით, რომ პანსიონის დირექტორმა საკუთარი ნებით დაწერა განცხადება თანამდებობიდან წასვლაზე. ჩვენ დავინტერესდით, რა გახდა მისი წასვლის მიზეზი. როგორც გაირკვა, პანსიონის შიგნითაა პრობლემები. კერძოდ ის, რომ ამ ინვალიდთა სახლში იმყოფება ორი ბენეფიციარი, წარსულში ნასამართლევი ზაალ ციმიტია და ერთიც ქალი, ასევე, ნასამართლევი... ისინი ამ ამბის შემდეგ განსაკუთრებულად დაუპირისპირდნენ პანსიონის ადმინისტრაციას, კერძოდ, დირექტორს შორენა ადეიშვილს, მაგრამ მანამდეც განუწყვეტლივ რეჟიმში გამოხატავდნენ უკმაყოფილებას დირექციის მისამართით, მიმართავდნენ შანტაჟის მეთოდს, ზაალ ციმიტიას ორჯერ პირიც ამოუკერია. სხვადასხვა წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ეს ორი ადამიანი როგორც ციხეში მაყურებლები, ისე მართავენ თურმე აქ სიტუაციას. სანამ უშუალოდ ყოფილ დირექტორს დავუკავშირდებოდით მანამდე სხვა წყაროებით ვცადეთ, გაგვერკვია, რა ხდება, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ის, რაც ზაალ ციმიტიაზე გავიგეთ. დავუკავშირდით პანსიონში მყოფ რამდენიმე შშმ პირს, რომლებმაც სატელეფონო საუბარში დაადასტურეს, რომ ის დანარჩენ ინვალიდებზე მართლა ძალადობს, ფულს სძალავს და ა.შ. მაგრამ იმდენად არიან შეშინებულები, რომ გვთხოვეს ეს ხმამაღლა არ გვეთქვა.

**იმაზე, თუ რა და როგორ მოხდა ინგა გაბედავას შემთხვევაში, როგორ მოხდა მისი უეცარი გარდაცვალება, ერთ-ერთი იქ მყოფი ბენეფიციარი გვიყვება:**

– ეს გოგონა იყო ცერებრალური დამბლით დაავადებული, მაგრამ ხელებს ხმარობდა, ანუ თავისით ჭამდა. აქ ძიძები არიან იცით, ალბათ, და ვინც თავისით ვერ ჭამს, აჭმევენ. ინგას არ უჭირდა ეს. როცა ლუკმა გადასცდა, საღამო ხანს, მე იმ მომენტში იქ არ ვიყავი, მაგრამ იყვნენ მისი ოთახელები. მას კისერი ოდნავ გადაგდებული ჰქონდა ცერებრალურის გამო, მაგრამ თავისით შეეძლო ჭამა. ჰოდა, ლუკმა გადასცდა, როგორც ჩანს. ხანდახან ოთახიდან არ გამოდიოდა, ან ეძინა ხოლმე და საჭმელი ოთახში შეჰქონდათ მისთვის. როცა ხმაური ატყდა, სასწრაფო ძალიან მალე მოვიდა, გამოძახებიდან 5 წუთში, ექიმიც კარგი ჩანდა, ინგას ლუკმა კი ჰქონდა გაჩხერილი, მაგრამ, სანამ საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, კონტაქტზე გამოდიოდა, ექიმთან საუბრობდა. მერე რა მოხდა, ვერ გეტყვით, იქ ქირურგს შეეშალა რამე, ან რატომ გარდაიცვალა. რაც შეეხება იმ ბრალდებას, თითქოს ხორცი მოუხარშავი იყო, არაა მართალი.

**სხვა ბენეფიციარებისგან გავიგე, რომ ინგა გაბედავას დედობილი ჰყავდა და მისი ტელეფონის ნომერიც მომცეს. დავუკავშირდით ქ-ნ რიტა ბელქანიას, რომ დეტალურად გაგვეგო ამ გოგოზე და რა იცოდა მან მომხდარზე:**

– ეს გოგონა ჩემს მეზობლად იზრდებოდა, დედა



> **„ნახევარჯერ სულ შიშველი დარბოდა „კალიასკით", ამის ყურება როგორია? მეტსაც გეტყვით, ციმიტიას სხვებისთვის წართმეული ფულებით ღამღამობით გოგოები შემოჰყავდა და იმაშიცაა შემჩნეული, რომ არატრადიციულ სექსუალურ კავშირებსაც კი სთავაზობდა იქ ვიღაცებს ფულის სანაცვლოდ"**




თურქეთში იყო წასული და გათხოვილი, ჰყავს ძმა, რომელსაც ორი კლასის გარდა სკოლაშიც კი არ უვლია, ბავშვების მამაც სასმელს ეძალებოდა, იმხანად ინგას ბებია ცოცხალი იყო, ნახევრად უსინათლო, ამათი საცოდაობით არ ვიყავით მე და ჩემი მეუღლე. მე თვითონ 4 შვილი მყავს, მათ შორის ერთი ინვალიდი. ინგას ბებიის გარდაცვალების შემდეგ, ვიშვილეთ. ინგას ასაკის მატებასთან ერთად ქალური ამბებიც დაეწყო, ასე ლოგინში მყოფი გოგო, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი მისახედი იქნებოდა, ძალიან ცუდ პირობებში იყო ეს ბავშვი, მერე ჩემთვისაც რომ გაუსაძლისი გახდა... მოგეხსენებათ, ჩემი ოთხი შვილი, ერთი ინვალიდი და სენაკის ბავშვთა სახლში მივიყვანეთ, მაგრამ ერთი დღე არ დამიტოვებია ყურადღების გარეშე, რიგრიგობით ვაკითხავდით მე და ჩემი მეუღლე, საოცრად აზრიანი და ჭკვიანი ბავშვი იყო. ის რომ თავიდან კარგი პატრონის ხელში ყოფილიყო და მისთვის ემკურნალათ, ალბათ, ფეხზე დადგომასაც შეძლებდა.

**— რა მოხდა კონკრეტულად იმ დღეს, თქვენ როგორ იცით?**

– იმ დღეს ბავშვმა დამირეკა, საღამოს ზუსტად ექვსის ოც წუთზე, ყოველდღე ან აქეთ მირეკავდა ან მე ვურეკავდი, კარგ ხასიათზე იყო, ბევრი მელაპარაკა. როგორც გაირკვა, სხვებთანაც დაურეკავს იმ დღეს. რვა საათი იყო დაწყებული, ამბავი რომ გამაგებინეს. დუშეთში ინვალიდთა სახლში რომ გადაიყვანეს ინგა, იქ ისე ხშირად ვერ მივდიოდი მართალია, მაგრამ ნამყოფი ვარ და ვიცი, რომ ნორმალურ პირობებში იყო იქ, მისი ოთახელებიც გავიცანი და სულ ვიგებდი ამბებს, ინგა მიყვებოდა ყველაფერს დეტალურად. საერთოდ, ძალიან ხალისიანი და სიცოცხლით სავსე იყო და ყოველთვის კარგი მესმოდა. დირექტორს მე არ ვიცნობ, ერთხელ შევხვდი, ამ ამბის მერე როცა ჩავედი. არ ვიცი, რაც მოხდა. ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს უყურადღებობით მოხდა, ინგას შეეძლო დამოუკიდებლად ჭამა. ის უფრო მეტს შეძლებდა, როგორც უკვე გითხარით, ალბათ, მამამისს რომ მისი მკურნალობა დროულად შეძლებოდა... ითქვა, რომ სოუზში ხორცი მოუხარშავი იყო და იმიტომ ვერ დაღეჭაო. მე რაც იქ მინახავს, მსგავსი რამ ვერ წარმომიდგენია, თან რა, მარტო ჩემი შვილობილის ულუფაში აღმოჩნდა მოუხარშავი ხორცის ნაჭერი? იქ ხომ საერთო კერძი მზადდება.

**— თქვენ თქვით, რომ ინგა ხშირად გირეკავდათ და გიყვებოდათ იქაურ ამბებს. ხომ არ გახსენდებათ რაიმე ისეთი, ვინმეს შეეწუხებინოს სიტყვიერად ან რამე?**

– მეგრული გვარი აქვს, არ ვიცი, ვერ ვიხსენებ... კაცია, იმაზე მეუბნებოდა, მიჩიჩინებსო, ჩუმად რატომ ხარ, მოითხოვე შენც რაღაცები, ან პროგრამებში ჩაგსვან, ტელევიზიით გამოხვიდე და ასეთებს, ბრაზობდა ამაზე, მეტი არაფერი მახსენდება. ძალიან განვიცდით მის ამბავს, ისე მიჭირს, რომ ხანდახან ვნატრობ, ნეტა ასე ახლოს არ ვყოფილიყავი-მეთქი, მაგრამ, ალბათ, ასე ეწერა, ვის რა უნდა დავაბრალო.

**ახლა, რაც შეეხება იმ არაჯანსაღ, დანაშაულებრივ გარემოს, რაც ამ პანსიონატშია. ვინ არის უნარშეზღუდული ზაალ ციმიტია, რომელიც ინვალიდის ეტლიდან აყენებს ე.წ. „პალაჟენიას" დუშეთის ინვალიდთა სახლში, მუქარითა და მოტყუებით სძალავს მათ პენსიის თანხებს? ბუნებრივია, აქ ჩნდება მთავარი კითხვა, კრიმინალური წარსულის უნარშეზღუდული ადამიანი თუ საშიშროებას უქმნის ირგვლივ მყოფ სხვა პირებს, რომელთაც სხვადასხვა სინდრომი და შეზღუდვები აქვთ და მშვიდ გარემოს საჭიროებენ, რატომ ვერ ხერხდება ამ პრობლემის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა?**

**მინდოდა, ვინმე ისეთი ადამიანი მეპოვა, ვინც ამ ინვალიდთა სახლიდან სხვაგან გადავიდა და მისგან გამეგო სიმართლე. ასეთი აღმოჩნდა რესპონდენტი, რომელიც ახლა მოხუცებულთა თავშესაფარშია, და რომლის გვარ-სახელის დასახელებისგანაც, ასევე, თავს შევიკავებ. აი, რას ყვება ის:**

– დიახ, მე გახლდით ამ პანსიონატში და სწორედ იმ მიზეზით წამოვედი, რომ ვერ ავიტანე ის უსამართლობა, რასაც ორი ინვალიდი დანარჩენების მიმართ სჩადიოდა და, როგორც ვიცი, ძველებურად აგრძელებენ. იქ რომ დავრჩენილიყავი, ცუდად დამთავრდებოდა ამბავი. დიახ, იმ ინვალიდთა სახლში იმყოფება ორი კრიმინალი, ქალი და კაცი. ქალს, მკვლელობისთვის რომაა ნასამართლევი, ბლიაძეს, ერთხელ ხელითაც კი შევეხე, ისე გამომიყვანა წყობიდან. ისინი ერთმანეთსაც ვერ იტანენ, ვერ გაინაწილეს გავლენები, როგორც ციხის ზონაში ხდება, მუდმივად რაღაცას ითხოვენ. მთავარი ეს არაა, მთავარი ისაა, რომ მუქარითა და მანიპულირებით, ზაალ ციმიტია, ყოფილი ნარკომანი, პენსიას სძალავს იქ მყოფ ინვალიდებს. ისე ჰყავს დაშინებული ისინი, რომ ხმასაც ვერ იღებენ.

**— ხელმძღვანელობამ თუ იცოდა ეს ამბები და თუ ჩარეული სამართალდამცველი სტრუქტურა ამ ამბებში?**

– მე პირადად რამდენჯერმე გამოვიძახე პოლიცია, მაგრამ ვერაფერი. მათი სტატუსის გამო, ისინი ხელშეუხებლები არიან, მოგეხსენებათ. თუმცა დაიმახსოვრეთ ჩემი

### სკანდალი

ნათქვამი, თუ ეს ორი ადამიანი იქიდან არ მოაშორეს, აუცილებლად რამე უბედურება დატრიალდება. ნახევარჯერ სულ შიშველი დარბოდა „კალიასკით", ამის ყურება როგორია? მეტსაც გეტყვით, ციმიტიას სხვებისთვის წართმეული ფულებით ღამღამობით გოგოები შემოჰყავდა და იმაშიცაა შემჩნეული, რომ არატრადიციულ სექსუალურ კავშირებს სთავაზობდა იქ ვიღაცებს ფულის სანაცვლოდ... იქ ყოფნა გაუსაძლისი იყო. იქ ისეთები არიან, ვისაც წყნარი და მშვიდი გარემო სჭირდებათ. რაც შეეხება უბედურ შემთხვევას, ეს თუ ვინმეს უყურადღებობის ბრალია, ალბათ, უნდა დადგეს ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი... არ ვიცი...

**ბოლოს დავუკავშირდი დუშეთის ინვალიდთა სახლის ყოფილ დირექტორს შორენა ადეიშვილს.**

**— ჯერ მომხდარზე მოგვიყევით, რა მოხდა იმ დღეს, როცა ინვალიდი გოგონა დაიღუპა?**

– ინგა გაბედავა იყო გონებრივად მეტად მოწესრიგებული, საოცრად აზრიანი, ის ბევრ რამეში მეხმარებოდა. მოგეხსენებათ, ამ სახის დაწესებულებებში სხვადასხვა სახის ნერვული აშლილობებითაა უმეტესი, ეს ისე დამალაგებინებდა სიტუაციას... თავისი გონივრულობით ძალიან მეხმარებოდა, ძალიან კარგი ადამიანი იყო. იყო ისე, რომ ხანდახან გვიან იღვიძებდა და ოთახში შეგვქონდა საუზმე, ხან სადილზეც არ გამოდიოდა.

**— გასაგებია, მაგრამ, თუ ცერებრალური დამბლით იყო ავად, იქნებ მიხმარებას საჭიროებდა?**

– აქ ვინც შემოდის, ყველას მოჰყვება შეფასებები ფსიქოლოგის და ასე შემდეგ. ინგას ეწერა, რომ მას შეეძლო თავისით ჭამა, ქარგვა, ქსოვა და ა.შ. როცა ასეა, ჩვენ ინვალიდებს ამ უნარს ვერ წა-

## სკანდალი

# ინვალიდთა სახლში?!

## აქ, ძალადობენ სხვებზე და არის ერთი უბედურება!“



**„ტანი დახატული აქვს ხატებით, მრავალი წელი აქვს ციხეში გატარებული. ყველას ეუბნება, იმდენი წამალი მაქვს შეშვებული სხეულში, რომ დამწვარი მაქვს ვენებიო, ასევე ტრაბახობს, რომ უამრავი ადამიანი ჰყავს მოკლული“**

**„ხანდახან ძალითაც ეცემინება სხვებს, თვითონ იწყებს და მერე შევარდება ოთახში, სურათებს იღებს, ვითომ დასისხლიანებულს და აგზავნის უფლებადამცველებთან“**



ვართმევთ, რომ უფრო მეტად არ იგრძნონ თავი შეზღუდულად, ხომ ხვდებით, რას ვამბობ... მინდა ვთქვა, რომ ეს ისეთი სისტემაა, რომ აქ ან უნდა შეგეძლოს ყოფნა ან პირიქით, მე ჩემი სურვილით წამოვედი და იქ ვინც დარჩნენ, აქედან ვეუბნები მადლობას, ისინი არიან გმირები.

რაც შეეხება შემთხვევას, ეს იყო 4 თებერვალს, ყოველთვის გვიანობამდე ვცდილობდით, იქ ვყოფილიყავით. იმ დღეს მოხდა ისე, რომ პანაშვიდზე მივდიოდით იქვე და ამიტომ 6-ის მერე წავედი. როცა პანაშვიდზე შევდიოდით, შესვლისას ერთ-ერთი ბენეფიციარის, ეკა პეტროსიანის ზარი შემოვიდა... მოკლედ, მივქანდით საავადმყოფოში, სადაც გოგონას გადარჩენას ცდილობდნენ. სამწუხაროდ, ის დაიღუპა და მერე ისტერიკა და შოკი მახსოვს. რთულია, მოგეხსენებათ, ამ სიტუაციაში რომ აღმოჩნდები. დანარჩენი, ალბათ, იცით, ის, რომ ექსპერტიზა ჩატარდა და პასუხი მალე იქნება.

**— თქვენ ამ შემთხვევის გამო დაწერეთ განცხადება? გავიგე, რომ თქვენს დაწესებულებაში სხვა გადაუჭრელი პრობლემაცაა...**

– არა, მიზეზი სხვა რამეა, ჩვენთან არის ორი ბენეფიციარი, ზაალ ციმიტია და თინათინ ბლიაძე, რომლებიც იქ მართავენ სიტუაციას, მუდმივ რეჟიმში ჩივიან და აშანტაჟებენ ხელმძღვანელობას და სწორედ იმის გამო წამოვედი, რომ იქ ყოფნა მათ გამო ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ისინი იმუქრებიან პირის გაკერვით, ციმიტიამ ორჯერ გააკეთა ეს, სულ რაღაცას ითხოვს, ჰყავს ძვირად ღირებული სკუტერი, აქვს ყველაფერი, რასაც საჭიროებს, ყველა სამკურნალო ხარჯი დაუფინანსდა და გაუკეთდა. ცე ჰეპატიტის პროგრამაში ჩასმას ითხოვდა, ჩავსვით და მერე აღარ მოუნდა... ქალი, რომელიც 2012 წელს მოხვდა ჩვენთან ნასამართლობის შემდგომ, სმენადაქვეითებულია და სმენის აპარატი, 3000 ლარად ღირებული, უმოკლეს ვადაში მოუვიდა, როცა ხალხი წლობით დგას რიგში ამაზე. ის იმიტომ შანტაჟირებს მუდმივად, რომ ბინის მიღება უნდა... ამას რაღაც კონვენციების მოშველიებით ასაბუთებს. ის გამუდმებით სვამს... ჩუმად შემოაქვთ სასმელი...

**— თქვენთვის იყო ცნობილი იმის შესახებ, რომ ციმიტია ინვალიდებს ფულს სძალავს?**

– დიახ, მე ეს რამდენიმე თვის წინ გავიგე, აივანზე ვიდექი და ერთ-ერთი ბენეფიციარი ეკა პეტროსიანი ხმამაღლა ტიროდა ეზოში და ციმიტიას ეჩხუბებოდა, შენ ინვალიდების პენსიის ფულებს რომ ხარჯავო და ასეთები... თავიდან მეგონა, მომესმა, მერე დავინტერესდი, აღმოჩნდა, რომ ის მანიპულირებს ამათ ტვინებზე, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ხერხით და მეთოდით, ზოგი ჭკუასუსტია, მოგეხსენებათ. იყო ერთი, რომელიც მერე გარდაიცვალა და როცა ციმიტია სამეგრელოში იყო, მოყვა ყველაფერს და თქვა, რომ პირზეც დაადგებოდა, მაგრამ, როგორც კი ჩამოვიდა ეს და ორი სიტყვით დაელაპარაკა, ის ისე მოკვდა, ხმა არ ამოუღია ამ თემაზე. წარმოგიდგენიათ, როგორი ზეგავლენა აქვს მას ყველაზე?

**— და რატომ ვერ მოაქციეთ ეს დანაშაულებრივი ქმედება სამართლებრივ ჩარჩოში?**

– „ვერ“ არა, „არა“ და იცით რატომ? საქმე საქმეზე რომ მიდგა არც ერთი შმმ პირი არ დამიდგა გვერდში, მათგან რომ ვერანაირი მხარდაჭერა ვერ მივიღე, მე თვითონ აღმოვჩნდი ჩიხში. ციმიტია არის მანიპულატორი. იცით, რას აკეთებს? ზოგს სიყვარულს უხსნის და ამით აჩუმებს, ზოგს აშინებს. მეტსაც გეტყვით, ბენეფიციარები კი არა, თანამშრომლებიც კი არიდებენ მასთან დაპირისპირებას თავს. ერთმა პირდაპირ მითხრა, მე მყავს ოჯახი და შვილები და მეშინია, ამას ვერ გადავიკიდებო და იხდიდა ხშირად... იმუქრებოდა, რომ მუცელს გადაისერავს ჩვენ თვალწინ და ა.შ. ტანი დახატული აქვს ხატებით, მრავალი წელი აქვს ციხეში გატარებული. ყველას ეუბნება, იმდენი წამალი მაქვს შეშვებული სხეულში, რომ დამწვარი მაქვს ვენებიო, ასევე ტრაბახობს, რომ უამრავი ადამიანი ჰყავს მოკლული. ეს ორნი ერთმანეთს ვერ იტანენ, იმიტომ რომ გავლენები ვერ გაიყვეს, ასე ვთქვათ, ისინი როგორც ზონაზე, ისე მართავენ იქაურობას და მინდა, რომ როგორმე კარგად შეისწავლონ ეს საქმე... მართლა მეცოდებიან ესენიც, ეტლში სხედან და თავიანთი გასაჭირი ეყოფათ, მაგრამ დანარჩენები, ვისაც მშვიდად ყოფნის უფლება აქვთ?

**— რაც შეეხება ბრალდებებს, თითქოს თქვენ მანანა კობახიძე გმფარველობთ, როგორ ახსნით ამას?**

– მე ვარ ისტორიკოსი, ჩემი მეუღლეც ჩემი კურსელია და მანანა კობახიძეც, იმის გამო, რომ მუდმივად დაკავებულები ვართ, მასთან ხშირი ურთიერთობა არ მაქვს, მაგრამ ისეთი კურსელები გვყავს, რომ... აი, მაგალითად, ამ დღეებში კახეთში ვაპირებთ ერთად წასვლას... „გაიცანი საქართველო ხელახლა“ ტურის ფარგლებში, თუმცა გავიგეთ, რომ მანანა ვერ მოდის. და კურსელობა დანაშაულია? რაც შეეხება იმას, რომ ამ მანიპულატორმა ქალბატონმა ბლიაძემ, რომელიც ხანდახან ძალითაც ეცემინება სხვებს, თვითონ იწყებს და მერე შევარდება ოთახში, სურათებს იღებს, ვითომ დასისხლიანებულს და აგზავნის უფლებადამცველებთან, ჟურნალისტებთან... იმედია, ამ სტატიის შემდეგ მაინც დაიწყებენ ამ საკითხების შესწავლას და ყველაფერი გაირკვევა...

## ხალხის აზრი

**სოფო ოთარაშვილი:**

– ბევრი გაჭირვებაა, ხალხი შიმშილით კვდება და საიმედოს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ახლა ზოგად პრობლემებზე არ ვისაუბრებ, კონკრეტულად ჩემს თავზე მოგიყვებით, რა დღეში ჩავვარდი ახლანდელი მმართველი გუნდის უგუნური პოლიტიკის გამო. მე დაქორწინებული ვარ ეგვიპტელ ქრისტიანზე, რომელიც მიშას დროს ჩამოვიდა საქართველოში, როგორც ინვესტორი, თან ეგვიპტეში ქრისტიანების დევნა იყო, პლუს საქართველოს ხელისუფლება იწვევდა უცხოელებს ბიზნესის საკეთებლად, ამის დოკუმენტიც კი აქვს ჩემს მეუღლეს, ბოლოს კი, როცა ხელისუფლება შეიცვალა, აღმოჩნდა ისე, რომ თურმე უნდა წასულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი შექმნა და უკვე დღგ-ს გადამხდელიც იყო, დიდ გადასახადებს იხდიდა სახელმწიფოში, ყველანაირი გზა ჩაუკეტეს და ბინადრობა არ მისცეს, აიძულეს, ქვეყნიდან წასულიყო. დასაქმებული გვყავდა რამდენიმე ადამიანი, ბუღალტერი, საწყობში მუშები, გამყიდველები, ყველა უმუშევარი დარჩა. უკვე შვილს ველოდებოდით, როცა ვიზა აღარ გაუგრძელეს, რამდენჯერმე ვიყავი შესული საგარეო საქმეთა სამინისტროში, ისინი მაგზავნიდნენ იუსტიციის სახლში, იუსტიციის სახლი მეუბნებოდა, ამ პრობლემას ვერ გადაგიწყვეტთ, წადით საგარეო საქმეთა სამინისტროშიო, დამატარებდნენ აქეთ-იქით, ერთმანეთზე გადაბრალება მიდიოდა, ბოლოს ისე აღმოჩნდა, რომ არავის არ ადარდებდა ეს ამბავი, კანონიც დაუღაგებელი იყო.

სასამართლოშიც შევიტანეთ საჩივარი, ბოლოს მოსამართლემ „დასძინა“ რომ „გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნითო“. გაოგნებულები ვიყავით ყველა დამსწრე. მე მინდოდა გასაჩივრება სააპელაციოში და შემდეგ საკონსტიტუციოში, მაგრამ თავი დავანებე. ჩემს სიტუაციაში ვინც იყო, უცხოელზე დაქორწინებული, ორმა გადაწყვეტილება სტრასბურგშიც გაასაჩივრა შემდეგ, მოიგეს კიდეც და მთავრობას ზარალის ანაზღაურებაც კი დაეკისრა. მე ამდენი ნერვები აღარ მეყო, ფეხმძიმედ ვიყავი და წავედით ქვეყნიდან, ოჯახი ვერ დავანგრიე და გამოდის, რომ თავისი მოქალაქე გახადეს იძულებული, ქვეყნიდან წასულიყო. დავკეტეთ ყველაფერი, ვიზარალეთ. საქონელი გაგვინიავდა.

ეგვიპტეში ყოფნის პერიოდში მივედით საკონსულოში, გადაირია კონსულიც, რომ მე ამ ქვეყანაში ვიცავ ქართველების უფლებებს და საქართველოდან როგორ გამოგიშვესო. კონსული დაგვეხმარა, რომ ბავშვის დაბადებამდე ჩამოვსულიყავით, ჩამოვედით და განიავებული დაგვხვდა საწყობიდან ყველაფერი, აღარაფერი დაგვხვდა. ყველა ერთმანეთს აბრალებდა. ბავშვი გაგვიჩნდა და ბინადრობაც მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს გიორგის. ამხელა წვალება გადამხდა და როგორ უნდა მომწონდეს ეს არაკომპეტენტური ხალხი, ძაან გულნატკენი იყო ჩემი მეუღლეც, ასე რომ მოექცნენ. მე დედა მყავს ავად და ვერ ვტოვებ დიდი ხნით, თორემ წავიდოდი საერთოდ აქედან. პატრიარქი კი ამბობს, არ დატოვოთ ქვეყანაო, მაგრამ გაუსაძლისს ხდიან ყველაფერს. მაშინ საპატრიარქოც ვერ დაგვეხმარა ვერაფერში.

ბევრ ინვესტორს გადაუკეტეს გზა, დაუხურეს ბიზნესი. ფაქტობრივად, ბევრს უთხრეს, გაეთრიეთ აქედან, არაფერში გვჭირდებითო. დოლარიც რატომაა ავარდნილი? აღარ შემოდის ინვესტიცია. პოლიციაც ძალიან რასისტულადაა განწყობილი უცხოელების მიმართ. რომ მიმართო რამეზე, გეუბნებიან, რას მოეთრეოდი, ვერ დაეტევი შენ ქვეყანაშიო? გვერდიდან არ ვშორდები, რომ რამე ხიფათს არ გადაეყაროს. ვიცი, რომ არავინ დაიცავს, რადგან უცხოელია. ერთი საკითხი კიდევ. ახლა ამბობენ, რომ მოგების გადასახადი გაუქმდება, მაგრამ სამაგიეროდ იწყება ყველა ბიზნესის შემოწმება და ჩასაფრება, კიდევ უარესი მოხდება, სანქციები წავა, უარესი დაჯარიმებები და დაწიოკება.

**„იწყება ყველა ბიზნესის შემოწმება და ჩასაფრება. კიდევ უარესი მოხდება“**

*მაკა დეკანოსიძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სინამდვილეში, დასავლეთიც ყელში ამოუვიდა ხალხს, ჩრდილოეთიც, „ოცნებაც“ და „ნაცები“ ხომ საერთოდ!!!



– არ შეიძლება „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში განიხილო დასავლეთის ერთადერთ დასაყრდენად, – ეს განცხადება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ გააკეთა.

მანანა კობახიძე აღნიშნავს, რომ ხაზგასმა ხდებოდა თითქოს რომ არა „რესპუბლიკური პარტია“, დასავლურ არჩევანს საფრთხე დაემუქრებოდა.

– ის კონტექსტი, რომ კოალიციაში ერთადერთი პროდასავლური ძალა და პარტია „რესპუბლიკური პარტიაა“, არ არის სწორი, – განაცხადა მანანა კობახიძემ. (exclusivenews.ge)

## დიდი ბრიტანეთის მსგავსად, ევროკავშირის დატოვებას ჩეხეთიც აპირებს



ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შემთხვევაში, ორგანიზაცია შესაძლოა, ჩეხეთმაც დატოვოს.

ამის შესახებ, ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა ბოჰუსლავ სობოტკამ განაცხადა.

– შედეგი შესაძლოა, ძალიან დიდი იყოს. თუ ბრიტანეთი ევროკავშირს დატოვებს, რამდენიმე წელიწადში გასვლის შესახებ დებატები ჩვენც გველის, – განაცხადა სობოტკამ.

ამავე დროს, ჩეხეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ, სანამ ის მთავრობას ხელმძღვანელობს, ჩეხეთის ევროკავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმის გამართვას არ დაუშვებს.

ბოჰუსლავ სობოტკა მიიჩნევს, რომ ევროკავშირიდან ჩეხეთის გასვლის შემთხვევაში, რესპუბლიკას ეკონომიკური ზარალი ელის. ასევე, ეს უსაფრთხოების სფეროზე უარყოფითად აისახება.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ორგანიზაციიდან გასვლით ჩეხეთი რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნდებოდა.

– ეს ნიშნავს 1989 წლის შემდგომ განვითარებაზე აბსოლუტური უარის თქმას, – განაცხადა ბოჰუსლავ სობოტკამ. პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა ჩეხეთში ექსტრემიზმსა და ნაციონალისტურ განწყობებს გააძლიერებს. (marshalpress.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



როგორც ქართველი პოეტები ამბობენ, ტრაკისკენ მიდის ყველაფერი. აქ საქვეყნო საქმეებზეა ლაპარაკი, თორემ რაც კაცობრიობა არსებობს და რასაც კაცობრიობა მოიხმარს, ფიზიოლოგიურად ისედაც ტრაკისკენ მიდის. სწორედ ამის გამო იწყებოდა (და იწყება) ომები, ამის გამო ვჟუჟავთ ერთმანეთს და ამის გამო ვიბრძვით სკამების დასაკავებლად. რამდენიც არ უნდა ვატრაკოთ და რამდენიც არ უნდა ვიფიცოთ სამშობლოსა თუ დედის ძუძუზე, ბოლოს მაინც იქამდე მივდივართ, რაც მხოლოდ ტრაკისკენ მიდის. ნახეთ, რა სამართლიანად წუხს პოეტი ს. შკადარევიჩი, როგორ გასაგებად ამბობს თავის სათქმელს:

**„რომელ ურთიერთგაგებაზე ვისაუბრო,
როდესაც ტრაკისკენ მიდის ყველაფერი,
სასაცილოა მოსაყოლად რასაც ვგრძნობ ახლა,
არც გასაგებად არ იქნება ვიცი, ადვილი:
რომელ თვალის ფერზე, სულის სისუფთავეზე,
თითების გათბობაზე, ყელთან ჩურჩულზე,
ყვავილების სურნელზე, მთვარის განათებაზე,
პოეზიაზე, რომელ კარგ,
უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანზე ვისაუბრო,
როდესაც ტრაკისკენ მიმდის ყველაფერი.
ნერვიულობისგან აკანკალებული ხალხიც მინახავს,
ნევროზით გარდაცვლილებზეც წამიკითხავს,
სიყვარულით შეშლილებთანაც მისაუბრია,
უსიყვარულოდ მოყვანილ ცოლებთანაც,
უკომპლექსო კომპლექსიანებიც მინახავს,
უწმინდური მორწმუნეებიც,
უსიგარეტო ხალხისთვისაც ჩამიხედავს თვალებში და
სიგარეტიან ადამიანებზეც მითხოვია ერთი ღერი,
უძმაკაცო (უბედური) ადამიანებიც ჩამიკრავს გულში,
და ჩემი საძმაკაცოც მყვარებია ძალიან მაგრად,
ისეთი პოეტებიც მინახავს, ვისაც არ გაუმართლათ და
ისეთებიც, ვინც თავიანთ ბედნიერებაზე წერენ,
გარდაცვლილი დედების გახსენებაზე ცრემლი რომ
მოსდით, ისეთი ხალხიც მყავს ნანახი და
უდედოდ გაზრდილებიც, უკმაყოფილო მდიდრებიც და
დანაყრებული მათხოვრებიც, უწიგნურებიც და
განათლებულებიც, ყველაფერი ნანახი მაქვს,
ყველა მყავს ნანახი, კარგიც და ცუდიც,
ამბობენ, რომ თუ ტრაკისკენ მიგდის საქმე,
ადრე თუ გვიან გამოსწორდება, ნორმალურიაო,
მეუბნებიან, მაგრამ მე აქ,
ვერც დადებითს ვხედავ ვერაფერს.
რაც არ უნდა ცუდად ჟღერდეს ეს სიტყვები,
გეფიცებით, ყველაფერი ტრაკისკენ მიდის“.**

ოდესმე გიგრძვნიათ, რომ ტყუილად გიცხოვრიათ ამ ქვეყანაზე? ალბათ, ზოგს გიგრძვნიათ, ზოგს – არა. არადა, შეიძლება 80 წელი იცხოვრო, 100 წელსაც მიუკაკუნო, გეგონოს, რომ რაღაცას აშენებდი და ერთმა შემთხვევამ გაგიცამტვეროს ყველაფერი, ანუ თავად ცხოვრებამ გითხრას, რომ ტრაკისკენ მიდიოდა ყველაფერი და შენ ვერ შეამჩნიე, გამოგეპარა. არ ვიცი, შეიძლება არც გამოგეპარა და უბრალოდ საზოგადოებრივი ყოფა დადგა ყირაზე. მაგალითად მოგიტანთ ჯაბმულ გამცემლიძის მცირე წერილს, რომელსაც შვილი ჩაუცხრილეს ქუჩაში და დღემდე ვერ იპოვა სამართალი:

„რა ტყუილად მიცხოვრია ამ ქვეყნად, ვხედავ, რომ „ლგბტ“ პირების დაცვის კომიტეტები და ორგანიზაციები არსებობს ამ ქვეყანაში და ეთერებს უთმობს ყველა ტელევიზია, ჩვენ შვილები დაგვიხოცეს, საჯიშე ბიჭები, ქუჩაში მიდიოდნენ და ხალხი ჩერდებოდა მათი სილამაზის დასანახად. მათი სიცოცხლის დამცველი არავინ აღმოჩნდა, არც ერთი მათი მკვლელი სათანადოდ არ დასჯილა, ჯერაც არაა ბოლომდე მიყვანილი არც ერთი საქმის გამოძიება, რატოოოომ? იმიტომ, რომ დაუცველები ვართ შვილმოკლული მშობლები, ჩვენ არავის ვახსოვართ“.

ბატონი ჯამბული თავის წუხილს ლექსადაც გამოთქვამს... როგორც ჩანს, ლექსად უფრო იოლია დარდის ამოღება გულიდან:

**„გამამათხოვრა წუთისოფელმა,
არც არავინ მყავს ჭირისუფალი,
მოდი უფალო, შორს წამიყვანე,
ვიყო ყველასგან თავისუფალი.
მერეეე?
რა მერე...
მეც დავისვენებ...
ვერ მოვესწრები სხვა მაისობას,
წავალ და ჩემ შვილს მოვეფერები,
შევუერთდები მარადისობას“.**

ეგრეა, გაახელ თვალს და ეგრევე გრძნობ, როგორ მიდის ტრაკისკენ საქმე... მე მაპატიეთ უცენზურო სიტყვებისთვის, მაგრამ ჩვენს ყოფას უკეთესად ვერ დახატავ. ამ სამიოდე სიტყვით ყველაფერია ნათქვამი, ამ სამიოდე სიტყვაში ეტევა წარსულიც, აწმყოც და მომავალიც. ნეტა როდის არ მიდიოდა ჩვენი საქმე ტრაკისკენ, როდის ვიყავით მეცხრე ცაზე, როდის იდგა დარი ჩვენს ქუჩაზე? ყოველდღე გავიძახით, არ აღდგა სამართლიანობა, ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო. რომელი სამართლიანობა უნდა აღმდგარიყო, რაც არ არსებობდა? ან რომელ სამართლიანობაზეა ლაპარაკი, როცა ირგვლივ გამეფებულ ქაოსში ცნება „ადამიანობაც“ კი აღარ არსებობს? როგორც პოეტი პაპუნა გიორგაძე ამბობს:

**„დღეს გეი ვცემე — მე მართალი ვარ,
არ მიცემია ორიენტაციის გამო.
დღეს მღვდელმა მცემა — ის მართალია,
არ ვუცემივარ ურწმუნოების გამო.
დღეს ქალიშვილობა დავკარგე — მტყუანი ვარ,
თავისუფლება გარყვნილებაში ამერია
დღეს ქმარმა მაფურთხა — მტყუანი ვარ,
ღალატზე შემისწრო.
ტელევიზიები, პრესა, ინტერნეტი,
დიალოგები, საუბრები, მონოლოგები,
პოლიცია, ჯარი, ციხე,
ქუჩის ბიჭები, ნარკომანები, მოთამაშეები,
პროფესორები, ლექტორები, სტუდენტები,
პოსტმოდერნები, მწერლები, პოეტები,
მუსიკოსები, მხატვრები, მსახიობები,
ესენი ჩვენ ვართ და ჩვენს თავებში ვიძირებით
და ერთმანეთის თავებში ვიძირებით
უმეტეს წილად,
ექიმი — პოეტში. ლექტორი — რეჟისორში
და ასე შემდეგ...
რაც მთავარია, ჩვენ ვიძირებით.
დღეს შავკანიანი ვცემე — მე მართალი ვარ,
არ მიცემია რასიზმის გამო.
დღეს პოლიციელმა დამიჭირა — ის მართალია,
არ დავუჭერივარ უმიზეზოდ.
იმუნიტეტი არ ვრცელდება მხოლოდ
პოლიტიკოსებზე,
და ბავშვებზე ვინც პოლიტიკოსობაზე ოცნებობს,
რადგან ვინც ამერიკამ მოკლა — მოსაკლავი იყო,
ამ აზროვნებით გვაცხოვრებენ
და მხოლოდ მათ საბარათე ანგარიშებზე
იხილავ დემოკრატიას.
პოლიტიკოსთან მართალია მტყუანი გეი,
ურწმუნო მღვდელი, ბოზი, რასისტი ზანგი
და ბოროტი პოლიციელი.
პოლიტიკოსთან მართალია ქუჩის ბიჭი,
მოთამაშე, ნარკომანი, პროფესორი,
ლექტორი, სტუდენტი, პოსტმოდერნი,
მწერალი, პოეტი, მუსიკოსი, მხატვარი,
მსახიობი, ექიმი, დურგალი, ტაქსის მძღოლი...
დიახ! ისინი გვაძალებენ წერას, თამაშს,
ნარკომანობას, ბოზობას.
დიახ! ისინი გვიკრძალავენ განათლების მიღებას,
რომ მათ წინაშე არ გავილაშქროთ,
რომ ხმა მივცეთ და ხმა ჩავიკმინდოთ,
რომ მმართველობა ჩავაბაროთ,
რათა გვმართონ, გვმართონ, გვმართონ“!**

## „გეფიცებით, ყველაფერი ტრაკისკენ მიდის“



**ჯამბულ გამცემლიძე:
„...მერეეე?
რა მერე...
მეც დავისვენებ...
ვერ მოვესწრები სხვა მაისობას,
წავალ და ჩემ შვილს მოვეფერები,
შევუერთდები მარადისობას“**

**ჩვენ, პოეტები საქართველოსი!**



### ხალხის აზრი

**ლია, 58 წლის, ინდმეწარმე:**

– რომ ვთქვა, რომ „ნაციონალებზე“ უარესები არიან-მეთქი, არ ვიქნები მართალი. კი, უფრო მეტი იყო მოლოდინი, მაგრამ ისეც არაა საქმე, რომ ვთქვათ, არაფერი გაკეთებულაო. სოფელში შედარებით უკეთესი სიტუაციაა, ხალხმა ცოტა ამოისუნთქა, სახნავზე არ ეხარჯებათ არაფერი, არც დათესვასა და სასუქზე. ეს სამწლიანი პროგრამა იყო და წელს დამთავრდა, ახლა რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ არჩევნები მოდის და კიდევ იფიქრებენ რაღაცას, ალბათ. პირველ წელიწადს იმდენი ტექნიკა და მასალა მისცეს ხალხს. ასევე, ჯანდაცვის რეფორმა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის, ამოვისუნთქე, ექიმთან ვერ მივდიოდი. ექიმთან შესვლა ფული იყო, ანალიზები ფული იყო. სწავლაც ბაღში უფასოა, რამდენი ფაკულტეტია უფასო. პენსიებმაც მოიმატა. ერთი რაღაც ვერ გავიგე, თბილისის მაცხოვრებლებს მერია ხომ გვაძლევდა 20 ლარს ზამთრის პერიოდში, ახლა კი არ გამოდის 20 ლარი, სადღაც ცამეტამდე გამოდის, 8 დენზე და დანარჩენი წყალსა და დასუფთავებაზე, სულადობის მიხედვით

**„ისეც არაა საქმე, რომ ვთქვათ, არაფერი გაკეთებულაო“**

რიცხავენ, თუ რა არის, ვერ გავიგე, მაგრამ ფაქტია, 7 ლარი აკლია და ცოტა გაურკვეველი ამბავია. გუშინ მეუბნებოდა კიდევ ახლობელი, პენსიონერებზე რომაა პრეპარატებით დახმარება 100-120-ლარიანი წელიწადში, აღარ იქნება ყველაზეო. მივლენ, შეამოწმებენ ოჯახს, თუ ყველაფერი აქვს სახლში და კარგად ცხოვრობს, იმას არ მისცემენ, ეს ძაან გაუგებარია. შეიძლება სახლში კი მაქვს ყველაფერი, მაგრამ შემოსავალი რა მაქვს, ეს არ უნდა იყოს გათვალისწინებული? ლარის კურსია ახლა ნომერ პირველი პრობლემა, რა ვიცი, კი იძახიან, რომ ქადაგიძე წავა და გვეშველებაო, ხოდა, გამოჩნდება, თუ იქნება საშველი. ძალიან გაძვირებულია ყველაფერი. რაც არ მომწონს, კიდევ ისაა, რომ ბევრგან რაიონებში ადამიანები გამოუშვეს სამსახურებიდან, მარტო იმიტომ რომ „ნაციონალების“ დროს მუშაობდა. სულაც არ იყვნენ მათი მომხრეები ამ დროს, მაგრამ ახლობლების დასასაქმებლად ის უდანაშაულო და პროფესიონალი ხალხი დარჩა სამსახურის გარეშე.

ვინც მეტ საქმეს გააკეთებს და იქნება ხალხისთვის, მოგვეწონება ის, ბოროტებას მაინც არ აკეთებენ ესენი და არ მესმის იმ ხალხის, ვინც „ნაციონალებს“ მისტირის.

*მაკა დეკანოსიძე*

### ხალხის აზრი

**გივი, 48 წლის, ეკონომისტი:**

– არც ერთი პარტიის არ მჯეროდა არასდროს და არც ახლა მჯერა, ჩვენს თავზე ვართ მაინც დამოკიდებული და ღმერთზე. ცხოვრება ძალიან ძვირი გახდა და არაფერში გვყოფნის შემოსავალი. ერთადერთი, იმის არ მეშინია, რომ ახლა ციხეში გააუპატიურებენ ვინმეს. შვილი მყავს დაჭერილი და კიდევ კარგი წინა მთავრობის დროს არ მოხდა ეს, მოვკვდებოდი ნერვიულობით. ახლა შედარებით მშვიდად ვარ, ვიცი, რომ არაფერს დაუშავებენ. თუმცა ძალიან ცუდი კანონები გვაქვს, მსუბუქ ნარკოტიკზე არ უნდა იყოს სასჯელი და ადამიანი ამის გამო ციხეში არ უნდა ჩასვან, კრიმინალების გვერდით, იმედია, ამ კუთხით რამე შეიცვლება. მაგრამ ესეც საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ჩვენ ვერ ვისწავლეთ ჩვენი უფლებების დაცვა, ხელისუფლება კი არ უნდა გვკარნახობდეს კანონებს, ხალხი უნდა იყოს განმსაზღვრელი და მისი ხმა მეტს უნდა ნიშნავდეს. აღარ წავალ, საერთოდ, არჩევნებზე, ვინც უნდა, იმან გამოიყენოს ჩემი ხმა, ყველა მაინც სათავისოდ იყენებს სკამს.

**„აღარ წავალ, საერთოდ, არჩევნებზე!“**

*მაკა დეკანოსიძე*

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# „330 კაცი მართლა არავის გაუყვანია არც ასეთი პირობებით, არც ასეთი რაოდენობით...“





„პროფესიის“ დღევანდელი რესპონდენტი „სუხიშვილების“ ყოფილი მოცეკვავე ეკა მამასახლისია. გარდა იმისა, რომ თავის პროფესიაზე დიდი სიყვარულით გვიყვება, ერთ მეტად მნიშვნელოვან ამბავსაც გვიმხელს: 9 მარტს ბაქოში, ალიევის სასახლეში, ქართული კულტურის საღამო გაიმართება, რომელშიც 300-მდე ქართველი ბავშვი მიიღებს მონაწილეობას, აზერბაიჯანელ ბავშვებთან ერთად. თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით, ეს ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოვლენაა ქართული ქორეოგრაფიისა და ფოლკლორის ისტორიაში, რადგან ამ რაოდენობის ბავშვების სხვა ქვეყნის ფესტივალზე გასვლა პირველად ხდება.

როგორია, იყო პროფესიით მოცეკვავე? რა სირთულეები ახლავს მას? ვინ გაუკეთა ორგანიზება ამ მასშტაბურ ფესტივალს საქართველოს მხრიდან?

**„ალიას“ დეტალებზე ეკა მამასახლისი ესაუბრა:**

– დავამთავრე ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია და ამის შემდეგ ვიყავი რამდენიმე საბავშვო ანსამბლში. 10 წლიდან უკვე სახელმწიფო ანსამბლ „თბილისში“ ვითვლებოდი, თუმცა ყველა ბავშვისთვის, ვინც ცეკვავდა, ყოველთვის საოცნებო იყო „სუხიშვილები“ და ჩემი ოცნებაც ეს გახლდათ. ძალიან დიდი შრომა და მუშაობა სჭირდება, რომ ამ ანსამბლში ვინმე მოხვდეს. ახლა უკვე მეტი შესაძლებლობები არსებობს, „სუხიშვილებმა“ საბავშვო სტუდია გახსნეს და იმ სტუდიიდან ხდება გადანაწილება ბავშვების. ჩემს დროს არ არსებობდა ეს სტუდია, პირდაპირ უნდა მისულიყავი ანსამბლში, რაც საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო იყო... მეც გადავწყვიტე, რომ მივსულიყავი. ათი კაცის წინაშე წარვდექი შემოწმებაზე და ნერვიულობისგან გული მისკდებოდა (იცინის), მაგრამ მინდა აღვნიშნო: ისეთი შეხვედრა და ისეთი მიღება მომიწყო ბატონმა თენგიზ სუხიშვილმა, დღემდე არ მავიწყდება. პირველივე დღიდანვე ხელფასი მომცეს, ორ კვირაში გადაწყდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მივდიოდი... ამ სიკეთეს მართლა ვერასდროს დავუვიწყებ ბატონ თენგიზს, ეს იყო წარმოუდგენელი, რადგან იმ პერიოდში (და ახლაც) იმდენად ბევრი ცეკვავდა, ასე უცბად პირდაპირ საკონცერტო მთლიან ჯგუფში მიგეღო მონაწილეობა, საკმაოდ რთული იყო.

**— როგორია, იყო მოცეკვავე? რამდენად დიდ სირთულეებთან არის ეს დაკავშირებული?**

– საკმაოდ რთულია. სცენაზე ხომ დიდი დატვირთვაა და კულისებს მიღმა უარესი დატვირთვაა – წამებში უნდა გადაიცვა კოსტიუმი, გაიკეთო გრიმი, მოწესრიგდე... იმ პერიოდში სულ ვფიქრობდი, რა ისეთი პრობლემა უნდა მქონოდა, რომ ანსამბლისთვის თავი დამენებებინა? სულ რომ ავად ვყოფილიყავი, დამეფიცება, რეპეტიცია არ გამიცდენია, ამით ვსუნთქავდი, ამით ვცხოვრობდი. მიუხედავად იმისა, რომ ათი წელია უკვე აღარ ვცეკვავ, დღემდე ამით ვცხოვრობ. სხვათა შორის, ბოლო ექვსი წელი სულ სხვა პროფესიით ვიმუშავე, რომელიც ხელოვნებასთან არანაირ კავშირში არ იყო, მაგრამ იქაც ყოველთვის „სუხიშვილები“ ვიყავი. ამ ანსამბლმა ცხოვრება, დამოუკიდებლობა, საკუთარი თავის ფასი (კარგი გაგებით) მასწავლა და ძალიან დამხვეწა.

**— გამორჩეული საკონცერტო გამოსვლები თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ?**

– მინდა გულწრფელი ვიყო: ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო კონცერტი, ანშლაგით მიდიოდა. ეს ანსამბლი მართლა გამორჩეულია. თბილისშიც რამდენჯერაც ჩაგვიტარებია, სიტყვაზე, გვითქვამს, სამი კონცერტიო და მერე აუცილებლად ვამატებდით ხოლმე. საერთოდ, ყველაზე რთული მაყურებელი საქართველოშია, რადგან უფრო ყველაფერი იცის და უფრო მონდომებულები ვიყავით. ყველგან წარმატებულები ვყოფილვართ და თავი არ დაგვიზოგავს არც ერთს, რომ კონცერტი მაღალ დონეზე ჩაგვეტარებინა. ანსამბლმა წარმატებული გასტროლებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. დღესდღეობით, ნაციონალური ბალეტის მომდევნო თაობა ილიკო სუხიშვილი უმცროსისა და ნინო სუხიშვილის თაოსნობით, არანაკლები წარმატებითა და პოპულარობით აგრძელებს შემოქმედებით მოღვაწეობას. ამ შემთხვევაში, ჩემი ანსამბლის საკონცერტო პროგრამა უფრო და უფრო მდიდრდება, რთულდება, მაღლდება, იხვეწება. ეს იყო ძველი საკონცერტო ნომრები, რომელიც დღემდე გვაქვს შემორჩენილი და ის ყოველთვის დარჩება, არ არსებობს ამის შეცვლა, მაგრამ უმცროსმა ილიკო სუხიშვილმა ისეთი მეორე განყოფილება გააკეთა, რომ ეს სულ ახალი პროგრამაა და მე ვფიქრობ, ძალიან კარგია, სულ ახლის ძიებაში უნდა ვიყოთ. მართლა ბედნიერი ვარ, რომ ეს გზა გავიარე, რომელმაც ძალიან დიდი გამოცდილება მომცა ცხოვრებაში. სამწუხაროდ, როგორც გითხარით, მე სცენაზე აღარ ვარ ჩემი შვილების გამო, რაზეც გული ძალიან მწყდება და მხოლოდ შვილები თუ გადამადგმევინებდნენ ამ ნაბიჯს, თორემ სხვა მეტი არავინ და არაფერი არ გადამაწყვეტინებდა ანსამბლის დატოვებას.

**— უახლოს დღეებში ბაქოში ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო საბავშვო ფესტივალი ტარდება...**

– რთული და საპასუხისმგებლო საქმე წამოვიწყეთ, საქმე, რომელიც ბავშვთა განვითარებას ეხება: ბაქოში, ალიევის სასახლეში, ქართული კულტურის საღამო გაიმართება. საქართველოს კულტურის პალატა კიდევ ერთ საერთაშორისო ფესტივალს იწყებს. ჰეიდარ ალიევის სახელობის სასახლეში 9 მარტს ჩვენ, სამასამდე ქართველი მონაწილე, აზერბაიჯანელ თანატოლებთან ერთად კონცერტს გავმართავთ. მაყურებლის წინაშე წარვადგენთ ქართულ კულტურასა და ხელოვნებას. ეს იქნება ქართველ და აზერბაიჯანელ ბავშვთა ერთობლივი, სრული კონცერტი, რაც აქამდე ამ სასახლეში არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ჩვენ თითოეული დეტალი გათვლილი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდეს, რაშიც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის კულტურის პალატას, კერძოდ, დავით ოქიტაშვილს, რომელიც გვერდში დამიდგა. ორი თვის განმავლობაში ყველა ანსამბლში დავდიოდი, სათითაოდ შევამოწმე როგორც ქორეოგრაფიით, ასევე კოსტიუმებით, მშობელთა კრებები მოვიწვიე და სათითაოდ ვუხსნიდი, რა პირობებით, როგორ, სად უნდა წარმდგარიყვნენ მათი შვილები. აქედან სულ 330 კაცი მივემგზავრებით და რაც უფრო მეტია რაოდენობა, მით უფრო მეტია პასუხისმგებლობა. ბაქოში ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები კეთდება, ალიევის სასახლეში გამოსვლა... იქ დაგვხვდება აზერბაიჯანის კულტურის პალატის წარმომადგენელი, სახალხო არტისტი თარანა მურანდოვა.

**— აღნიშნული ფესტივალი ყოველწლიური იქნება?**

– დიახ და მას სხვადასხვა ქვეყნები უმასპინძლებენ. ჩვენს საფესტივალო ჯგუფში რამდენიმე 6 წლის ბავშვია, ყველაზე დიდები კი 16 წლის ბავშვები არიან. ამ ფესტივალით საქართველოს კულტურის პალატა დაინტერესდა და შემდეგ უკვე ქალბატონმა თარანამ ჩვენ მიგვიწვია. ეს იმდენად რთული საქმე იყო, რომ ამას მართლა რამდენიმე ორგანიზატორი სჭირდებოდა და ჩვენ ყველამ საქმეები გადავინაწილეთ: მე ქართული ქორეოგრაფია, ბავშვების მოყვანა, შეკრება, დაგეგმვა, წარდგენა გავაკეთე, მაგრამ რომ არა დავით ოქიტაშვილი, ამ ყველაფერს ასეთი ღირებული და კარგად შეკრული სახე არ ექნებოდა. მინდა აღვნიშნო, რომ ალიევის სახელობის სასახლეში ქალბატონი თარანა მურანდოვა რომ არ ყოფილიყო, ასე მარტივად იქ ვერ გავიდოდით. ამ ყველაფერს იმდენად უცბად და კარგად ვაკეთებთ, ასე მგონია, მთელი

**»» პროფესიის**

არმია მიდგას გვერდში (იღიმის), არადა, მხოლოდ სამი ადამიანი ვართ ორგანიზატორები. 330 კაცი მართლა არავის გაუყვანია ფესტივალზე არც ასეთი პირობებით, არც ასეთი რაოდენობით. ჩემთვის ეს პირველი პროექტია და მართალია, დიდი შრომა დამჭირდა, მაგრამ ისეთი სკოლა გავიარე ანსამბლ „სუხიშვილებში“, რომ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი კარგად გამოვიდა. დიდი მადლობა მინდა „სუხიშვილებს“ გადავუხადო, ის ისევ ჩემი ანსამბლია, ისევ ჩემი ოჯახია და მე ისევ „სუხიშვილები“ ვარ (იღიმის).

**ზემოხსენებულ ფესტივალში ქართული მხარის მხრიდან მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ანსამბლები: ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მოძახილი“, ხელმძღვანელი დავით არჩვაძე, ასევე, დავით არჩვაძის გოგონათა ვოკალური გუნდი; დიდ დიღომში ხელოვნების ცენტრ „ლომსიანთასთან“ არსებული ანსამბლი „ლომსიანთა“, სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოს დამსახურებული არტისტი, აკადემიკოსი ომარ ლომსაძე, ქორეოგრაფი ალექსანდრე ლომსაძე; ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ივერიანი“, ქორეოგრაფები: ლევან და დავით სუთიაშვილები; ქორეოგრაფიული ანსამბლი „ილორი“, ხელმძღვანელები: მიხეილ ფუხაშვილი, ანა კენჭაძე; ქორეოგრაფიული ანსამბლი „თამარიონი“, ქორეოგრაფები: ზვიად ჯინჭარაძე, თინათინ კორძაია; სკოლა „ბინულთან“ არსებული ანსამბლი „ცისკრის ვარსკვლავი“, ქორეოგრაფი ირაკლი ცეცხლაძე; ქალაქ მცხეთის კულტურის სახლთან არსებული ანსამბლი „იბერიონი“, ქორეოგრაფები: ბესიკ ტურაშვილი, ირაკლი ნიკოლაიშვილი...**

## 22–28 თებერვლის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – დადგა დრო, გაიაზროთ და დაფიქრდეთ თქვენი ურთიერთობების შესახებ. გაქვთ შანსი, ცხოვრების ახალი ფურცლის წერაც კი დაიწყოთ. მოკლედ, პირადად თქვენზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. გაითვალისწინეთ, რომ თქვენი გრძნობები უპასუხოდ არ დარჩება, თუმცა გარკვეული პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე ნამდვილად მოგიწევთ.

ზოგადად, მიმდინარე კვირა ვერძებისთვის შესანიშნავი დროა გულების დასაპყრობად და პარტნიორული ურთიერთობების განსამტკიცებლად. თუკი გმირობისთვისაც მზად ხართ, ამის დრო სწორედ ახლა დადგა.

**სამსახური** – მიმართეთ მთელი ენერგია საკუთარი თავის გარდაქმნისკენ. შედეგს ხელმძღვანელობა აუცილებლად დააფასებს.

**სასიკეთო დღეები:** 5, 6 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 4 მარტი.

### კური 22.04-21.05



**სიყვარული** – პირველ რიგში, ის უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი ცხოვრების დამალული მხარეები შესაძლოა, ძალიან მარტივად ყველასთვის ნაცნობი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხული გრძნობებს ამძაფრებს, თქვენს შემთხვევაში უმჯობესია, ემოციები მოთოკოთ, რათა შეცდომები არ დაუშვათ. ზედმეტ ყურადღებას ნუ გამოიჩენთ ყოფილი შეყვარებულის მიმართ, რადგან შესაძლოა, ამას არსებულ პარტნიორთან დაშორება მოჰყვეს.

**სამსახური** – გადაჭარბებული აქტიურობა და დაუფიქრებელი ქმედებები კუროს პროექტებს სერიოზულ საფრთხეებს უქმნის.

**სასიკეთო დღეები:** 4 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 5 მარტი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – გსურთ, თქვენს გრძნობებს უპასუხონ? ესე იგი, მოვიდა დრო, შეიცვალოთ - როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად!

დაიწყეთ იმით, რომ უნდა შეეცადოთ და ურთიერთობები როგორღაც გაამრავალფეროვნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი მალე მოგბეზრდებათ. არ არის გამორიცხული, უკეთესი იყოს, თუკი პარტნიორთან ცოტა ხნით აღებულმა ტაიმაუტმა ორივეს შვება მოგცეთ და განახლებული ურთიერთობა ბევრად მიმზიდველი გახდეს.

**სამსახური** – ერთ ადგილზე არ გაჩერდეთ! აქტიურად და თამამად მოკიდეთ ხელი ახალ შემოთავაზებებს.

**სასიკეთო დღეები:** 6 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 თებერვალი.

## ანომალია





მაია იასეშვილი
599 94-64-58

**რა განსაზღვრავს ჩვენს ბედს, ნიჭსა და ცხოვრებას და რა გზით გადაეცემა ადამიანს წინაპრების პროგრამა? გვესაუბრება პარაფსიქოლოგი და ეზოთერიკოსი, ნინო ვარსიმაშვილი.**

– ადამიანის ჯანმრთელობასა და მისი აურის მდგომარეობას შორის პირდაპირი კავშირია, მიუხედავად იმისა, რომ ფართო მასებისთვის აურა უხილავია, ყოველთვის არსებობენ პიროვნებები, ძლიერად განვითარებული ზემგრძნობიარე შესაძლებლობებით, რომლებიც ხედავდნენ მას. ჩემი მუშაობის მეთოდი კარმის დიაგნოსტიკისა, საიდანაც ვიგებთ ადამიანის როგორც ჯანმრთელობის, ასევე სულიერ მდგომარეობას, მხოლოდ აურის საშუალებით შეიცნობა. თუმცა არის შემთხვევები, როცა ჩემთან მოსულ ადამიანზე ინფორმაცია მოდის კინოკადრებივით, ვხედავ მის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს და გამოსავლის პოვნის ოპტიმალურ შესაძლებლობას, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხერხდება და ჩემს ნება-სურვილზეც არ არის დამოკიდებული, მაგრამ აურის აღქმა და კარმის დიაგნოსტიკა აურის საშუალებით, დროის ნებისმიერ მომენტში ხელმეწიფება. აურა ადამიანის ორგანიზმის ფსიქოენერგეტიკული და ბიოინფორმაციული ტალღოვანი და რეზონანსული ღერძია. ის მართავს როგორც ცალკეულ უჯრედებს, ორგანოებსა და სისტემებს, ასევე მთელი ორგანიზმის მოქმედებასაც. აურა რამდენიმე ველის, ანუ დონისგან შედგება და ყოველი დონე ასახავს ადამიანის ორგანიზმის განსაზღვრული სტრუქტურისა და ფუნქციის მდგომარეობას. მსგავსი თვისება ფსიქოენერგეტიკოსებს ხელს გვიწყობს ადამიანის კარმის დიაგნოსტიკაში, სადაც, რასაკვირველია, ავადმყოფობებიც ვლინდება. კერძოდ, ავადმყოფობის ბიოლოგიური ველის მდგომარეობის მიხედვით შეგვიძლია, განვსაზღვროთ ჯადოს, გათვალვისა და ენერგოზემოქმედებათა სხვა ნაირსახეობის არსებობა, ან ფსიქოტექნოლოგიური ზემოქმედება, აურის განსაზღვრული ფენები ასახავს ადამიანის ფსიქოემოციურ მდგომარეობას. მაგალითად, ხშირად გრძნობა და ემოციები აღიქმება ელექტრული ნაპერწკლების, ან ღია ვარდისფერი ნათების სახით. ძლიერ განვითარებული ინტელექტი ოქროსფერ-მოყვითალოა. ადამიანის ყველა ორგანოს აქვს თავისი დამახასიათებელი ფერი, აურა იცვლება შინაგანი დინამიკური და ბიორიტმების რყევის ან გარეგანი ზემოქმედების შედეგად. ხშირად ადამიანის აურის შეცვლა დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების შედეგია, სიყვარული, სიმპათია, ანტიპათია, სიმშვიდე, სიბრაზე, სიავე, სიძულვილი, ყველაფერი ეს აქტიურად მოქმედებს აურის ცვლილებაზე, ნებისმიერი ადამიანი ჩაფლულია ფსიქოენერგეტიკულ ტალღებსა და რეზონანსულ ვიბრაციაში, თუმცა ამას თვითონ ვერ აღიქვამს. ეს რეზონანსული ტალღები და ვიბრაციები აღიქმება აურის მიერ და ხშირად ეს განსაზღვრავს ადამიანის გრძნობებს, ემოციებს, აზრებსა და საქციელსაც კი. ადამიანთა დიდ ნაწილს დასუსტებული და ფერმკრთალი მრუმე

## „წარუმატებლობა და ავადმყოფობა განაჩენი არ არის და ყველაფრის შველა და გამოსწორება შეიძლება!“



ფერებში მყოფი აურა აქვს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სასწრაფოდ უნდა აღდგეს დარღვეული და დასუსტებული აურა და დაიმუხტოს დადებითი ენერგიითა და ძალ-ღონით. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი კარგავს სასიცოცხლო რესურსს. ადამიანზე გახორციელებული ნეგატიური პრობლემები პირველ რიგში აურაზე ვლინდება და სწორედ დასუსტებული აურის აღდგენისა და ბიოველის გაძლიერებით არის შესაძლებელი.

**— კარმული დიაგნოსტიკა მხოლოდ აურის აღქმით არის შესაძლებელი?**

– ადამიანის ცხოვრებისეული პრობლემების სათავის ძიებას მისი დაბადების თარიღამდეც მივყავართ, დაბადების თარიღის გაშიფვრისას ნათლად ჩანს რა კარმის, ანუ როგორი ბედით მოევლინა ადამიანი სამყაროს. ნუმეროლოგიით დაბადების თარიღის გაშიფვრა კი არა მხოლოდ ადამიანის მომავლის წინასწარი შეცნობის, არამედ მისი ცხოვრების ხელსაყრელ კალაპოტში მოქცევის შესაძლებლობასაც იძლევა, როგორც საქმიანობის სფეროს, კარიერის არჩევის, ასევე ჯანმრთელობისა და სიყვარულის კუთხითაც. გარდა ნუმეროლოგიისა, სხვა მეთოდიც არსებობს ადამიანის პირადი კოდის საიდუმლოს შესაცნობად, რომელშიც გაშიფრულია ყველა ინფორმაცია, რაც ამ ადამიანს ეხება, მაგრამ ყველა ფენომენს თავისი მუშაობის მეთოდი აქვს და პიროვნებას, რომელსაც ნათელხილვის უნარი გააჩნია, არ სჭირდება სხვადასხვა მეთოდების ჩხრეკაძიება. ჩემთვის დღესავით ნათელია, როგორ უნდა შევიდე ადამიანის საინფორმაციო ველში, როგორ გამოვიტანო მისი მდგომარეობისთვის საჭირო ინფორმაცია და გავაფრთხილო რისი ცოდნა და გათვალისწინება მართებს ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად. როგორ და რა მეთოდებით უნდა მივუდგეთ პრობლემას, რომელიც იმ ადამიანის წინაშე დგას. იგივე ეხება დაავადების განსაზღვრასაც.

**— ქალბატონო ნინო, არსებობს თუ არა ჩვენს ქვეყანაში აურის დიაგნოსტიკა არა წინასწარმეტყველის მიერ, არამედ სათანადო აპარატით, რომელიც აურის საშუალებით გამოხატავს ადამიანის მდგომარეობის სქემას?**



– სხვათა შორის, საქართველოში უკვე შემოიტანეს სათანადო აპარატურა და დადგინდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა პრობლემები და შესაბამისად, აურაც, ერთმანეთის იდენტურია, რადგანაც ყველაზე ძლიერი პრობლემა ჩვენს ქვეყანაში სოციალური პრობლემაა და ადამიანთა მწუხარება გამოწვეულია ეკონომიკური სიდუხჭირით, მასობრივი უმუშევრობით და ნევროზულ ფონს ამწვავებს ეს უკანასკნელი. დაბალი პროცენტული მაჩვენებელია ჯადოსა და ენერგოზემოქმედების სხვადასხვა მეთოდები. ადამიანის აურის დიაგნოსტიკა ძალიან ჰგავს ასტროლოგიურ პირად ჰოროსკოპს, სადაც მოსალოდნელია პოზიტიური დღეები, ასევე დაბრკოლებები და მოსალოდნელი ცვლილებები. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ადამიანის ზემგრძნობიარე თვალი უფრო სიღრმისეული ხედვით გამოირჩევა, ვიდრე აპარატი, რომელსაც შეუძლია აურის დიაგნოსტიკა. ამიტომაც არის, რომ, ვინც აკეთებს აურის დიაგნოსტიკას, ჩვენთან, პარაფსიქოლოგებთან თანამშრომლობენ და ჩვენ ვუნიშნავთ სათანადო მკურნალობას. ეს არის ერთგვარი რენტგენი, ხოლო მკურნალობა და პაციენტის მიხედვა, ჩვენი მოვალეობაა, მაგრამ ვინაიდან ეს დიაგნოსტიკა გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და საკუთარ ხედვას ძალიან ვენდობი, არ ვითხოვ არავისგან დიაგნოსტიკის სქემის მოტანას, თუ მისი სურვილი არ არის. გარდა ამისა, ყოველ წუთში და ყოველდღე იცვლება ადამიანის გუნება-განწყობა, წარმატება-წარუმატებლობა და შესაბამისად, იცვლება მისი აურაც, ერთი კვირის წინ გადაღებული აურის რენტგენული მდგომარეობა შესაძლოა, მეორე კვირაში არ გამოგვადგეს, რადგან ეს ზოგად სურათს კი არ გვაძლევს, არამედ აპარატი ასახავს იმ წუთის მდგომარეობას. მოგეხსენებათ, ადამიანის გუნება-განწყობა იცვლება იმის მიხედვით, როგორ იცვლება მის გარშემო გარემო და ის, რასაც ერთ დღეს განიცდის, შეიძლება საერთოდ არ წარმოადგენდეს პრობლემას გარკვეული დროის შემდეგ. ამიტომ ყველაზე ოპტიმალურია, საჭირო დროს საჭირო ინფორმაცია მივიღოთ და შესაბამისად, მივცეთ სათანადო რეცეპტი, სწორედ იმ წუთში, როცა მას ჩვენგან ეს სჭირდება.

**— თუ ადამიანის ფიზიკურ და ასტრალურ სხეულებს შორის კავშირი წყდება, ეს სიკვდილს მოასწავებს?**

– ფიზიკური და ასტრალური სხეულის კავშირს ნათელმხილველების დიდი ნაწილი ხედავს როგორც წვრილ, ვერცხლისფერ ძაფს, რომელიც არსებობს მხოლოდ მანამ, სანამ ადამიანი ცოცხალია. სიკვდილი კი საბოლოოდ ყოფს ერთმანეთისგან ფიზიკურ და ასტრალურ სხეულებს. აურის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის ფსიქიკის მატარებელია, საბოლოოდ ტოვებს სამყაროს, მაგრამ სად მიდის ის? თანამედროვე მეცნიერებისთვის ამოუცნობ ამოცანად რჩება, ასევე როცა ქალის ორგანიზმში ახალი სიცოცხლე ისახება, მას მექანიკურად გადაეცემა წინაპრების პროგრამა, როგორი ბედი უნდა ჰქონდეს, რა ნიჭით უნდა დაჯილდოვდეს, როგორი ცხოვრება ექნება და ა.შ. ამ პროგრამას კი დედის მუცელში ჩასახული პაწაწინა არსება ენერგეტიკის სახით იღებს. მუცლადყოფნის დროს წინაპრებისგან გადმოცემული პროგრამა, მთელი ცხოვრება გაგვყვება, ის ჩვენს ცხოვრებას მართავს.

**— ამბობენ, ადამიანის ქვეცნობიერი წინასწარ გრძნობს მომავალ საფრთხესო, ეს შეესაბამება სიმართლეს?**

– ზემგრძნობიარე ადამიანებმა ყოველთვის იციან, როგორ გათენდება ნებისმიერი დღე და რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ დღეს, ჩვენი ქვეცნობიერი ხშირად გვკარნახობს და გვაფრთხილებს მომავალი უსიამოვნებების შესახებ, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ და ვერ ვგრძნობთ. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ სურდეს, იყოს წარმატებული, წარუმატებლობა და ავადმყოფობა განაჩენი არ არის და ყველაფრის შველა და გამოსწორება შეიძლება, თუ მზად ხართ საამისოდ.

## 22–28 თებერვლის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – უახლოეს დღეებში შესაძლოა, ურთიერთობები დაგეძაბოთ. სამწუხაროდ, დიდია ალბათობა, რომ ვერ გაგიგებენ და მოგიწევთ, შერიგებისკენ პირველი ნაბიჯები თავადვე გადადგათ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული იქნებით. მით უმეტეს, რომ სიტუაცია იმდენად დაიძაბება, კონფლიქტის თავიდან აცილება ძალიან გართულდება. შესაბამისად, კომპრომისებზე იფიქრეთ. თქვენი პარტნიორი მომთხოვნია და უკან არ იხევს. აქედან გამომდინარე, არცთუ იოლი პერიოდი გელით, მაგრამ სულ მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

**სამსახური** – ფინანსური თვალსაზრისით, არცთუ მიმზიდველი პერიოდია.

**სასიკეთო დღეები:** 29 თებერვალი, 2 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 3 მარტი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – თქვენთვის შეუძლებელი არაფერია და ბედნიერების შანსი ხელიდან არ გაუშვათ!

ახლა თქვენთვის საუკეთესო პერიოდია შორეული (მათ შორის, რომანტიკულიც) მოგზაურობებისთვის. მშვენიერი კვირაა დაქორწინებისთვის და რომანტიკული შეხვედრებისთვის, თაფლობისთვის მოწყობისთვის და საყვარელ ადამიანთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის.

**სამსახური** – ფორტუნა თქვენს მხარესაა. კოლეგები აფასებენ თქვენს წინადადებებს და შრომას, რომელსაც საერთო საქმეს ახმართ.

**სასიკეთო დღეები:** 3 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** არ გექნებათ.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – ურთიერთობებში კრიზისის გადატანა მოგიწევთ, რისი შედეგიც ან ძალიან მშვენიერი იქნება, ან კიდევ, მთლიანად დაცარიელდებით. პარტნიორის მხრიდან შეეჩეხებით გადაჭარბებულ კირკიტს, უნდობლობას. სექსუალური დაუკმაყოფილებლობა, დიდი ალბათობით, თქვენს ქმედებებზე უარყოფითად აისახება. მოსალოდნელია მწვავე კონფლიქტი, ურთიერთობების გარკვევა და განშორებაც კი. გაუფრთხილდით იმ გრძნობებს, რომელიც გაქვთ ახლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერს დაკარგავთ.

**სამსახური** – კონცენტრირება დასახული მიზნის მიღწევაზე მოახდინეთ და თუ ამას გულიანად მიუდგებით, უკმაყოფილო არ იქნებით.

**სასიკეთო დღეები:** 4, 2 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 3 მარტი.

## 22–28 თებერვლის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული –** ექვგარეშეა, დათმობებზე წასვლა მოგიწევთ. მეუღლესთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. მიმდინარე კვირა არცთუ სახარბიელო დროა ურთიერთობების მოგვარებისთვის, პირიქით, ეს არის ბრძოლისა და წინააღმდეგობების პერიოდი. კონფლიქტების ფაზაში შეხვედით და თუ პარტნიორის შეხედულება თქვენთვის მნიშვნელოვანია, უკან უნდა დაიხიოთ.

ახალი ნაცნობობისთვის და რომანტიკული შეხვედრებისთვის მიმდინარე კვირა, ასევე, უიმედოა.

**სამსახური –** ბიზნესში გაჩენილი პრობლემების გამო, შესაძლოა, ძველ პარტნიორებთან ურთიერთობების გაწყვეტა მოგიხდეთ.

**სასიკეთო დღეები:** 6 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 3 მარტი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული –** დიდია ალბათობა, რომ პრობლემები სამსახურში ან ავადმყოფობა (თქვენი ან თქვენი პარტნიორის) ურთიერთობაზე უარყოფითად იმოქმედებს. მიმდინარე კვირა არც ისე მომხიბვლელია რომანტიკული ურთიერთობებისთვის.

ვერ მოდუნდებით და რთული იქნება პარტნიორის ტალღაზე გადართვა, თუმცა იმისთვის, რათა ყველაფერს წერტილი არ დაესვას, გამოიჩინეთ ინიციატივა და სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლა სცადეთ. იყავით მომთმენი და ბრძენი, ნუ დაძაბავთ ისეთ დაძაბულ ურთიერთობას.

**სამსახური –** მოგიწევთ ბევრი და დაძაბული მუშაობა და შედეგს რამდენიმე თვეში მიიღებთ.

**სასიკეთო დღეები:** 5, 6 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 მარტი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული –** ფორტუნა გაგიღიმებთ და სიყვარულში წარმატებას მიაღწევთ. გამონახეთ დრო რომანტიკული შეხვედრებისთვის, ნუ შეიბოჭებით, ნუ მოთოკავთ გრძნობებს. შეეცადეთ, საწინააღმდეგო სქესზე შთაბეჭდილება თქვენი ინტელექტითა და შემოქმედებითი შესაძლებლობებით მოახდინოთ. მიმდინარე კვირა შესანიშნავი პერიოდია ახალი ნაცნობობისთვის, ურთიერთობების მოგვარებისთვის.

**სამსახური –** ენერგია და საშუალებები, რომელთაც ბიზნესის განვითარებისთვის მიმართავთ, შესანიშნავ შედეგებს მოგცემთ.

**სასიკეთო დღეები:** 2, 3 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 5 მარტი.



*მაია იასეშვილი*

599 94-64-58



# რამდენჯერ და როგორ გადაურჩა სიკვდილს გია აბესალაშვილი?

## „ყველა ტრანსპორტით ვარ ავარიაში მოყოლილი, გემის გარდა“

**რუბრიკის სტუმარია მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი გია აბესალაშვილი.**

**— ბატონო გია, როგორ ფიქრობთ, ადამიანის ცხოვრების გზა წინასწარ განსაზღვრული ბედისწერის სცენარით ვითარდება, თუ რაც ხდება ადამიანის ცხოვრებაში მის ძალისხმევაზე, მონდომებასა და ნება-სურვილზეა დამოკიდებული?**

– ამ კითხვაზე ბევრი უფიქრია თითოეულ ჩვენგანს, მაგრამ ეს არის კითხვა, რომელსაც ჩვენ ჯიუტად ვაჩუმათებთ, რადგან ქვეცნობიერად ვიცით პასუხი. ამ კითხვის პასუხს ინტუიციურად ვგრძნობ, არ მოვსულვართ ჩვენი ნებით ჩვენგან არჩეულ ქვეყანაში – ოჯახში, გარემოში. ბევრი რამე ჩვენი ცნობიერებისა და სურვილისგან დამოუკიდებლად ხდება, მაგრამ განუზომელი ღვაწლი მიგვიძღვის ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც წარმართავს ე.წ. ბედისწერას. ღმერთმა დაგვაყენა არჩევანის წინაშე, ჩვენი გადასაწყვეტია, რა გზას დავადგებით, როგორ ვიცხოვრებთ, რა მაგალითს მივცემთ შთამომავალთ. ბუზი ხედავს სილამაზეს, გრძნობს საოცარ კეთილსურნელებას, მაგრამ ამ ყველაფერს გვერდს აუფრენს და სიბინძურესა და სიმყრალეზე გააკეთებს დაჯდომის არჩევანს. ალბათ, სიმყრალე ურჩევნია სასიამოვნო სურნელს, ასეა ადამიანთა ნაწილი, ყველას აქვს არჩევანი მშვენიერება და სრულყოფილება გაიხადოს თავშესაფრად და გვერდს უვლის ამ ყველაფერს. ეს მისი არჩევანია და ბედისწერა არ არის მასთან დამნაშავე, თუ იმ შედეგებს ვერ მიიღებს, რაც მიზნად დაისახა. სილამაზე და სიკეთე ბედნიერებას შობს, ცოდვა და ბოროტება – უწმინდურობას. სამწუხაროდ, ადამიანთა გარკვეულ ნაწილს არ მოსწონს საკუთარი შეცდომების აღიარება და ბედთან სამდურავი ეიოლება, ამიტომ მიმაჩნია, რომ ადამიანი თვითონ არის საკუთარი ბედის შემოქმედი, თუმცა ყველაფერი მათზე არ არის დამოკიდებული. მე ვთვლი, რომ ღმერთმა ჩვენზე უკეთ იცის, რა გვჭირდება და შესაბამის გარემოებებს გვთავაზობს, ზოგჯერ ეს შემთხვევითობები, რომელიც არასდროს დაგვიგეგმავს, მთლიანად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს. მსახიობობა ბევრი ბავშვის სურვილია, მაგრამ მე მინდოდა, მხატვარი ვყოფილიყავი, რამდენიმე სპექტაკლი და რამდენიმე ფილმი გავაფორმე, პრიზებიც მაქვს აღებული მხატვრობაში, ამით ვტრაბახობ ხოლმე. გავაფორმე ქორეოგრაფიული სპექტაკლი „ნაბადი“, ეს საქმიანობა კომპენსაციაა პროფესიის, რომელიც მინდოდა, რომ ამერჩია. დიდი კონკურსის გამო უნივერსიტეტში ჩავაბარე – მატერიალურ-ტექნიკური მიმართულების ეკონომიკა-დაგეგმვაზე, ძლივს დავიმახსოვრე ფაკულტეტის სახელი, მერე სრულიად შემთხვევით ქუჩაში შემამჩნიეს რეჟისორებმა და გადამიღეს ფილმში „წერილები ბამიდან“, ციმბირშიც გვქონდა გადაღებები. ხუთ თვე-ნახევარი დავყავი. ტაიგა იყო ულამაზესი, ისე მომეწონა, ვიფიქრე, სატყეოზე ჩავაბარებ-მეთქი. ამის შემდეგ რეზო ჩხეიძემ მომაწყო სამუშაოდ თუმანიშვილის თეატრში, გამნათებლად, რეკვიზიტორად, სცენის მუშად ვიმუშავე, მერე მიცვალებულიც ვითამაშე. გადაღების დროს გადავწყვიტე თეატრალურში ჩაბარება, ისეთი მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა ამ კორიფე მსახიობთა გვერდით დგომამ და მათთან ურთიერთობამ. გამიმართლა და აღმოვჩნდი მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში, რაც ყველა მსახიობისთვის იღბლიანობად ითვლება. ნელნელა შემოვრჩი ამ ადგილს.



**— ასტროლოგია თუ არის თქვენი ცხოვრების სახელმძღვანელო?**

– იყო დრო, როცა ასტროლოგიურ პროგნოზებს ვკითხულობდი და მაინტერესებდა ეს სფერო, მაგრამ, როცა მართლმადიდებლობას ჩავუღრმავდი, ვთვლი, რომ ასტროლოგიისა და ზოგადად, წინასწარმეტყველებით გატაცება სახიფათოა. ღმერთს მინდობილი ადამიანი ვარ და ყველაზე კომფორტულად მონასტერში ვგრძნობ თავს. რაღაც პერიოდში თეატრიდანაც წავედი და მონასტერში მივედი, უნდა ვეკურთხებინე მღვდლად, მერე შემაჩერეს და უკან დამაბრუნეს. ამიტომ წინასწარმეტყველებებს, მკითხაობებსა და მსგავს რაღაცებს არ ვეხები. თუმცა ყველა ადამიანს აინტერესებს ხვალინდელი დღე და ამ მხრივ, არც მე ვარ გამონაკლისი.

**— თქვენი პასუხიდან გამომდინარე, აღარ გეკითხებით, ხართ თუ არა ცრუმორწმუნე, მაგრამ თეატრალური ცრურწმენები, ალბათ, მაინც გექნებათ.**

– ცრურწმენები გაუცნობიერებლად მაინც არის ჩვენს ქვეცნობიერში დალექილი, ეს, ეტყობა, ბებიებიდან მოგვდევს, მაგრამ ყურადღების მიქცევა არ ღირს. თუ ადამიანი საკუთარ თავსა და მოყვასსაც უსურვებს, რომ ღმერთს ებარებოდეს, ვერანაირი ცუდი მინიშნება, ცრურწმენით იქნება თუ სხვა მინიშნებებით, გუნება-განწყობას არ შეუშლის. თეატრი რიტუალური ხელოვნებაა და თუმანიშვილის სტუდენტებს საგანგებო რიტუალები გვაქვს, ამას ცრურწმენებს ვერ დავარქმევ, ეს თეატრალური რწმენაა.

**— რას იტყვით იმ იდუმალ და ამოუცნობ მოვლენაზე, რასაც ჰქვია გარდაცვალება?**

– მინდა ყველას სჯეროდეს, რომ მარტონი არ ვართ და ბევრი ვიღაც გვიყურებს როგორც იმქვეყნიდან, ისე უფლისგან. ძალიან მჯერა სულთა კავშირის.

**— სიზმრებს თუ აქცევთ ყურადღებას?**

– თუ სიზმარი დამამახსოვრდა და გავიაზრე, ყოველთვის ვგრძნობ მოსალოდნელ შემთხვევებს, კარგსაც და ცუდსაც. მაგრამ ვიცი, რომ ვერაფერს შევცვლი, რადგან უფლის ნებაა ყველაფერი, არ ვუღრმავდები სიზმრისეულ მინიშნებებს, რაც მოსახდენია, მოხდება. თუ უფლის წიაღში ხარ და ღმერთის მფარველობას გრძნობ, არც სიზმარი შეგაშინებს და არც მისი აცხადების ალბათობა. კარგი სიზმარი კარგ განწყობაზე გაღვიძებს, თუმცა გამოგიტყდებით, რომ სიზმრებს იშვიათად ვნახულობ და იშვიათად მამახსოვრდება.

**— ალბათ, ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ისეთი დღეები, რასაც სასწაულთა ქრონიკაში განიხილავთ.**

– პირველი მძაფრი შეგრძნება სასწაულისა ბავშვობაში მქონდა, როცა ძლიერ ავარიაში მოვყევი, ამ ავარიაში ბევრი დაიღუპა, ღვთის წყალობით გადავრჩი. პატარა სათამაშო მანქანა მეჭირა, დაიფშვნა, ეტყობა, ხელიდან გამივარდა და იმას ვდარდობდი. „ცხვირიანი“ ავტობუსი რომ იყო, იმით მოვდიოდით დასავლეთიდან. სხვათა შორის, ავარიაში მოვხვედრილვარ ყველანაირი სამგზავრო საშუალებით, გემის გარდა. ერთხელ გასტროლებიდან მოვდიოდით, სადღაც წიფის გვირაბს რომ მოვუახლოვდით, მახსოვს, მასწავლებელი ლიმონათის ბოთლს მაწვდიდა, მე ე.წ. ზედა „კოიკაზე“ ვიწექი და რაღაც ძალამ გამისროლა მეზობელ „კოიკაზე“. მერე ვაგონი გადაყირავდა, ჩაქრა შუქები და ყველაფერი მდინარე ყვირილას ხმაურმა მოიცვა. ერთხელ იყო, ციმბირში რომ ავფრინდი თვითმფრინავით, ვერ აიღო სიმაღლე და ისე დავხტით, სალონში ჩანთები თავზე დაგვეყარა. ერთი დიდი სისულელე ჩავიდინე, რამაც სასწაულებრივად გადამარჩინა, ციგით გადმოვხტი ბაკურიანში, მელიების ფერმისკენ რომ პატარა ტრამპლინი იყო, იქიდან, გზაში მივხვდი, რომ სიცოცხლეს ვამთავრებდი, რადგან ციგამ, რომელზეც ვიჯექი, გამასწრო და ამოვტრიალდი. მერე როცა ბაკურიანში ჩავდიოდი, ყველა თითით აჩვენებდა ჩემზე, – ეს ის დეგენერატია, იქიდან რომ გადმოხტაო. ვიღაც გოგოს თავს ვაწონებდი და იმიტომ გადმოვხტი.

**— რა ფორმულირება გაქვთ წარმატების მოსაზიდად?**

– პოზიტიური ფიქრი და განწყობა. ძალიან მაშინებს საშინელი პოლიტიკური პოლიფონია, ადამიანებისგან ერთმანეთის ლანძღვა-გინება, ვერ ვიტან საინფორმაციო გადაცემებს, იმხელა ღვარძლი და ღვარცოფი გადმოდის იქიდან, რომ მირჩევნია, არც ვუყურო და არც ვუსმინო. როცა უსიამოვნო ინფორმაციას გავურბივარ და სასიკეთო ფაქტებზე ვაკეთებ აქცენტს, არ ვიტვირთები ამქვეყნიური შრომით, ეს ყველაფერი ძალიან მეხმარება პროფესიულ თუ ცხოვრებისეულ წარმატებებში. ვცდილობ, ვიყო ჩემთვის საყვარელ და სასურველ ადამიანთა გარემოში, სხვანაირად ვერ ვიცხოვრებ, უინტერესო და უშინაარსო იქნება სიცოცხლე. რაც შეეხება ფინანსურ წარმატებებს, ამისგან შორს ვარ. ჩემთვის ფინანსები დიდ ფასეულობას არ წარმოადგენს და ზუსტად ვიცი, ფული არასდროს მექნება, ფულს ვერ ვიჩერებ ჯიბეში. აქაც ბედს ვარ მინდობილი და ვთვლი, ხვალინდელმა დღემ თვითონ უნდა იზრუნოს თავის თავზე.

## 22–28 თებერვლის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული –** ემოციებს ვეღარ უმკლავდებით, სიცოცხლე გიხარიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, პარტნიორი თქვენი მოზღვავებული გრძნობებისთვის პასუხის გასაცემად მზად არ არის. მოემზადეთ, რომ ოჯახში გაუგებრობები იჩენს თავს. ხოლო თუ მშენებლობას ან რემონტს დაიწყებთ, მეუღლესთან სიტუაცია კიდევ უფრო აგერევათ. სამწუხაროდ, ჰარმონიაზე საუბარი ამ კვირაში უადგილოა.

**სამსახური –** მიზნის მიღწევისკენ მიმავალ გზაზე გამოჩენილი მოულოდნელი დაბრკოლებების გადალახვა გაგიჭირდებათ.

**სასიკეთო დღეები:** 29 თებერვალი, 3 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 მარტი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული –** მიმდინარე კვირა ურთიერთობებს უნდა მიუძღვნათ, ძალიან წარმატებული კვირაა ახალი ნაცნობობისთვისაც. გამონახეთ დრო პარტნიორთან გულახდილი საუბრებისთვის. აქტიურობა უამრავ შესაძლებლობას გაგიჩენთ არა მხოლოდ ფლირტის, არამედ ბევრად სერიოზული ურთიერთობის მიმართულებით.

**სამსახური –** ხელსაყრელი დროა ახალი საქმეების წამოწყებისთვის, საქმიანი შეხვედრებისთვის, ახალ პროექტებზე მუშაობისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 3 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 მარტი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული –** მიმდინარე კვირაში გაქვთ შანსი, მომავალ ბედნიერებას საკმაოდ მყარი საძირკველი ჩაუყაროთ. არ მოდუნდეთ, ნუ დატოვებთ ყურადღების გარეშე ახალ ნაცნობს, რომელიც შეიძლება სწორედ „ის ერთადერთი“ აღმოჩნდეს. ყვავილები, საჩუქრები, ვახშმობა რესტორანში – ამ ყველაფრით პარტნიორზე სასურველ შთაბეჭდილებას მოახდენთ.

**სამსახური –** მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკმაოდ კარგი შანსი მოგეცემათ, ყურადღებით იყავით!

**სასიკეთო დღეები:** 4, 5 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 მარტი.



ორმა ლოთმა ერთი ბოთლი არაყი თავის „ზაკუსკით“ „იჩალიჩა“.

– შენა, ვახო, რა მაინტერესებს, იცი? აი, ეს ბოთლი რო გამოვცალო და არაფერი მივაყოლო, რა დამემართება?

– რას ამბობ, ეგრევე ცხვირიდან სისხლი წაგსკდება და საჯდომი აგტკივდება.

– ვაა, მოვიწამლები?

– არა! ცარიელ ბოთლს სულ ცხვირ-პირში გირტყამ და ზედ ერთ ლაზათიან პანჩურსაც მოგაყოლებ.

*****

მიყვარს კატები: აი, ჩემი კატა ჩავსვი მანქანაში ქალაქგარეთ გავიყვანე, ნაგავსაყრელთან დავსვი ვილაც ბომჟებთან საჭმლის გარეშე. ორი დღის მერე მოვიდა. არავითარი პრეტენზიები, არავითარი პოლიციის გამოძახება და არავითარი ყვირილი და წიოკი, მივიდა და ჩუმად მოკალათდა დივანზე... ჩემს სიდედრს კი არ ჰგავს, რო ბრუნდება და აყალმაყალს მიწყობს ხოლმე.

*****



– ჩემო თენგიზ, სექსის შემდეგ აბაზანას თუ იღებ?

– როგორ არა, რაშია საქმე?

– არაფერი, გეტყობა სექსი კარგა ხანია, არ გქონია.

*****

კურდღელი აფთიაქში შევიდა და ვიაგრა მოითხოვა. აფთიაქარმა დასცინა

– ჰა, ძველო, დაგერხა?

– არა, ჩემთვის არ მინდა, პაპაჩემს უნდა წავუღო და ყურებზე უნდა წავუსვა, დაბერდა, ყურებს ველარ ცქვეტს და აღარაფერი ესმის.

*****



– რაჟიკო, გაწიე შენი ძაღლი იქით, დამესია რწყილები.

– გამოდი, ძაღლო, აქეთ, გაიგე? რწყილები ჰყოლია, არ გადაგდოს.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## მურთაზას ოცნება ასრულებულია — 5 წლის ბიჭს მესიმ ავტოგრაფიანი მაისური გაუგზავნა



5 წლის მურთაზა აჰმადის იუნისეფის წარმომადგენლებმა ოცნება აუსრულეს. ორგანიზაციის თანამშრომლებმა 5 წლის ბავშვს ლიონელ მესის ავტოგრაფიანი მაისური საჩუქრად გადასცეს – „მე მიყვარს მესი და ეს მაისური, რომელზეც წერია, რომ მესისაც ვუყვარვარ მე“, – განაცხადა მურთაზამ. ინფორმაციას ამის შესახებ ორგანიზაციის ავღანური ფეისბუკგვერდი ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციით, მესი ბავშვთან შეხვედრას აპირებს, თუმცა შეხვედრის ზუსტი თარიღი ამ დრომდე უცნობია.

მურთაზა აჰმადის ფოტოები ინტერნეტსივრცეში რამდენიმე თვის წინ გავრცელდა – ბიჭს პოლიეთილენის პარკისგან გაკეთებული არგენტინის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების 10-ნომრიანი მაისური ეცვა. ფოტო ინტერნეტში წარწერით „მესის ყველაზე დიდი გულშემატკივარი“ ძალიან პოპულარული გახდა. მისი ძებნა კი სხვადასხვა გამოცემებთან ერთად ლიონელ მესის ფონდის წევრებმაც დაიწყეს. თავდაპირველად ირანელი ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, რომ მათ ბიჭს მიაგნეს და ინტერვიუც გაავრცელეს, თუმცა შემდეგ მურთაზა აჰმადი ღაზის რეგიონში იპოვეს.

***pirveliradio.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## Johnson & Johnson-მა კიბოთი გარდაცვლილი ქალის ოჯახს 72 მლნ უნდა გადაუხადოს



ამერიკის შტატ მისურიში ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ **Johnson & Johnson**-მა კიბოთი გარდაცვლილი ქალის ოჯახს 72 მლნ აშშ დოლარი უნდა გადაუხადოს.

სასამართლოს განმარტებით, კომპანია გამიზნულად ფარავდა ინფორმაციას ტალკის ბაზაზე დამზადებული ჰიგიენური საშუალებების საშიშროების შესახებ.

**Johnson & Johnson** სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. კომპანიის მტკიცებით, ცდებით დადასტურებულია, რომ ტალკის შემცველი პროდუქცია უსაფრთხოა.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ჟაკლინ ფოქსის ოჯახის სარჩელს მოჰყვა, რომელიც 62 წლის ასაკში, საკვერცხეების სიმსივნის დიაგნოზით გარდაიცვალა. **Johnson & Johnson**-ის წინააღმდეგ რამდენიმე ასეული მსგავსი სარჩელია შეტანილი.

***info9.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## გასეირნებისთვის მატარებლის... გატაცება სცადა



ზოგი ტრაქტორის მართვაზე ოცნებობს და ზოგი გემის, რად უნდა მაგას განგაში და პოლიცია.

მაგალითად, ამერიკელ შონა მარონს მატარებლით გასეირნება მოუნდა. მოუნდა და აღარც დაახანა, კალიფორნიის შტატ ვიქტორვილის ქალაქში, ღამის 2 საათზე გაჩერებულ მატარებელში ავიდა და საყვირში საზეიმო ყიჟინა დასცხო, არიქა, მატარებელს ვმართავო.

რკინიგზის სადგურის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს და ადრენალინის მაძიებელი ქალი მატარებლიდან ძალით ჩამოსვეს.

მართალია, ქალი მატარებელს ადგილიდანაც ვერ დაძრავდა, ვინაიდან მატარებელს დამცავი, მოძრაობის შემზღუდველი მოწყობილობა ჰქონდა, მაგრამ შონას ჭია მაინც არ გაახარებინეს და საყვარელი ტრანსპორტიდან ჩამოაბრძანეს.

შონა კი ამბობდა, რა იყო, ხალხო, რამ გადაგრიათ, უბრალოდ, გასეირნება მინდოდაო.

***etotupo.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ვაშლის კურკა — ფარისებრი ჯირკვლის უებარი წამალი



ვაშლი რომ უნიკალური თვისებებით არის მდიდარი, ეს, ალბათ, ყველასთვის ცნობილია. ვაშლის თესლი ბევრ იოდს შეიცავს და ფარისებრი ჯირკვლების დროს აქტიურად გამოიყენება.

ენდოკრინოლოგები რეკომენდაციას იძლევიან, რომ დღეში 5-6 ცალი ვაშლის კურკა ჭამოთ. ეს რაოდენობა იოდზე ორგანიზმის სადღეღამისო მოთხოვნილების შესაბამის დოზას შეიცავს. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევისას ყოველდღიურად ვაშლის დაფქული თესლი დღეში 2-ჯერ მიიღეთ.

იოდის ნაკლებობის შემთხვევაში კი, არა მხოლოდ კურკა, არამედ ვაშლიც მიირთვით.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელს ელექტროსიგარეტი ჯიბეში აუფეთქდა



ამერიკის შტატ კენტუკის ერთ-ერთ ადგილობრივ ბენზინგასამართ სადგურზე კაცს ჯიბეში ელექტროსიგარეტი აუფეთქდა.

ჯოშ ჰემილტონს მოულოდნელად ჯიბე აუბრიალდა, გადაირია კაცი, იწვის მოსეს მაყვლის ბუჩქივით და გონს ვერ მოდის. მერე, ახლომყოფები მიეშველნენ და ალი ცეცხლმაქრით ჩაუქრეს. იმდენი ხანი იდგა სასწაულივით აბრიალებული კაცი, რომ მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თურმე, მომხმარებლებს დატენის დროს ელექტროსიგარეტი ხელში უფეთდებათ. მსგავსი შემთხვევის მსხვერპლ გერმანელს კი, გარდა იმისა, რომ მძიმე ჭრილობები მიიღო, პირდაპირ პირში აუფეთქდა და რამდენიმე კბილსაც დაემშვიდობა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რატომ არ აძლევდა სტივ ჯობსი შვილებს აიპედის ხმარების ნებას



აიპოდის, აიპედისა და აიფონის წარმატებამ სტივ ჯობსს მილიონობით დოლარი და მსოფლიო აღიარება მოუტანა, თუმცა ჯობსი შვილებს ელექტრონული მოწყობილობების ხმარებას უკრძალავდა.

2014 წელს პირველი აიპედის გამოსვლის შემდეგ **New York Times**-ის ჟურნალისტმა ჰკითხა სტივ ჯობსს, მოსწონდათ თუ არა მის შვილებს ახალი მოწყობილობა.

„მათ აიპედი არ გამოუყენებიათ, ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებას სახლში ვზღუდავთ“, – უპასუხა ჯობსმა.

**Apple**-ის დამფუძნებლის შესახებ ბიოგრაფიული ნაშრომის ავტორი, უოლტერ აიზეკსონი ამბობს, რომ ყოველ საღამოს სტივი ოჯახის წევრებთან ერთად სამზარეულოში დიდ მაგიდას მიუჯდებოდა ხოლმე და ვახშმის პარალელურად წიგნებს, ისტორიულ მოვლენებსა და სხვა საკითხებს განიხილავდა.„არც ერთი საღამო მათ აიპედთან და კომპიუტერთან არ გაუტარებიათ, ბავშვები არ არიან მიჯაჭვული ამ მოწყობილობებზე“, – ამბობს აიზეკსონი.

***fortuna.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ეგვიპტის სასამართლომ 4 წლის ბიჭუნას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა



ეგვიპტის სამხედრო სასამართლომ 4 წლის ბიჭუნას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მათ შეცდომა დაუშვეს. სინამდვილეში უნდა გაესამართლებინათ 16 წლის ბიჭი, რომელსაც მსგავსი სახელი ჰქონდა. აჰმედ მანსურ კურანი შარარა 115 ბრალდებულთან ერთად იმ არეულობების გამო იყო გასამართლებული, რომელიც „მუსლიმანთა საძმოს“ მომხრეებმა 2014 წელს მოაწყვეს. როგორც სასამართლოში განმარტეს, 16 წლის ბიჭის ნაცვლად აჰმედ მანსურ კურანი ალი გაასამართლეს. პატარა ბიჭუნას ადვოკატების თქმით, სასამართლოში მომუშავეებმა არ ჩახედეს ბავშვის დაბადების თარიღს და შესაბამისად, მოსამართლე არ იყო საქმის კურსში, რომ საქმე 4 წლის ბავშვს ეხებოდა.

რაც შეეხება ნამდვილ დამნაშავეს, იგი მკვლელობისთვის, თავდასხმისა და სხვა დანაშაულებისთვის გაასამართლეს.

***palitratv.ge***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## სენი, რომლითაც 2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი დაავადდება



თუ თქვენ ჯერ არ ატარებთ სათვალეს, დიდი შანსია, რომ მისი გამოყენება საუკუნის მეორე ნახევარში დაგჭირდეთ.

ახალი კვლევის შედეგების თანახმად, მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი, დაახლოებით 4,8 მილიარდი ადამიანი 2050 წლისთვის ახლომხედველობით, ანუ მიოფიით დაავადდება. ამ დროს, ადამიანები შორს არსებულ საგნებს გაბუნდებულად ხედავენ, ახლომდებარეს კი წმინდად.

აღნიშნული ტენდენცია 2000 წლიდან გასამმაგდა. გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ ყოველი 10 ადამიანიდან ერთი დაბრმავდეს.

კვლევის მიხედვით, რომელიც ჟურნალ Opthalmology-ში გამოქვეყნდა, მსოფლიოს დიდ ნაწილში, ახლომხედველობაში დამნაშავე კომპიუტერთან ჯდომა და სმარტფონის ეკრანის დიდხანს ყურებაა.

როგორც კვლევის ერთ-ერთმა თანაავტორმა კოვინ ნაიდუმ ინტერვიუში განაცხადა, შედეგები საგანგაშოა და სერიოზულად უნდა აღვიქვათ

„საქმე გვაქვს გლობალური ჯანმრთელობის ნამდვილ კრიზისთან. ამ შემთხვევაში უპირატესობა გაქვთ თუ აფრიკაში ან ავსტრალიაში ცხოვრობთ“, – აცხადებს ნაიდუ.

კვლევაში, რომელსაც ბრაინ ჰოლდენი უძღვებოდა, მონაცემები აღებულია 145 სხვადასხვა კვლევიდან, რომლებშიც სულ 2,1 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა. შედეგებმა აჩვენა, რომ 2050 წლისთვის, 4,8 მილიარდი ადამიანი (დედამიწის მოსახლეობის 49,8 პროცენტი) ახლომხედველობით, ანუ მიოფიით იქნება დაავადებული. 2000 წელს ეს რიცხვი 1,4 მილიარდ ადამიანს (მოსახლეობის 23 პროცენტს) შეადგენდა.

„ახლომხედველობის მოსალოდნელი ზრდა დიდწილად მართული გარემო ფაქტორებით იქნება, ძირითადად ცხოვრების წესის შეცვლით, როცა ნაკლებ დროს ატარებენ გარეთ და მეტ დროს სამუშაოს უთმობენ“, - წერენ კვლევის ავტორები.

რაც შეეხება გამოსავალს, ნაიდუს თქმით, დაავადების თავიდან აცილების საუკეთესო გამოსავალია დღეში ორი ან მეტი საათის სახლის გარეთ, ჰაერზე გატარება.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფულთან გადაღებული ფოტოების გამო 50 Cent სასამართლოში დაიბარეს



ამერიკელი რეპერი 50 Cent სასამართლოში ინსტაგრამზე ატვირთულ ფოტოებზე განცხადების გასაკეთებლად დაიბარეს. სურათებში რეპერი ფულის დასტებთან ერთად პოზირებს.

40 წლის რეპერი მოსამართლემ ახსნა-განმარტებისთვის იმ მიზეზით დაიბარა, რომ ფოტოების დაპოსტვამდე რეპერმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

„მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფულის დამალვასთან და გამჭვირვალობის ნაკლებობასთან. ჩვენი მიზანია, გაკოტრების პროცესის წარმართვა გამჭვირვალე იყოს“, – განაცხადა მოსამართლემ.

სურათზე, რომელსაც 155 000 მოწონება აქვს, ასახულია მწოლიარე რეპერი 50 Cent, რომელსაც საწოლზე, გარშემო ფულის დასტები უწყვია.

რეპერმა თავი გაკოტრებულად მას შემდეგ გამოაცხადა, რაც სასამართლომ მას ზარალის ანაზღაურების მიზნით, რეპერ რიკ როსის ყოფილი მეგობარი გოგონასთვის თანხის გადახდა დააკისრა.

სასამართლო მოსმენის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

*okmagazine.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...



## ფიზიკური დასჯა ბავშვის თვალებით — ყველა მშობლის საკითხავი

შვედმა მწერალმა ასტრიდ ლინდგრენმა, „კარლსონისა“ და „პეპის“ ავტორმა, 1978 წელს ერთი ამბავი მოყვა იმის დემონსტრირებისთვის, როგორ ხედავენ ბავშვები ფიზიკურ დასჯას.

„ერთხელ ერთ ქალს შევხვდი, პასტორის ცოლს. მასთან საუბარში გავარკვიე, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გადაუწყვეტია, არასდროს ეცემა ბავშვი, რადგან არ სჯეროდა აღზრდის ამ მეთოდის. სინამდვილეში იმ დროს ბავშვების გაროზგვა ძალიან გავრცელებული იყო. ერთხელ მის 5 წლის შვილს ძალიან უცელქია და ქალს, მიუხედავად თავისი შეხედულებებისა, მაინც გადაუწყვეტია ბიჭის გაროზგვა.

ქალმა ბიჭი ქუჩაში გაგზავნა, რომ თავადვე ეპოვა დასასჯელი წკეპლა. ბიჭი დიდხანს არ დაბრუნებულა, ბოლოს კი მთლად ცრემლიანი მოვიდა, ქვით ხელში. უთქვამს: „დედა, წკეპლა ვერ ვიპოვე, მაგრამ აი, ქვა, შეგიძლია, მესროლო“.

უცებ ქალი მიხვდა, ბავშვის თვალებით ეს ყველაფერი ასე ჩანდა: თუ დედამ გადაწყვიტა, მცემოს, მაშინ არ აქვს მნიშვნელობა, რით გააკეთებს ამას, ქვითაც შეიძლება... დედა გაჩერდა, შვილს მოეხვია და ატირდა. მან ქვა შეინახა, რომ ხშირად გაეხსენებინა ეს ამბავი და ის ფაქტი, რომ ფიზიკური დასჯა გამოსავალი არ არის“.

ასტრიდ ლინდგრენმა დასძინა, რომ, თუ სიტუაციას ბავშვის თვალებით შევხედავთ, შევძლებთ მას რაღაც სწორად ვასწავლოთ.

მწერლის ნაამბობ ამ ამბავს საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება და განხილვა მოჰყვა. ერთი წლის შემდეგ კი შვედეთი პირველი ქვეყანა გახდა, სადაც სკოლასა და სახლში ბავშვების ფიზიკური დასჯა აკრძალეს.

*mshoblebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ბრიტანელმა სახელი გადაიკეთა და... ჩიზბურგერი დაირქვა



კულტურა და ღირებულებები დროის შესაბამისად იცვლება. თუ ადრე საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოდური სახელები ლესტანბერი და დრუჟბანაროდა იყო, დღეს ამერიკაში 33 წლის კაცს ორმაგი ჩიზბურგერი ბეკონით ჰქვია. ხელს კი ასე აწერს – ო.ბ. ჩიზბურგერი

სემ სმიტი ლონდონის ერთ-ერთ პაბში მეგობრებთან ერთად ერთობოდა, როცა ჭარბი რაოდენობით ალკოჰოლის მიღების შემდეგ, გადაწყვიტა, რომ მეგობრების დახმარებით რამე სასაცილო სახელი დაერქვა.

„ჩიზბურგერი ყველას უყვარს. თანაც ამაზე სასაცილო ვერაფერი მოვიფიქრე. მეგობრებმა კი, როგორც ნამდვილ მეგობრებს სჩვევიათ ყველა სისულელეში აყოლა და მხარდაჭერა, ჩემი იდეა ძალიან მოიწონეს“, – აცხადებს ჩიზბურგერი.

კარგია, რომ ბეკონის სამსახურში კარგი იუმორი აღმოაჩნდათ და ახალ სახელს გართულებები არ მოჰყოლია. სახლში კი სხვადასხვანაირი რეაქცია დახვდა.

„დედა პირდაპირ გამძვინვარებული იყო ახალი სახელის გაგონებით, მამა კარგად გაერთო. საცოლე მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ არის, რომ ცოლად ჩიზბურგერს მიჰყვება. რომელი გოგო ოცნებობს ჩიზბურგერის ცოლობაზე, მაგრამ ქორწილამდე სახელს შევიცვლი“, – პირობას დებს მხიარული საქმრო.

ორმაგი ჩიზბურგერი ბეკონით გასულ წელს 85 ათას სასაცილო სახელის მქონე ბრიტანელს შორის მოხვდა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ფიზიკურ ტკივილს ფინანსური პრობლემები იწვევს



ხომ გახსოვთ ის სიმღერა – „თუ ფული გაქვს, შენი ვარ“. ვიღაც იტყვის, რომ ამ სიმღერაში ქალის სიხარბეზეა ხაზი გასმული, მაგრამ არა. აღნიშნული ფრაზით ქალი მომავალი ქმრის ჯანმრთელობაზე ზრუნავს, ვინაიდან მეცნიერების მიერ დადასტურებული ფაქტია, რომ ფიზიკურ ტკივილს ფინანსური პრობლემების მქონე ადამიანები უფრო ხშირად განიცდიან, ვიდრე ფინანსურად უზრუნველყოფილები.

ფულთან დაკავშირებული პრობლემები ადამიანს ტკივილგამაყუჩებლის ხშირად მიღებას აიძულებს.

ასეთ დასკვნამდე მეცნიერები 6 ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგად მივიდნენ. ერთ-ერთი კვლევის შედეგად 2008 წელს სამსახურის დაკარგვასა და ტკივილგამაყუჩებლის გამოყენებას შორის დამოკიდებულება გამოვლინდა. მეორე ექსპერიმენტმა კი ფინანსური სტაბილურობისა და არასტაბილურობის დროს ექიმთან ვიზიტების სიხშირე გამოიკვლია. აღმოჩნდა, რომ კრიზისის დროს სხვადასხვა ჩივილებით ექიმს უფრო ხშირად მიმართავდნენ.

ეკონომიკური დაუცველობის განცდა ისეთ მექანიზმს ააქტიურებს, რომელიც შფოთვასთან, შიშთან და სტრესთანაა დაკავშირებული. ის ადამიანს ტკივილის შეგრძნებას უჩენს.

ექსპერიმენტის სრულყოფისა და მეტი თვალსაჩინოებისთვის, მეცნიერებმა შეკრიბეს სტუდენტები, რომელთა ნაწილი ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, ნაწილს კი, ამ მხრივ, პრობლემა არ ჰქონდა. მათ ყინულებიან ჭურჭელში ხელის ჩადება სთხოვეს. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც ფულის უკმარისობას განიცდიდნენ, უფრო მალე ნებდებოდნენ და ექსპერიმენტს ეთიშებოდნენ.

მორალი – თუ გვინდა ჯანმრთელი მომავალი შევქმნათ, ხალხი დავასაქმოთ.

*lenta.ru*



ცირკის მაყურებლები შოკში ჩავარდნენ, როდესაც გაწვრთნილმა დათვმა მოტოციკლით არენას ერთი წრე დაარტყა, შემდეგ ცენტრში გაჩერდა, სიგარეტი მოწია, გვერდზე გადააფურთხა, თავისთვის ჩაიბურდღუნა: ამის დედაც... და მოტოციკლის კარბურატორის დაშლა დაიწყო.

*****

ანზორა ტროტუარზე ჩამომჯდარა და დაღონებულია. გვერდით კატა მიუცუცქდა:

– რა იყო, ანზორა, რამ დაგაღონა?

– ეჰ, გუშინ ჩემმა ცოლმა იმშობიარა და 5 ტყუპი გააჩინა, რა ვქნა, აღარ ვიცი.

– მაგაზე დარდობ, თუ კაცი ხარ? ზოგს გაყიდი, ზოგსაც გააჩუქებ, ჩემი პატრონი სულ ეგრე იქცევა...

*****

სოფლის კლუბში დისკოთეკა



მოაწყვეს. ყველა ცეკვავს, მაყვალას გარდა. მასთან მიხო მივიდა.

– მაყვალ, გოო, თავისუფალი ხარ?

– კი.

– კაი, მაშინ წამო ტრაქტორის დაქოქვაში მომეხმარე, ცოტა მოაწექი.

*****

– ეეეჰ, ახალგაზრდობაში რა სულელი ვიყავი...

– ნუ წუწუნებ, მაყვალა, შენ ახლაც ახალგაზრდულად გამოიყურები!

*****

თედო პაპა ორი წლის განმავლობაში სულ მარტო წამლიდა ბაღვენახს შხამ-ქიმიკატებით კოლორადოს ხოჭოებისგან დასაცავად. მესამე წელს კი უკვე კეთილი კოლორადოს კოჭოები ეხმარებიან მოხუც პაპას ბაღ-ვენახის შეწამვლაში...

*****



ორი ბუზი რესტორანში შეფრინდა.

– თუ შეიძლება, მე ნეხვი ნივრით მომიტანეთ.

– მე ნივრის გარეშე – დღეს მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს და არ მინდა პირიდან უსიამოვნო სუნი ამომივიდეს.

***მოამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთი „ალია" იზიარებს თქვენს მწუხარებას

თემურ ხომერიკი და გელა წიკლაური სამძიმარს უცხადებენ ნუგზარ პაიჭაძეს მძახლის **ჯუმბერ ჩიქოვანის** გარდაცვალების გამო.

ლანგორი ხომერიკის ოჯახი იზიარებს ჩიქოვანებისა და პაიჭაძეების ოჯახების მწუხარებას **ჯუმბერ ჩიქოვანის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

გაზეთი „ალია" იზიარებს თქვენს მწუხარებას


გაზეთი „ყოველკვირეული ალია"

## სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 435 553

რედაქტორი მანანა გიორგაძე



## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773


## მამაკაცის მოტყუება შეუძლებელიაო



– ძლიერი სქესის წარმომადგენლები ტყუილზე წამიერად რეაგირებენ – მათ სიცრუის გარჩევა გაცილებით ადვილად შეუძლიათ, ვიდრე მშვენიერ სქესს, – სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანეს ბრიტანელმა მეცნიერებმა და იმედია, ერთხელ და სამუდამოდ გაფანტეს ქალებში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს კაცები ადვილად ტყუვდებიან და მათთვის „რქების დადგმა" ძალიან ადვილი საქმეა.

ცნობილი ხდება, რომ ექსპერიმენტში, რომელიც სწავლულებს ძლიერი სქესისთვის სასარგებლო დასკვნის გამოტანაში დაეხმარა, 15 ათასამდე ქალმა და მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა. კვლევის მიზანი გახლდათ იმის დადგენა, რომელ სქესს შეუძლია უფრო ადვილად და სწრაფად ცრუ ემოციების დადგენა და რეაგირება.

უნდა ითქვას, რომ შედეგებმა თავად სპეციალისტებიც გააკვირვა, რადგან აქამდე გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ტყუილს ქალები უფრო ადვილად უმკლავდებოდნენ და არა მამაკაცები.

ექსპერიმენტი შემდეგნაირად ჩატარდა: ყველა რესპონდენტს დაურიგდა 20-20 ფოტო, რომელთა ერთ ნაწილზე ადამიანები გულით იღიმოდნენ, მეორე ნაწილზე კი ცრუ ემოციები იყო აღბეჭდილი.

აღმოჩნდა, რომ სიმართლისა და ტყუილის გარჩევა ძლიერი სქესის 77-მა პროცენტმა შეძლო, მშვენიერი სქესის შემთხვევაში, მაჩვენებელი 58-პროცენტიან ზღვარს ვერ გადასცდა.

– ფაქტია, რომ მამაკაცები არც ისე მიამიტები ყოფილან, როგორც ეს შორიდან ჩანს. შესაძლოა, ისინი, უბრალოდ, თავს იკატუნებენ ხოლმე, რეალურად კი ტყუილს ძალიან ადვილად ააშკარავებენ, – მიიჩნევენ ბრიტანელი მეცნიერები.

მოკლედ, ფრთხილად იყავით, ძვირფასო ქალებო, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ და ყველაფერს ვხვდებით!..

*factroom.ru*

## დამამშვიდებელ პრეპარატებს ადამიანის პარალიზება შეუძლია?!



– კიდურები მოტორიკას კარგავსო, – დაადგინეს მეცნიერებმა მწვანე კონტინენტიდან. ჰოლანდიელი სწავლულები კი ამტკიცებენ, რომ დამამშვიდებელი პრეპარატების მიღებას ფეხმძიმე ქალების შემთხვევაში, მუცლის მოშლა მოჰყვება.

მოკლედ, დასკვნები არცთუ იმედის მომცემია და შემაშფოთებელი ის არის, რომ დამამშვიდებელი პრეპარატები საკმაოზე მეტად გავრცელებულია.

მელბურნის ინსტიტუტის მკვლევართა განმარტებით, ზოგიერთი პრეპარატი იმდენად ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის ტვინზე, რომ დროთა განმავლობაში მას სიარულისა და ხელების მოძრაობის უნარი ერთმევა.

ასეთ სახიფათო დამამშვიდებელთა სიაშია ჰალოპერიდოლი და სხვა ანტიფსიქოტროპული პრეპარატები.

კვლევის ხელმძღვანელის, კლერ პერიშის მტკიცებით, ჰალოპერიდოლის ნემსის გაკეთებიდან 15 წუთში ჩნდება საკმაოდ დიდი ალბათობა იმისა, რომ განვითარდეს შიზოფრენია და ქვედა კიდურების კუნთების მოდუნების სინდრომი.

– პრეპარატები იმდენად მოქმედებს ტვინის ცენტრზე, რომელიც კიდურების მოტორიკაზეა პასუხისმგებელი, რომ პაციენტებში სერიოზული ცვლილებები და არცთუ იშვიათ შემთხვევაში ტვინის სრული დეგრადაციაც ვითარდება, – განმარტავს კლერ პერიში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შევეცადეთ, ინტერნეტში ჰალოპერიდოლის დანიშნულების დეტალები მოგვეძებნა და მივაგენით, რომ ის გამოიყენება შიზოფრენიასთან და ტვინის ზოგიერთ დაავადებასთან ბრძოლისთვის. ასევე, ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების სამკურნალოდაც. ანუ ნივთიერებას გამოყენების საკმაოდ ფართო არეალი ჰქონია და იმედი გვაქვს, ავსტრალიელი მეცნიერების აღნიშნულ მიგნებას მედიკოსები აუცილებლად გაითვალისწინებენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*medkarta.com*

## 6 კილო კარტოფილი 10 წუთში შეჭამა



არ იფიქროთ, დამშეული იყო და ამიტომაც შთანთქა 6 კილო კარტოფილი ამერიკელმა პეტ ბერტოლეტიმ. არა! საქმე ის ყოფილა, რომ გასულ დღეებში ტორონტომ შემწვარი კარტოფილის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა და მაყურებლების დიდი გაკვირვებაც გამოიწვია.

როგორც ირკვევა, პეტ ბერტოლეტიმ 13 ფუნტ (დაახლოებით 5,9 კილო) შემწვარ კარტოფილს ბოლო 10 წუთში მოუღო და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა.

საერთო ჯამში, ფინალში 11 მონაწილე გავიდა, თუმცა „კარტოფილის მმუსვრელს" ვერავინ აჯობა და შეჯიბრს დროზე ადრე გამოეთიშა.

მართალია, გამარჯვების სანაცვლოდ, ბერტოლეტიმ არცთუ ისე დიდი საჩუქარი, სულ რაღაც, 750 აშშ დოლარი მიიღო, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მთავარი ის ემოციებია, რომელიც მსგავს ღონისძიებებს ყოველთვის თან სდევს.

*mainfun.ru*



## რატომ არ უნდა შეადაროთ თქვენი ხელფასი სხვისას?

ამ კითხვას საკმაოდ არასასიამოვნო პასუხი ფრანგმა მეცნიერებმა გასცეს, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: „როცა ადამიანი საკუთარი შემოსავლის ოდენობას სხვისას ადარებს, შესაძლოა, შედეგად ქრონიკული დეპრესია მიიღოს..."

საინტერესოა, რომ ფრანგი სპეციალისტების მიერ ჩატარებულ კვლევაში ოთხი ქვეყნის 19 ათასამდე მოქალაქე მონაწილეობდა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ხელფასების შედარებისას, ადამიანების უმრავლესობა, უფრო კონკრეტულად კი 87 პროცენტი, საკუთარი თავის რწმენასა და სიცოცხლის ხალისს კარგავს. კვლევის შედეგად დადგინდა ისიც, რომ ხელფასის სხვაობის აღქმა განსაკუთრებულ უარყოფით გავლენას ღარიბ ადამიანებზე ახდენს და ქრონიკული დეპრესიის რისკის ჯგუფში სწორედაც რომ ღარიბები შედიან.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*

## ქუთხეცის



ჯემალამ სადგომიდან თავისი „ოპელი" გამოიყვანა და ბარათი დატოვა: „აქ მანქანა არავინ დააყენოთ, თორემ მახათით საბურავებს დაგიხვრეტთ. ჯემალა". საღამოს დაბრუნდა. მის ადგილას „კატოკი" აყენია და ბარათი აქვს მიკრული „წარმატებებს გისურვებ, ოღონდ ფრთხილად იყავი, მახათი ხელში არ გაიყარო. პატივისცემით მურთაზი".

*****

სპილო და ჭიანჭველა ძველ ხიდზე გადადიან, ხიდმა ჭრიალი დაიწყო. სპილომ შეშინებულმა გადახედა ჭიანჭველას.

– გესმის, როგორ საეჭვოდ ჭრიალებს ეს ხიდი? ნეტა რატო?

– დამშვიდდი, ცუნცულ, ჩვენ ხომ ორნი ვართ და ალბათ, ორივეს წონას ვერ უძლებს...

*****



– კოტიკო, ბებო გენაცვალო, მოდი, ისადილე.

– ხუთ წუთში მოვალ, ბებიკო.

– მოდი, კოტიკო, თორემ გაცივდება.

კოტიკო ადგა კომპიუტერიდან და სამზარეულოსკენ გაემართა, ბებო კი კომპიუტერთან მოკალათდა და კოტიკოს გასძახა:

– მოგატყუე, ლაწირაკო, – და თავისი „ფეისბუკი" გახსნა.

*****

– ძაღლს შეიძლება ინფარქტი დაემართოს?

– კი, ადამიანურ პირობებს თუ შეუქმნი, შეიძლება მეტიც დაემართოს.

*მოამზადა დავით ახობაძემ*

*დავით ახობაძის ნახატი*


სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან (ovals)-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



გაზეთი „ყოველკვირეული ალია"

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე

(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე

599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – თათა ბრეგვაძე

(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში" გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2346-8424

9 772346 842002

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 0.48